



N44 (334)
ფასი 6

63




დაეშვას თუ არა დინა ჯოჯუა ნათია ლაზაშვილს

1168
2006

„რუსთავი 2“-ის
ახალი შეფის
უბედლო მონაპოვარი

რატომ ჩაეშალა მელორს
სოფოსთან ფლირტი



და
რა ულტიმატუმი წაუყენა
მას ყოფილმა ცოლმა...



რუსთა მოქალაქე
ქართველების
აღსარება არ ჩაიბარა

ნინო გურჯანაძის
ორეული კუზანოვთან
ოპერაციას აპირებს...



ჯაანამ გურიანი
სოფელი ჯაანა
აღმოაჩინა

ასდენილი ნაბვრა



გკითხველის
ოცნებებს
გკითხველები
ასრულებენ!



კვირის პალიგრა
შედეგები

ყველა
სიასლა

თქვენ შეგიძლიათ, ინაბროთ და ნაბვრა აიხდინოთ!
თქვენ შეგიძლიათ, ნაბვრა აუხდინოთ ადავიანებს!

ამისთვის კი საჭიროა, მონაწილეობა მიიღოთ
„კვირის პალიგრისა“ და „ყველა სიასლის“
ერთობლივ ახალ პროექტში

„ასდენილი ნაბვრა“

„რუსმა მოძვარმა ქართველი მკვლელის აღსარება არ ჩაიბარა“

დალი კოსტავა, რუსეთიდან დეპორტირებული: - ღამით ბავშვთან ერთად, შინ ავტობუსით



ვბრუნდებოდი. ამოვიდნენ, დაგვაგელეს ხელი და პირდაპირ მილიციის განყოფილებაში მიგვიყვანეს. ბავშვი ისტერიკაში ჩამივარდა, მილიციის უფროსი კი დამემუქრა, შენს „ფსიხობიან“ შვილს თუ არ გააჩერებ, დღის სინათლეს ვერასდროს ნახავთო. არასდროს დამავიწყდება მისი გამხეცებული სახე.

5

„პიპასოს ბიჭები“, ქუთაისური ბუმბული და ნინო გურჯანაძის პაროდისტის დებიუტი...

„იცით, მთლიანად „იუმორისტულ კლუბზე“ ვარ გადართული, სულ იქ მიწევს ყოფნა და პარლამენტისთვის არ მცალია. როდესაც დავბრუნდები იქ, მაშინ მოგახსენებთ, თუ რა ხდება პარლამენტში“.



8

ზაზი.ge პარალელურ სამყაროში



„მერე ის, რომ არაგვზე ვიყავით, გელ მდინარის პირზე. არასდროს ვყოფილვარ იქ... მანქანა ღამის პირდაპირ წყალში შეიყვანა. ფეხზე გავიხადე და წყალში შევედი“.

17

ქართველი ბრძოლა ბარდოს სხეულით პაჭრობის ხელოვნება



„მეძავეები რაც არ უნდა მხიარულები ჩანდნენ, თავიანთი პროფესიიდან გამომდინარე, ბედნიერები ვერ იქნებიან. იმ ქალსაც ვერასდროს გაუეგებ, რომელიც ამ გზას მაგერიალური გაჭირვების გამო დაადგა“.

21

მინიატურები

- ჩაქოლასიის სიუხილამო ფაჩიფაჩი
ანუ „თბილისში ვარდი აყვავდა-ვ“ 3
- ერთი კითხვა 4
- დაპორტირებული

- „რუსმა მოძვარმა ქართველების
აღსარება არ ჩაიბარა“ 5
- უხსოვარი პრესა

- „სიძულვილის სახელმწიფო“
ანუ „მოვიდა სიბრძნე, დახვდა ქვა“ 7
- ქარნაღისტის როლი

- „პიპასოს ბიჭები“, ქუთაისური იუმორი
და ნინო გურჯანაძის პაროდისტის დებიუტი... 8
- კრიმინალი

- „...ჩემი შვილების წინაშე არასდროს
შემარხებია“ - ახსნადას ნათია ჯანელიძე 14
- მკითხველის თვალით

- „ასეთი რამ ხსოვრებაში მართლაც
რომ იხვიათად ხდება“ 16
- ჩაქოლასი

- შაბი.ge პარალელურ სამყაროში 17
- შინ

- ლევან ბერძენიშვილი 53 წლის გახდა 20
- მსახიობი

- ქართველი ბრძოლა ბარდოს
მინიფორმაციი, სხეულით პაჭრობის
ხელოვნება და გულწრფელი სრულიები 21
- ეკრანის მიღვა

- ჯაანა „ახსენილავ“ ჟღერს 23
- გზაწილავი

- ბუნილა დადამარცხდა 24
- ანტიდუარისანები 28
- იმიჯი

- ვისი თხოვნით იხვამს ნანა კალაგოზიშვილი
ქუსლიან ფხსამაღლს და ქვადამოღოს? 28
- საკითხავი ქალბავისთვის

- ✓ იხვამს თუ არა სტრანგი თვის მხანას? 30
- ✓ მოხდენილი სხეულის ფორმულა 30
- ✓ ხალხით წინასწარმავილავის ხელოვნება 31
- ✓ როდის დაღამოს მამაკაცს ნახისყოფა 31

- სიჭაუბია
- ფორმული გადმარცხდა 32
- მასწავლი

- „რუსთავი 2“-ის შუფს
საათში ერთხელ აკონტროლავან... 34
- ბაიბ-ბაიბი 36
- რომანი

- ზაზა ვარცაძე.
ველური ნაბლის ხეივანი (გაბრძობავა) 38
- წყვილი

- ულად არამოვი მოხვამის ქალზე დაქორწინდა 42

პარსკვლავები

იდეალური სოლი ნიჟოლას კაიჯისთვის 43

ჯანმრთელობა

✓ სასარგებლო მწვანელი

– ოხრახუნი, ნიახური, კამა... 47

✓ სკლეროზი ვიწროვანულად ვითარდება 48

წმინდანები

წმინდა მოსიქაული თომა 48

ქართული დამატებითი

გორა მანელიძე.

თათრი სიკვდილი (ბაგრქალება) 50

ასაბრავი

ზურა სიზანიშვილი:

„არამიარლიგაში თამაში ჩემი ოცნება გახლდათ“ 54

შოუ

✓ „გავთვითრდი, შავაშინდა.

სოფოსას იგივე არ გააკეთებინა...“ 56

✓ „თაფლოგის თვას ქვარი სოპარასიმო გაიხსნა“ 57

თინეიჯერული პონგები

გულაშონით გახსოვილი ადამიანები

და სისის კაღაბში დაბრუნებული კალნულოა... 59

■ ანკება 63

■ გომოდური მოზაიკა 64

პოროსკოვი

კვირის (2-8 ნომერები)

ასტროლოგიური პროგნოზი 66

მულტიპლიკაცია

„ნიგოზური“ სხანები მხოვალაზ შორის და

მულტიპლიკა, სადას ართმანეთს არაპინ ინლოგს 67

■ ავტო 68

■ ბასტი 70

■ სანკორდი 71

■ ...და გოლოს 72



მე, უსუსური და ბუნდური...

– სად არის ავადმყოფი? ნუთუ შემეშალა?!...
– დაბრძანდით, ცოცა დაისვენეთ! – შევთავაზებ.
– გმადლობთ, ჯობს ონკანს მივხედოთ!

მე, უსუსური და ბუნდური, მორჩილად სამზარეულოსკენ გავუძეხი...

32


მულტიპლიკა, სადას ართმანეთს არაპინ ინლოგს



„მართალია, ეს საბავშვო ფილმი არ არის, თუმცა, მას ბავშვების უყურებენ. საკმაოდ ბევრი ინტიმური სცენაა, სადიმის მომენტებიც არის. ამ მულტიპლიკაში დაღვბითი პერსონაჟი არ არსებობს.“

67

იდეალური ცოლი



ალან პარკერის ფილმის – „ჩიგუნა“ – გადაღებულ ბზე კატეგორიულად მოითხოვა, რომ კამერის წინ მისთვის 2 კბილი ანესთეზიის გარეშე ამოეღოთ, რადგან გმირის როლში ბოლომდე შესულიყო.

43



თათრი სიკვდილი

– „ეს პიქონი“ სამგრედის პოლიციის სამმართველოს გამომძიებელია, – რომანის მაგივრად უპასუხა ნიკამ.

– სამგრედის?! – აშკარად დაიბნა სოსო. – რა შუაშია სამგრედია?! რა, აქაურ საქმეს ვერ შემომგენით?!

– საქმის შემოგენვა არ დაგჭირდება, ისედაც მაგრად გაქვს გათხრილი!..

50

გარემანვა: ირმა ლიპარტიანიას კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გახმთ „კვირის კალიტრის“ დამატება

შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მთ. რედაქტორის მთადედეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავიაა მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvispalitra.com

რევოლუციის საიუნტილო ფაქიფუცი ანუ „თბილისში ვარდი ყვავდა-3“



როცა ქვეყანაში კარგი არაფერი ხდება, მაშინ დროც იწვლება, თითქოს საერთოდ გაჩერდეთ, თორემ, თუ მაგრად ხარ და წარმატებებს ვეღარ აუდიხარ, წლები წუთებივით გარბის. აგერ, ვარდების რევოლუციის 3 წლის იუბილე მოახლოვდა, მთელი 2 წელი და 11 თვე გასულა; არადა, დრო ისე ჩქარა გაიქცა, რომ ყველაფერი თითქოს, 2 წლისა და 10 თვის წინ იყო...

ასეთ დიდ თარიღს მართლაც, სათანადოდ აღნიშვნა შეუძლებელია. მით უმეტეს, ისე გვიყვარს მნიშვნელოვანი მოვლენების ტან-ფანდურით აღნიშვნა, რომ ლამის თბილისი-ფოთის მატარებლის ყოველ გაცილებასა და დახვედრასაც ვხეიბობთ.

რევოლუციის სამი წლისთავზე კი, ევროპულ და ოკეანისგალმელ მეგობრებსაც დავუბატოებთ და ისე როგორ „ნაისვამენ პირზე ტალახს“, რომ რაიმე (ეს „რაიმე“, როგორც იცით, 50-დან 200 მილიონამდე „მწვანეს“ ნიშნავს) არ აჩუქონ 3 წლის პატარას, რომელიც დღითი დღე იზრდება და გუშინ ნაჩუქარი აღარც შარვალი ერგება და აღარც „ბასანოჟები“...

მთავარი საჩუქარი უკვე მივიღეთ — ანუ „პოვოდი“ გვაქვს: ჩვენმა თანამემამულემ მოსკოვიდან 28-ტონიანი საჩუქარი მოგვიძღვნა. საშინელება იყო რუსული წესი — საჩუქარს სტუმრების წასვლამდე რომ ვერ გახსნიდი. ახლა — ვენაცვალე ევროპელებს! — ეგრევე ნახულობ, რა არის. ჰოდა, ამ ადგილს, სადაც წლების წინ, ლენინი იყო გამოგვიმული, ახლა წმინდა გიორგის მოოქრული მონუმენტი დაამშვენებს. თბილისობაზე დანურული მაჭარი უკვე დაღვინდა, 23 ნოემბრამდე ერთხელაც გადავიღებთ და — მორჩა. ქართული წესი კი, იცით: ღვინო თუ გვაქვს სახლში, მუავე და მჭადიც რომ გამოიტანო, სტუმართან წელგამართულად ხარ...

ღვინოს მერი ჩამოახსამს ანუ იქნება „მერიქიფე, რომელიც ზრუნავს ჩვენზე“; სტუმრების გართობის საკითხიც მოგვარებულია: სოფლის მეურნეობის მინისტრი იმღერებს, შადრევანი იცეკვებს და მეტი რა გინდა?! ჰო, რაც მთავარია, თამადა გყავს ისეთი, რომ გასახელებს. დაძალებაც არ იცის და თავის დროზე სადღეგრძელოც უყვარს და მუსიკაც. თუ ხმაური იქნა სუფრასთან, ის გამოთქმაც შეეფერება — „მე აქ თამადა ვარ თუ პრეზიდენტი?!“

სადღეგრძელებელი მართლა ბევრია: ცოტა რამ გაკვთდა ამ სამ წელიწადში? ჯერ მარტო, კორუფციას გამოუცხადა ისეთი ბრძოლა, რომ საცოდავი კორუფცია თბილისიდან კი არა, სამეგრელოდანაც (ფაცია, ფაცაცია, კურუფცია — მეგრული გვარებია და ძირითადად, მარტვილიდან არიან) გარბის. არც დღემდე შეუწყვეტია ხელისუფლებას ეს ბრძოლა და თავისიანებსაც არ ინდობს. აგერ, ამ დღეებში, უმრავლესობის ისეთი აქტიური წევრი დააკავეს, არც ვიცოდით, პარლამენტში თუ იყო...

ისე, შე კაიდემამიშვილო, 3 წელი რომ პარლამენტარი

ხარ და ერთხელაც არ გამოჩნდები ან დებატებში, ან სიტყვით გამოსვლაში, რას მიკეთებ?! სხვა დეპუტატს რომ ინტერვიუს ართმევენ ფოიეში, იქ მაინც გაიარე უკან, რომ კადრში მოხვდე, იქნებ ოჯახი ნერვიულობს... აფსუს! 3 წელი კადრში არ მოხვედრილა და პირდაპირ ფარული კამერის კადრებში ამოყო თავი!.. ცუდია. დეპუტატს რა უნდა ციხეში?! მაგრამ იმ 500 ათასსაც რა უნდა დეპუტატის ჯიბეში?!

ჰო, სიტყვა გამიგრძელდა, არადა, ამ „სადღეგრძელოზე“ გაჩერება არ შეიძლება! მორიგი „სადღეგრძელო“ — გზები. ქალაქის შიდა გზებზე რომ არაფერი ვთქვათ, ისეთი ავტობანი გავეთდა, რომ თბილისიდან არ ხარ გასული და უკვე კასპში ხარ ჩასული. ე.ი. კასპიც თბილისის ისეთივე უბანი გახდა, როგორც თქმა და გლდანია. პრეზიდენტმა თქვა — მალე ეს ავტობანი სოხუმშიც ჩაგვიყვანსო და თუ მთელი საქართველო თბილისის შემოუერთდება, ქვეყნის ნაცვლად, ერთი დიდი ქალაქი გვექნება და მერი იქნება უზენაესი ხელისუფალი (რლაც, არც ეს „სადღეგრძელო“ გამოივიდა ისეთი, პრეზიდენტს რომ ეამებოდა!..)

აგერ, გადასარევი „სადღეგრძელო“ — „თბილისი — სინათლისა და სისუფთავის ქალაქი!“ — მისი ძველი ისტორიული სიბლით, აივნიანი სახლებით... თუმცა, ეს ძველი სახლები იმდენად ძველია, ბზარები დღითი დღე უფრო ალებს პირს და თანდათან ინგრევა. ამ სახლების სიძველეს, ხელისუფლებას მე კი არა, ოპოზიციაც ვერ დააბრალებს, მაგრამ მაინც ცუდია!.. ეგ არაფერი, სტუმრებს მოვატყუებთ. „ჯალალედინმა“ რომ დაგვარბია, იმ სახის ვინახავთ მუზეუმის „მონტში“-თქო, — მაგრამ იმ ხალხს რა ვუყოთ, რომელიც „ლეჟანკებზე“ წევს უსახლოდ დარჩენილი?!

არც ეს „სადღეგრძელო“ აღმოჩნდა დიდი ბედენა და საერთოდ, თამადაობა ხომ არ დამავიწყდა?! რალა შევთავაზო პრეზიდენტს, რომ სტუმრებთან გვასახელოს?.. ჰო, აი — „გვესვას, გვეჭამოს, ერთმანეთი არ შეგვეჭამოს!!!“

P.S. ვარდების რევოლუციის 3 წლისთავზე იუბილარს ეუბნებიან:

- გილოცავს აშშ პრეზიდენტი, უთხარი ძიას — „მადლოება!“
- გილოცავს ევროსაბჭოს თავმჯდომარე, უთხარი ძიას — „ატაში მინდა!“
- გილოცავს რუსეთის პრეზიდენტი — შეაგინე ძიას, შეაგინე!!!

პროპოკატორი



„დამოუკიდებელი გაზსადენით ცხინვალს ვერ წაგვპარტოვებენ“

— „გაზრომი“ კოკოითს ცალკე გაზსადენს უშენებს და 2007 წლის დამლევს, საქართველოს გვერდის ავლით, ცხინვალის რეგიონში ბუნებრივი აირის იმპორტი განხორციელდება. როგორი იქნება ჩვენი ხელისუფლების საპასუხო ნაბიჯი?

ინო ბურჯანაძე, პარლამენტის თავმჯდომარე:

— შემთხვევითი არ არის, რომ ამ პროექტზე მუშაობა საქართველო-რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობის პერიოდს დაემთხვა. ამით ჩვენი ჩრდილოეთი მეზობელი სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკისთვის ენერგომატარებლების დამოუკიდებელი კვების წყაროს მიცემას აპირებს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ფაქტს საერთაშორისო თანამეგობრობა ისევე დაგმობს, როგორც რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის მიმართ განხორციელებულ სხვა ქმედებებს. საქართველოს ხელისუფლებას ენერგორესურსებით მანიპულაციისთვის არასოდეს მიუშვრთავს — მაშინაც კი, როდესაც რუსეთის მხრიდან უკიდურესი შეზღუდვები გვეკონდა დაწესებული, კონფლიქტურ რეგიონებში ელექტროენერჯიას და ბუნებრივ აირს შეუფერხებლად იღებდნენ, საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ამ ენერგომატარებლების საფასური კი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარებოდა. ცენტრალური ხელისუფლება ამ რეგიონებს ყოველთვის პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა. ჩვენ არც მომავალში ვაპირებთ ენერგორესურსებით მანიპულირებას. დარწმუნებული ვარ — კონფლიქტურ რეგიონებში მალე, მშვიდობიანი გზით, საქართველოს იურისდიქცია აღდგება და იმის მცდელობა, რომ აფხაზეთი ან სამხრეთ ოსეთი პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმების გამოყენებით „ჩამოგვაჭრან“, უშედეგოდ დამთავრდება.



„ზამთარში ელექტროენერჯიის დაფიციტი არ იქნება“

— ოპოზიციამ მთავრობასთან შეხვედრის დროს, ენერგომომარაგებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე პასუხი ვერ მიიღო. თქვენი აზრით, წინ მიმდინარე ზამთარი გველის?

მისილ მაჭავარიანი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:

— ყველა საკითხზე დღევანდელ ვაჭრით პასუხის გაცემა იოლი არ გახლავთ, თუნდაც — გაზომომარაგებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, იმიტომ, რომ რუსეთი ქმნის მაქსიმალურ პრობლემებს და ცდილობს, ბლოკადაში მოგვაქციოს. გარდა ამისა, არის საკითხები, რომლებზეც ჯერჯერობით მოლაპარაკება მიმდინარეობს. ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, დღეს ყველაფერზე ლიდა ვერ ვისაუბრებთ. მაგრამ ჩვენი ოპოზიცია მინდა დავამშვიდო, რომ მთავრო-

ბა რეალურად ფლობს სიტუაციას. ქვეყანა მზად არის, ზამთრის პერიოდში მოსახლეობას მიანოდოს იმ ოდენობის ელექტროენერჯია, რამდენსაც მოიხმარს. დარწმუნებული ვარ, გაზის მოწოდებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებებიც წარმატებით დასრულდება და რუსეთზე აღარ ვიქნებით დამოკიდებული. ამგვარად, გულხელდაკრეფილი არავინ ზის, მთავრობა მუშაობს და ამის შედეგს ზამთრის თვეებში მოსახლეობა დაინახავს. რაც შეეხება ოპოზიციის უკმაყოფილებას, — მე ის უფრო გამიკვირდებოდა, მთავრობასთან შეხვედრით კმაყოფილი რომ დარჩენილიყვნენ. დახურულ შეხვედრაზე მათ ყველა კითხვაზე მიიღეს პასუხი, მაგრამ გარეთ რომ გამოვიდნენ, რაც უნდოდათ, ის ილაპარაკეს.



„ქალზე ძნელია, იმაზე იფიქრო, რომ გააუღმებოთ გისმენენ...“



— პოლიტიკოსები ხშირად გამოთქვამენ ეჭვს, რომ მათი ტელეფონი ისმინება. თქვენ რატომ გაგიჩნდათ ეს აზრი? შს სამინისტრო უმრავლესობის წევრებსაც არ ენდობა?

ელენე თაყვორაძე, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:

— როგორც კომიტეტის თავმჯ-

დომარეს, ხშირად მირეკავენ პატიმრებიც, დაზარალებულთა ახლობლებიც და ისეთ ინფორმაციას მანვდიან, რომელიც მხოლოდ მათთვისაა ცნობილი. შემდეგ ირკვევა, რომ ამის შესახებ სხვებმაც გაიგეს. მე ხომ ვიცი, რომ არავისთვის მითქვამს — ესე იგი, ვილაც-ვილაცები ჩემს საუბრებს ისმენენ. არ ვიცი, სპეციალური აპარატი სად დამიმონტაჟეს — მანქანაში თუ სამუშაო კაბინეტში, — მაგრამ უნდა ვთქვა — ძალზე ძნელია, ავეთო საქმე და თან, იმაზე იფიქრო, რომ გააუღმებოთ გისმენენ. ჩვენს კონსტიტუციაში წერია, რომ დეპუტატს პოლიტიკური შეხედულებებისა და გამონათქვამების გამო, პასუხს არ უნდა აგებინებდნენ. სამწუხაროდ, ეს მუსლი არ მოქმედებს. პარლამენტის ზოგიერთი წევრი საკუთარი შეხედულების გამო, ცუდ დღეში ჩააგდეს. ელენე თევდორაძისთვის რაიმე ბრალდების წაყენება იოლი არ არის, მაგრამ მინდა, ბოლომდე თავისუფალი ვიყო, როცა ჩემს ამომრჩევლებს ვესაუბრებ. მოსასმენ აპარატს მე თავად ვერ ვიპოვი, რადგან არ ვიცი, სად და როგორ ამაგრებენ. შს სამინისტროში საჩივრის შეტანაც ფუჭი მგონია, რადგან ეს უწყება თავად აკონტროლებს იმას, თუ ვის დაუყენებენ მოსასმენ აპარატს და ვის ფარულ გადაღებას აწარმოებენ. სხვა რა გზა რჩება? — მისმინონ. მე ცუდს არაფერს ვაკეთებ და არც მეშინია.



„პატიმარი კარცერი საცვლის ამარა 16 დღე იჯდა“

— კარცერში მყოფი შიშველი პატიმრების გამო, ოპოზიცია ბაჩო ახალაიას პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს. თქვენი აზრით, პროკურატურა ამჯერად მაინც დაინტერესდება იმით, თუ რა მოხდა რუსთავის №6 საპყრობილეში?

სოზარ სუბარი, სახალხო დამცველი:

— სახალხო დამცველის მონიტორინგის მონაწილეებმა რუსთავის №6 საპყრობილის კარცერში 3 პატიმარი — გენადი ნურნუმიანი, იმედა ბუთხუზი და ბადრი ქეცბაია საცვლების ამარა ნახეს. ამ ინფორმაციის დამადასტურებელ ოქმს ხელს აწერს ზურაბ კვიციანი, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობს. ის ჩვენს თანამშრომლებთან ერთად, მონიტორინგს ესწრებოდა. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მან ოქმზე ხელის მოწერა უარყო. არადა, ეს დაფიქსირებულია. ერთ-ერთი პატიმრის — ნურნუმის თქმით, იგი კარცერში საცვლის ამარა 16 დღე იჯდა. გვეუბნებიან, რომ პატიმრები კონკრეტული დანაშაულისთვის გაამწესეს კარცერში, მაგრამ რა დანაშაულისთვის — ვერ დავადგინეთ. ნურნუმიანზე საერთოდ არ არსებობდა დოკუმენტი, რომ კარცერში იჯდა. მათ არც ლეიბი ჰქონდათ, არც საბანი და ზენარი, ტანსაცმელი კი, მორიგის მაგიდასთან იყო დაყრილი... მიმაჩნია, რომ ეს არის წამება, რის გამოც, რუსთავის №6 საპყრობილის უფროსის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. გულორდავა ამჟამად სხვა დაწესებულებაში სამუშაოდაა გადაყვანილი, მაგრამ ეს საკმარისი არაა. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება აქამდეც უნდა დაწყებულიყო. რეალურად, პროკურატურა ამ საქმით ჯერჯერობით არ დაინტერესებულა. როცა მოკვლევა დაიწყება, ამის შემდეგ, სხვა პირების ბრალულობაც გამოიკვეთება. თუ საქმესთან ბაჩო ახალაიას კავშირიც დადგინდა, ბუნებრივია, ამ ფაქტს შესაბამისი რეაგირებაც უნდა მოჰყვეს; თუმცა, ეს ძიების პრეროგატივაა, პროკურატურამ უნდა გამოიკვლიოს, უშუალოდ ვინ იყო დამნაშავე და რატომ ანამებდნენ პატიმრებს.

სად იხუაბა და სად მოაპრღაბა ქართველების ემიგრაცია

„რუსმა მოძღვარმა ქართველი მრევლის აღსარება არ ჩაიბარა“

რუსეთში ანტიქართული კამპანია არ ცხრება. ადგილობრივი მილიციის მიერ ქართველების დაკავება, ლამის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ემიგრანტებს, რომლებსაც საბუთები მოუწერებელი აქვთ და ქუჩაში გამოსვლას ერიდებიან, რეპრესიები მაინც შეეხოთ. რუსეთის დღემს განაწილებით, საგანგებო კომისია შეიქმნა, რომელიც ემიგრანტების მიერ დაქირავებულ ბინებთან „მუშაობს“. რუსული მილიციის საგანგებო ოპერატიული ნაწილის მიერ ქართველების ბინაში აყვანის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.

ლალი პაპასკირი

ფედერაციული რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა ჯერ კიდევ გასულ კვირას საქართველოში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებს ურჩია, სამშობლოში დაბრუნების სურვილის შემთხვევაში, რუსეთის საელჩოსთვის მიემართათ. როგორც გაირკვა, შესაბამის სამსახურს, მხოლოდ ის რუსი სამხედროები მიმართავენ, რომლებიც ამიერკავკასიის ჯარების ნაწილებში ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან მსახურობდნენ. მათგან განსხვავებით, საქართველოს მოქალაქე რუსების უმრავლესობა წასვლას არც ფიქრობს, რადგან მიაჩნია, რომ უკეთესი ცხოვრების პირობები არც მეორე თუ პირველ სამშობლოში ელოდება.

გენადი კუზაროვი, საქართველოს მოქალაქე:

— არასდროს მიფიქრია იქ დაბრუნებაზე, მიმაჩნია, რომ საქართველო ჩემი, რუსეთი კი — წინაპრების სამშობლოა. რამდენიმე ჩემი მეგობარი საცხოვრებლად რუსეთში დაბრუნდა და დღემდე ნანობს — მათ ოჯახებსა და შვილებს ადგილობრივებთან ურთიერთობისას სერიოზული პრობლემები შეექმნათ... გაცოცხლებული და შუურაცხოფილი ვარ ჩემი ხალხის საქციელით. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ რუსეთს ასეთი სამარცხვინო მთავრობა ჰყავდა. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ რუსეთის კულტურული აღმასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოსთან ახლო ურთიერთობა იყო. ხალხი მეცოდება, ერთადერთი გამოსავალი ხელისუფლების შეცვლაა. რუსეთის უგუნური განაწილებების გამო თავს ვიმართლებდი — მთელი რუსეთი ყირინოსკი არ არის-მეთქი, დღეს კი ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს, სწორედაც რომ ასე ყოფილა. ეს განწყობილება თუ კიდევ დიდხანს გაგრძელდა, რუსი ერი საკუთარ ფაშიზმში ჩაიხრჩობა.

— რუსეთში სანათესავო გყავთ?

— როგორ არა, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან საქართველოში ვცხოვრობ, მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში მრავალრიცხოვანი სანათესავო მყავს. ისინი ჩემთან



ლალი კოსტავა, მმასა და ბავშვებთან ერთად

საუბრისას აგრესიას არ გამოხატავენ, მაგრამ ადგილობრივი მთავრობის განაწილებასაც არ გმობენ. თუმცა, საბედნიეროდ, არიან ისეთებიც, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ქართველების დევნას და პროტესტის ნიშნად, საქართველოს მოქალაქეობის მიღებას ითხოვენ. ცნობილია, რომ რუსი ხალხი მთავრობას ყოველთვის ანგარიშს უწევდა და ის ფაქტი, რომ დღესაც, უკმაყოფილო მოსახლეობის ტალღა არც ისე ძლიერია, შიშის ფაქტორით აიხსნება.

— თქვენ ამბობთ, რომ რუსეთის მთავრობა საკუთარ მოსახლეობასაც იოლად გაუსწორდება?

— დიახ, ასეა. მსგავსი ფაქტები უკვე იყო. რეპრესიები ადგილობრივებზე განხორციელდა, რამაც მოსახლეობა მნიშვნელოვნად დააფრთხო.

ლალი კოსტავა, რუსეთიდან დეპორტირებული:

— ლამით ბავშვთან ერთად, შინ ავტობუსით ვბრუნდებოდი. ამოვიდნენ, დაგვავლეს ხელი და პირდაპირ მილიციის განყოფილებაში მიგვიყვანეს. ბავშვი ისტერიკაში ჩამივარდა, მილიციის უფროსი კი დამეუქრა, შენ „ფსიხოზიანი“ შვილს თუ არ გააჩერებ, დღის სინათლეს ვერასდროს ნახავთო. არასდროს დამავიწყდება მისი გამხეცებული სახე. შემინებულმა ვუთხარი, სანამ თქვენ გხედავთ, ვერ დანყნარდება, ცოტა ხნით გარეთ გავალ-მეთქი. ამაზე სარტოდ გაცოფდა, გამოდის, კაციჭამიას ვგავარო? ათას ბოდიშს ვუხდელი, ბავშვი განვირვილებულია, უცხოების ეშინია-მეთქი; დაცინით მითხრა: მეჩე, ვერ დაეტყვი შენს საქართველოში? იქიდან საშინლად ბნელი ოთახში გადაგიყვანეს. პირველ რიგში, მობილური ტელეფონი წამართვეს, რომელიც

მოგვიანებით, დამბრუნეს და გამაფრთხილეს, რომ არსად დაემხრო. ოთახში საოცრად ციოდა. მთელი ღამე იატაკზე გავატარეთ. გამთენიისას, ორი ახალგაზრდა ბიჭი შემოიყვანეს, რა თქმა უნდა, ქართველები. იქ ახალგაზრდებს ყველაზე მეტად ემტერებიან. ჩვენდა ბედად, მილიციის ერთ თანამშრომელს ქართული გვარი ჰქონდა, მაგალობლიშვილი. მართალია, ქართული საერთოდ არ იყო, მაგრამ იმათთან შედარებით, ლმობიერი იყო. დედა რუსი ჰყოლია. საქართველოში არ იყო ნამყოფი და როგორც თქვა, ჩამოსვლის სურვილიც არ ჰქონდა. რატომღაც მგონია, რომ ასე თავისი სამსახურის გამო გვიტყობოდა... დაკავებულ ქართველ ბიჭებს ეუბნებოდა, რაც არ უნდა გითხრან, პასუხი არ გასცეთ, აზრი არა აქვსო. ვთხოვე, საქართველოს საკონსულოს დაუკავშირდით და ჩვენი დაკავების შესახებ აცნობეთ-მეთქი. რალაცნაირი სინანულით მითხრა, უფლება არა მაქვს, ქალბატონო...

როგორ დააღწიეთ თავი ტყვეობას?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მაინც მგონია, რომ ის დაგვეხმარა. 6-დღიანი კომუნალური ტყვეობის შემდეგ, საქართველოს საკონსულოდან დარეკეს და ჩვენი საკითხის შესწავლა დაიწყო. მხოლოდ ფილმებში მინახავს ისეთი ზიზღი, როგორსაც მილიციის უფროსი ჩემი პატარას მიმართ გამოხატავდა. დღემდე თვალწინ მიდგას მისი სახე. ვერ ვვადგები, როგორ შეიძლება ამ ორ ხალხს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება. ჩაისა და პურს ვითხოვდი, ბავშვი რომ არ გამყინოდა; დიდი ხვნის შემდეგ, ფულს ვატანდი მორიგე მილიციელს, რომელიც უსირცხვილოდ მაყვებოდა, — რატომ დაგვებდა ერთი მუჭა ქართველების მომსახურება ამ დიდ ერსო!... საყვედური არ წამომცდენია. ყველანიარად ვცდილობდი, თავი შემეკავებინა.

თქვენ რთი იკვებებოდით?

— ცარიელი პურით, ისევე, როგორც ის ორი ბიჭი. როგორც გაირკვა, მანქანის ნაწილებით ვაჭრობდნენ. ერთ-ერთი, ეპილეფსიით იყო დაავადებული. დალაგებული ქალი რომ არ ყოფილიყო, მე ვერაფერს ვუშვლიდი... მილიციის თანამშრომლები პანიკაში ჩაცვივდნენ. იმ დღეების გახსენება არ მინდა, თითქოს სიკვდილს რამდენჯერმე ჩავხედე თვალბში. ფიცარზე მორიგეობით გვეცინა. ამ დროს რუსეთში დაბალი ტემპერატურა და იქიდან გამოსულა — მზეც და ბავშვსაც ფილტვების ანთება გვექონდა. იმ ბიჭებს აეროპორტში შევხვდი, იმდენი მადლობა მითხრეს, თითქოს მე გამეთავისუფლებინოს იმ საზიზღარი ტყვეობიდან. ემოციებითა და გამუდმებული შიშით დაღლილს, საქართველოში ჩამოსვლის მეტი არაფერი მინდოდა.

რუსეთში ალბათ სხვა ქართველებით, უკეთესი ცხოვრების საძებნელად წახვედით?

— დიახ. საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, უმუშევარი დავრჩი. ჩემდა საუბედუროდ, რუსული განათლება მქონდა და საქართველოში ახალი სამსახურის ძებნა მხოლოდ დროის კარგა იყო.

რამდენადაც ვიცი, მეუღლე არ გყავთ...

— არა, არეულობის დროს მანქანა დაე-

ჯახა. მეორე დილას ვიპოვეთ მკვდარი. ჩემი ძმა რუსულ ჯარში მსახურობდა. რუსი ცოლი მოიყვანა და საცხოვრებლად იქ დარჩა. მოგვიანებით, როცა ძალიან გამოვირდა, დამირეკა, ჩამოდი და ერთ-ორ კაპიკს გაგაკეთებინებო. მშობლებმაც წასვლა მიჩიეს. რატომღაც მოქალაქეობის მიღება აზრადაც არ მომსვლია. ბავშვები გამირუსდებიან-მეთქი, ვფიქრობდი. ამიტომაც ყოველთვის ფეხს ვითრევდი.

ნანობთ, იქაურ მოქალაქეობა რომ არ მიიღეთ?

— მესმის თქვენი შეკითხვის აზრი, ეს ნიშნავს, რომ კიდევ ერთი ქართული ოჯახი გარუსდებოდა, მაგრამ იქ სამუდამოდ დარჩენაზე არასდროს მიფიქრია.

შვილებს იქაურ მინერა აქვთ?

— კი, მინერა აქვთ, სხვანიარად სკოლაში არ მიიღებდნენ, მაგრამ აქაურ ქართველებზე უფრო სუთვა ქართული მეტყველებენ. ქართული ცეკვისა და სიმღერის სწავლება დამყავდა. დღემდე ვამაყობ, რომ ქართული ცხოვრების რიტმს არ ჩამორჩენიანი. მათი მიზანით, ძალიან ბევრი რუსი ბავშვი ქართულ ეროვნულ ცეკვებს და სიმღერებს სწავლობდა. საკუთარი თვლით მინახავს, როგორ ცდილობდნენ გურული კრიმინალის „ქართული სულით“ შესრულებას, მათი მშობლები კი ლამის თვალცრემლიანი აღიარებდნენ, საქართველო დიდი ტრადიციებისა და წარსულის მქონე პატარა სამოთხეაო. მეერ კი ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა და აღმოჩნდა, რომ თურმე ქართველები ჯერ კიდევ ჯოგური წესებით ვცხოვრობთ... ეს ყველაფერი დღეების განმავლობაში მოხდა. ყველაზე ლამაზ მოგონებად დამჩნია ის დღე, როდესაც ჩემმა მერვეკლასელმა გოგონამ თავისი მეგობრებისთვის კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენადან“ გიორგი მეფისა და შორენა კოლონკელიძის შესვენების სცენა თარგმნა, რა თქმა უნდა, შედეგებისდაგვარად. შორენას როლი მისმა რუსმა კლასელმა ითამაშა, მას დღემდე შორენას ეძახიან, რადგან, საოცრად ჰგავს თავის გვირს.

როგორ გაიხსენებთ რუსეთში ჩასვლის პირველ დღეებს, ადვილად შეგავთ?

— რუსეთში იმდენი ემიგრანტი ცხოვრობს, უცხოობის მომენტი მგონი, თითქმის არ არის. თუ არ ჩავთვლით ბოლო პერიოდს, ისინი ქართულ კულტურას ძალიან აფასებენ და რალაცნაირად წელგამართული დავდიობი ქუჩაში. მაგრამ როდესაც თბილისში რუსეთის სახმედრო დაზვერვის თანამშრომლები დაიჭირეს, მთელი რუსეთი ქართველების ზიზღმა მოიცვა. თუმცა, სიტუაცია მანამდეც დაძაბული იყო. ერთხელ, ჩემს ქართულ აქცენტზე ძალიან გაღიზიანებულმა დისპეტჩერმა მითხრა, მთელი ქვეყნის ბოროტმოქმედები და ყაჩაღები რუსეთს აფარებენ თავს, გამოდის, ყველა ქართველი ემიგრანტი დასახვრეტი ყოფილაო.

ამ აზრს უბრალო მოსახლეობაც იზიარებს?

— უმრავლესობა იზიარებს. ნაწილი საერთოდ დუშს — მთავრობამ თავისი საქმე უკეთ იცისო. ხშირად გვაყვედრიდნენ, აქედან გაგზავნილი ფულით ოჯახები შიმშილისგან სიკვდილს გადაარჩინეთო... ამას წინათ,

ქართველმა მეგობარმა დამირეკა, ტიროდა, ეკლესიაში მოძღვარმა აღსარება არ ჩაიბარაო. შეიძლება ამ ფაქტს გამართლება ჰქონდეს?... წარაბარა გვიწვევდა იმის მოსმენა, რომ ძალიან ბევრი ქართველი, რომელიც საქართველოში ყაჩაღობდა, აქ მუშაობა დაიწყო და ნორმალური ცხოვრება ააწყო.

თუმცა, რეალობა ალბათ განსხვავებულია, ქართველი ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა ნარკოტიკი სწორედ რუსეთში გაიხსნა...

— ნაწილობრივ გეთანხმებით. ძალიან ბევრი რუსეთში იმიტომ ჩავიდა, რომ ნარკოტიკის ფული ეშოვა. ეს მწარე სიმართლეა. მასობრივი სიკვდილიანობაც სწორედ ამით იყო გამოწვეული. ადგილობრივ სექსამსახურებს განგებ შემოჰქონდათ უვარგისი ნარკოტიკული ნივთიერებები, რაც ფაქტურად შედეგით სრულდებოდა. ნარკომანია რუსეთში არავის უკვირს. 13-14 წლის გოგონები და ბიჭები უკვე ნარკოტიკის აქტიური მომხმარებლები არიან. საერთოდ, რუსეთში ეს პრობლემა სერიოზულად დგას.

თუ გაიხსენებთ შემთხვევას, როდესაც ადგილობრივთა აგრესიის დროს ისევ რუსი გამოგასარჩლებით?

— საბედნიეროდ, მსგავსი ფაქტები ყოფილა, მაგრამ ასეთ ადამიანს გაწუმებას მე თვითონ ვთხოვდი. შეიძლება, რალაც ბანალურად გამოვივიდეს, მაგრამ მამაკაცი რუსები გაცილებით მეტ აგრესიას გამოხატავენ ჩვენ მიმართ, ვიდრე ქალები.

ქალბატონო დალი, ცხოვრებაში გამოირცხული არაფერია. ერთ მშვენიერ დღეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ისევ სტაბილური რომ გახდეს...

— იცით, მე საკუთარი თვლით ვნახე და გამოვცადე ეთნიკური ნიშნით განპირობებული ზენოლა და ვერავინ დამარწმუნებს, რომ ძალიან მალე ძველი ურთიერთობა აღდგება. მოსკოვის საერთაშორისო აეროპორტში პირუტყვებით გვეცქოდნენ. ადგილი, სადაც ქართველები ვიცდიდით, ნივთი ზოლით იყო შემოკავებული. მილიციის თანამშრომელს ახალგაზრდა გოგონამ პურისა და მინერალური წყლის ყიდვა სთხოვა, რადგან ჩვენ გადაადგილების უფლება არ გვექონდა. მან პური შორიდან ესროლა გოგონას... ხალხი გაოცებული შეჰყურებდა. გოგონა კი იმდენად შურადაცხოვნილი დარჩა, ვერც გადაეწყვიტა, ძირს დავარდნილი პური აეღო თუ არა. სხვისი აზრი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის ამის მერე იქ დაბრუნება წარმოუდგენელია.

საქართველოში ჩამოსვლა ალბათ მატერიალურ პრობლემებს გამოიწვევდა...

— თავისთავად. აქ ფაქტობრივად, იგივე სიტუაცია დამხვდა. საშუალო ადგილები არ არის. ამიტომ, ისევ ქვეყნიდან გადახვეწა მომიწევს, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. ოჯახს რჩენა უნდა. ჩემი ძმა იქ ცოლის იმედად დარჩა და კიდევ ერთხელ ვერ შევაწუხებ.

სად გააგრძელებს ქართველი ემიგრანტი ცხოვრებას?

— ალბათ უკრაინაში. ყველაზე რეალურად იქ წასვლა მეჩვენება. შვილებს კი ალბათ საქართველოში დაგვრებენ, გამოცდილება მიჩვენა და იქ ყოფნისას დავრწმუნდი, რომ ასე უკეთესია.

„ცხინვალის არჩევნების შედეგად, რომელსაც ფაქტო პრეზიდენტი იქნება“

— იბრაგიმ თედევეის მკვლელობის და „ხსნის კომიტეტის“ გააქტიურების შემდეგ, რა პერსპექტივა აქვს 12 ნოემბერს დანიშნულ, დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნებს?

მამუკა არაუშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:

— იბრაგიმ თედევეის მკვლელობამ კრემლში კოკოითის მფარველებიც კი შეაშფოთა. ამ მკვლელობის შემდეგ, კოკოითის გაუჩნდა ძალზე ძლიერი მოსისხლე მტერი — ჯამბულა თედევეის სახით. ეს ის ადამიანია, რომელსაც არც არჩევნები აინტერესებს და არც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ის კოკოითის პირადი მტერია და დე ფაქტო პრეზიდენტი მისგან სერიოზულ საფრთხეს უნდა ელოდეს. კოკოითს ამ არჩევნებში პრობლემა შეექმნება ადგილობრივი ოსებისგან, რომლებიც დე ფაქტო პრეზიდენტს რუსეთიდან ჩამოყვანილი ხალხის დანიშნულებასა და ადგილობრივი კადრების იგნორირებას ვერ აპატიებენ. საკმაოდ მყარი პოზიციები აქვს „ხსნის კომიტეტის“ კანდიდატს, სანაკოევს. მას სავარაუდოდ, ხმას მისცემს დიდი და პატარა ლიხვის, ახალგორის, ზნაურის რაიონების მოსახლეობის ნახევარი, კოკოითს კი — ჯავისა და ცხინვალის რაიონები, ასევე — ზნაურის რაიონის ნაწილი. ამის შედეგად, მიიღებენ ორ დე ფაქტო პრეზიდენტს. ხმების დათვლის შემდეგ, ამ ორ კანდიდატს შორის მცირედი განსხვავება იქნება. და გამოვა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ტერიტორიის მცხოვრებთა დიდი ნაწილი კოკოითს მხარს არ უჭერს. ამის დამადასტურებელ დოკუმენტს „ხსნის კომიტეტის“ წარმომადგენლები ნებისმიერ საერთაშორისო ინსტიტუტში ააფრიალებენ. ყოველივე ამის გამო, კოკოითი მძიმე სიტუაციაში იმყოფება. თუ მოსკოვმა დაინახა, რომ ის ვერ ახერხებს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებას, შესაძლებელია, არჩევნები ჩაშალოს კიდევ. არ არის გამორიცხული, რომ დე ფაქტო პრეზიდენტი სამხედრო ესკალაციაზე წავიდეს და თქვას — საომარ პირობებში არჩევნებს ვერ ჩავატარებო, — ამაში ბრალს კი, ისევ ოფიციალურ თბილისს დასდებს.

რეპრია მთავრად ხათუნა მალრაქიძე

„სიპუქვილის სახელმწიფო“ ანუ მოვიდა სეზონი, დახვდა ქვე

რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებას სიმწვავე არაფრით აკლდება, პუტინი-სააკაშვილის ამჟამინდელ ურთიერთობას კი ყველაზე მეტად, ალბათ, ქართული ანდაზა — მოვიდა სეზონი, დახვდა ქვე — მისადაგება და სანამ ექსპერტები, ანალიტიკოსები თუ ჟურნალისტები იმაზე იმტერვენ თავს, თუ როგორ შეიძლება ორ ქვეყანას შორის გამწვავებული და გარემომცველი სამყაროსთვის ესოდენ უხერხული ურთიერთობის განმუხტვა, „მთავარი დამნაშავენი“ ანუ ამ ქვეყნების პრეზიდენტები წინ კვლავაც ჯიუტად და ფრად მიზანმიმართულად მიიწვევენ. სად მიიყვანს მათ და შესაბამისად, მათ ქვეყნებსაც თავიანთი არჩეული გზები? სად და როგორი სიმწვავეთ შეიძლება, ისინი გადაიკვეთოს? — ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი, ამ და არა მარტო ამ საკითხსადმი მიძღვნილ ამერიკულ პრესას გავეცნოთ.

რუსულან ლებანიძე

რუსეთი უფრო საშიში ადგილი ხდება (Newsweek, აშშ)

რუსეთი სულ უფრო და უფრო საშიში ადგილი ხდება. ჰკითხეთ ამის თაობაზე მარატ გელმანს, რომელმაც ქართველთა ოფიციალური შერისხვის პერიოდში, საკუთარ გალერეაში ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა გახედა. გასულ კვირას გალერეა ათაკციან ნილოსანთა ჯგუფმა უმოწყალოდ დაარბია. როგორც სასტიკად ნაცემი გელმანი აცხადებს, ისინი „ვანდალები, ქუჩის ხულიგნები კი არა, საკუთარი საქმის კარგად მცოდნე, გამოცდილი ბოვეციები იყვნენ“; ჰკითხეთ ხელოვნებათმცოდნე ალექსანდრ პანოვს, რომელსაც მას შემდეგ დაესხნენ თავს, რაც მარატ გელმანზე თავდასხმა საჯაროდ დაგმო. ანდა გაესაუბრეთ უბრალო ქართველებს, რომლებიც სულ უფრო და

ანტიმიგრანტული კამპანია კრიტიკულად განწყობილი ინტელიგენციის გააფთრებულ ნინალმდეგობას აწყობდა და ამჟამინდელ რუსეთში შექმნილი სიტუაცია სულ უფრო და უფრო მახინჯ ფორმებს იძენს. თუმცა, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინს კვლავაც გამომწვევად უჭირავს თავი. ფინეთში გამართულ ევროპულ ლიდერთა შეხვედრაზე, მან მისი მისამართით ლექციების კითხვა ვერაფრით აიტანა და როცა ევროკავშირის მინისტრებმა რუსეთში კორუფციის საკითხი წამოსწიეს, გამომწვევად შენიშნა — „მაფია“ რუსული სიტყვა არ არისო, ხოლო როცა რუსეთში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით სიტუაციის მკვეთრ გაუარესებასა და ცოტა ხნის წინ მომხდარ — ჟურნალისტ ან პოლიტიკოს-კაიას მკვლელობაზე მიდგა საქმე, სრულიად არაოპორტუნოდ მიანიშნა, რომ ამ მკვლელობაში შეიძლება, კრემლის დისკრედიტაციის მსურველთა ხელი ერიოს...



მართალია, თავიდან ქვეყანაში გავრცელებულ ანტიქართულ ტალღასთან დაკავშირებით, პუტინი აზრის გამოთქმას ერიდებოდა, მაგრამ შემდგომში, მან ის მაინც დაგმო. თუმცა, ნაციონალისტური ხანისკენ თავდაც სულ უფრო და უფრო შესამჩნევად იხრება. კანონმორჩილ ქვეყანაში არააღვალური იმიგრანტებისა და „ეთნიკური ზანდიური დაჯგუფების ადგილი“ არ არის, — განაცხადა პრეზიდენტმა ცოტა ხნით ადრე. ახლახან კი, რუსეთის მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების დაცვის მიზნით, პუტინმა ქვეყნის ბაზრებში, რომლებსაც ტრადიციულად კავკასიელები აკონტროლებენ, ეთნიკური რუსებისთვის ფიქსირებული კვოტის შემოღებისკენ მოუწოდა. ცხადია, ეს მკვეთრი რიტორიკა შემწინეველი არ დარჩენილა და როგორც „სამოქალაქო თანადგომის“ კომიტეტის თავმჯდომარე, სვეტლანა განუშკინა შენიშნავს, პრეზიდენტის გამოთქმების ტონმა „ბიუროკრატებსა და უშიშროების სამსახურებს ზუსტი სიგნალი მისცა... პუტინის სიტყვები, მთელ რუსეთში მოქმედი ნაციონალისტური მოძრაობების შთაგონების წყაროდ იქცა“.

გაგრძელდება 10-ე გვერდზე

ლალი ფაცია

იყვნენ „მარახვეტიები“ და გახდნენ „პიკასოს ბიჭები“. აბა, დედაქალაქსკენ სავალ გზას რომ დაადგინენ, პრესტიჟული სახელი ხომ იყო საჭირო... თბილისში „მარახვეტიობა“ აღარ ივარგებდა. დიდ ქალაქში ჩამოვდნენ თუ არა, მაშინვე თავიანთი ქუთაისური იუმორითა და ენაკვიმბტობით მიიპყრეს ყურადღება. დღეს კი, ისინი დათო გოგიჩაიშვილის იუმორისტული ამქრის ნეწრები არიან და ერთ-ერთი ახალი გადაცემის, „იუმორისტული კლუბის“ ნეწრებიც, თუმცა შეიძლება ითქვას — უკვე მასპინძლებიც გასულ წელს „პიკასოს ბიჭებიდან“ ერთ-ერთმა „იუმორისტულ კლუბში“ ნინო ბურჯანაძის კოსტუმირებული პაროდია წარმოადგინა და ვფიქრობ, არცთუ ისე ურიგოდ ასე რომ, ქალბატონ ნინოს, გია ტაბიძის სახით, პაროდისტი გამოუჩნდა. (აქამდე, პარლამენტის თავმჯდომარეს პაროდისტი არ ჰყავდა). ნიკა არაბიძე კი, კახა ბენდუქიძის პაროდის წარმოსადგენად ემზადება. ეს ის ნიკა არაბიძეა, „ლამის შოუში“ ვანო ჯავახიშვილის ხმარი სტუმარი რომ არის. ის ბოლო დროს, „შაბათის შოუს“ ერთ-ერთი სახეც გახდა. გაიზარდნენ ბიჭები. ახვერად კი, „პიკასოს ბიჭები“ — ნიკა და გია ჩვენს რუბრიკაში შეხვდნენ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, მათ საუბარს ჰქონი ქუთაისურმა იუმორმა და კილოკავმაც შემატა.



„პიკასოს ბიჭები“, ქუთაისური იუმორი და ნინო ბურჯანაძის პაროდისტი ლალი ფაცია...

ნამოვედი ჩემი ბავშვობიდან და მას მერე უკვე მნე წელი გავიდა.
— გისურვებთ, რომ კიდევ 136 წელი იაროთ, მერე — ვნახოთ...
— (იციინიან). საიდან მოვდივარ? ქუთაისიდან და მისი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სცენიდან, „საკავეწრო“ გუნდ „მარახვეტიდან“ (თაობა), მერე — „პიკასოს ბიჭებიდანაც“ მოვდივარ და „იუმორისტულ კლუბშიც“. „პიკასოს ბიჭები“ თუ გოგოდ“ მოვედი, — უკვე ვეღარ გავიგე (იციინის)...
— ძალიან კარგი. „ქალბატონო ნინო“, მინდა, ყველას გასაგებად გითხრა, რომ შენ ხარ გია ტაბიძე, უდიდესი გვარის შვილი...
— კი, გალაკტიონი ბაბუად მეუთვინის...
— ჰოდა, ჩემო გია-ნინო, რისი კითხვა მინდა, იცი (ფიქრობს)?.. რაღაც კითხვა მქონდა ჩამოყალიბებული და „გულზე გადამეწარდა“... ოჯახში რაფა ხართ?
— როგორც ნინო, ისე გელაპარაკებით: ბავშვებს ვეღარ ვხედავ სახლში. ჩემს პოლიტიკურ საქმიანობას „იუმორისტული კლუბიც“ დაერთო და როგორ ვიქნები?
— როგორ გესახება აღნიშნული გადაცემის მომავალი?
— კარგი იქნება, თუ ჩვენს შოუში კახა ბენდუქიძე გამოჩნდება...
— სხვათა შორის, ბენდუქიძის როლზე სიამოვნებით დავთანხმდებოდი და მუშაობა უკვე დაწყებულიც მაქვს: წონაში ვიმატებ.
— ვაჭრობა თუ შეგიძლია, გაყიდვა-გამოყიდვა?
— რას ლაპარაკობ?! ჩემი წინაპრები ნინოთ, ყორღანაშვილები იყვნენ და ახლა კი მიხვდები, გაყიდვის რანაირი ნიჭიც მექნება. საქართველო გაყვიდეთ და შენობებს ვერ გავყიდი?! — სხვათა

შორის, ჩემო გია, თქვენი ნინო წარმატებული სახე აღმოჩნდა. ხომ არ გეგმავთ, რომ სულ მალე, სხვა ქალ პოლიტიკოსებად მოგვევლინოთ — მაგალითად, ელენე თევდორაძე?
— არა, არა. სანამ კუზანოვთან არ მივალ საოპერაციოდ, მანამდე — არა...
— ავსტრალიის ზოოპარკში თურმე, ზღაპრის მარჯი შესძენა, ამის შესახებ, როგორც „პარლამენტის თავმჯდომარე“, რა კომენტარს გააკეთებდით?
— მთლად მსე არ იქნება. მაჩვს ზღარბის პარიკი ექნება გაკეთებული... შეიძლება, იქაც აკეთებენ „იუმორისტულ ფესტივალს“, რა ვიცი...
— ისე, რამ გადაგანწყვეტინა, ჩემო გია, „ნინო ბურჯანაძე“ გამხდარიყავი? პოლიტიკოსკენ და პარლამენტისკენ ლტოლვა გაქვს?
— პოლიტიკოსკენ არავითარი ლტოლვა არ მაქვს. ერთხელაც დედაჩემი ქალბატონ ნინოს მივამსგავსე, თმა ზუსტად ისე ჰქონდა და პარლამენტის თავმჯდომარის ვაცხნილობა წარმომიდგა თვალწინ. მე დედას ძალიან ვგავარ. ამის შემდეგ, სარკეში დაკვირვებით ჩავიხედე და ასეთი დასკვნა გამოვიტანე: თუ დედას ასე ვგავარ, დედა კი — ქალბატონ ნინოს, რატომ არ შემეძლია, მისი პაროდია გავაკეთო-მეთქი?! მერე ვცადე და ქუთაისში გამართულ კონცერტზეც პარიკითა და სათვალთ გამოვედი. მაყურებელმა მიიღო ჩემი ნინო ბურჯანაძე. აქაც, გადაცემაში, ტაშით დამაჯილდოეს. მეტსაც გეტყვი: ვინც ის შოუ ნახა და მე არ მიცნობდა, ბევრს მართლა ნინო ვეგონე.
— ის კი არა, თავიდან მეც ქალბატონი ნინო მეგონე და ხელზეც კი გაკოცე, ორჯერ... ისე, ბოდიში მომიტხოვია, ბიძია, და რომ დაჰკარით ფეხი და წამოდიო ყველა ქუთაისიდან, ვინ დატოვებ იქ?

ქართული — ნიკა არაბიძე
რუსული — გია ტაბიძე

— რას გეტყვი, იცი?... არც ერთ, თბილისში მცხოვრებ ქუთაისელზე ნაკლები არ ვართ. თუ ნინო ბურჯანაძე წამოვიდა თავიდან, რა დავაშავე მე, რატომ არ უნდა წამოვსულიყავი?! კარიერას უნდა მივხედო, ბიძია! პოლიტიკოსებს ორულები სჭირდებათ. ღმერთმა ქნას, ჩემი ნინო 2008 წელს საქართველოს პრეზიდენტი გახდეს!

— ისე, ბიჭო, რამდენი პოლიტიკოსის პაროდია ყოფილა, მაგრამ ასეთი მიმგვანებული, ვიზუალურად ვგულისხმობ — არც ერთი; სულ რომ ხმა არ ამოგელო, „საშინლად“ ჰგავდა.

— ისე, ხმაზე სამუშაო მაქვს, რადგან მამაკაცური ტემბრი მაქვს, ხმა უნდა „დავაჯინო“ ანუ — დავანერვილო... ქალბატონ ნინოს თავისებური საუბრის მანერა აქვს, პირს „ოთხკუთხედა“ ამოძრავებს, თითქოს ფრანგი ლაპარაკობსო. ახლა ფრანგულშიც დავინწყე მეცადინეობა...

— ესე იგი, შენმა პერსონაჟმა „იუმორისტულ კლუბში“ საფუძვლიანად „დაიდო ბინა“ — ანუ ქალბატონი ნინოს „გაჯაზებას“ აპირებთ?

— ქალბატონ ნინოს ჯაზი არ უყვარს, მას სოული მოსწონს, ამიტომ მას „გავასოულებთ“...

ქართული — ვია ტაიია რუსოვანა — ნიკა არაბიძე

— გია, ვიცი, პირველ კითხვას რასაც დამისვამ. გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს... (ქურნალისტს საუბრის დანწყებას რესპონდენტი ასწრებს. — ავტ).

— გამარჯობა, გამარჯობა... მიხარია, ახლა მე ქურნალისტი ვარ და შენ კი — ჩემი რესპონდენტი. ესე იგი, კიდევ ერთი ახალი ამბულა დამემატა... ნიკა, შენ განახლებულ „ლამის შოუში“ მონაწილეობ, ვანო ჯავახიშვილის სტუმარი ხარ ხოლმე. პირველ გადაცემაზე რა განიცადე?

— შენ, ჩემო გია, კარგად არ მიცნობ, ერთმანეთთან სულ რაღაც 15 წლის მეგობრობა გვაკავშირებს... საერთოდ, ჩვენი — „პიკასოს ბიჭების“, დათო გოგინჩაიშვილის გუნდში მოსვლა, ჩვენთვის ბევრს ნიშნავს. პირველ გადაცემაში ჩემი გამოსვლა, რაოდენ გამოცდილიც არ უნდა ვყოფილიყავი, განცდის გარეშე არ ყოფილა, მაგრამ როდესაც ყველაფერი კარგად გამოდის, კმაყოფილების გრძნობა გიჩნდება. ისე, დათო გოგინჩაიშვილის დროს რომ მიმელო „ლამის შოუში“ მონაწილეობა, ცუდი არ იქნებოდა, მაგრამ ვანოც გადასარევი წამყვანია.

— შენი დარბაზში გამოჩენის შემდეგ, როდესაც მაყურებელმა გაიცინა, რა იგრძენი მაშინ?

— ვიგრძენი, რომ ცოცხალი ვიყავი...

— გულახდილად მითხარი, ვანო რომ დანინაურდა, მაღალ თანამ-

დებობაზე დაინიშნა და ნაწილი მიატოვა, არ გეცოდება საბრალო ქალი?

— მე რომ ეგ ამბავი გავიგე, ისე ვინერვიულე, ერთი კვირა თვალი არ მომიხუჭავს. მაგრამ რა ვქნათ, ჩემო გია, არ იყო მაგი მყარი ოჯახი. სიყვარულზე არ იყო მათი ურთიერთობა დაფუძნებული. ცოლ-ქმარი ერთმანეთს ატყუებდა, ეს ოჯახში არ შეიძლება. იმიტომაც დანერგა, ბატონო! მე კი მყავს მყარი ოჯახი, გენაცვალე, ახლა მეოთხე ცოლი მოვიყვანე...

— ნიკა, ჩვენ („პიკასოს ბიჭები“ — ხუთი კაცი) ერთად ვცხოვრობთ თბილისში, ერთ ნაქირავებ ბინაში. იქნებ, ჩვენი ცხოვრებიდან რომელიმე ეპიზოდი გაიხსენო?

— უბედურება ის არის, რომ ბინაში ონკანი გვაქვს იმნაირი, რომ ღამე არავის არ გვეძინავს — „ღრიალებს“. ერთი თვის ჩამოსულებმა, მეზობელს ევრორემონტიც კი გოვუფუჭეთ: სახლში არ ვიყავით და რომ დავბრუნდით, ჩვენს სადარბაზოში ხალხი უკვე ბინებს ყიდდა.

— ისე, საშინელი დღე იყო. წყალი კი ასხამდა, ვიფიქრე, სააკაშვილი ხომ არ მოვიდა და „ფანტანი“ ხომ არ გახსნა ჩვენს სადარბაზოში-მეთქი?..

— ხუთი კაციდან არც ერთი არ გამოვირჩევთ დიასახლისობის ნიჭით, კი იცი ეგ ამბავი შენ. აჯაფსანდალს ხუთივე ვაკეთებთ... „გრეჩისას“ ვერ ვხარშავთ...

— ე, ბიჭო, საცივი ხომ გამოგვდის (იცინის)?! ისე, მეუბნებიან, თბილისში რომ წადი, ცოლი თან რატომ არ წაიყვანო? მე ვპასუხობ — ბიჭო, იქიდან რომ არ წამოვიყვანო, აქანა ვერ ვნახავ-მეთქი (იცინიან)?..

— თან, ხარჯია, ბიჭო, მგზავრობაში ფული დაგჭირდება, საჭმელ-სასმელი...

— იყოს ის იქანა, ქუთაისში... მე ხუთ კაცთან ერთად აქანა ოროთახიან-ლოჯიან ბინაში ვცხოვრობ. ე, ბიჭო, „ნაშები“ არ ვეყვანოთ სახლში?

— „ნაშები“ ანუ — ჩვენები (იცინიან)?..

— კი, ჩვენები...

— არ გახსოვს, ლადომ რომ მეიყვანა ნაშა? რა გოგო იყო?! ისე, ყველას ერთად, კი იცი, ვერ მოგვყავს, იმიტომ, რომ ვერ ვმტყვით. ჰოდა, ლადოს „ნაშას“ გამოველაპარაკე და ბებიაჩემის თანაკლასელი არ აღმოჩნდა? ერთად უსწავლიათ (იცინის)?..

— ისე, როგორ გადაიტანა ოჯახმა შენი თბილისში გადასახლება?

— ძნელია, მაგრამ ისე

გოუხარდა ჩემს ოჯახს!.. რახან შენ მიდიხარ, რაღა გვიშავსო?! ერთი არ უჯავრიათ.

— სოფელში რომ ჩადიხარ, იქ იუმორში განთქმული ხალხი როგორ გვხვდება?

— დატანჯული ვარ, ბიჭო. ხან ერთი გამოიყვანს გვერდზე, ხან — მეორე. მიყვებიან ნამდვილ, სასაცილო ამბებს, — გამოგადგებაო. ასე რომ, სოფელში რომ ჩავდივარ, სახლამდე ასვლას ერთ დღეს ვუნდები...

— შენაირ სუმარა კაცს ოჯახში რაფერ მიგიღებენ, ცოლის მოყვანას რომ დააპირებ? არ ფიქრობ ნინასწარ, სიმამრსა და სიდედრზე?

— კარგი სიმამრი მეყოლება...

— რატომ, სიმამრი „იუმორისტული კლუბიდან“ იქნება (იცინიან)?

— ე, ბიჭო, მანქანას რომ შემპირდი, როდის მიყიდი?

— ჩემსას რავარც ვიყიდი, მერე შენ გიყიდი. ნუკუშა... შენ ვის, რომელ ცნობილ ადამიანს განასახიერებდი?

— თმა რომ შავად შემიღებო, პირნავარდნილი ჰიტლერი ვარ...

— ახლა ქუთაისური იუმორი გოუშვათ, მოგვეთ რაცხას.

— დევიწყებ: ქუთაისლებმა მეიფიქრეს რუსეთ-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობის, პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი ხერხი: რა უნდა ვქნათ, თუ იცი? უნდა ჩამოვიყვანოთ რუსი პოლიტიკოსები, ისინი, ვისაც საქართველო არ უყვარს: ჟირინოვსკი, რაგოზინი, პუტინი... ყველა, ყველა და უნდა დავასახლოთ სათაფლიაზე...

— რატომ? რატომ?

— სათაფლიაზე, შე კაცო, დინოზავრები გადაშენდნენ და რაფა დევიჯერო, მაგენი გამრავლდებიან?! ამაშია საქმე!.. სხვათა შორის, ჩვენ, „პიკასოს ბიჭებმა“, ამნაირი ფრთიანი რამ მევიფიქრეთ: უკვე სამი წელიწადია, იმერეთს გუბერნატორი არ ჰყავს. ჩვენ მაც პრობლემას ასე გადა-



რას გეტყვი, იცი?... არც ერთ, თბილისში მცხოვრებ ქუთაისელზე ნაკლები არ ვართ (ნიკა არაბიძე და ვია ტაიია)

ვჭრით: აგერ, ახალი წელი მოვა და გუბერნატორად თოვლის ბაბუას ავირჩევთ. ერთი წელი სტაბილურად მაინც ხომ იქნება!.. კიდევ ერთსაც გეტყვი. ენერგოკრიზისთან დაკავშირებით, ქუთაის-ლემბა ახალი წყველა მოიგონეს. გამრიცხველიანება უკავშირდება. ქმარი რამეს რომ დაამაგებს, ცოლი ასე წყველის: უი, შენ გაგიტანე ამ სახლიდან „შოჩიკივით“!.. ეს ანეკდოტიც, თუ იცი, ცოლი რომ დაჰყვება ოთახიდან ოთახში ქმარს და წყველის? შენი კუბო დადგე „ზალაში“, შენი კუბო გავიტანე „სპალნიდან“... ქმარი მოტრიალდა და უთხრა: რას დაათრევ ამ კუბოს ერთი ოთახიდან მეორეში? დადგე ერთ ადგილასო!.. რეგიონულ ტელევიზიებში მიცვალბულის ოჯახები იუნყებიან ხოლმე ახლობლის გარდაცვალებას და სამძიმრის ტექსტს დიქტორი აცხადებს. ერთხელაც, მთვრალი ქმარი მივიდა სახლში და ეუბნება ცოლს: ქალო, ჩართე ტელევიზორიო. ამ დროს, ხონის ტელევიზია აცხადებდა სამძიმრის ტექსტს. ქალო, გადამირთე სხვა არხზეო. წყალტუბოზე გადართეს, იქაც სამძიმრის ტექსტი იკითხებოდა. კიდევ გადართეს. ქუთაისის ტელევიზიაზეც სამძიმრის განცხადებას კითხულობდნენ. ქმარი ცოლს მიუბრუნდა და უთხრა — ქალო, ტელევიზორის ანტენა სასაფლაოსკენ ხომ არ მოგიტრიალებიაო (იცინიან)?..

— ასაკში რომ შეგელ, ალბათ ჩემს ბუდეს დაფუბრუნდები, როგორც მერცხლები უბრუნდებიან თავიანთ ბუდეს და იმედი მაქვს, ქუთაისში უკვე ისეთი ტელევიზია იქნება, სადაც მარტო მიცვალბულების სამძიმრის ტექსტებს არ წაიკითხავენ. მინდა შეექმნა გოგონების გუნდი და დავარქვა „ვან გოგის გოგოები“. მათ გუნდს ჩაუდგები სათავეში.

— მე „რემბრანტის ჰერმოფროდიტებს“ გავაკეთებ (იცინიან).

დასაწყისი იხ. გვ. 7

რასიზმი რუსეთისთვის უცხო ხილი ნამდვილად არ არის, მაგრამ ესოდენ მაღალ სამთავრობო დონეზე, თანამედროვე ისტორიაში მას პირველად მისცეს სანქცია. რუსეთის ეროვნული გაერთიანების კონგრესის პრეზიდენტი — ვალდიმერ ხომერის თქმით, ბოლო ერთი თვის მანძილზე რუსეთიდან ათასზე მეტი ქართველის დეპორტაცია განხორციელდა. თითქმის ყველა იმ სანარმო, რომელთა მფლობელებიც ქართველები არიან, საგადასახადო და ქონებრივ-ბეღი მუნიციპალური ორგანოების წარმომადგენლებმა მიაკითხეს. „არასლავური სახის ნაკვების მქონე ადამიანთა შემოწმება, ისევე, როგორც სხვა, ბევრად უფრო უხეში ქმედებები, ჩვეულებრივ აშხად იქცა“. — ამას უკვე Human Rights Watch იუნყება, რომელმაც უფრო ზუსტი მონაცემების მოპოვება იმიტომ ვერ მოახერხა, რომ ქვეყანაში მოქმედ უცხოურ უფლებათა დაცვით ორგანიზაციებთან დაკავშირებით მიღებულმა ახალმა კანონმა, მისი საქმიანობა დროებით შეაჩერა. შარშან, საიმპერაციო კანონის დარღვევისთვის, მარტო მოსკოვში 300 ათასი კაცი დააჯარიმეს. წელს, „სამოქალაქო თანადგომის“ კომიტეტის მონაცემებით, ეს ციფრი მრავალჯერ გაიზარდა. „ისინი ისე ცხოვრებას გვაიძულებენ, თითქოს საომარ მდგომარეობაში ვიყოთ და საკუთარი ბომბსაფრიდან გამოვსვდის ნება არ გვქონდეს“, — ამბობს ირაკლი ბუკია, რომელიც გასულ თვეში ცალკე მილიციელებმა სცემეს და ცალკე — სკინჰედებმა.

ახალი განწყობილების ყველაზე გამოკვეთილ ბარომეტრს ნაციონალისტური ორგანიზაცია — „მოძრაობა არალეგალური იმიგრაციის წინააღმდეგ“ წარმოადგენს. რუსეთის 15 რეგიონში მოქმედი 20-ათასწევრიანი ეს გაერთიანება, თავს ყველაზე მძლავრ უფლებადაცვით ორგანიზაციად აცხადებს. მოძრაობა შარშან, ტაქსის მძღოლის მკვლელები რუსი ქალის — ალექსანდრა ივანიკოვას დასაცავად შეიქმნა (როგორც თავად ივანიკოვა ირწმუნება, ტაქსის მძღოლი იმიტომ მოკლა, რომ ის გაუპატიურებას უპირებდა). ორგანიზაციის ლიდერი, 30 წლის ენერგიული და იმპოზანტური იურისტი — ალექსანდრ პოტკინი ალექსანდრ ბელოვის ფსევდონიმით მოქმედებს. ის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფიგურად ოქტომბერში, რუსულ ქალაქ კონდოპოგაში ანტიიმიგრანტული გამოსვლების შემდეგ იქცა.

ახლანან ბელოვი სახელმწიფო დუმის დეპუტატის, ნაციონალისტური პარტია „როდინას“ წევრის, ანდრეი საველივის თანაშემწედ დანიშნეს, ხოლო მის მომხრეთა რიგებში მილიციის უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენლები და სპეცსამსახურების ოფიცრები ერთიანდებიან.

ეს ყველაფერი ძალზე აშფოთებს ისეთ ადამიანს, როგორიცაა მარატ გელმანი, რომელიც სხვასთან ერთად, პოლიტიკური ანალიზითაც არის დაკავებუ-

ლი. „ბოლო ნახევარი წლის მანძილზე, რუსეთში სიტუაცია ძირეულად შეიცვალა, — ამბობს იგი — ნაციონალისტები გრძნობენ, რომ მთავრობა მთლიანად მათ მხარეზეა და რომ მათი დრო დადგა. ისინი ფიქრობენ, რომ ყველა და ყველაფერი — საზოგადოებრივი აზრი, სასამართლოები და სამართალდამცავი ორგანოები — მხარს მათ უჭერენ... თუ მზარდი ნაციონალიზმის ტალღას მომავალი გაზაფხულისთვის — პარლამენტის საარჩევნო კამპანიის წინ ვერ შევაჩერებთ, — გვაფრთხილებს გელმანი, — ეს ჯგუფები წინასაარჩევნო რბოლაში შემაშფოთებლად მაღალი რეიტინგით ჩაებმებიან“...

რაც შეეხება კრემლს, — იქ ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენადაა იგი მზად პოლიტიკური ნაციონალიზმის მზარდი ტალღის საკუთარი გამორჩენისთვის — 2007 წლის დუმის არჩევნებში უპირატესობის მოპოვებისთვის — გამოსაყენებლად. არჩევნები თავისთავადაც მნიშვნელოვანია, მაგრამ 2007 წელს არჩეული დუმა იმითაც იქნება გამორჩეული, რომ სწორედ მან უნდა განსაზღვროს პუტინის მემკვიდრის პროგრამა, რომელმაც რუსეთის პრეზიდენტი 2008 წელს უნდა შეცვალოს.

ქართული წარმოშობის მწერალი — გრიგოლ ჩხარტიშვილი, რომელიც ბორის აკუნინის ფსევდონიმით უფროა ცნობილი, ამბობს: „ქსენოფობიურ განწყობილებებზე თამაშით, პუტინი საკუთარი პოპულარობის გაზრდას ცდილობს. ეჭვი არ შეგუპაროთ, რომ 4 ნოემბრის დემონსტრაციაზე რუსი შოვინისტები პუტინის პორტრეტებით ხელში გამოვლენ“. ჩხარტიშვილი გვაფრთხილებს: თუ ხელისუფლება რუსულ ნაციონალიზმს არ გაემიჯნება, ახლო მომავალში, მის გამოკონტროლებას ვეღარ შეძლებს“.

საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრით — ნავთობით გადიდებული რუსეთი, პოსტკომუნისტური პერიოდის მრავალწლიანი სილატაკისა და დამცირების შემდეგ, ისევ თავდაჯერებული ხდება. ისიც სასწებით ბუნებრივია, რომ ქვეყანაში ნაციონალური სიამაყის აღორძინება იწყება. პუტინმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ ნაციონალური აღორძინების ცენტრი სწორედ ის (და არა ვინმე სხვა) გამხდარიყო, რომ სწორედ მას რგებოდა ამ მდგომარეობის ყველა უპირატესობა. მაინც, საიდან აქვს მას ნაციონალისტური თამაშებისადმი ესოდენი სწრაფვა?..

უბრალო რუსები ჭეშმარიტად ტკებებიან იმ სტაბილურობითა და კეთილდღეობით, რომელიც ათწლეულების მანძილზე არ ჰქონიათ. მთელი თავისი სიძლიერის, ფულისა და პოპულარობის მიუხედავად, რუსეთის ლიდერები საკუთარი პოზიციების გაძლიერებას ქართველების დევნითა და იმიგრანტების გაძევებით მაინც არ უნდა ცდილობდნენ. მაგრამ კრემლმა ნაციონალიზმის რუსეთის პოლიტიკის საჯილდაო ქვად გადაქცევა გადაწყვიტა. ეს კი შეიძლება, ძალიან საშიში იარაღი აღმოჩნდეს.



ახალი წელი მოვა და გუბერნატორად თოვლის ბაბუას ავირჩევთ

„ელიტ ელექტრონიკის“ მალაზიათა ქსელში, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, გრანდიოზული წამახალისებელი გათამაშება დაიწყო. „ელიტ ელექტრონიკი“ უკვე 10 წლისაა და ამჯერად, იუბილარი საჩუქრებს თვითონ გასცემს.

„ელიტ ელექტრონიკსში“ გრანდიოზული გათამაშება

სოფო ჭონიშვილი

ია ნადირაშვილი, სარეკლამო სამსახურის უფროსი:

— „ელიტ ელექტრონიკსმა“ საკუთარ მომხმარებელს უამრავი სიუპრიზი მოუზღადა. გათამაშების საპრიზო ფონდი, საქართველოს პირობებში, მართლაც რომ უპრეცედენტოა: თამაშდება სამოთახიანი ბინა ვაკეში, ათი მსუბუქი ავტომანქანა — Chevrolet Lacetti; Bosch-ის მარკის ასი მაცივარი; Samsung-ის მარკის ასი სარეცხი მანქანა; Samsung-ის მარკის ასი ტელევიზორი; Bosch-ის მარკის ასი გაზქურა; Samsung-ის მარკის ასი მუსიკალური ცენტრი; Samsung-ის მარკის ასი მობილური ტელეფონი; Vogel-ის მარკის ასი ციფრული ვიდეოკამერა; ათი ათასი კედლის საათი; Gorenje-ს ფირმის ასი სარეცხი მანქანა. მომხმარებელს, რომელიც „ელიტ ელექტრონიკის“ მალაზიაში რაიმე ნივთს შეიძენს, საშუალება ეძლევა, ამ გრანდიოზული გათამაშების მონაწილე გახდეს. ჩვენს ქსელში შექნილი ნივთის საფასურის ყოველ 150 ლარზე, მომხმარებელი ერთ სპრინტ ბილეთს მიიღებს და შესაძლოა, მალაზიიდან გაუსვლელად, ერთი ან რამდენიმე პრიზის მფლობელიც გახდეს.

— **„ელიტ ელექტრონიკის“ მალაზიათა ქსელში გრანდიოზული გათამაშება-აქცია როდის დაიწყო?**

— 2 კვირაა, რაც ეს გათამაშება დაიწყო. ამ აქციაზე „ელიტ ელექტრონიკის“ საკუთარი საპრიზო ფონდის დემონსტრირებას ახდენს და ამიტომ, უამრავი საჩუქარი შემოაქვს. უკვე გათამაშდა Bosch-ის 5 მაცივარი, 2 გაზქურა, 2 სარეცხი მანქანა, 6 მობილური ტელეფონი, 2 მუსიკალური ცენტრი და 2 ავტომობილი — Chevrolet Lacetti.

— **ბინა ჯერ არ გათამაშებულა?**

— ჯერჯერობით, არა. სულმოუთქმელად ველოდებით — ვინ გახდება ვაკეში 3-ოთახიანი ბინის მფლობელი.

— **აქცია რამდენ ხანს გაგრძელდება?**

— აქცია გაგრძელდება მანამდე, სანამ ყველა ნივთი არ გათამაშდება.

— **ამდენი პრიზის გაცემით, „ელიტ ელექტრონიკი“ არ ზარალდება?**

— ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი ის გახლავთ, რომ მომხმარებელი ჩვენით კმაყოფილი იყოს. ეს აქცია, მომხმარებელთა წახალისებაზე გათვლილი. ასე რომ, ჩვენს მომხმარებელს „ელიტ ელექტრონიკის“ მალაზიათა ქსელში ყოველთვის სასიამოვნო სიუპრიზები ელოდება.

— **როგორია ამ აქციის დანაშაულის შემდეგ, მყიდველთა აქტიურობა?**

— საწყის ეტაპზე, ეს დიდ ნაწილს არ სჯეროდა, რომ ამდენი პრიზი მართლაც გათამაშდებოდა, მაგრამ როცა დაინახეს, რომ ეს სინამდვილეს შეესაბამებოდა, მყიდველთა რაოდენობაც გაიზარდა. მომხმარებელთა გახარებული და ბედნიერი სახეების ყურება ჩვენთვის დიდი სიამოვნებაა. „ელიტ ელექტრონიკის“ მალაზიათა ქსელში, მთელი საქართველოს მასშტაბით, სულ 10711 პრიზი თამაშდება.

მარიკა გიბინიშვილი, ავტომანქანის — Chevrolet Lacetti — მფლობელი:

— „ელიტ ელექტრონიკის“ ერთ-ერთ მალაზიაში Bosch-ის ფირმის კონდიციონერი შევიძინე. სულ 9 სპრინტ ბილეთი მერგო. როცა პირველი ბილეთი გაგხსენი, ზედ ეწერა: „მანქანა“. იქვე მდგომ გოგონას ვკითხე: ეს რა მანქანა იგულისხმება-მეთქი? გოგონას სახე გაუბრწყინდა და მითხრა: ქალბატონო, თქვენ ავტომანქანა მოიგეთო. თავიდან ვიფიქრე: ალბათ, „ფარულ კამერაში“ მოვხვდი-მეთქი, მაგრამ მერე, როცა პირადობის



მოწმობა მომთხოვეს, უკვე დავიჯერე. ძალიან ბედნიერი ვარ... საოცარი იყო ის ფაქტიც, რომ ჩემი სიხარული მალაზიის მომსახურე პერსონალსაც გადაედო და ისინი მოგებას სახეგაბადრულები მილოცავდნენ.

— **მანქანის მართვა თუ იცით?**

— კი, როგორ არა?! მაგრამ საჭესთან მაინც არ დავჯდები, რადგან მხედველობას ვუჩივი. მას ჩემი ქალიშვილი ატარებს.

— **დარჩენილი 8 ბილეთით რა მოიგეთ?**

— ისეთი ბედნიერი და გახარებული ვიყავი, რომ დანარჩენი ბილეთების გახსნა არც გამსხენებია, ისინი ჩემმა ქალიშვილმა შეამოწმა, მაგრამ იმ 8 ბილეთით არაფერი მოგვიგია.

თიანურ ლაჩიშვილი, მეორე ავტომობილის მფლობელი:

— „ელიტ ელექტრონიკის“ მალაზიაში ტელევიზორი და მუსიკალური ცენტრი შევიძინე. 14 სპრინტ ბილეთი მივიღე და აქედან ერთ-ერთმა ავტომობილი მომაგებინა. ძალიან მისხარია და ბედნიერი ვარ.

— **იცოდით, რომ „ელიტ ელექტრონიკსში“ გათამაშება იყო თუ მერე შეიტყვეთ ამის შესახებ?**

— არა, არ ვიცოდი. სხვათა შორის, არასდროს არაფერი მომიგია. ვფიქრობ, რომ ახლაც, მე კი არა, ჩემს შვილს გაუმართლა, რადგან მან დამაძალა მუსიკალური ცენტრის ყიდვა.

— **საჭეს თქვენ მიუჯდებით თუ თქვენი შვილი?**

— მანქანას ჩემს შვილს მივცემ, რომელიც ახლა ბათუმშია და სულმოუთქმელად მელოდება.

— **კიდევ ესტუმრებით „ელიტ ელექტრონიკის“ მალაზიათა ქსელს?**

— რა თქმა უნდა, აუცილებლად.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე „ელიტ ელექტრონიკის“ მალაზიათა ავტომობილები მფლობელებს საზეიმო ვითარებაში გადაცა.

„ელიტ ელექტრონიკის“ კიდევ უამრავ სიუპრიზს ჰპირდება საკუთარ მომხმარებელს.



საქართველო ესტონეთის სტრატეგიის გადასვლას ცდილობს

(Businessweek, აშშ)

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინისეულ კრემლთან დაკავშირებული პრობლემები მასწინ დასრულდება, როცა „რუსეთი ისეთად მიგვიღებს, როგორც ვართ. ისე, როგორც მან პოლონეთი და ესტონეთი მიიღო“.

ის, რომ მან შედარებისთვის სწორედ ეს ორი ქვეყანა ახსენა, ბევრ რამეზე მეტყველებს. როგორც პოლონეთმა, ისე ესტონეთმა, ძალზე სწრაფად და წარმატებულად მოძებნეს მოსკოვის ორბიტრიდან ნატოსა და ევროკავშირისკენ გადასაცვლებელი გზები და როგორც ერთი, ისე მეორე (როცა ეს მათ საჭიროებებს ემსახურებოდა), რუსეთის პროვოცირებასა და კრემლის რისხვის გამონვევასაც არ მორიდებია.

ამასთან, პოლონეთიც და ესტონეთიც თავიანთ გამოცდილებას სხვა ყოფილ საბჭოთა ვასალებსაც უშურველად უზიარებენ. პოლონეთმა საკუთარი საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად ნატოსა და ევროკავშირში უკრაინის შესვლის მხარდაჭერა გაიხადა. ესტონეთი კი, საქართველოს ევროპულ კალაპოტში მოსაქცევად, თბილისთან სულ უფრო მჭიდროდ თანამშრომლობს. ესტონეთის ყოფილი პრემიერი — მარტ ლარი კონსულტაციას უწევს სააკაშვილის მთავრობას, ქართველი ჩინოვნიკები კი, პატარა ბალტიური ქვეყნის გამოცდილებას ხშირად, როგორც საკუთარი განვითარების მოდელს, ისე მიმართავენ.

„რაც უფრო მეტ დროს ვატარებ საქართველოში, მით მეტად მეუფლება დეჟავიუს განცდა, — უთხრა მარტ ლარმა რადიო „თავისუფალ ევროპას“ — „ბევრი რამე, რასაც ახლა ვეგდავ, ძალიან მახსენებს 1993-1994 წლების ესტონეთის სიტუაციას“. როცა 1990-იანი წლების დასაწყისში, ესტონეთი მოსკოვის აგრესიულ კამპანიას შეეჯახა, რომლის მიზანიც დასავლეთთან მისი დაახლოების აღკვეთა გახლდათ, ლარმა და მისმა კოლეგებმა დაასვენეს, რომ საუკეთესო თავდაცვა — თავდასხმა იყო. ესტონეთმა მაშინაც კი არაფერი დათმო, როცა მისი რუსულენოვანი მოსახლეობა მოსკოვმა უწესრიგობების მოწყობისკენ წააქეზა. ქვეყნის ლიდერები საკუთარ სუვერენიტეტზე ხმამაღლა და დაბეჯითებით აცხადებდნენ, გამუდმებით ითხოვდნენ ქვეყნიდან რუსული ჯარის გაყვანას და მათი ქვეყნის როგორც საგარეო, ისე ეკონომიკური პოლიტიკა, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე მტკიცედ იყო ორიენტირებული. გარდა ამისა, ესტონეთის მასშინდელმა მთავრობამ თამამი ეკონომიკური რეფორმებიც განახორციელა, რომლებმაც მთელი საზოგადოების ცხოვრების დონე აამაღლა და საგრძობლად შეასუსტა რუსულენოვანი მოსახ-

ლეობის უკმაყოფილება.

მიდგომამ, რომელიც მასწინ ძალზე საირისყო ჩანდა, ყველაზე თამამი მოლოდინიც კი გაამართლა. ახლა კი, იმავე სცენარის გამოყენებას საქართველო ცდილობს. და იმან, მოახერხებს თუ არა ის გამარჯვებას, შეიძლება, ამიერკავკასიის უახლოესი ათწლეულების გეოპოლიტიკური რუკა განსაზღვროს.

ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის დროს, თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა ძალიან ჰგავდა თამაშს სახელად — „პირველი ვინ შემინდება“: საქართველო პერიოდულად აკეთებდა განცხადებებს დამოუკიდებლობის შესახებ, მოსკოვი პასუხად მას პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საომარ ცეცხლს უნთებდა და თბილისიც უკან იხევდა.

საკაშვილი კი ყველას აშკარად აგრძნობ-



ბინებს, რომ თავისი წინამორბედის მიბაძვას არ აპირებს. მეტიც — როგორც ჩანს, ის საქართველოს დამოუკიდებლობაზე გაკეთებული განცხადებებით ტყუება კიდევ და დიდად არც ის ანაღვლებს, რამდენად გააღიზიანებს ეს კრემლს. ამის ერთ-ერთ ბოლო მაგალითს, „შპიონაჟის“ ბრალდებით 4 რუსი ოფიცრის დაპატიმრებაც წარმოადგენს, რამაც კრემლი მართლაც არნახულად გააცოფა. როგორც ახლახან სააკაშვილმა განაცხადა, — „თამაშის წესები უნდა შეიცვალოს. რუსეთი უკვე აღარ არის საბჭოთა იმპერია, ჩვენ კი — ემაბოხე ვრე, რომელიც ბუნტს უწყობს ცენტრალურ ხელისუფლებას. ჩვენ დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა ვართ, რომელსაც პატივი უნდა სცენ“.


საკაშვილი მას შემდეგაც არ შედრკა, რაც მოსკოვმა, თავისი ოფიცრების დაპატიმრების გამო შურის საძიებლად, საქართველოსთან საჰაერო, სარკინიგზო და საფოსტო კავშირი განწყვიტა, ელჩი გაიწვია, საკუთარი მოქალაქეების ევაკუაცია მოახდინა და მოსკოვში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მასობრივი გაყრა დაიწყო. როგორც ჩანს, სააკაშვილს ვერც საქართველოს ნაპირებთან შავი ზღვის ფლოტის ამასწინანდელმა მანევრებმა აუბნია თავგაზა. „არა მგონია, რუსეთმა ესოდენ წინდაუხედავი ნაბიჯი

გადადგას და საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ძალა გამოიყენოს“, — განაცხადა მან.

შევარდნაძისგან განსხვავებით, რომელიც საკუთარ პოლიტიკურ არსებობას მოსკოვს უმადლიდა, სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა დაპირებით, რომ საქართველოს დასავლეთისკენ წაიყვანდა. თავად მისი ლეგიტიმურობა თბილისსა და მოსკოვს შორის, „პატრონიკლიენტის“ მოდელით არსებული ურთიერთობის განყვეტასთან და მისი ქვეყნის ევროპულ კალაპოტში მოქცევასთანა დაკავშირებული. ამიტომ, რომც უნდოდეს, უკან დახევა არ შეუძლია.

თუმცა, მონღოობას არც პუტინი აპირებს, რომელიც სააკაშვილის მოქმედებებს პირად შეურაცხყოფად იღებს. ფინეთში გამართული ევროკავშირის ლიდერებთან შეხვედრაზე, პუტინმა უურნალისტებს განუცხადა: „ჩვენდა სამწუხაროდ, სიტუაცია სავარაუდოდ, სისხლის ღვრით შეიძლება დასრულდესო...“ უნდობლობით ცნობილი პუტინისთვის, საქართველოს პრეზიდენტი მტრის მხარეზე გადასული და ამერიკის მარიონეტია, რომლის მიერ გამოშვებული „ფერადი რევოლუციების“ ვირუსმა, ბოლო წლებში პოსტსაბჭოურ სივრცეს გადაუარა. ამ ყველაფერს რუსულ-ქართული კრიზისი ჯერაც შეუსწავლელ ტერიტორიაზე გადააქვს. ორივე მხარე ჯიუტობს და უმცირესი კონფლიქტიც კი (მაგალითად, ინციდენტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მყოფ რუს „მშვიდობისმყოფლებთან“) შეიძლება, სამხედრო კონფრონტაციის დასაწყისად იქცეოს.

როგორც ლარი ხაზგასმით აღნიშნავს, ათწლეულის წინ, როცა ესტონეთმა მოსკოვის ორბიტრიდან „გამოდრომა“ მოახერხა, რუსეთი სუსტი და უუნარო იყო, მის საგარეო პოლიტიკაში კი, სრული ქაოსი სუფევდა. „რუსეთი მნიშვნელოვნად გაძლიერდა, — შენიშნავს ლარი. — მას ახლა საკუთარი მიზნების მისაღწევად, ბევრად მეტი უნარი შესწევს, ვიდრე 1993-94 წლებში ესტონეთთან დაკავშირებით“. და ამიტომაც დასძინა მან შემდეგ, რომ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, საქართველოს იმაზე ბევრად მეტი სჭირდება, ვიდრე მოსკოვთან ხისტი თამაშია. მან უნდა შექმნას ბევრად ძლიერი ეკონომიკა, რომელიც დიდი მეზობლის ზენოლას გაუძლებს. „საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად, საქართველომ ძალიან გასაგები, ძალზე თანამიმდევრული რეფორმები უნდა გაატაროს, — განაცხადა ლარმა, — რადგან მათ გარეშე ყველაფერი ცუდად შემოუბრუნდება“. თუმცა, რაოდენ სარისკოც არ უნდა იყოს, სააკაშვილის მიერ ომის ზღვარზე ბალანსირება, რომელიც თანამიმდევრულ ეკონომიკურ რეფორმასთან იქნება შერწყმული, ეს მოსკოვისგან საქართველოს დამოუკიდებლობას ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველყოფს. ■



Doliva ემოცივა

ბუნებრივი მშენებელი რძით

საშენიხანძარი მონეპანონის

ფაბრიკის ხაზისხის ხაზისხი



4
წელი

მთავარი სწრაფი შედეგი უკვე პირველი გამოყენების რაოდენობის შემდეგ ხილვადი. ხის ზედაპირზე, ხის კანის სწრაფი შედეგი უკვე პირველი გამოყენების რაოდენობის შემდეგ ხილვადი. ხის ზედაპირზე, ხის კანის სწრაფი შედეგი უკვე პირველი გამოყენების რაოდენობის შემდეგ ხილვადი.

საშენიხანძარი მონეპანონის ფაბრიკის ხაზისხის ხაზისხი. საშენიხანძარი მონეპანონის ფაბრიკის ხაზისხის ხაზისხი. საშენიხანძარი მონეპანონის ფაბრიკის ხაზისხის ხაზისხი.

საშენიხანძარი მონეპანონის ფაბრიკის ხაზისხის ხაზისხი. საშენიხანძარი მონეპანონის ფაბრიკის ხაზისხის ხაზისხი. საშენიხანძარი მონეპანონის ფაბრიკის ხაზისხის ხაზისხი.

საშენიხანძარი მონეპანონის ფაბრიკის ხაზისხის ხაზისხი. საშენიხანძარი მონეპანონის ფაბრიკის ხაზისხის ხაზისხი. საშენიხანძარი მონეპანონის ფაბრიკის ხაზისხის ხაზისხი.

საშენიხანძარი მონეპანონის ფაბრიკის ხაზისხის ხაზისხი



®

„...ჩემი შვილების წინაშე არასდროს შემრცხვია“, – აცხადებს ნათია ჯანელიძე

გახმაურებული მკვლელობის საქმეში ახალი დეტალები იყვებოდა

სადახლოს პოლიციის ყოფილი უფროსის გახმაურებული მკვლელობის საქმეში ახალი დეტალები იყვებოდა. გამოძიება მიმდინარეობს. დანაშაულში ბრალდებულებს — ვახტანგ თელიასა და მის ქალიშვილს — ნათია ჯანელიძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ, ქალაქს მთავარი სამმართველოს შუამდგომლობის საფუძველზე, აღკვეთის ღონისძიების — პატიმრობის გადა კიდევ გაუგრძელა. გამოძიებამ ვადის გაგრძელების შესახებ მოთხოვნა სწორედ საქმეში გამოკვეთილი ახალი დეტალებითა და მოტივებით ახსნა...

მეტი სანახა

სადახლოს პოლიციის ყოფილი უფროსის მკვლელობა ახლა უფრო ბუნდოვანი ხდება, ვიდრე მანამდე — მკვლელობის პირველ დღეებში ჩანდა. მართალია, სამართალდამცველები ხმამაღლა არ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ გამოძიება ჩიხში შევიდა, მაგრამ საქმის მასალებში ამ დროისთვის თავმოყრილი ოქმები, ექსპერტიზის დასკვნები თუ მოწმეთა ჩვენებები სწორედ ამაზე მეტყველებს. დანაშაულის მოტივი მკვლელობის პირველსავე დღეებში გაცხადდა — გამოძიების ინფორმაციით, უჩა ჯანელიძე სასიკვდილოდ საკუთარმა მეუღლემ და სიმამრმა განირიეს. სასიკვდილო განაჩენი მას ჯერ ცოლმა გამოუტანა, რის შესახებაც მამას უთხრა, საშინელი განზრახვა გაანდო და ნააქება კიდევ. სიმამრმა ქალიშვილის განზრახვა სისრულეში მოიყვანა. სიძეს მან, მისავე სატაბელო იარაღიდან ზედიზედ 7 ტყვია დაახალა.

ბრალის წარდგენის შესახებ დადგენილებაში ისიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ვახტანგ თელიამ პისტოლტიდან სიძეს მამის ქროლა, როცა ამ უკანასკნელს თავის საძინებელ ოთახში უშფოთველად ეძინა. აქედან გამომდინარე, სამართალდამცველებმა დანაშაულის კვალიფიკაცია უფრო დააზუსტეს — მათი თქმით, სახეზეა ჯგუფურად, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანის განზრახ მკვლელობა. ყოველივე ეს, თავისი აღიარებითი ჩვენებით, ვახტანგ თელიამაც დაადასტურა. ამის გამო, თავიდან, მის მიმართ 108-ე (განზრახ მკვლელობა) მუხლით აღიარული საქმე 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებებით) მუხლზე გადაკვალიფიცირდა. დღეს ამ აღიარებით ჩვენებას ვახტანგ თელია უარყოფს. ქმართან თანაცხოვრების აქამდე გაუმყლავნებელ დეტალებს ახმაურებს ნათია ჯანელიძეც. ამის პარალელურად კი, გამოძიება კონკრეტულ პიროვნებებზე ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს, რაც მკვლელობის შესახებ ზემოთ მოყვანილი ფაქტებისგან განსხვავებულ ვერსიაზე მიანიშნებს. როგორც ჩანს, ძიებას, მომხდართან დაკავშირებით, სხვა ვარაუდები თავიდანვე ჰქონდა. ექსპერტიზის დასკვნებმა ეს ვარაუდები კიდევ უფრო გაამყარა, საქმეში ბრალდებულის სახით ცნობილი მამა-შვილის ჩვენებები კი, ბუნდოვანი გახდა...

მკვლელობა 2006 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის ღამეს, უფრო სწორად — გამთე-

ნიისას, დაახლოებით, დილის 4 საათისთვის მოხდა. საკუთარ ბინაში, საძინებელ ოთახში ცეცხლსასროლი იარაღით დაცხრილული უჩა ჯანელიძის გვამი იპოვეს. საქმის მასალების მიხედვით, იმ დროს ბინაში არავინ იყო — არც მოკლულის ცოლ-შვილი და არც სიმამრი. შემთხვევის ადგილზე არ ჩანდა არც დანაშაულის იარაღი. მოგვიანებით გაირკვა, რომ უჩა ჯანელიძე საკუთარი ტაბელური იარაღით, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გადაცემული „მკაროვის“ სისტემის პისტოლტით გახლდათ მოკლული. იარაღს, როგორც ამბობენ, შინ მისული ჯანელიძე თურმე საძინებელ ოთახში, სეიფში ინახავდა. იმ საღამოს კი, საქმის მასალების მიხედვით, მან პისტოლტი რატომღაც სეიფის თავზე დადო და ისე დაიძინა. ბრალის წარდგენის დადგენილების მიხედვით, იმის შესახებ, რომ იარაღი სეიფზე იდო და შენახული არ იყო, ვახტანგ თელიამ ქალიშვილისგან წინასწარ იცოდა. ნათია ჯანელიძემ მამას ამის თაობაზე სატელეფონო საუბრისას უთხრა. ამავე დადგენილების მიხედვით, ოთახში შურის საძიებლად შესულმა თელიამ პისტოლტი მამინევე აიღო და ტყვიები პირდაპირ მძინარე სიძეს დაახალა. მკვლელობამდე სიძესიმამრს არაანარი შელაპარაკება ან შეკამათება არ მოხვლია...

„...პისტოლტი მამინევე ავიღე... რამდენჯერ ვესროლე, არ მახსოვს...“

საქმის მასალების მიხედვით, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ვახტანგ თელიამ შემთხვევის ადგილი დატოვა და თბილისში მცხოვრები ნათესავის ბინისკენ გაემართა. დანაშაულის იარაღიც იქ დატოვა. პისტოლტი მოგვიანებით, მისმა მეუღლემ მულს — თელიას დას გადასცა, რომელმაც ის ბათუმში, თავის საცხოვრებელ სახლში წაიღო. სამართალდამცველებმა პისტოლტი სწორედ მისი ბინიდან ამოიღეს. რაც შეეხება ნათია ჯანელიძეს, საქმის მასალების მიხედვით, მკვლელობის მომენტში ის თავის შვილებთან ერთად, საკუთარი ავტომანქანით დასავლეთისკენ მიდიოდა. თითქმის აჭარამდე იყო ჩასული, როცა დაურეკეს და მომხდარის შესახებ შეატყობინეს. ნათია ჯანელიძემ მამინევე მოაბრუნა მანქანა და კვლავ თბილისისკენ წამოვიდა. ის თბილისში დააკავეს, მამამისი კი სამართალდამცველებმა აბაშის



რაიონის სოფელ მარანში აიყვანეს. თელია სწორედ ამ სოფლის მკვიდრი გახლავთ და პოლიციამაც მას შინ მიაკითხა. ვახტანგ თელიას სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, პირიქით, სიძის მკვლელობა მამინევე აღიარა, თავი დამნაშავედ ცნო და გამოძიებას ჩვენება იქვე, აბაშაში მისცა.

ამ ჩვენების მიხედვით, ქალიშვილმა მას ჯერ კიდევ წინააღმდეგობა და შეუღლებსთან მორიგი ჩხუბის შესახებ აცნობა. საღამოს კვლავ დაურეკა მამას და უთხრა, რომ ქმარმა სასტიკად სცემა, შემდეგ კი ისიც და შვილებიც, გარეთ გაყარა. ვახტანგ თელია ამ დროს სოფელ მარანში იმყოფებოდა. შვილთან სატელეფონო საუბრის შემდეგ, მან დაუყოვნებლივ თბილისში წასვლა გადაწყვიტა და ასეც მოიქცა. თბილისში, ავტომანქანით, იმავე ღამეს თავის მეუღლესთან ერთად ჩამოვიდა. თუმცა, ქალიშვილის ოჯახში მისვლა მარტომ მოისურვა, ცოლი კი ნათესავის ოჯახში დატოვა. არც ქალიშვილი და არც შვილიშვილები იმ ღამეს არ უნახავს, კორპუსთან რომ მივიდა, ისინი იქ არ დახვდნარიან.

მომხდარ ფაქტს აღიარებით ჩვენებაში ის ასე აღწერს: „...ბინის კარი ღია დამხვდა. საძინებელ ოთახში რომ შევედი, ჩემი სიძე ტახტზე იყო წამოწოლილი და ეძინა. იქვე, საწოლის გვერდით, სეიფის თავზე დადებული იარაღი შევნიშნე. პისტოლტი მამინევე ავიღე... რამდენჯერ ვესროლე, არ მახსოვს...“

ამის შემდეგ ვახტანგ თელია გამოძიებას არ დაუკითხავს. დღეს კი მისი ადვოკატისგან ცნობილი ხდება, რომ ის აღიარებით



ბრალდებული
ნათია ჯანელიძე

ჩვენებს არ ადასტურებს და მასში დაფიქსირებულ ფაქტებსაც უარყოფს. ადვოკატი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ თელია ჩვენების მიცემის მომენტში დაცვის გარეშე იმყოფებოდა, ადვოკატი საქმეში მისი დაკავებიდან მხოლოდ მესამე დღეს ჩაერთო. ადვოკატის თქმით, ბრალდებული ამბობს, რომ იმ ღამეს, საძინებელ ოთახში შესულს, მართალია, სიძე ტახტზე წამოწოლილი დახვდა, მაგრამ შევიდა თუ არა, მას მაშინვე გაელვოდა და მიაძახა: აა, შენც ჩამოხვედიო?! მან სიძეს ქალიშვილის ცემის გამო პასუხი მოსთხოვა, რასაც უწა ჯანელიძის მხრიდან გინება მოჰყვა; ამ მომენტში ის უკვე ფეხზე იყო წამომდგარი და სწორედ მაშინ შეატყო, რომ იარაღს დაუნყო ძებნა; რალაც წამებით თავად დაასწრო და პისტოლეტს პირველმა დაავლო ხელი, ამის შემდეგ, სიძის მიმართულეებით გაისროლა...

გამოძიების ინფორმაციით, უწა ჯანელიძეს ტყვიები გულმკერდის არეში მოხვდა, მაგრამ ზუსტად რა ადგილებში, რა მანძილიდან და როგორი ტრაექტორიით, დადგენილი არაა. მომხდარი ფაქტიდან უკვე ორი თვეა გასული, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა კი არ ჩანს. ბრალდებულების ადვოკატი — **ირაკლი ჩიკაშიძე** ამას ასეთ კომენტარს უკეთებს:

„ვადა დიდი ხნის წინ ამოიწურა. ექსპერტიზის დასკვნის ასეთი დაყოფნა მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ გაყალბების მცდელობას აქვს ადგილი. საქმე ის გახლავთ, რომ გამოძიება მძინარე ადამიანის ანუ უმწყო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობაზე დაპარაკობს, რაც ვახტანგ თელიას ბრალს კიდევ უფრო ამძიმებს. ეს ბრალდება კი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით უნდა გამყარდეს. ამ შემთხვევაში ექსპერტებმა უნდა დააფიქსირონ, რომ სროლის მომენტში უწა ჯანელიძე მწოლიარე მდგომარეობაში იყო. სინამდვილეში, როგორც ჩემი დაცვის კვებ მყოფი ამბობს, ასე არ მომხდარა. საქმის შედეგით დაინტერესებული პირები, როგორც ჩანს, ჯერჯერობით ვითარებას სწავლობენ, აკვირდებიან და დასკვნის დროულად დაწერა სულაც არ აძლევეთ ხელს. ექსპერტებზე გავლენის მოხდენასაც სიტუაციის და ინტერესების შესაბამისად შეცდებიან. სხვათა შორის, ადვოკატის ღონისძიების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესზეც დაისვა ეს საკითხი. მოსამართლემ გაკვირვება გამოთქვა, აქამდე დასკვნის არარსებობის გამო და შენიშვნა მისცა გამოძიებელს. გამოძიებელმა განმარტა: ექსპერტიზის ცენტრს რამდენჯერმე შევასხენეთ ამის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. საინტერესოა, რატომ არ მიმართეს წერილობით, ოფიციალურად? შესაბამისი საბუთი საქმეში არ დევს.“

დანაშაულში თანამონაწილეობისთვის დაკავებულმა ნათია ჯანელიძემ მისი ოჯახში წლების მანძილზე არსებული დამაბულობა და დაუსრულებელი კონფლიქტები, ქმრის გაუწონასწორებელი ხასიათითა და აგრესიული ბუნებით ახსნა. მისი თქმით, ქმარი მას ხშირად სცემდა, ამცირებდა და მის მიმართ

ძალადობას მიმართავდა.

ოჯახი ადრეულ ასაკში შექმნეს. ნათია 14 წლის, უწა კი 16 წლის იყო, როცა გაიპარნენ. ერთმანეთი მათ სოფელ მარანში გაიცნეს, სადაც ნათესავები უწა ჯანელიძესაც ჰყავდა და მათ მოსანახულებლად იქ პერიოდულად ჩადიოდა. მომავალი მეუღლეც იქ გაიცნო. იმ დროისთვის, როცა მკვლელობა მოხდა, ისინი უკვე 17 წლის ცოლ-ქმარი იყვნენ...

როგორც ნათია ჯანელიძე ამბობს, უთანხმოებამ ცოლ-ქმარს შორის მალევე იჩინა თავი. ამის გამო, ერთხანს ისინი ერთმანეთს გამოორდნენ კიდევ, თუმცა მალე ისევ შერიგდნენ და ამის შემდეგ, ნათია ოჯახის დანგრევას მაქსიმალურად არიდებდა თავს. როგორც თავად ამბობს, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მის სამ ვაჟიშვილს მშობლებთან ერთად ეცხოვრა და სრულყოფილი ოჯახი ჰქონოდა. რეალურად კი, ოჯახი სრულყოფილებისგან ძალიან შორს იყო. ნათია ჯანელიძის თქმით, ქმარი მას არაადამიანურად ეჭრობოდა და ამის მოწმე, ხშირად, მისი შვილებიც ყოფილან. 16 წლის გიორგი, 13 წლის რეზიკო და 6 წლის ბასა ახლა ბუბიასთან — უწა ჯანელიძის მშობლების ოჯახში ცხოვრობენ. ნათია ჯანელიძის თქმით, დედამთილი და ქმრის სხვა ნათესავები, ბავშვებს დედის წინააღმდეგ განაწყობენ, შვილებთან ურთიერთობის საშუალებას არაა თუ მას, არამედ არც ერთ მის ნათესავს არ აძლევენ. შვილიშვილების მონახულება არც ბუბიას (დედის მხრიდან) არა აქვს.

დაზარალებული მხარის ვერსია

დაზარალებული მხარე ნათია ჯანელიძის სიტყვებს კატეგორიულად უარყოფს. მოკლეულის ნათესავებს მომხდართან დაკავშირებით, გამსხვავებული ვერსია აქვთ. მათი თქმით, ცოლ-ქმარს შორის გაუთავებული კონფლიქტების მიზეზი არა უწა ჯანელიძის ფიციბი და აგრესიული ხასიათი, არამედ თავად ნათია ჯანელიძე გახლდათ. დაზარალებული მხარის ვერსიის მიხედვით, ნათია ჯანელიძეს საყვარელი ჰყავდა. ის ოჯახის ახლობელი გახლდათ, რომელიც იმ დროისთვის თავდაცვაც კაცობეული იყო ცოლს. გამოძიებამ ფი-

ქური კავშირის კომპანიისგან სატელეფონო საუბრების დეტალური ამონაწერი ამოიღო. ზემოთ აღნიშნული პიროვნების ტელეფონის ნომერი ამ მონაცემებში ბევრჯერაა დაფიქსირებული, მათ შორის მკვლელობის წინა დღეებშიც. დაზარალებული მხარის ვერსიით, ნათია ჯანელიძეს საყვარელთან სისტემატური კავშირი ჰქონდა და მთელ ფულს, რასაც ქმარი მას აძლევდა, საყვარელს ახარჯავდა. ვერსიის მიხედვით, ბოლო პერიოდში, უწა ჯანელიძე ცოლის ასეთმა საქციელმა ძალიან ჩააფიქრა და დააეჭვა. ხედავდა, რომ მათი ქონება ნიავდებოდა, რის გამოც ცოლს უძრავი ქონების თავის სახელზე გადაფორმების საკითხი დაუსვა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ჯანელიძეების კუთვნილი ბინები, მინის ნაკვეთი, კურო ავტოსადგომი და სასურსათო მაღაზია, ნათია ჯანელიძის სახელზეა გაფორმებული. ქონებაზე ამჟამად ყადაღა დადებული. დაზარალებული მხარის ვერსიით, ნათია ჯანელიძეს დაეჭვებული ქმრის წინადადება არ მოეწონა და ქონების დაკარგვის საშიშროების წინაშე რომ დადგა, მისი მოშორება — ანუ მოკვლა განიზრახა. განზრახვა სისრულეში მამის დაზარებით მოიყვანა...

თავად ბრალდებული ყოველივე ამას ბინძურ ცილისწამებას უწოდებს და ამბობს, რომ მას საყვარელი არასდროს ჰყოლია. ნათია ჯანელიძე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ პიროვნებას ნამდვილად იცნობდა და მასთან ხშირი ურთიერთობაც ჰქონდა, მაგრამ არა — სასიყვარულო. მისი თქმით, საქმე ის გახლდათ, რომ მას თბილისში, კუთვნილი ერთოთახიანი ბინა ჰქონდა გაქირავებული. ბინა ახალგაზრდა წყვილმა იქირავა, შუამავლად და თავდებად კი მათ სწორედ ზემოთ აღნიშნული პიროვნება დაუდგა. მოლაპარაკების თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობა ქირის გადასდას დააგვიანებდნენ ან საერთოდ არ გადაიხდიდნენ, პასუხისმგებელი ის იქნებოდა. მდგომარეობი ქირას დროულად მართლაც ვერ იხდიდნენ და ამის გამო ნათია ჯანელიძეს, როგორც თავად ამბობს, ხსენებულ პიროვნებასთან დარეკვა ხშირად უხდებოდა. ბრალდებულმა გამოძიების მიერ ამოღებულ დეტალურ ამონაწერში დაფიქსირებული ზარებიც ამით ახსნა.

დაზარალებული მხარის ვერსიით აღმფოთებულმა ნათია ჯანელიძემ და მისმა ადვოკატმა, უფლებების დასაცავად, სახალხო დამცველს, სოზარ სუბარსაც მიმართეს. „გარდა მაქვს გაცნობიერებული, რომ ამ ადამიანების ბრალდებულობის საკითხი გამოძიების და საბოლოოდ, სასამართლო გადასაწყვეტი საქმეა. ამჟამად თქვენდამი მომართვა განპირობებულია იმით, რომ როგორც ჩემს მარწმუნებლებს მიაჩნიათ, გარკვეული გავლენიანი ძალების ზეწოლის შედეგად, ადგილი აქვს სამი შვილის დედის მიმართ ცილისმწამებლურ კამპანიას, მასმედიის საშუალებით. ამას სხვა არაფერი შეიძლება დაერქვას, თუ არა უდანაშაულობის პრეზუმაციის პრინციპების დარღვევა. გარდა ამისა,

გაგრძელება იხ. გვ. 62

„ასეთი რაე ცხოვრებაა მართლაც რომ იზიარებ სება“

ჩვენს მკითხველს მოსწონს ის, რომ ზურასა და ნატალის ცხოვრებას თვალს ადევნებს. თავიდან, ეს თვითონ ჩვენი რეალური რომანის გმირებსაც მოსწონდათ, მაგრამ ახლა, თითქოს დაიძაბნენ. ისინი ყურადღებით კითხულობენ თავიანთი თავგადასავლის ამსახველ მასალას და ვგრძობ — ცოტა არ იყოს, ნაწილზე კიდევ, რომ მათი მესიჟების გამოქვეყნების უფლება მომცეს. ამ დღეებში, ჩვეულებისამებრ, გაგხსენი ნატალის ანკეტა და იქ ზურას ნათქვამ ფრაზას წავაწყდი: მოიცადე, დაგირეკავ და ისე გეტყვი, რაც შენ განიტყვებს, თორემ, ხომ იცი, მარი ნაიკოტისა და უხერხულია... ამის შესახებ ნატალის ვკითხე. აღმოჩნდა, რომ ისინი საიტზე მიმწერისას ძალზე ფრთხილდნენ, თავს აკონტროლებდნენ, სიტყვებს არჩევდნენ, რადგან — ალბათ, თქვენც დამეთანხმებით, — მართლაც, გმირობის ტოლფასია, შენი სასიყვარულო ამბავი სახალხო განსჯის საგნად აქციო...

მაგრამ მკითხველთა ინტერესი იმის მიმართ, რაც ნატალისა და ზურას შორის ხდება, ძალზე დიდია და ამას თქვენი ახალი გამოქვეყნებებიც ნათლად მონიშნავს:

მარი ჯაშარიძე

„მოსვენება დაკარგე მას შემდეგ, რაც ზურასა და პანდორას ამბავს ვკითხულობ. ცხოვრებაში პირველად ვნახე ისეთი კარგი ადამიანი, როგორიც ნატალია. მას ბედნიერებას მთელი სულითა და გულით ვუსურვებ. მოუთმენლად ველი „გზის“ მომდევნო ნომერს“.

„ქალი-ოცნება/ ქალი-სინაზე/ ქალი-ცის ცრემლი/ ცოდვილი მიწაზე/ ქალი-სიტყვით და სიტო... ალერსი/ ქალს მოვეფერო/ მინდა, ამ ლექსით/ ლამაზო ქალო/ ტანო, ტატანო/ ქალო, ათასი ჭირის ამტანო/ ქალო, გრძნობის და ტრფობის სამყაროვ/ კაცებმა ხელით უნდა გატარონ. ეძღვნება პანდორას, დიდი სიყვარულით, „გზის“ ერთ-გული მკითხველისგან“.

„ზურა, ქალებთან ფრთხილად იყავი. ღმერთმა ქალი მრუდე ნენისგან შექმნა. თუ ძალით შეეცდები მის გასწორებას, გატყდება; თუ გაუშვებ, უფრო გაიღუნება. ასეთია ქალის ბუნება. პანდორას გაუფრთხილდი. გისურვებ ბედნიერებას. თქვენი ფანი ვარ“.

„27 წლის ბიჭი, ჯერ ვერ ველირსე ბედნიერებას. ვინც მიყვარდა, სიკვდილმა წამართვა და მამინ დავიფიცე, რომ არასდროს ვუღალატებდი. ჩემი ერთა-



დერთი იმედი — მისი საფლავია... ნატალი, შეურიგდი ზურას, რა! თქვენ ბედნიერების ღირსი ხართ“.

„მარი, გამაბრწყინე ამხელა ქალი და დამაწყებინე მესიჟების წერა. ზურა, ნატალი და მაგათ ბედზე ფიქრი მინდოდა კიდევ?! ჩემი გასაჭირი არ მყოფნის?! არ მჯერა მაგ ზღაპრების მე. თუ გინდა, რომ დავიჯერო, გაგვაცანი ზურაც ან ჩემი ელ. ფოსტის ნომერს მოგცემ და მთლიანად გამომიგზავნე რომანი. ნუ გეშინია, ისე მიყვარხარ, რომ „გზას“ მაინც წავიკითხავ“.

„მეც მინდა ასეთი სიყვარული და კვდები ინტერესით, რა მოხდება მერე“.

„პანდორასა და ზურას ფანი ვარ. როცა მათ ამბავს ვკითხულობ, ძალიან ვმშვიდდები. ხანდახან კი, ცრემლით მევსება თვალები. შეყვარებულებო, მიჰბაძეთ მათ!“

„მარი, მე შენი სენია ვარ და ნატალისავით, ცოლიანი კაცი შემეყვარდა. ის ჩემზე 16 წლითაა უფროსი. ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ. ერთად ძალიან კარგად ვართ და მალე, სულ ერთად ვიქნებით“.

„ნატალი, მინდა გითხრა, რომ ზურა შენზე ჭკუას კარგავს. არავის დაუჯერო და სიყვარულზე უარი არ თქვა. ზურა, შენ კი, ყურებს აგინე — როგორ უღალატე ნატალის?! ამ 2 ადამიანზე ისე ვარ შეყვარებული, რომ ჩემს ფანტაზიაში ნატალი ანჯელინა ჯოლის ჰგავს, ზურა კი — მაღალი, შავგვრემანი და სპორტული აღნაგობისა... ორივე ძალიან მიყვარხართ. გისურვებთ ულევ სიყვარულს და პატარა პანდორებსა და ზურიკოებს. თქვენი ფანი გოგონა“.

„მთელი სულითა და გულით ვგულშემატყვირობ ზურასა და ნატალის. მინდა, რომ ძალიან ბედნიერები იყვნენ. ხანდახან მგონია, რომ ისინი ჩემი ახლობლები არიან. ძალიან შევეჩვიე ამ ყველაფერს. „გზის“ ყოველ ნომერს სულ-მოუთქმელად ველი. გისურვებთ წარმატებებს, ძალიან მიყვარხართ. პატარა მარიკო“.

„მინდა, ზურას მივმართო. მე ხათუნას ადგილზე, შენისთანა ქმარს არ დავკარგავდი. ის გვიან მიხვდება თავის შეცდომას. წინა ნომერში ზურას სამსახური ხომ გამოვიცანი? ცნობისთვის, მე საკუთარი კლინიკა მაქვს. ექიმი ვარ,

გამომძიებელი კი არა. აბა, კარგად! მეღა...“

„კვდები, ისე მინტერესებს, რა ხდება ნატალისა და ზურას შორის. ახლა ოქტომბერია, თხრობა კი, სექტემბრის დასაწყისში მიმდინარეობს. იმედი, მშვიდობაა. მარი, მაგრამ „შეგვები“ შენი რუბრიკებით!“

„როცა პანდორასა და ზურას სიყვარულის ამბავს ვკითხულობ, ჩემი ახლო წარსული მახსენდება. გაცნობა... პაემნამდე არსებული შიში — მომეწონება თუ არა? და ახსნილი სიყვარული... იცი, მინდა, ნატალი და ზურა ჩვენსავით ბედნიერები იყვნენ და არა მარტო ისინი... ხუთშაბათს „გზავნილებს“ და მათ „ლავ სთორის“ მოუთმენლად ველი. თითქმის წარკოტიკად გადამეცა. კარგები ხართ“.

„ყველა ნატალისა და ზურაზე რომ ფიქრობთ, რატომ არავინ ფიქრობს ზურას ცოლზე? იმ ქალის ადგილას წარმოიდგინეთ თავი. მე ზურას და ნატალის ბედნიერებას ვერ ვუსურვებ“.

„გამარჯობა, მარი! დიდი ხანია, მინდოდა, შენთვის მომეწერა. დავიწყებ იმით, რომ „გზის“ ერთგული მკითხველი ვარ. მინდა გითხრა, რომ ეს ჟურნალი მართლაც, საუკეთესოა. 17 წლის ვარ და როგორც ხვდებით, განსაკუთრებული ინტერესით „გზავნილებს“ ვკითხულობდი ხოლმე და აქამდე შეგონა, რომ ეს ამ ჟურნალის ყველაზე საინტერესო რუბრიკა იყო, მანამ, სანამ არ დაიბეჭდა პანდორასა და ზურას ურთიერთობის ამბავი. ასეთი რამ ცხოვრებაში მართლაც რომ მივირთა და ხდება, მაგრამ ფაქტია, რომ მაინც ხდება. ეს რომანი ამტკიცებს, რომ სიყვარული სადაც არ უნდა იპოვო, ის მაინც ერთადერთია და მას ვერავინ და ვერაფერი შეეწინააღმდეგება. აღფრთოვანებული ვარ ამ ორი ადამიანით, რომლებმაც ერთმანეთი — არც მეტი, არც ნაკლები — ინტერნეტში იპოვეს. ახლა რაც შემიხება მე: წელს ჩავაბარე გამოცდები და ჩავირიცხე უნივერსიტეტში. წიგნებისკენ გახედვაც არ მინდოდა და ვფიქრობდი, ზაფხული როგორ გამეტარებინა. ამ დროს სახლში ინტერნეტიც ჩავრთე. აზრზე არ ვიყავი, რა იყო „ჩატი“, მაგრამ როცა კომპიუტერს მივუჯექი, ყველაფერი დამავიწყდა და არარეალურ სამყაროში გადავედი, თუმცა, რეალობასაც არ ვივიწყებდი და ვცდილობდი, მომხიბვლელი სიტყვებით თავი არ გამეშულელებინა. მაინც ვერ გავუქეცი იმას, რისიც მეშინოდა: გაცივანი ადამიანი, რომელიც მიყვარს, მაგრამ მეშინია — ვითუ ყველაფერი ისე არ იყოს, როგორც ჩვენ გვინდა. იმედი, მასაც ისევე გულწრფელად ვუყვარვარ, როგორც მე. ძალიან მინდა, გამიმართლოს და ამ ყველაფერს იმედგაცრუება არ მოჰყვეს... დიდი მადლობა, რომ მომისმინეთ. ზურასა და ნატალის კი, ძალიან დიდ ბედნიერებას ვუსურვებ. ისინი ამას იმსახურებენ... დროებით, შოკა“.

შაბი.ge პარალელური საყაროში

ქალბი გახვეული წყვილის სასიყვარულო აზრები გამოკვლევებით

დასაწყისი იხ. „გზა“, №35-43

ზურასა და ნატალის შორის სიმშვიდე დასადგურა. მათ შორის ის ვნებათაღელვა ჩანყნარდა, რომელიც ზურას ლაღატმა გამოიწვია. ნატალიმ მას აპატია და შერიგდნენ. ზურა ცდილობს, ნატალის წარსული გაიგოს და ამიტომ, მის სასიყვარულო თავგადასავალს არცთუ ისე დიდი სიამოვნებით, მაგრამ მაინც იმეცნს. ამჯერად, სწორედ ბაჩოს თავგადასავლით განვაგრძობთ თხრობას, იმ ადგილიდან, სადაც წინა ნაწილში შევჩერდით.

მარი ჯაფარიძე

13 სექტემბერი, სამშაბათი

ბაჩოს თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. წარმოიდგინა ოჯახი, რომელსაც თავი ძლივს გააქვს. მოხუცის აკანკალებული ხელები, რომელიც ხმელ პურს წყალწყალა წვნიანით სავსე ჯამში ფშვნიხს. სახლი კი სავსეა მტვრის სქელი ფენით დაფარული ანტიკვარული ნივთებით, რომელიც წინაპართა სახსოვარია და იმდენად ძვირფასი, რომ გასაყიდად ვერ იმეტებენ. ერთი ნივთის საფასურად მთელი წელი და შესაძლოა, უფრო მეტი ხნითაც გაიტანენ თავს... ბაჩოსთვის მოულოდნელი იყო ასეთი წინადადება. მას წარმოადგენილი ჰქონდა, რომ რომელიმე ტრეკტის მმართველის ან თანამდებობის პირის სახლში შევიდოდა და მექრთამეობით დაგროვილ ფულს მოიპარავდა. გასანას ცალი თვალთ გახედა. ის მშვიდად, ცალ ფეხზე ჩამუხლული კრეფდა მარწყვს და თითქოს, ბაჩოს არსებობა არც კი ახსოვდა.

— მაგ საქმეზე ვერ წავალ, — თქვა ბაჩომ და თითქოს შვებით ამოისუნთქა, რადგან გადაწყვეტილება მიიღო. გასანას გაეცინა.

— ჩვილი გული გაქვს, აკი გითხარი, არ ხარ გასაფუჭებელი ბიჭი-მეთქი. ჩვენმა საქმემ არჩევანი არ იცის. სადაც დევს, იქიდან უნდა აიღო. შენ კი, როგორც ვაჭყობ, ქურდობისა და გულმონყალების შეთავსება გინდა. კაკო ყაჩაღის როლის მორგება გასურს, არა? — „მდიდარს ართმეგს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წახდენსა“... ან ამ საქმეზე წახვალ, ან აღარასდროს იფიქრებ მოპარვაზე. ისწავლე, ნასწავლ კაცს ცხოვრება არ გაეიჭირდება. მამაშენის შვილი თავს ყველგან გაიტანს.

— მე დამოუკიდებელი ადამიანი ვარ. მამაჩემი არაფერ შუაშია. იმ ანტიკვარულ ნივთებს სად გავყიდით?

— იოლი დასაყოლიებელი ყოფილხარ. შენი შეკითხვა იმას ნიშნავს, რომ თანახმა



ხარ? — ბაჩომ უსიტყვოდ დაუქნია თავი მისკენ მობრუნებულ გასანას. — მაშინ კარგად უნდა დავგეგმოთ. წელან დამავინყდა, რომ მეთქვა: ისინი უკვე მოლაპარაკებული არიან მუზეუმთან. ამ დღეებში, ნივთებს შეაფასებენ და იმ ანტიკვარებს სრულიად უსასყიდლოდ წაიღებენ. ასე რომ, შენს სინდისთან პირნათელი იქნები.

— გამოდის, რომ სახელმწიფოს უნდა მოვპარო?

— ჰო, ასე გამოდის. — გაიღმა გასანამ. ბაჩომ მეორედ ამოისუნთქა შვებით. მარწყვის კრეფას რომ მორჩნენ, ბაჩო მას გამოემშვიდობა. გასანამ იგი რამდენიმე დღის შემდეგ დაიბარა იმ ბიჭების გასაცნობად, ვინც მასთან ერთად წავიდოდა „საქმეზე“. მათი შეხვედრისას ყველა დეტალი დაზუსტდა და ზედმინუებით ზუსტი გეგმაც შეადგინეს. რამდენიმე დღის შემდეგ, შუალამისას, იტალიური ეზოს ერთ-ერთ კარს 3 ადამიანი მიადგა. მათ მეორე სართულის აივანი უხმოდ გაიარეს და მეზობლის მიერ წინასწარ მიცემული გასაღები კარს უხმაუროდ მოარგეს. გარედან შემოსულ მუქეზე ჩანდა, რომ ოთახი მართლაც სავსე იყო ძვირფასი ნივთებით. სახლში ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს არც ერთი სულიერი იქ არ იყო. საძინებლის კარი მოხუცული იყო და ჩამიჩუმე არ ისმოდა. ბიჭებმა ფრთხილად დაიწყეს ნივთების ჩანთაში ჩალაგება. უხმაუროდ მოქმედებდნენ, ერთმანეთს თავით ანიშნებდნენ, რა უნდა წამოეღოთ. საქმეს მორჩნენ. ის იყო, კარისკენ დაიძრნენ, რომ ბაჩო უკან მიბრუნდა და კედელზე დაკიდებული 3 ნახატიც ჩამოხსნა... ქურდებმა ისევე უხმაურად დატოვეს ბინა და კიბეზე დაეშვენენ. 5 წუთის შემდეგ, უკვე სამშვიდობოს მყოფი ბაჩო ფიქრობდა: თურმე, რა იოლი ყოფილა ასეთი საქმეების კეთება. გაცილებით იოლი, ვიდრე ამოცანების ამოხსნა... ნაქურდალი გასანასთან მიიტანეს და იმ ღამით, ბაჩო მასთან დარჩა. მაშინ მოსწია პირველად სიგარეტიც... დილით კი, შინ მისულს მშობლებისთვის ახსნა-განმარტების მიცემა მოუხდა. თავი იოლად დაიძვრინა და ხვალ-ინდელ დღეზე ფიქრს მიეცა. თან გასანას სიტყვებს ვერ ივიწყებდა: არ გეგონოს,

რომ ყოველთვის ასე კარგად მთავრდება ყველაფერი, ხანდახან, მელას ქათმის ქურდობაზე წასწრებენ და იქვე გააგორებენო. რამდენიმე დღის შემდეგ კი, გასანამ მას იმდენი ფული მისცა, რომ არც კი იცოდა, რაში უნდა დაეხარჯა.

13 სექტემბერი, სამშაბათი

12:00

ზურა: გძინავს, ჩემო ფისუნია? ნუხელ გათენებამდე ვილაპარაკებო. მე დილაუთენია უკვე სამსახურში ვიყავი. შენ რა გენაღვლება, იძინე... მიყვარხარ...

14:23

ზურა: ისე გძინავს? გაიღვიძე, გოგო, გაიღვიძე! საღამოს შეგეხმინანები. ახლა ოფისიდან გავდივარ. ტელეფონი ჩართე, ამ საღამოს შენი ნახვა მინდა. ძალიან მომენატრე. ნატალი, მიყვარხარ.

23:24

პანდორა: ზურა, სად ხარ? მე უკვე დიდი ხანია გელი და არ ჩანხარ.

ზურა: მოვედი, საყვარელო.

პანდორა: როგორც იქნა. სად იყავი?

ზურა: ნამდვილი ეჭვის ბუდე ხარ. სამსახურის საქმეზე ვიყავი.

პანდორა: მოდი და ნუ იქნები ეჭვის ბუდე. შენს ხელში კიდევ კარგად ვარ.

ზურა: მერე, მაგას რა სჯობია, თუ სულ ფხიზლად იქნები? ნატა, როგორ მინდოდა დღეს შენი ნახვა. მოდი, გესტუმრები, რაააა!

პანდორა: არა, არ მინდა, რომ აქ მოხვიდე. მეზობლები რას იტყვიან?

ზურა: „გზაში“ რომ გამოჭიმე ჩვენი მესიჯები და ამბავი, მაშინ არ ფიქრობდი, რას იტყოდნენ მეზობლები? თანაც, მაგას ხომ მარტო მეზობლები არ კითხულობენ?.. მაშინ მოვალ და სადმე გავისეირნოთ. იქ რასაც ვილაპარაკებო, იმას მაინც ხომ ვერ გაიგებს მარი ჯაფარიძე?! მოსაკლავი ხარ, მაგის გულისთვის.

პანდორა: შემაცდინა. :))) კარგი, გავისეირნოთ, თუ ასე გინდა, მაგრამ ცოტა გვიანი ხომ არ არის?

ზურა: ცხელა, არაგვზე წავიდეთ და გავგრილდეთ.

პანდორა: კარგი, რამდენ ხანში მოხვალ?
ზურა: ძალიან მალე, ჩემო სიხარულო.

14 სექტემბერი, ოთხშაბათი 13:45

ზურა: როგორ ხარ, ნატალი? არ მეგონა, თუ შუადღისას აქ იქნებოდი.

პანდორა: კარგად ვარ, გუშინდელი ღამით აღფრთოვანებული.

ზურა: მართლაც კარგი იყო, არა? დიდი ხანია, ახალგაზრდობა არ გამისხენებია.

პანდორა: ახალგაზრდობაში დადიოდი ხოლმე არაგვზე?

ზურა: ჰო, დავდიოდით სტუდენტობის დროს და ქალები მიგყავდა ხოლმე.

პანდორა: იცოდე, შემომაკვდები!

ზურა: ნუ ბრაზდები, ეს ადრე იყო, ახალგაზრდობაში. ახლა შენ მიყვარხარ.

პანდორა: თვალითაქცი ხარ და გველივით ჭრელი.

ზურა: მერე, შენ იკითხე, რომ ასეთი კაცი შეგიყვარდა, თორემ მე ანგელოზივით ქალი მიყვარს და სანერვიულოც არაფერი მაქვს.

პანდორა: გამოუსწორებელი ხარ.

ზურა: დღეს თურქეთიდან დამირეკეს. შესაძლოა, რამდენიმე დღით ანტალიაში წავიდე, ოჯახთან.

პანდორა: კარგს იზამ, დაისვენებ მაინც. სამსახური გიშვებს?

ზურა: ხომ მაქვს უფლება, რომ შვებულება ავიღო?

პანდორა: მაგრამ როგორც მახსოვს, ამბობდი, რომ იმ შვებულებით ამ ზაფხულს ვერ ისარგებლებდი.

ზურა: ახლა საქმეები მოვაგვარე და 3-4 დღით წავალ. შენც ხომ არ წამოხვიდოდი?

პანდორა: გაგიჟდი? სად წამოვალ? იქ ხომ ცოლ-შვილი გელოდება? რას ეტყვი ჩემზე, ვინ არისო?

ზურა: ცოლი არა, შვილი მელოდება. თანაც, სულაც არ არის აუცილებელი, რომ შენი თავი მათ წარუდგინო. ცალკე, სულ სხვა სასტუმროში დაგიკირავენ ოთახს და იქ იქნები. დღის განმავლობაში შეხვედრას მოვახერხებთ. შენ თუ მონინდომებ, ღამითაც განახავ.

პანდორა: არა, არა, მაგაზე არც იოცნებო. ეს იქნება ყველაზე საშინელი საქციელი ჩემს ცხოვრებაში და საკუთარ თავს ამის უფლებას არ მიცემ. უჩემოდ წადი. იმის შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი გავიცანით, ფაქტობრივად, ოჯახთან ერთად აღარ ყოფილხარ. წადი, კარგად ანონ-დაწონე ყველაფერი, იქნებ მოგიბრუნდეს ცოლ-შვილზე გული. მოსაფიქრებელი დროც გექნება და რომ წამოხვალ, მერე გადაეწყვიტოთ ჩვენი ურთიერთობა.

ზურა: რალაც სხვანაირად ჭიკჭიკებ და ეგ ამბავი არ მომწონს. შენ გგონია, რომ ჩვენი ურთიერთობა გადაწყვეტილი არ არის? პატარა ბავშვი ხომ არ ვარ, რომ ვერ ვარკვევდე, რა მინდა და რატომ მინდა? მე შენ მიყვარხარ და ჩემი თურქეთში გამგზავრება არაფერს შეცვლის. უბრალოდ, რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ განახავ. ტელეფონი როუმინგში მექნება ჩართული და როცა მინდა, მაშინ დაგირეკავ. ოღონდ, ამისთვის

საჭიროა, რომ შენც ჩართო ტელეფონი. იქ ინტერნეტის საშუალებაც იქნება და აუცილებლად დაგელაპარაკები. გოგო, გაიგე, რომ მიყვარხარ.

პანდორა: გასაგებია. რომ წამოხვალ, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

ზურა: თუ გინდა, არ წავალ.

პანდორა: მინდა, რომ წახვიდე. მე ადრეც გითხარი, რომ ჩვენი ურთიერთობის გადასარჩენად, შესაძლოა, ყველაზე კარგი გზა დაშორება იყოს. ახლა კი უნდა წავიდე, რადგან ჩემი და მელოდება.

ზურა: კარგი, წადი. საღამოს განვადრძოთ ლაპარაკი, მაგრამ განშორებაზე ნურაფერს ამბობ. თუმცა, საყვარელი ადამიანის გამო ეგოიზმი უნდა დასძლიო და მისცე ის, რაც მას უნდა.

23:45

სონა: გამარჯობა, ნატალი.

პანდორა: გაგიმარჯოს, საყვარელო. როგორ ხარ?

სონა: კარგად. ნაწერიტაც კი იგრძნობა, რომ ხასიათზე ვერა ხარ. ისევ მოხდა რამე?

პანდორა: განსაკუთრებული არაფერი. გუშინ ზურა შუადღისას შემეხმინა და სასერიტოდ დამპატიყა.

სონა: მერე?

პანდორა: მერე ის, რომ არაგვზე ვიყავით, ზედ მდინარის პირზე. არასდროს ვყოფილვარ იქ. ერთი უკაცრიელი ადგილი იყო. შესაძლოა, იმიტომ ჩანდა უკაცრიელი, რომ უკვე გვიანი იყო. მანქანა ლამის პირდაპირ წყალში შეიყვანა. ფეხზე გვიხადა და წყალში შევედი. ისეთი თბილი და სასიამოვნო იყო, რომ გამოსვლა აღარ მინდოდა, მაგრამ ხავსიან ქვეზე ფეხი მიცურავდა და შემეშინდა, არ ჩავვარდნილიყავი. ჯერ რესტორანში შეპატიყებოდა, მაგრამ მდინარეზე წასვლა ვარჩიე. გზაში კონიაკი, შოკოლადი, მინერალური წყალი და რალაცები იყიდა. მანქანის „კაპოტზე“ სახელდახელო სუფრა გაანყო. პლასტმასის ჭიქებით, ზომეუბივით ვსვამდით თავს, როგორც არასდროს. ზემოდან მთვარე დაგვანათოდა, ერთ მხარეს განათებული სვეტიცხოველი მოჩანდა, მეორე მხარეს — მცხეთის ციხე. სადღეგრძელოებს ვამბობდით, ერთმანეთს სიყვარულს ვეფიცებოდით, მეუბნებოდა: ჩვენ ვერავინ და ვერაფერი დაგვაშორებს ერთმანეთს, ჩემი „სვეტსკი“ გოგო ხარო. ხელს მხვევდა, გულში მიკრავდა, მიკოცნიდა თვალებს, ცხვირს, ლოყებს, ყველაფერს, რაც კი მის ტუჩს მოხვდებოდა. მართლაც ძალიან ბედნიერი ვიყავი, რადგან ვგრძნობდი, რომ გულწრფელი იყო და მისაროდა, რომ ამას სწორედ იმ ადამიანისგან ვისმენდი, ვინც თავადაც უზომოდ მიყვარდა. იქიდან ლამის გამთენიისას წამოვედით.

სონა: მერე, რა მოხდა?

პანდორა: მერე, არაფერი. დღეს შუადღისას ველაპარაკე და მითხრა, რომ რამდენიმე დღით თურქეთში მიდიხ, ცოლ-შვილთან.

სონა: იმიტომ ხარ მგლოვიარე?

პანდორა: ჰო...

სონა: კი, მაგრამ უფლება არა აქვს, რომ წავიდე და დაისვენო?

პანდორა: როგორ არა, მეც ვუთხარი: კარგს იზამ, თუ წახვალ-მეთქი, მაგრამ ამის დაწერა რის ფასად დამიჯდა, ვინ იცის.

სონა: კი, მაგრამ რა პრეტენზია გაქვს?

პანდორა: მთელი ზაფხული იმას ამბობდა, ვერსად წავალ, დრო არ მაქვსო. აღმოჩნდა, რომ თურმე, სამსახურის რამდენიმე დღით დატოვება შესაძლებელია. მეც შემოთავაზა, რომ გავყვე, მაგრამ არ წავალ.

სონა: რატომ?

პანდორა: იმიტომ, რომ ჩემი წასვლა არ შეიძლება. შევთავაზე, რომ ვიდრე იქ იქნება, ყველაფერი კარგად მოიფიქროს და მერე გადაწყვიტოს, რა უნდა ჩემგან.

სონა: ისევ გავსხენე ადრინდელი წინადადება იმის შესახებ, რომ იქნებ, ჩვენი დაშორება სჯობდეს.

სონა: მერე, რა გითხრა?

პანდორა: ორზაროვანი პასუხი გამეცა. სიმართლე გითხრა, ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა. სიტყვასიტყვით გეტყვი: „საყვარელი ადამიანის გამო ეგოიზმი უნდა დაძლიო და მისცე ის, რაც მას უნდა“.

სონა: დავიწყეთ იმით, რომ როგორც ჩანს, შენ უზომოდ იეჭვიანე და იმას აღარ ფიქრობ, რომ მას სხვა მოვალეობებიც აკისრია — ოჯახის, მშობლების, მეგობრების, თანამშრომლებისა თუ სხვათა წინაშე. ის ვალდებულია, მიხედოს თავის ოჯახს.

პანდორა: მე თავს დამცირებულად ვგრძნობ.

სონა: ნატალი, შენ ამას ან უნდა შეეჩვიო, ან უნდა დაივიწყო ეგ ადამიანი და შენი ცხოვრება განაგრძო — სხვა გამოსავალი არა გაქვს. მაპატიე, რომ ასე პირდაპირ გეუბნები, მაგრამ სხვა ამას არასდროს გეტყვის. რაც შეეხება მის ნათქვამს, როგორც ჩანს, ის გულისხმობს, რომ თუ მის საყვარელ ადამიანს მასთან განშორება უნდა, ის გაიღებს მსხვერპლს და მის სურვილს დათანხმდება.

პანდორა: მეც ასე ვიფიქრე.

სონა: ჰოდა, თუ ის ადამიანი შენთვის ძვირფასია, უნდა შეეგუო ყველაფერს და მიიღო ის ისეთი, როგორც არის. ვგრძნობ, რომ მას უყვარხარ, მაგრამ ის ოჯახს სჭირდება.

პანდორა: მეც მჭირდება.

სონა: თუ მიხვდები, რომ შენ მისთვის მესახარისხოვანი ხარ, მაშინ შეგიძლია მნა აიმალო და შენი პრეტენზიებიც წამოაყენო. ახლა კი ხვდები, რომ არასწორი იქნებოდა შენი მხრიდან საყვედურის თქმა და იმიტომაც მოთოვე თავი, არ დანახვე შენი ეჭვი, განცდა და წყრომა.

პანდორა: ასეა, ნამდვილად.

სონა: ჰოდა, ამოიგდე თავიდან უსაფუძვლო პრეტენზიები და მიჰყვი ცხოვრებას. ის რამდენიმე დღეში დაბრუნდება და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება.

პანდორა: ცოტა დამაშვიდე. კარგი გოგო ხარ.

სონა: შენ ვერ გაიზარდე...

პანდორა: ვინ მეუბნება ამას? შენ? გადავირევი ახლა...

სონა:))) მართალია, შენ ყოველთვის ჩემზე ჭკვიანი, განონასწორებული იყავი და რჩევას მუდამ შენ გეკითხებოდი, მაგრამ ახლა შეყვარებული ხარ და შეყვარებული ადამიანი გონიერი ვერ იქნება. ამი-

ტომ, თავს უფლება მივეცი და ცოტა ჭკუა დაგარიგე.

პანდორა: კარგი, წავედი ახლა. ზურა მელიოდება, მაგრამ მასთან ლაპარაკის თავი არა მაქვს. დავწვები და დავიძინებ.

01: 23

პანდორა: საღამო მშვიდობისა.

ზურა: რალა საღამოა? ღამის 2 საათი დაიწყო. სონას ელაპარაკებოდი, ხომ?

პანდორა: კი. იცი, სონა ფეხმძიმედ არის. ზურა: მიუღოცე ჩემ მაგივრად.

პანდორა: ჩემი მისამართისა და ასავალ-დასავალის გაგება რომ გინდა, მაშინ შუამავალი არ გჭირდება — ურეკავ და ეკითხები. მილოცვა კი მე უნდა დამაბარო?

ზურა: უცხოეთში მიღებულია, როცა ქალი დაფეხმძიმდება, ყველა ულოცავს და შესაძლოა, ამის აღსანიშნავად ლხინიც კი გამართონ, მაგრამ საქართველოში ჯერ არ დანერგილა ეგ წესი და მგონი, უხერხული იქნება, რომ დავურეკო და ვუთხრა: გამარჯობა, სონა, ზურა ვარ. გავიგე, ორსულად ყოფილხარ და გილოცავ-მეთქი.

პანდორა: ჰო, ალბათ სწორი ხარ.

ზურა: ალბათ კი არა, ნამდვილად ასეა. ახლა ის მითხარი, ხომ არ მოიფიქრე ნამოსვლა?

პანდორა: არა, ზურა, მაგაზე არც მიფიქრია. შენ წადი და მალე ჩამოდი.

ზურა: როგორ მიყვარს, როცა სახელით მომმართავ. სად წავიდა ის აგრესია? ეგ ნამდვილად სონას გავლენაა. ნატალი, ვიცი, რომ ეჭვიანობ. დაწყნარდი და ისე გააანალიზე ყველაფერი. რადგან იქ ნამოსვლა არ გინდა, მაშ, რომ დავბრუნდები, მერე მე და შენ წავიდეთ სადმე. სანამ თურქეთში ვიქნები, როცა გაგიხარდება, მაშინ დამიმესიჯე. ნუ შეგაშფოთებს ის აზრი, რომ ცოლი იქ მყოფობს და ამიტომ დამესიჯება არ შეიძლება. გამიგე, პატარავ?

პანდორა: კარგი, გავიგე. ახლა კი უნდა დავიძინო. კარგად.

ზურა: ეს რა წესი გაქვს — უცებ დამშვიდობება და გაქრობა? სიტყვა პირში შემაცივდება ხოლმე. კარგად. ტუბილ ძილს გისურვებ. ისიც არ მკითხე, როდის მივდივარ. დილით, ადრე უნდა წავიდე. კარგად, ჩემო ბრატყო.

15 სექტემბერი, ხუთშაბათი 17:00

პანდორა: გამარჯობა, ჩემო სიხარულო... დღეს ხუთშაბათია და შენ თურქეთში წახვედი. ახლა უკვე ექვსი საათი დაიწყო და შენგან არაფერი ისმის... მე კი მენატრები და თავს საშინლად ვგრძნობ, რადგან უშენოდ დავრჩი და ერთი სიტყვითაც კი არ გამიხსენე. თუნდაც მანამდე, სანამ ადგილამდე ჩასვიდოდი... სულ ერთი სიტყვა და ერთი ნუთით მინდოდა შენთან ლაპარაკი... რას იზამ, ასეთია ჩემი ხვედარი... ახლა კი მგონია, რომ შენ გელაპარაკები და მონატრებას ვიკლავ... გესაუბრები, მაგრამ არ გესმის... ალბათ, არც გული გიგრძნობს რამეს... დღევანდელმა დღემ შენზე ფიქრში ჩაიარა. ტელეფონი მთელი დღე ჩართული მაქვს და ყველა მესიჯის მოსვლას სიხარულით ვხ-

ვდები, მაგრამ უფრო მეტი იმედაცრუება მხვდება... მე ხომ მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე... ნუთუ, შენ არ გაგახსენდი, ერთხელ მაინც? გკოცნი შორიდან...

00:35

პანდორა: საღამო მშვიდობისა, ჩემო სიხარულო... ახლა ღამის პირველი საათია... დღეს არ გაგახსენებია. ვწუხვარ, რომ ასე ხდება. უზომოდ კმაყოფილს, ალბათ, არც გაგახსენდები. ხვალ საღამომდე დავიციდი და თუ კიდევ არაფერს ილონებ საიმისოდ, რომ მე ცოტა გულზე მომეშვას, მესიჯს გამოგიგზავნი, როგორც შეგპირდი. ჯოჯოხეთში ვარ და თავს უზომოდ ცუდად ვგრძნობ... ხვალამდე, ჩემო სიხარულო... გკოცნი და ძილი ნებისა...

16 სექტემბერი, პარასკევი 10:54

პანდორა: დილა მშვიდობისა, ჩემო ფუსუსუნა! ეს სახელი შენთვის მოვიგონე და ამის შემდეგ, ასე დავიძახებ. როგორ ხარ, სიხარულო? ალბათ, ისევ გძინავს... მე კი ისე მენატრები... წუხელ თითქმის არ მეძინა. ერთი მესიჯი... რა იქნება, მხოლოდ ერთი მესიჯი! გთხოვ, გთხოვ! ღმერთო, შთააგონე, რომ თუნდაც ერთი სიტყვა მომწეროს! დღეს ტანჯვის მეორე დღე დაიწყო... არადა, სულ იოლად შეგიძლია, ამ ჯოჯოხეთიდან თავი დამაღწევირო... ისევ ველი შენგან გულმონყალებას... საღამოს მე შეგეხმთანები, თუ შენ არ გამოჩნდები. გკოცნი.

14:36

პანდორა: ახლა სამი საათი დაიწყო... შუადღეა... არ ცხელა, მაგრამ ტვინი მიდუღს. ზურიკო, სულ 7 საათი გაქვს, დრო... თუ არ მომწერ, მე აუცილებლად დავიმესიჯებ... ვიცი, ამას შენ ვერ წავიკითხავ, მაგრამ იქნებ, შთაგაგონო? ზუსტად 9 საათზე მესიჯს გამოგიგზავნი ან დამირეკავ, თუ არა და, გადაწყვეტილი მაქვს, რომ დიდი სისულელე ჩავიძინო.

20:24

პანდორა: ჩემო სიხარულო, სულ რაღაც ნახევარი საათი დარჩა... მიდი, დაამესიჯე ან დარეკე, ნუ დუმხარ... გესმის? ზურიკო, გთხოვ, არ მინდა, რომ ცუდად მოვიქცე. დაამესიჯე, გთხოვ... :)))))) აი, შენც დარეკე! გაგიმართლა, შე სულელო... მიყვარხარ უზომოდ... ხვალ თუ კიდევ არ დამირეკავ, იცოდე, რომ ზუსტად იგივე სიტუაციაში აღმოჩნდები...

23:59

პანდორა: ღამე მშვიდობისა, ჩემო სიხარულო. შენმა ზარმა სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა. ცოტა გელაპარაკე, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სიცოცხლე მაჩუქე. ნუთუ, ასე ძნელია, გამახარო?

17 სექტემბერი, შაბათი 12:43

პანდორა: შუადღე მშვიდობისა, სიხარულო... როგორ ხარ? იმედა, გახსოვარ და არ დაგავიწყდი... როგორ ჩაიარა გუშინდელმა დღემ? დღეს უფრო მეტად

მენატრები, ვიდრე გუშინ... თუმცა, გუშინ ფეიქრობდი, რომ იმაზე მეტად აღარ შეიძლებოდა მონატრება... გკოცნი და გესუტუნე.

22:38

პანდორა: ზურიკო, მიყვარხარ, ჩემო სიხარულო... დღეს საერთოდ არ გაგახსენებია... ისე, მეც მაგრად ვუბერავ, არა? კაცი ცოლ-შვილში ხარ და მე კიდევ, ტვინს „გიბურღავ“ — არ გახსოვარ-მეთქი... რატომ უნდა გახსოვდე, რომ? უბრალოდ, მე მინდა, რომ მესიჯს, თორემ ვალდებული არ ხარ... არ გამოიბრაზდე, თუ გასაყვედურობ, ჩემო კარგო... მენატრები და იმიტომ მინდა შენი ხმის გაგონება და მესიჯის მოსვლა... რა ძნელია, მთელი დღის განმავლობაში ლოდინი... და როცა ეს ღამის მთელი კვირა გრძელდება... არ უნდა გამეყო „მარში“ თავი, რა მშვიდად ვცხოვრობდი! კარგი, წავედი... აქ რომ გწერ, ასე მგონია, რომ შენ კელაპარაკები და მონატრებას ვიკლავ... კარგად! მახსოვხარ, მიყვარხარ და გელოდები... მაშინ მაინც გამიხსენე, როცა ჩამოხვალ... ან როცა ამ სიტყვებს წაიკითხავ... ან წაიკითხავ, კიიი? გკოცნი, სიყვარულო... კარგად! ხვალ თუ მოდიხარ, კეთილ მგზავრობას გისურვებ...

18 სექტემბერი, კვირა 08:22

პანდორა: შენი საქციელი უკვე ყველანაირ ზღვარს გასცდა... ეს უკვე უნამუსობაა... წუხელ მთელი ღამე ვერ დავიძინე... ამ მესიჯს დილაუთენია გწერ... კარგი, რა, ზურა! დამიკიდე და ეგ არის... გმადლობ... მე უკვე იმის იმედიც აღარ მაქვს, რომ ჩამოხვალ და მაშინ მაინც შემეხმთანები... აქაც აღარ მომწერ... უკვე ძალიან მწყდება გული... როგორც შენ გინდა... თუ ასე გირჩევია, ასე იყოს... კეთილ მგზავრობა და კარგად...

19 სექტემბერი, ორშაბათი 10:13

პანდორა: ჩემო სიხარულოოოოოო, რა ბედნიერი ვიყავი წუხელ, შენი მესიჯი რომ მოვიდა... ღმერთო, შენ ჩემი მკვდრეთით აღდგენა შეგიძლია... უცებ მაბრუნებ, სიცოცხლისკენ... ჩემი ოცნება ხარ, ჩემი სიხარული და სიყვარული... ჩემი სიცოცხლის ელექსირი... დილით, შენ რომ მესიჯები გამოგიგზავნია, მე მეძინა, გვიან ვნახე და აღარ დავიმესიჯე... მიყვარხარ, ჩემო ფუსუსუნა... იმის წარმოდგენაზეც კი ცუდად ვხდები, რომ უნდა გნახო. შენს ხელებს ვგრძნობ ჩემს სხეულზე... ტუჩებს, სითბოს... საიდან მოხვედი, რა გინდოდა, რატომ დამირღვიე მშვიდი ცხოვრება? ვერ გიტან, ვერა! სიხარულოოოოოოოო...

23:44

ზურა: ღამე მშვიდობისა, ჩემო სიხარულო. იცი, დღეს რა ცუდად მოვიქეცი? ახლა დავეგდები და დავიძინებ. შენი კოცნის ღირსი არა ვარ. დილით მოგიყვები ყველაფერს. კარგად!

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მეულესთან ერთად

ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი მოყვარე და მტერი გაიჩინა. ისეც მოხდა, რომ მოყვარე მტრად ექცა და მტერი — მოყვარედ... ჩვენ კი საუბარი მის მეულესთან, ქალბატონ ინგასთან გადავწყვიტეთ.

ლევან ბარქანიანი 53 წლის გახდა

„დედით რომანტიკოსი“ და „მამით პრაგმატიკოსი“ კარლამენტარი საოჯახო ინტერიერში

ნათია ქარუშია

— როგორც ვიცი, მეუღლის დაბადების დღე სახლში გადაინადეთ. ალბათ ძალიან დაიღალეთ, არა?

— დიახ, ბევრი სტუმარი გვყავდა. სუფრის გამზადებამ, ცხადია, მე მომიწია.

— როგორ იმხიარულეთ?

— ყველამ კარგად იხალისა, თუმცა, პოლიტიკოსთა წრეში მხიარულება, ცოტა არ იყოს, რთულია. ისინი ძირითადად პოლიტიკაზე ლაპარაკობენ.

— ბატონმა ლევანმა არ იმღერა?

— სიმღერა უყვარს, თუმცა ამჯერად არ უმღერია. ცეკვითაც არ უცეკვია. ისე ცეკვა ცუდად გამოდის, მიუხედავად იმისა, რომ უყვარს.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ სწორედ მუსიკამ დაგაახლოვათ.

— ეს დიდი ხნის წინ იყო. ლევანი ისეთი ბავშვი იყო, ყველაფრის სწავლა უნდოდა. თან ყველაფერს ადვილად ითვისებდა. მოკლედ, ერთხელაც მოუნდა, სალამურზე დაკვრა ესწავლა და ისწავლა. მერე მეც გამოჩნდა სურვილი და მეც მასწავლა...

— სალამურზე ახლაც ხომ არ უკრავს ხოლმე?

— არა. ეს მისი ერთჯერადი გატაცება იყო. სალამურის შემდეგ, ლევანმა ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლა მოინდომა. თუმცა, როგორც ბიჭების 99%-ს მოსდის, ამ საქმეს დიდი ხალისით არ მოეკიდა, ხან ვითომდა ხელს იტყვივებდა, ხან სხვა მიზეზს იგონებდა. ძალიან მოსწონდა ბეთჰოვენის მე-8 სონატის მე-3 ნაწილი. მე მუსიკის მასწავლებელიც გახლავართ და მთხოვა, მესწავლებინა. საკმაოდ დიდხანს ვიმუშავეთ, დაახლოებით ორი კვირა ვმეცადინეობდით. ვერ გეტყვით, რომ პროფესიონალურ დონეზე

უკრავს, მაგრამ მოყვარულის დონეზე, საკმაოდ კარგადაც გამოსდის.

— დაბადების დღეზე რა საჩუქრები მიიღო?

— ძალიან ბევრი სუნამო მიიღო. ხუმრობდა — მთელი წელი არ დამჭირდება სუნამოს ყიდვაო.

— როგორი საჩუქრები უყვარს?

— სიამოვნებს, როდესაც ისეთ რამეს უძღვნიან, რაც პირადად მისი იქნება. დიდად არ უყვარს, როდესაც რამე საოჯახო ნივთს აჩუქებენ.

— თავად რა საჩუქრებს გიძღვნი ხოლმე?

— სუნამოს და ყვავილებს.

— რამდენად რომანტიკული პიროვნებაა?

— მას ძალიან რომანტიკული დედა ჰყავდა და რომანტიკულობა მისგან გამოჰყვა. ის ჩემი მასწავლებელი და ძალიან პოეტური სულის ქალი იყო. პრაგმატულობა კი, მამამისისგან აქვს მიღებული.

— სიყვარული რომანტიკულად აგისწნათ თუ „პრაგმატულად“?

— „პრაგმატულად“. მითხრა — მიყვარხარო და — მორჩა!

— რით მოგნიბლათ?

— ის ძალიან სამართლიანია, ამასთან ერთად პრინციპული, ვაჟკაცური და პატიოსანი.

— რა არ მოწონდათ მასში?

— არ მომწონდა მისი სიმსუქნე. ბევრს ვუჩიჩინებდი რომ გამხდარიყო, მაგრამ — უშედეგოდ, გადანყვეტილება სანამ თვითონ არ მიიღო. საერთოდ, ძალიან რთულია მასზე ზემოქმედება, ფუჭი შრომაა. თავად უნდა გაუჩნდეს

რამის გაკეთების სურვილი, თორემ, ვერავინ ვერაფერს აიძულებს.

— თუ კამათობთ ხოლმე და ძირითადად, რის გამო?

— ჩვენ „იდუური ძმები“, თანამოაზრეები ვართ. ამიტომ, პრინციპულ საკითხებზე არ ვკამათობთ. შეიძლება, ჩვენი აზრები არ დაემთხვეს ფილმებთან, მსახიობებთან დაკავშირებით. მაგალითად, მას ალენ დელონზე მეტად, ალ პაჩინო მოსწონდა, არ მოსწონს მონიკა ბელუჩი. როგორ შეიძლება არ მოგწონდეს მონიკა ბელუჩი?! არ მომწონს და რა ვქნაო?!. ეს არის ჩვენი კამათის საფუძველი.

— კარგი მეოჯახეა? სახლში მამაკაცის საქმეს თუ აკეთებს?

— ხელსაწყობის შეკეთება კარგად გამოსდის, არასოდეს დაგვჭირვებია ხელოსნის მოყვანა. სადურგლო და საზენიკლო საქმე არ ეხერხება. ისე არც დაგვჭირვებია; შესაძლოა, თუ საჭირო გახდება, ესეც მოახერხოს. საერთოდ, მგონია, რომ ყველაფერი ეხერხება.

— სამზარეულოში ფუსფუსიც?

— ძალიან უნდა, რომ სამზარეულოში დამეხმაროს, მაგრამ საპირისპირო გამოდის ხოლმე, — ხელს მიშლის: ვერ ვიტან, როდესაც ჩემს კომპუტერში იჭრებიან. მას კი ძალიან უყვარს ჩაძიება — ეს როგორ კეთდება, რა ინგრედიენტები და რამდენი უნდა?.. საერთოდ, დაკვირვებული ვარ, დიეტაზე მყოფ ადამიანებს ძალიან აინტერესებთ, როგორ მზადდება ესა თუ ის საკვები, რომელიც მათ არ ეჭმევათ... ერთხელ დედაჩემთან ვიყავით სტუმრად. მამის ბები-აჩემიც ცოცხალი იყო. მეზობელი შემოვიდა და მკითხა — „იდეალს“ როგორ აკეთებთ? პასუხი ლევანმა გასცა. დაწვრილებით ჩამოუთვალა, რა რამდენი სჭირდებოდა. ბები-აჩემი გაგოჟდა. ძალიან კონსერვატიული შეხედულებების ქალი ვახლადით, მისთვის წარმოუდგენელი იყო კაცი სამზარეულოში, მით უმეტეს — ნამცხვრის ცხობისას. ვფიქრობ, ბები-აჩემის თვალში ლევანის „აქციები“ იმ დღეს საგრძნობლად დაეცა.

— როდესაც დიეტაზეა, თქვენ კი გემრიელ კერძს ამზადებთ, მამის რა ხდება ოჯახში?

— ლევანს ძალიან დიდი ნებისყოფა



ძალიან უნდა, რომ სამზარეულოში დამეხმაროს, მაგრამ საპირისპირო გამოდის ხოლმე, — ხელს მიშლის

აქვს. რაც არ უნდა გემრიელი კერძი მოვაშობადო, თვალი არ გაურბის. მე არ ვერვინი მის დიეტურ რაციონში და არ ვიჭრები მის კომპეტენციაში.

— თავის დაბადების დღეზე დიეტაზე ხომ არ იყო?

— არა. მასპინძლის დიეტაზე ყოფნა ქართულ სუფრას ნამდვილად არ ეკადრება...

— როგორი მამაა და თუ ერევა შვილის აღზრდაში?

— თავიდან ბოლომდე ჩართულია, ყველაფერი აინტერესებს. ყველაფერს უყვება. ამ მხრივ ორივე ვაჭტიურობთ. თუმცა, არასოდეს ჩავრეულვართ გაკვეთილების მომზადების პროცესში. მასსოვს, პირველი საშინაო დავალება რომ უნდა შეესრულებინა, ვუთხარით — მეორე ოთახში გასულიყო და დამოუკიდებლად გაერთმია თავი. მართალია, 5-იანზე ვერ შეასრულა, მაგრამ მას არასოდეს დასჭირვებია მეცადინეობისას მშობლის გვერდით ჯდომა. დამოუკიდებლად მეცადინებდა. ჩვენ მას ვენდობოდით. როგორც ამბობენ — *Доверяй, но проверяй* — ამიტომ, მოულოდნელი რევიზიებს ვუწყობდით და ვამონშებდით ხოლმე... როდესაც ჩვენი შვილი უნივერსიტეტში ჩასაბარებლად ემზადებოდა, მაშინ ლევანი რეპეტიტორობდა. იმ პერიოდში, მიმღებ კომისიაშიც იყო და სახლში ძალიან გვიან მოდიოდა. გამოცდების დროც მოახლოვდა და ლევანი ერთხელაც სახლში ღამის 3 საათზე მოვიდა. მეორე დღით, 8 საათზე კი ჩვენს შვილს გამოცდა ჰქონდა. მითხრა, თუ შეამონშეო? ვუთხარი, რომ შევამონშე. — მე უნდა შევამონშეოო. დაძინებული ბავშვი გააღვიძა. მთელი პროგრამა გამოჰკითხა. აღმოჩნდა, რომ ერთი ლექსი არ იცოდა ზეპირად და ერთი პატარა ნაწარმოები არ ჰქონდა წაკითხული. ეს იყო რაღაც საშინელება. აღმოვითხარე: შენ ასე აპირებდი გამოცდაზე გასვლას, სადაც მე ვარ მიმღებ კომისიაში?! ეს რომ შეგხვედროდა, რას აპირებდი, ხომ თავის მოჭრა იქნებოდაო! დაისვა ბავშვი და ახწავლა. 7 საათზე საშუალება მისცა, ნახევარი საათი დაეძინა.

— ვინ ზრუნავს ბატონი ლევანის ჩაცმულობაზე?

— მე. ის პრეტენზიული არ არის, თუმცა არ უყვარს გარკვეული ფერები. ვერ იტანს წითელს და არც უხდება. უყვარს ისეთი ტანსაცმელი, რომელშიც თავს კომფორტულად გრძნობს. შარვალში აუცილებლად თავისუფლად უნდა გრძნობდეს თავს. ძალიან უყვარს სპორტული ტანსაცმელი. სულაც არ არის აუცილებელი, სამოსი ვინმე ცნობილი დიზაინერის შეკერილი იყოს. ეს მას არ აინტერესებს, არც ჩვენი!

— რამდენად სპორტულად ცხოვრობთ?

— სამწუხაროდ, ოჯახში სპორტს არ მივდევთ. თუმცა, ამ ბოლო დროს ლევანმა აუზზე სიარულსა და ვარჯიშს მიჰყო ხელი. ცდილობს, მაგრამ მე ვერ ამიყოლია. სულ ვამბობ — აი, ორშაბათიდან, აი, პირველიდან დავიწყებ-მეთქი, მაგრამ ვერა და ვერ მოვახერხებ...

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საზოგადოების ნაწილს თეატრში სიარული მაინცდამაინც არ უყვარს, ნაწილს კი ამის დრო და საშუალება არა აქვს, რეჟისორები ახალ-ახალ სპექტაკლებს მაინც დგამენ და მას თავისი მაცურებელი ყოველთვის ჰყავს. ამას წინათ, რუსთაველის „თეატრალურ სარდაფში“ ახალი სპექტაკლი — „სიყვარულის თამაში“ ვიხილე, რომლის ფაბულაც თურქეთში წასული ქართველი მეძავეების ცხოვრებაზეა აგებული. მასში მთავარ როლს 23 წლის თბაქაძე აბაშიძე ასრულებს, რომელიც როგორც თვითონ ამბობს — იმწუთას (როლის შესრულებისას), მართლაც, მეძავე ქალი — ნინიკოა.



ქართველი ბრიყიტ ბარდოს მინიბლოკარკი,

სხულით ვაჭრობის ხელოვნება და გულწრფელი ცრემლები

ნათია ქივიძე

— თეატრალური ინსტიტუტის დრამისა და კინოსამსახიობო ფაკულტეტი (ბატონი გოგი ქავთარაძის სახელოსნო) დავამთავრე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ბატონმა გოგიმ დამირეკა და მითხრა, რომ „თეატრალურ სარდაფში“ სპექტაკლს დგამდა და მე მთავარი როლი უნდა მეთამაშა. ეს არის გურამ ბათიაშვილის პიესაზე დადგმული სპექტაკლი — „სიყვარულის თამაში“. ახლა ბატონი გოგი ახალ სპექტაკლზე იწყებს მუშაობას, რომელშიც ერთ-ერთ როლზე უკვე დამამტკიცეს, თუმცა, რა სპექტაკლია, ამას ჯერჯერობით არ გავამხელ.

— სხვა რეჟისორები შენით ჯერ არ დაინტერესებულან?

— როგორ არა. ვთამაშობდი ირაკლი გოგიას მიერ დადგმულ სპექტაკლში — „თეატრი — საოცარი სამყარო“, რომელიც ბათუმშიც გვექონდა ჩატანინი და სხვათა შორის, ის 2004 წლის საუკეთესო სპექტაკლად აღიარეს.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, იმავე წელს, შენ წლის საუკეთესო მსახიობადაც დაგასახელეს.

— მართალია. თბილისში ჩატარდა კინოსა და მუსიკის ფესტივალი, სადაც ჩემი კინოროლისთვის „წლის საუკეთესო მსახიობი ქალის“ ტიტული მომანიჭეს. ეს იყო მარიკა ქაცარავას ფილმი — „სხვა გზა“. ვმონაწილეობდი ასევე, ზაზა სვანაძის ფილმში „მოულოდნელი დღია“ და ა.შ.

— შენი აზრით, რა აუცილებელი თვისება უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ მსახიობი გახდეს?

— მსახიობს გამორჩეული ბუნებრივი და შინაგანი მონაცემები უნდა ჰქონდეს.

კარგია, როცა ამ ყველაფერს კარგი გარეგნობა და მეტყველებაც ერთვის თან. ბავშვებს, რომლებიც ახლა თეატრალურში აბარებენ, რატომღაც ჰგონიათ, რომ მსახიობი ცარიელი ფუტლარი უნდა იყოს, რომელიც სცენაზე დადგება და ვიღაცის დაწერილს დაიზეპირებს, მერე კი წაიკითხავს. ეს სისულელეა, რადგან მიმაჩნია, რომ მსახიობი ბევრს უნდა კითხულობდეს. ერთხელ ასეთ ფაქტს შევესწარა — ერთმა მსახიობმა მითხრა: იცი, გორკის „ალუბლის ბალი“ ვნახეო. ჩემი აზრით, ამ დონის ადამიანები თეატრალურში კი არ უნდა წნავლობდნენ, არამედ ისევე პირველ კლასში უნდა დასვან.

— შენ „სიყვარულის თამაშში“ მეძავის — ნინიკოს როლს ასრულებ, რომელიც თურქეთში საკუთარ სხულს ყიდის. შენი აზრით, რა დადებითი და უარყოფითი თვისებები აქვს მას?

— საერთოდ, დადებითი და უარყოფითი თვისებები ყველას აქვს. ჩემი პერსონაჟი, მისი 2 მეგობარი გოგონასგან განსხვავებით, რომლებიც ფულს ასეთ-სავე ხერხით მოულობენ, საკმაოდ ძლიერია. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე უბედურია, საკუთარ ტვივილს მეგობრებს თავზე არ ახვევს. ნინიკო ცუდი პიროვნება ნამდვილად არ არის. სპექტაკლში არის ასეთი ამაღლებული ეპიზოდი — ერთ-ერთი გოგონა ჰყვება: მას არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ როცა დედა ცუდად გაუხდა, ექიმისთვის ფული გადაეხადა — ამის მოსმენისას ნინიკო ტირის ანუ ის საოცრად მგრძობიარე ადამიანია. მას მთელი ცხოვრება ერთი კაცი უყვარდა, მაგრამ ალბათ, ეს თავისებური სიყვარულია, რადგან ვფიქრობ: როგორ

შეიძლება, რომ მეძავს ვინმე უყვარდეს... ნინიკო მეგობრებისთვის მდგომარეობის შემსუბუქებასაც ცდილობს. ის ხომ მათთან შედარებით, ასაკითაც უფროსი გახლავთ და „სტაჟიანი“ მეძავიცაა...

— **თუ გქონდა რაიმე ურთიერთობა რომელიმე მეძავთან იმისთვის, რომ გაგვეგო, როგორები არიან ისინი სინამდვილეში?**

— მეძავებთან არანაირი ურთიერთობა არა მაქვს. მათზე ისეთსავე ზოგად ინფორმაციას ვფლობ, როგორსაც ნებისმიერი ადამიანი. მიმაჩნია, რომ ეს არის საშინელი პროფესია და მეძავები რაც არ უნდა მხიარულები ჩანდნენ, თავიანთი პროფესიიდან გამომდინარე, ბედნიერები ვერ იქნებიან. იმ ქალსაც ვერასდროს გაუგებებ, რომელიც ამ გზას მატერიალური გაჭირვების გამო დაადგა. ჩემი გმირი ამბობს კიდევ ამას: თუ სისხლში არა გაქვს, ვერაფერს დაიწყებ და ახლა გაჭირვებაზე ლაპარაკი ზედმეტიაო.

— **სპექტაკლში რამდენჯერმე ტირი კიდევ რამდენად გულწრფელია შენი ცრემლები?**

— შეუძლებელია, ადამიანმა საკუთარ თავს ტირილი აიძულოს. ვტირი გულწრფელად, რადგან უდიდეს პრობლემად მიმაჩნია, როცა ახალგაზრდა გოგონები თურქეთში სხეულით ვაჭრობენ... ეს არის ნამდვილი ამბავი ნამდვილ ადამიანებზე და იმდენად ვარ როლში შეჭრილი, რომ იმწუთას, მართლა, ნინიკო ვარ.

— **ასეთი მიმე სპექტაკლის თამაშის შემდეგ, თავს როგორ გრძობს ხოლმე?**

— ყოველი თამაშის წინ მინდა, რომ ამ ადამიანში რაღაც ახალი (რაც მანამდე არ შემიმჩნევია) აღმოვაჩინო...

— **„თეატრალური სარდაფი“ იმდენად პატარაა, რომ მსახიობები მაცურებელს თვალებში უყურებთ. ასეთ პირობებში თამაში არ გიჭირს?**

— პირიქით, ეს ძალიან მომწონს, რადგან ყველა ჩემი ნაბიჯი, ცრემლი, ემოცია, რომელიც სახეზე მესატყუბა, ადვილი აღსაქმელია მაცურებლისთვის. ამიტომ, უფრო ადვილად შევდივარ მათ-

თან კონტაქტში...

— **სპექტაკლის დროს აღმოვაჩინე, რომ ხშირად იყენებ იმ ფრაზებს, რომლებიც ცხოვრებაში საუბრის დროსაც გახასიათებს.**

— (იციანის). მაქსიმალურად სცენარის მიხედვით ვთამაშობ, მაგრამ ზოგჯერ, ემოციები „მანვება“, თავს ვეღარ ვიკავებ და რაღაც რეპლიკებს წამოვიყვანი ხოლმე. რეჟისორი ყოველი სპექტაკლის შემდეგ მაფრთხილებს, რომ ასე აღარ უნდა მოვიქცე. არ ვიცი, ეს ამბავი ბოლოს რითი დამთავრდება.

— **ეს სპექტაკლი მუსიკალურად შენი გაფორმებულია. სხვა სპექტაკლებისთვისაც თუ დაგინერა მუსიკა?**

— მუსიკალური განათლება მაქვს — შეიძლება დავამთავრე და ნიჭიერთა კოლეჯიც. პირველად მუსიკა სადილო-მო სპექტაკლისთვის დავწერე. ეს იყო გორკის პიესა — „ფსკერზე“. მაშინ პირველად აღმოაჩინა ბატონმა გოგი ქავთარაძემ, რომ მუსიკას ვწერდი. მან ორი ტექსტი მომიტანა და მითხრა: მოდი, აბა, ორი თემა გააკეთე ამაზე, იქნებ, რამე გამოგივიდესო. მეც დავწერე და ორივემ მოწონება დაიმსახურა... ასევე, დავწერე მუსიკა სპექტაკლისთვის — „შთამომავლობა“. ჩემს სიმღერებს მღერიან ქეთი ახოზაძე და სხვა მომღერლები. ქეთიმ გასულ წელს გააკეთა პროექტი, რომელიც რამდენიმე გარდაცვლილ ადამიანს მიუძღვნა. ამ სიმღერის დაწერა სპონტანურად მოხდა. ქეთის ოჯახთან ვმეგობრობ და ერთხელ, მათთან სტუმრობის დროს შევიტყვე, რომ თავისი გარდაცვლილი დეიდაშვილისთვის (ლადო ცირეკიძე) სიმღერის მიძღვნა უნდოდა. მეც გარდაცვლილი მყავს ბიძაშვილი — სპორტსმენი, მიშოპო აბაშიძე და მათგან რომ წამოვედი, ჩვენი ტვივილი გავაერთიანე, ამით კი ისე დავიმუხტე, რომ სიმღერა დავწერე. მერე გადაწყვიტე, რომ მას ქეთი იმღერებდა და ამით ძალიან ბედნიერი ვარ.

— **როგორც ვიცი, შენც არაჩვეულებრივად კარგად მღერი. რატომ არ გინდა, რომ ქართულ შოუბიზნესში სცადო ბედი?**

— ჩემი აზრით, იმდენად კარგად არ ვმღერი, რომ სცენაზე დავდგე. ზოგიერთი უნამუსო ქართველი მომღერალივით არ ვიქცევი. თანაც, მიმაჩნია, რომ საქართველოში მომღერლობა დიდად მომგებიანი არ არის. ვიცი, მეტყვი — არც მსახიობობაა მომგებიანიო, მაგრამ მსახიობად დავიბადე და რა ვქნა.

— **როგორც ვიცი, ხატავ კიდევ, არა?**

— ვხატავ. მქონდა ისეთი პერიოდი, როცა ხატებს ვწერდი. მერე, ეს ხატები ჩემს მოძღვარს მივუტანე და მან დაიტოვა. მოგვიანებით, სხვა რა-

ღაცების ხატვა დავინწყე. სხვათა შორის, ჩემთვის ხატვაც და სიმღერაც განტვირთვის საუცხოო საშუალებაა. რამეზე რომ გავზრახდები, ვმღერი ხოლმე.

— **გარდა ამისა, ცხოველებიც ძალიან გიყვარს და ამასთან დაკავშირებით, საკმაოდ სერიოზული ნაბიჯიც გადადგია...**

— ფლორა და ფაუნა ჩემი სუსტი ნერტილია. შინ მყავს ძალი, სამი კატა — ერთ-ერთი მათგანი 17 წლის არის, მყავს უამრავი თევზი, ზაზუნა (მას ჩემი ესმის, როცა დავუძახებ, გამოშხვავებს ხოლმე); მყავდა მოლაპარაკე თუთიყუში, მაგრამ სამწუხაროდ, მომიკვდა. მერე, ახალი მოვიყვანე, რომელიც მალე ალაპარაკდება. ასევე მყავს იადონი, სხვა ჩიტებიც; კუც მყავდა, მაგრამ ეზოდან გამეპარა. მოკლედ, სახლში პატარა ზოოპარკი მაქვს. გარდა ამისა, მაქვს უამრავი ყვავილი. ჩემი ცხოველებისადმი სიყვარულის ნიადაგზე, ბრიყიტ ზარდოს (როგორც იცით, ის ცხოველთა დაცვის ფედერაციის საზოგადოებაში მოღვაწეობს და საოცრად უყვარს ცხოველები) გავუგზავნე წერილი და შევთავაზე, რომ ვიქნები მათი წარმომადგენელი საქართველოში. ჩემდა გასახარად, პასუხი უკვე მომივიდა. მომწერეს, რომ ჩემი წინადადებით ძალიან დაინტერესდნენ... იმდენად მიყვარს ცხოველები, რომ (რამდენადაც დაუჯერებელი არ უნდა იყოს) ჩანთით ყოველთვის დამაქვს ფუნთუშა ან ძხვის ნაჭერი და უპატრონო ცხოველებს ვაჭმევ ხოლმე. ზოოპარკში არ დავდივარ, რადგან გაძვალტყავებული ცხოველების დანახვა არ მსურს.

— **მოდი, ახლა შენს პირად ცხოვრებაზეც ვისაუბროთ.**

— არ გეწყინოს, მაგრამ პირად ცხოვრებაზე საუბარი არ მიყვარს.

— **მეყენდება ამისა, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, უკვე ვიცი, რომ ანრი ჯოსხაძის ძმას — ომარს უყვარხარ. ამ ინფორმაციას სიც დავეძინება, რომ შენ სპექტაკლზე მოსვლას, პირველ რიგში მჯდომი ომარი ვისილედ შევამჩნიე, როგორ გგულშემატკივრობდა. ამის შესახებ რას მეტყვი?**

— (იღიმება). რა უნდა გითხრა? დავეთანხმები იმაში, რომ ვუყვარვარ.

— **რაიმე სერიოზულს თუ გგამავთ?**

— ცოტა უფრო სერიოზული ადამიანები რომ გავხდებით, მაგას მერე გეტყვი.

— **ვიცი, რომ ანრისთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა გქონდა. რა შეგიძლია მითხრა ანრიზე, როგორც მომღერალზე?**

— ახალს ვერაფერს გეტყვი. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან ნიჭიერი ადამიანია.

— **დაბოლოს?**

— ბოლოს გეტყვი: ადამიანებო, იყავით ადამიანები, რადგან ცხოვრებაში ბუმერანგის სისტემა მოქმედებს და აუცილებლად უკან დაგიბრუნდებათ ის, რასაც გააკეთებთ...



როლიდან გამოსვლაც ძალიან მიჭირს და მერე, მთელი ის საღამო ცუდად ვარ

„ტაქსი-სი“ ლათინური სიტყვაა და ქართულად სინათლისკენ სწრაფვას ნიშნავს. „გადაცემა „ტაქსი-სი“ სინათლისკენ სწრაფვაა, სინათლე აქ ცოდნასთან არის გაიგივებული, — მითხრა საუბრის დასაწყისში გადაცემის მთავარმა გამომმა, **დათო ხურცილავამ**, იმავე ჯაპანამ. მან ტაქსის მძღოლობას თავი შესანიშნავად გაართვა და ამ საქმეში ბევრი საინტერესო დეტალიც აღმოაჩინა. ჯაპანას უფასოდ გადაჰყავს მგზავრები, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დასმულ, სხვადასხვა სირთულის კითხვებს, სწორ პასუხებს გასცემენ, ფულადი თანხითაც აჯილდოებს. მოგების მინიმალური თანხა 25 ლარია (საამისოდ 5 მარტივ კითხვას უნდა უპასუხო) და იზრდება მგზავრის ინტელექტის შესაბამისად. ინტელექტუალური გამოკითხვა თავად ჯაპანას ჩვენც ჩაფუტარეთ. თუ როგორ გაართვა თავი — ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

ჯაპანა „ჯახმელოსზე“ ჩქდავს ზმდილი, ვულისხმიერი და მოსიყვამლო მძღოლი...

თამუნა კვინიკაძე

— დათო, შენზე ამბობენ, ყველაზე ზრდილი, გულისხმიერი და მოსიყვარულე მძღოლიაო. მართალია?

— ნამდვილად ასეა. ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც ერთხელ მაინც, ჩემთან ერთად იმგზავრებს.

— როგორ მოხვდი ამ „გაუგებრობაში“?

— ასეთ „გაუგებრობაში“ დღეს ბევრი მსახიობია. შემომთავაზეს და მეც დავთანხმდი. იმ მსახიობებს, რომლებიც მხოლოდ თეატრსა და კინოში მუშაობენ, მატერიალურად ვერ აქვთ კარგად საქმე. გარდა იმისა, რომ ტელეკომპანიაში ეს პრობლემა ნაკლებად არის, ამ პროექტზე მუშაობა საინტერესოცაა, შოუმენობა სრულიად განსხვავებულია მსახიობობისგან, აბსოლუტურად სხვანაირი სამყაროა.

— ცნობილია, რომ იმავე ფორმატის გადაცემა უნდა გავიდეს „რუსთავის 2“-ის ეთერით. იქ შენი „კოლეგა“ ზვიად ბლიაძეა. რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ორ გადაცემას შორის?

— მე არ ვიცი, როგორია ის გადაცემა. აქედან გამომდინარე, შედარებას ვერ გავაკეთებ. მათ წარმატებას ვუსურვებ. ეს არის გადაცემა, რომელიც არსებობდა ინგლისში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, დანიაში არსებობდა „ეროტიკული ტაქსი“. შეიძლება გამოიძახო ქალი ან მამაკაცი. საქართველოში ჯერჯერობით ამის გაკეთებას არ აპირებენ. ან იქნებ აპირებენ და მე მიმალავენ? — არ ვიცი.

— კარგია ტაქსით სიარული?

— არა. რას ამბობთ, იმ საცობებში სიარული, რომელიც ქალაქშია, საშინელებაა. უკვე რამდენიმე გადაცემა ჩაენერეთ. პირველ დღეს, ცოტა გამიჭირდა, მაგრამ მეორე დღიდანვე ჩავდექი ფორმაში. ერთდროულად რამდენიმე ფუნქცია მაკისრია: მძღოლობა, მგზავრებთან ურთიერთობა, მანქანაში დამონტაჟებულ აპარატზე კითხვების და პასუხების ჩართვა-გამორთვა.

კამერასთან მუშაობა, არცთუ ისე იოლია, მაგრამ მგონი „ვეჯაჟ“. ვფიქრობ, „რაც გავა დრო და ხანი“, უფრო შეუყვარდებათ „ჩემი პატარა ტანი“.

— მგზავრები გცნობენ? როგორა მათი რეაქცია, როგორ გრძნობენ თავს ჯაპანას ტაქსიში?

— მგზავრთა უმეტესობა მცნობს და თავსაც შესანიშნავად გრძნობს. ისინი უფასოდ მგზავრობენ და თან ფულს იგებენ. ჩანერეილ გადაცემებში მოიგეს 25, 75 და 85 ლარი. მათ შეუძლიათ ისარგებლონ აბლობელთან ზარის უფლებით და პასუხი გადაამოწონ. ძალიან საინტერესო შეხვედრები მქონდა და იმედია, რომ წინ კიდევ უფრო საინტერესო ამბები მელის. კურიოზები ჯერ არ მქონია, თუ არ ჩავთვლით ერთ მამაკაცთან მგზავრობის შემთხვევას, რომელიც ვერაფრით გავაგებინე რაში იყო საქმე.

— დიდი ხანია, მანქანას მართავ? — 15-16 წლიდან.

— ავარულ სიტუაციებში მოხვედრილხარ?

— როგორ არა, მაგრამ არა ისეთ ავარიში, რომ რაიმე სერიოზული დაზიანება მიმეღოს. ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვა, რომ ნასვამ მდგომარეობაშიც არაერთხელ ვმჯდარვარ საჭესთან.

— პატრულის თანამშრომლები არ გაჩერებენ?

— ჩვენ მეგობრები ვართ. მთვრალი ძალიან ნელა ვმართავ საჭეს, ძალიან დაკვირვებული ვარ და წესებს არ ვარღვევ.

— დათო, ჩვენი სურვილია, ამჯერად შენ ჩაგიტაროთ ინტელექტუალური გამოკითხვა, წინააღმდეგის ხომ არ იქნები?

— მზად ვარ, ვუპასუხო დასმულ შეკითხვებს, იმედია, არ შევრცხვები. დაიწყე.

— „ეს საფლავი საკმარისი აღმორჩნდა მისთვის, ვისაც არ ჰყოფნოდა მთელი სამყარო“, — ვისი საფლავის ქვაზეა ასეთი ეპიტაფია?

— ალექსანდრე მაკედონელის.

— ყოჩაღ! შენ ისიც გეცოდინება, რომელი ქართველი მეფე მოკ



ლეს ეკლესიაში?

— (ფიქრობს) აი, ამას კი ვერ ვიხსენებ.

— აზოტ კურაბალატი. ვის უწოდებენ ფიზიკის მეფეს?

— აინშტაინს.

— შეცდი. ფიზიკის მეფეს მაიკლ ფარადეის უწოდებენ... თვალის ქმედებაც და ერთ-ერთი ტელეარხის საინფორმაციო გადაცემაც — რა არის?

— ეს არის... (ფიქრობს და კითხვის განმეორებას მიხვდა) ვაა!.. ვერ ვხვდები.

— დათო, ამ კითხვაზე პასუხის არცოდნა, ცოდვა არ არის, მაგრამ დაფიქრდი, შენ ეს უნდა ამოიციო (კვლავ ვუმეორებ შეკითხვას).

— მზერა (გაბრწყინებული თვალებით) ხედავ შენ, როგორ მახვევდი?

— ვინ იყო პეტრე II პეტრე I-ისთვის?

— შეილიშვილი.

— რამდენ ნომინაციაში გადაიცემა ენოკაადემიის ჯილდო „ოსკარო“?

— ძალიან ბევრ ნომინაციაში, როდენობა ზუსტად არ მახსოვს. დაახლოებით 17-დან 20-მდე იქნება.

— 23 ნომინაციაში. იმედია, ზუსტად ის მაინც გეცოდინება, რა ჰქვია სახელმწიფოს ძირითად კანონს?

— კონსტიტუცია.

— რა ჰქვია საცალფეხო გზას?

— ბილიკი.

— რომელ ქვეყანას ეძახიან ალბიონს?

— ევროპის ერთ-ერთ ქვეყანას, ზუსტად არ მახსოვს.

— ინგლისს.

— უჰ! ეგ ხომ ვიცოდი, რამ დამაინყა?

— რას ეძახიან პომენტაციის არმქონე ადამიანს?

— ალბინოსს.

— რას ნიშნავს გერმანულად კომპოზიტორი ბახის გვარი?

— რაიმეს ნიშნავს? არ ვიცი.

— ნაკადულს. ვინ არის ავტორი ქანდაკებისა „ქართველის დედა“?

- ამაშუკელი.
- რას ნიშნავს ბერძნული სიტყვა „დემოკრატია“?
- ხალხის აზრს.
- სწორი პასუხია „ხალხის ძალაუფლება“. ძველი დროის რომელ სახელგანთქმულ მხედართმთავარს ეკუთვნის სიტყვები: „ვეწ, ვიდი, ვიცი“?
- ალექსანდრე მაკედონელს... არა, არა, მაპატიეთ, იულიუს კეისარს.
- ვისი ნაწარმოებია „ვაზის ყვავილობა“?
- კონსტანტინე გამსახურდიასი.
- ვინ არის საქართველოს პიონის ტექსტის ავტორი?
- აკაკი წერეთელი.
- დაფიქრდი.
- არ გეგონოს, შეეცდი. წესით ასე უნდა იყოს. ისე, დათო მალრამეა.
- რა ერქვა გულიოანს „მარადისობის კანონში“?
- ტიგრანი.
- დაბოლოს, ვისი ლექსიდანაა: „ჩაწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია, ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი“?
- (ფიქრობს) გალაკტიონის... ამაზე დაფიქრება რად მინდოდა? აუ! რა „პახმელიაზე“ ვარ.
- როგორ შეაფასებ საკუთარ ინტელექტუალურ დონეს?
- ეს თქვენმა მკითხველმა შეაფასოს.
- და გაითვალისწინოს, რომ არა „პახმელია“...
- აუცილებლად.



ჯაპანამ სამგრედიდან გურიისკენ მიმავალ გზაზე, მეგობრებთან ერთად სოფელი ჯაპანა მონახულა



სყუილა ბაღაბანი

დაჯარგული მძღოლი და აბეზარი თაყვანისმცემელი ანუ „სექსუალური გადახრები მაქს-მეთი“...

მარი ჯაშარიძე

ტყუალი გახლავთ მსუბუქი ყოფაცვევის სიმართლე. ის ადამიანებისთვის ისევე აუცილებელია, როგორც წყალი და მზე. რამდენიმე სახეობის ტყუალი არსებობს. შენ მატყუებ მე, მე — შენ, ჩვენ — მათ, ისინი — ჩვენ, თქვენ — ყველას და თითოეული საკუთარ თავს. ყოვლისმცოდნე სოციალოგებმა კი დაადგინეს, რომ თურმე, თითოეული ადამიანი დღეში სულ ცოტა, 3 ტყუალს მიაჩნტ ამბობს, მაგრამ არავინ იცის, ვინ უფრო ტყუის — ის, ვინც იტყუება, თუ ის, ვინც იცის, რომ ატყუებენ, მაგრამ არ იმჩნევს და მატყუარას თავს უქნევს. საერთოდ, დიდი და აშკარა ტყუალის დაჯერება უფრო იოლია, ვიდრე სიმართლესთან მიახლოებულის. ბერნარდ შოუს აქვს ნათქვამი: „თუ ადამიანს ეტყვი, რომ ცაზე 26759471430964832 ვარსკვლავია, ის აუცილებლად დაიჯერებს, მაგრამ თუკი ეტყვი, რომ მერხი ახალი შეღებილია, აუცილებლად შეამონწმებს მას თითოთ“. ახლა კი პირველი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მოატყუა სამმა მეგობარმა პატრული და როგორ გადარჩენ ტყუალის წყალობით.

დაჯარგული მძღოლი

„გამარჯობა, მე ილია ვარ და მინდა,

ჩემი არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელი ამბავი მოგიყვებ. მე, და ჩემმა მეგობრებმა — ვახო და დათო გადავენყვიტეთ, გიორგობა ანუ 6 მაისი რესტორანში აღგვენიშნა. კარგად მოვილხინეთ და საკმაოდ შეზარბოშებულბმა მოვინდომეთ, სალამოს დარჩენილი ნაწილი მანდილოსანთა საზოგადოებაში გაგვეტარებინა. გამოვიძახეთ 2 გოგონა, ჩავსვით მანქანაში და მესამისკენ გავეშურეთ. უკან დათო და 2 გოგონა ისხდნენ. ვახო მძღოლი გახლდათ, მე კი მის გვერდით ვიჯექი. ვარკეთილში მივდიოდით. აეროპორტის ტრასაზე რომ გავედით, დათომ დაიძახა: გააჩერე, საპირფარეშოში მინდაო. ბნელ ადგილზე გავეჩერდით და ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სამივე გადავედით... ცოტა ხანში, რალაც ხმაური გავიგონეთ და მივხვდით, რომ ჩვენს მანქანას პატრული მოადგა. ერთმანეთს გადავხვდეთ, სამივე ისეთი მთვრალეები ვიყავით, რომ ჯარიმა არ აგვეცდებოდა, მაგრამ რა უნდა გვექნა? — ჩავსხედით. დათო ისევ უკან დაჯდა, ვახოც გვერდით მიუჯდა, მე მძღოლის გვერდით სავარძელზე დავჯექი და ისეთი სახე მივიღეთ, თითქოს მეოთხე კაცს ველოდიო. პატრულის თანამშრომელი მანქანას მოუახლოვდა და საბუთები მოგვთხოვა. ჩვენ ვუთხარით, რომ მძღოლი ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყო წასული და სადაცაა, მოვიდოდა. კარგა ხანს ვიდექით, პატრულიც იდგა და მძღოლს ელოდებოდა.

ვახო მანქანიდან გადავიდა და ხმაილაკ-ლა ეძახდა თავის თავს: — ვახოოო... მაგრამ აბა ვინ უპასუხებდა? — ნეტავ, სად წავიდა ის ბიჭო, ჩაიბურტყუნა და დაჯდა. თითქმის 40 წუთი ვიდექით ასე და როგორც იქნა, პატრული წავიდა. ჩვენც დავიძარით ადგილიდან, მაგრამ ცოტა ხანში ვახომ სარკეში დაინახა, რომ პატრულის მანქანა კვლავ შორიხლოს მოგვევებოდა. უცებ გააჩერა მანქანა და სასწრაფოდ ჩემს კალთაზე დაჯდა. ისევ ის პატრული მოგვადგა, მძღოლი ისევ არ იყო. — კიდევ მოსაშარდავად წავიდაო? — ჩვენ თავი დავუქნიეთ. ისევ კარგა ხანს ელოდა და წავიდა. როგორც იქნა, ვარკეთილის შესასვლელს მივალნიეთ, იქ კი გაჩერებაზე ფხიზელ კაცს ვხვდებით, რომ ადგილამდე მივეყვანეთ. ის სიამოვნებით დაგვთანხმდა. გზად იმავე პატრულის მანქანა გადაგვიდგა და გააჩერეთო, დაგვიძახა. გავჩერდით. ნახეს, რომ მძღოლი აბსოლუტურად ფხიზელი იყო. რას გვეტყოდნენ? გამოგვიშვეს, მაგრამ მძღოლს კი უსაყვედურეს: — კაცო, რა არის, მოსაშარდავად რომ მიდიხარ და ამდენი ხნით იკარგები? ცუდია, რომ კანონში ასეთი მუხლი არ არის, თორემ აუცილებლად დაგაჯარიმებდით. აი, ასე გადაგვარჩინა ტყუილმა“.

ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, ეს კი კარგად ვიცით, მაგრამ თუ დავაკვირდებით, ხშირად მას ძალიან უცოდველი სახეც აქვს. თუ მამაკაცი უკან არასოდეს ატყუებს, მამ, ეს ქალი მისთვის „სულერთი“ ყოფილა. მიუხედავად იმისა, ის ქალი ცოლია, სიდედრი თუ საყვარელი. ემირის სასახლესთან დიდი ავტობუსი გაჩერდა. იქიდან 30-მდე ასაკოვანი ქალი გადმოვიდა, ჩემოდნებით. ყველამ მისი სასახლის ჭიშკრისკენ აიღო გეზი. — ეს რა, ისევ ექსკურსიაა? — არა, ჩემო მბრძანებელო, სიდედრები გესტუმრნენ. აქედან დასკვნა: რაც მეტი ცოლი გყავს, შესაბამისად, სიდედრების რაოდენობაც იზრდება. ამაში ჩვენი შემდეგი რესპონდენტი თავად დარწმუნდა და ღმერთსა და ტყუილს მადლს სწირავს, რომ გადარჩა.

რამდენი ხართ, თქვენი!

„პირველად რომ დავეკორწინდი, 29 წლის ვიყავი. როგორც ჩანს, პირველად ჭირდა, თორემ ახლა „რაზგონი“ მაქვს აღებულ და ვეღარ ვჩერდები. უკვე მეოთხე ცოლი მყავს 12 წლის მანძილზე. პირველი და მესამე ცოლი დაქალობენ, მეორე ვერ იტანს პირველს, მესამეს ევაჯრება მეორე. მეოთხე (და ჯერჯერობით, ბოლო) ვერც ერთს ვერ იტანს და ვერც ისინი იტანენ მას. მოკლედ, ერთ ამბავში ვარ. ამ 4 ცოლიდან, 7 შვილი მყავს და ყველას მე ვპატრონობ.“

თქვენ უნდა ნახოთ, სიდედრები რა დღეში არიან. ოთხივე სიდედრი ცოცხალია და სახეზეა. თუ რომელიმე შემთხვევით შემოიხვდა სადმე, ვერიდები, ვცდილობ არ დამინახოს, თორემ ალბათ ვერ გადავურჩები გალანძვას. მოკლედ, იმ დროს გავიხსენებ, როცა ჯერ კიდევ მესამე ცოლი მყავდა, მაგრამ მეოთხეს უკვე ვიცნობდი და ვეჩალიჩებოდი. მის ოჯახში მისული ვიყავი და როგორც სასიძოს, ისე მცნობდნენ. ერთხელ, მესამე სიდედრი ექიმთან წავიყვანე, დიდი ჯუჯულუნისა და ჩხუბის მერე, იქიდან გამოსულები მანქანაში ვსდებოდით, ჩემი მომავალი სიდედრი რომ დავინახე, თანაც, ისე ახლოს იყო, რომ თვალს ვერ ავარიდებდი. მესამეს ჩუმიად ვუთხარი, ეს ჩემი შეფია სამსახურში-მეთქი და მასაც ასევე გავაცანი მესამე. თან, რა თქმა უნდა, მანქანით მომსახურება შევთავაზე. სიდედრი და მომავალი სიდედრი ერთად ისდნენ. იმდენი ვილაპარაკე, პირი არ გამიჩერებია, რომ მათ დალაპარაკების საშუალება არ ჰქონოდათ. როგორც იქნა, მოვიშორე ერთი თავიდან და შევბით ამოვისუნთქე. აი, ასე გადავარჩინა ტყუილმა, თორემ ერთი თავის შვილს არ წაიყვანდა სახლში და მეორე არ გამომატანდა, იქ რომ სიმაღლეს გამჟღავნებულყო. ახლა კი ვნახოთ, რამდენ ხანს შევრჩები მეოთხე სიდედრს“.

როგორც იცით, ხანდახან ჩვენს მკითხველებს ისეთ თემაზე სურთ საუბარი, რომელიც იმ კვირაში მოცემულ თემას არ შეესაბამება. მათ ახლაც სიამოვნებით ვუთმობთ ჩვენი ჟურნალის ფურცლებს. შემეხიანა ქალბატონი, რომელმაც თავისი დისშვილის გაბედნიერების ამბავი მომიყვა და შემდეგ, ფოტოებიც მომანოდა.

ქორწილი

ჩემი დისშვილი გახლავთ როდამ ალანია. ის სულ ახლახან გათხოვდა, 32 წლის ასაკში. მისი მეუღლე გახლავთ ზაზა კიკალიშვილი. ისინი ორივენი სოხუმელები არიან, მაგრამ ერთმანეთი აქ გაიცნეს. როდესაც სოხუმი დაეცა, როდამი მშობლებთან ერთად ფოტოში მოხვდა, ზაზა კი — თავისი რუსი მეგობრის რჩევით, ნოვოსიბირსკში წავიდა, დედასთან და დასთან ერთად. ზაზას ოჯახი ქუბერზე გადმოვიდა. მამამისი გზიდან უკან დაბრუნდა და მაშინვე დახვრიტეს აფხაზებმა. მას შემდეგ, ზაზა საქართველოში არ ყოფილა. ნოვოსიბირ-

სკში დასახლდა, სახლიც იყიდა და თავისი ბიზნესიც ააწყო. ამ ზაფხულს, 13 წლის შემდეგ, პირველად ჩამოვიდა საქართველოში და ახლობლები მოინახულა. დედას დაუბარებია, — ვიდრე ქართველ გოგოს არ მოიყვან ცოლად, მანამ აქ ჩამოსული არ გნახოო. იყო ზუგდიდში, სენაკში... მოინახულა მეგობრები და თან გოგოებს ათვლიერებდა. სამეგრელო რომ მოიარა, თბილისში ნათესავს ესტუმრა. იმ ოჯახს ჩვენც კარგად ვიცნობდით. ერთ საღამოს, საუბრისას უთქვამს: — დედაჩემი არ მასვენებს, იქიდანაც კი მირეკავს და მეუბნება, ცოლის გარეშე აქ არ ჩამოხვიდეო. ოჯახის დიასახლისს, მარინას უთქვამს: — ერთ კარგ გოგოს გაგაცნობო. როდამი „საქნავთობის“ აპარატში, წამყვან სპეციალისტად მუშაობს. ერთ დღეს მარინას დაურეკავს როდამისთვის და უთხოვია, რომ სამსახურთან შეხვედროდა. ის რომ გარეთ გამოვიდოდა, ზაზა შორიხლო იქნებოდა და როდამს შეათვლიერებდა. გოგონამ არ იცოდა, რისთვის იბარებდნენ ქუჩაში და მარინას სანახავად გამოვიდა. ზაზას მარინასთვის მამინვე უთქვამს, — ეს გოგო უნდა გახდეს ჩემი ცოლიო... მერე ისინი ერთმანეთს შეხვდნენ. გაირკვა, რომ თურმე სოხუმიში მეზობლად უცხოვრიათ, მათი მშობლებიც კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ ახალგაზრდებმა ერთმანეთი ახლა გაიცნეს. შემდეგი 10 დღის განმავლობაში ისინი ყოველდღე სვდებოდნენ ერთმანეთს და მათი სიმპათია სიყვარულში გადაიზარდა. როგორღაც, უცებ მოხდა ეს ყველაფერი და ერთი თვის შემდეგ ქორწილიც გადაიხადეს. ზაზა რუსეთის მოქალაქე გახლავთ და დაუბრკოლებლად წავიდა ნოვოსიბირსკში, მაგრამ როდამს ვიზა არ მისცეს და ახლადქორწინებულებს დროებით განშორებამ მოუწია. ზაზამ გადაწყვიტა, რომ რუსეთს დატოვებს და საცხოვრებლად საქართველოში ჩამოვა. არ უნდოდა, რომ როდამის გარეშე წასულიყო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ახლა ალბათ, მოაგვარებს



საქმეებს და საბოლოოდ დაუბრუნდება სამშობლოს.

ყაჩაღის აღსარება

„მინდა, მოკლედ მოგიყვეთ ერთი ამბავი და შევეხმიანო მათ, ვინც თავიანთ შვილებს ოჯახებს უნგრევს. განსაკუთრებით კი სიდედრების საყურადღებოდ ვიტყვი. მე პატივით ვარ და მარი, ჩემს ნომერს ნურავის ეტყვი, თორემ, თუ ტელეფონი მიპოვებს, 2 წელს დამიმატებენ. ვინც კი „სროკუზა“ ნამყოფი, 90%-ს ოჯახი დაენგრა. თუ გარეთ გასულმა მეორე ცოლი მოიყვანა, ის ოჯახიც ვერ შეინარჩუნა, მეორე „სროკის“ გამო. ეს ყველაფერი კი სწორედ სიდედრების ბრალია. კაცი რას კარგავს? ეგ არის, გული უტყდება, ოჯახი რომ ენგრევა, დედებმა იკითხონ, საკუთარ შვილებს რომ აბოზებენ. მე სულ კი არ ვჭურდობდი, ნორმალური ოჯახიდან ვარ. თბილისში ვსწავლობდი, ჯარიც მოვიარე, ახლა 26 წლის ვარ. ჯარიდან რომ დავბრუნდი, ცოლი მოვიყვანე. მისი ოჯახი არ მომწონდა, ბებია განათხოვარი ჰყავდა, დედამისი რამდენჯერმე იყო გათხოვილი, იმ პერიოდში კი საყვარელი ჰყავდა. დაც განათხოვარი იყო, მაგრამ ყველაფერზე თვალები დავუხუჭე, რადგან თვითონ თითქმის ბავშვი იყო და ვიფიქრე, რომ ჩემს ჭკუაზე გავზრდიდი. როგორც ჩანს, რაც ჯიშსა და გენში მაქვს, იმას ვერ გადაურჩები. ერთი შეცდომა დავუშვი და არ მაპატიო არც ბედმა, არც ცოლმა, არც სასამართლომ და არც ღმერთმა. ყაჩაღობის გამო 8 თვე ვიმალეობდი. როცა დამიჭირეს, 9 თვისთავზე, დედამისმა ბინა გამოიყიდა და შვილი თან წაიყვანა საბერძნეთში. საკუთარი შვილი გააბოზა. ამას დედამისს უფრო არ ვაპატიებ. აქ თუ ჩამოვა, აუცილებლად დავლევ მის სისხლს. ჩემთვის ასეთი სასტიკი განაჩენი რომ არ გამოეტანათ, ახლა ოჯახი მექნებოდა. სამართალდამცველებს ჰგონიათ, რომ დამნაშავეს რაც მეტს მიუსჯიან, უფრო გამოასწორებენ. ეს ასე არ არის. მე რაღა დამრჩენია გარეთ ახლა? ჩემგან ადამიანი აღარ დადგება. ძებნაში რომ ვიყავი, ჩუმიად მუშაობას ვახერხებდი და სწორედ სამსახურში ამიყვანეს. მალე რომ გამოვსულიყავი, გავაგრძელებდი მუშაობას, მაგრამ ახლა ვეცდები, ის პროკურორი მაინც ვიპოვო, ვინც 7 წელი მოითხოვა და ჩემი ასე გამწარებისთვის, ისიც გავამწარო. მარი, თუ რამე გაინტერესებს, შეგიძლია შემეკითხო, მგონი, ყველაფერი გიამბუ და ჩემი გასაჭირი გაგიმხილე. არასოდეს მიმიწერია ვინმესთვის და არც ჩემი ამბავი მომიყოლია. დიდი მადლობა, რომ მომისმინე“.

„რატომ წახვედი?“

„ამ მესიჯს ლამის 3 საათზე გწერთ. არ ვიცი, რა თემა გაქვთ, მაგრამ მე

ჩემზე უნდა მოგწეროთ და ახლა ვარ ამის ხასიათზე. სხვა დროს ამას არ გავაკეთებ, ვიცი. ერთი ჩვეულებრივი, ნახალოვკელი გოგო თავის უბედურ სიყვარულზე გწერთ. 22 წლის ასაკში მენვია დიდი სიყვარული. ირაკლი ავჭალელი ბიჭი იყო და სულ შემთხვევით გავიცანი. იმ დროს თბილისში ომი იყო. ის კი „მხედრონელი“ იყო და იბრძოდა. როდესაც ომიდან ბრუნდებოდა, ჯერ მე მნახულობდა და შინ მერე მიდიოდა. სახლში კი თურმე მეუღლე ელოდა. მე მაშინ არ ვიცოდი, მას თუ ოჯახი ჰქონდა. შემდეგ, ყველა დაკარგა და მეღა დავრჩი. მოვიდოდა, ჩემს ცხოვრებას თავდაყირა დააყენებდა და ისევ უჩინარდებოდა. მე ინსტიტუტი უკვე დამთავრებული მქონდა და ვმუშაობდი კიდეც. ირაკლი ისე მიყვარდა, რომ ჩემ გარშემო ვერავის ვამჩნევდი. 10 წლის მანძილზე ბევრიც ვიტირე და ბედნიერიც ბევრჯერ ვყოფილვარ. ხან ვჩხუბობდით, ხან — ვრიგდებოდით, შემდეგ კი მასზე გავთხოვდი. ის 7 თვე ჩემს ცხოვრებაში უბედნიერესი ხანა იყო. ერთ მშვენიერ დღეს კი გაიღვიძა, არაფერი მითხრა და წავიდა... ფეხმძიმე მიმატოვა. ყველას ჩვენს დიდ სიყვარულზე ელაპარაკებოდა, მალმერთებდა და უცებ, ვიღაც ბანძზე გამცვალა. 4 თვის შემდეგ გამოჩნდა, მაგრამ არც მოვუსმინე, ისე გავაგდე. ამის შემდეგ 8 წელი გავიდა. მე საცხოვრებელი ადგილიც შევიცვალე. ახლა, თუ ამას ნაიკითხავს, მინდა, მივმართო: რატომ მიმატოვე, იკა? მე შვილიც შენ გამო არ გავაჩინე. არ მინდოდა, ყველაზე ძვირფასი შენთან გასაყოფი მქონოდა. შენ ვერასოდეს მიპოვი, მაგრამ მინდა ვიცოდე, რატომ წახვედი. ნ“.

ერთი მესიჯი სულ ცალკე მინდა, გაგაცნოთ:

„მარი, ახლა მოვრჩი „გზავნილების“ კითხვას და რაღაცამ არ დამაკმაყოფილა. იცი, რამ? „ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ“... მარი, მესიჯებს მაინც არ მიქვეყნებ და ეს სიტყვები მაინც გამოაქვეყნებ ხოლმე, ჩემი სახელით. მაშინ ყველა ნომერში გავა ჩემი მესიჯი“. *ვუსრულე ჩვენს მკითხველს თხოვნას.*

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

ახიატი მშობლები

„სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯიაო, რომ ამბობდნენ, მეცინებოდა, ვიდრე ქმარმა თავი არ შემაზიზღა. ყველაფერს იღბალი უნდა, ალბათ სიყვარულსაც“.

„ტყუილები საერთოდ არ მიყვარს. ამიტომ, ზედმეტი გულახდილობის გამო სწირად შემქმნია პრობლემები, მაგრამ არ ვნანობ. გაუმარჯოს სიმართლეს. ხატია ხატისაშვილი“.

„როგორ ვთქვა, ტყუილმა გადაამარჩინა-მეთქი, როცა მე თავად დავრჩი მოტყუებული. 4 წელი ვიცნობდი ერთ

ბიჭს და თურმე, გაცნობის დღიდან მატყუებდა, რომ ვუყვარდი. კიდევ კარგი, გადავრჩი, თორემ ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა. მოტყუებით ტურნებშიც კი მაკოცა“.

„ერთი კვირის წინ, ტელეფონით საშუა გავიცანი. ძალიან მომეწონა მასთან ლაპარაკი, მაგრამ სამწუხაროდ, მისი ტელეფონის ნომერი დავკარგე. საშუა, მე ის გოგო ვარ, ზუგდიდში წაყვანას რომ დაგპირდი. თუ „გზას“ კითხულობ, გამომხმამურე“.

„მე ლიზი ვარ. წინა ნომერში ანრი გამომხმამურა, მე კი ტელეფონი დავკარგე და ამიტომ ის ნომერი აღარ მაქვს, რომელიც მან იცოდა. ანრი, მარი მოგცემს ჩემს ახალ ნომერს“.

„მარი, „დარაგაია“, დამიბუჭდე ეს მესიჯი, რადგან ძალიან მეცოდება ჩემი დეიდაშვილი. ხანდახან მივალ, „დაცვოფავ“ ხოლმე, ჩემსას გავინაღდე და მოვიდვიარ. ალექო, არ გენყინოს, ძამია, უბრალოდ, ხანდახან „ცვალებადი მოღრუბლულობა“ მაქვს ხოლმე ხასიათში. თანაც, ხომ იცი, ხანდახან ისე უაზროდ ყოფ ცხვირს ჩემს საქმეებში... ისე, მაგარი ჯივარი ბავშვი ხარ... მე კი ტყუილმა გამითქვა სახელი. ხანდახან ისე ვიტყუები და ალექოს ვემუქრები — გცემ-მეთქი, რომ მეც კი მეშინია და სხვას რაღა მოუვა? ამ მესიჯის გამო, „მიწუსებში“ გადავვარდი. პატარა მავნე“.

„ტყუილი ჩემი ცხოვრების თანამგზავრია. ბევრჯერ გადაამარჩინა და ამიტომაც შემეყვარდა. ეეეჰ, გამოვსწორები? მიშველეთ, რააა! მადე ინ ქუთაისი“.

„მინდა, უჩემოდ დარდით კვებოდე, ჩემთან შეხვედრა გენატრებოდე/ ჩემს დანახვაზე ცუდად ხდებოდე, / ნამლად კი მარტო მე გერგებოდე/ სხვასთან დარეკვით ჩემთან ხვდებოდე... ეძღვნება გაგა დოლაბერიძეს, ანცი გოგოსაგან. მარი, დამიბუჭდე, სვანობას გაუციებ“.

„დიდი მადლობა, რომ ჩემი მესიჯი ყველაზე მაგარ ჟურნალ „გზის“ ფურცლებზე მოხვდა. ტყუილის მეტი რა მითქვამს? ოლონდ, ამ ტყუილით ზიანი არავისთვის მიმიყენებია. კონსულა“.

„ერთმა გოგომ მთხოვა, რომ თბილისობის დღეს გაგვესვირა. მე კი ფული არ მქონდა და მოვატყუე, დასავლეთში მივივიარ-მეთქი. ასე რომ არ მოვეცუეულიყავი, ვალებს ავიღებდი და ვინ გადაიხდიდა?“

„ეჰ, ტყუილები არ მიყვარს, მაგრამ ხანდახან გამოვურევ ხოლმე. აბა, რა ვქნა, თუ სახლიდან გასვლას და შეყვარებულთან შეხვედრას სხვაგვარად ვერ ვახერხებ? თუნდაც ახლა, ყველას ჰგონია, რომ ვემცადინებო, მე კი „გზავნილებს“ ვკითხულობ და გიმეხიჯებთ. ყველანი მიყვარხართ, მის ცუნცულა“.

„ტყუილმა მართლა გადაამარჩინა და თანაც, არაერთხელ. როცა შეყვარებულს ვხვდები, სულ ნაირ-ნაირ ტყუილს ვიგონებ, რომ დედაჩემმა თმა არ გამ-

აცალოს. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვიტან ტყუილს“.

„ძალიან ცუდად ვარ, ოჯახში სულ პრობლემებს ვქმნი. არადა, ჩამოსული ვარ სასწავლებლად. ამასთან დაკავშირებით მექმნება ეს ოხერი პრობლემებიც. სულ ვცდილობ, მაგრამ დიდი-დიდი, 2 დღე მოვახერხო პრობლემების გარეშე ცხოვრება“.

„ტყუილი ჩემი ცხოვრების თანამგზავრია. თავი მოვიტყუე და გაყვევი მას, ვინც არ მიყვარდა. ეს სხვის ჯიბრზე გავაკეთე. არადა, არც ფული აქვს და

მეც შენს დღეში ვარ, ყველა თაყვანისმცემელი ჩემზე დაბალია. ჩემო კარგო, გულს ნუ გაიტეხ, ალბათ გვეშველება, არა?“

„მინდა, დაგინახო/ თვალს და გულს აკლიხარ./ მინდა, მოგეფერო./ შენ კი სულ გარბიხარ/ ჩემი ცხოვრების დარდმანდი ხარ./ სულ შენთან მინდა, ისეთი კარგი ხარ!.. მანიაკო, მომენტარე“.

„ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ ტყუილმა მართლა ბევრჯერ გადაამარჩინა. მე თუ ვინმე მომატყუებს, ის კი ვერ გადაამირჩება“.

არიდო. თანაც ჩემი მშობლების აზიაცობა ბევრ პრობლემას მიქმნის. ასეა, ბატონო, თავად მიბრძოლებენ, რომ მოვატყუო. ტყუილი მართლაც ჩემი გადაამრჩენია. დადუნა“.


„ტყუილი კი არა, სიმართლეს არაფერში მესმარება. ჩემს სიყვარულს მესიჯს მესიჯზე ვუგზავნი, იცის, რომ მენატრება და ძალიან განვიცდი, რომ ვიჩხუბეთ, მაგრამ მაინც მწერს, ნუ თვალთმაქცობო. მასთან ცამდე მართალი ვარ და რამე რომ მოვატყუო, ნამდვილად შემიძლებს“.

„პრივეტები“ სენიას! იცი, რომ მეც მარი ჯაფარიძე ვარ? თანაც, „გზაპნილების“ ერთგული მკითხველი. მარი, დედაჩემთან მიშუამდგომლე, რომ ტელეფონი მიყიდოს, რაა! იმედია, გაითვალისწინებ, რომ შენი სენია ვარ და მესიჯს გამომიქვეყნებ, თორემ მერე ტყუილიც ვერ გადაგარჩენს“.

„ერთი აბეზარი თაყვანისმცემელი მყავდა და ვერაფრით მოვიშორე. ჰოდა, ავდექი და ვუთხარი: ძალიან კი მერიდება, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, რომ სექსუალური გადახრები მაქვს-მეთქი. ნეტავ, გენახათ მისი სიფათი. ვითომ არ დაიჯერა, მაგრამ კუდში დამდეგდა და მითვალთვალბდა. ასეთი თვალთვალის დროს კი ერთხელ მანქანა დაეჯახა. ამის მერე ჩემკენ აღარ გამოუხედავს“.

„მე, ჩემი და და ბიძაშვილი იკასთან შევიპარეთ და კომპიუტერში ის დისკი ჩავრთეთ, რომელსაც საგულდაგულოდ მაღავედა. არ მკითხოთ, რა აღმოჩნდა, რადგან მაინც ვერ გეტყვი. ჰოდა, თავის გადასარჩენად ტყუილად დავიფიცე საკუთარი ძმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისე გაგვტყუნიდა, რომ თვალსაც არ დაახამაშებდა. თუ დაბეჭდავ, გამახარებ, თუ არა და — გაიხარე!“

დღეს „გზაპნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: ბედის ირონია. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ სთუშაბათამდე.



საშინლად ექვიანიც არის. ახლაც ვზივარ და თავს ვიტყუებ, რომ ყველაფერი კარგადაა. ეს კი ისე მალიზიანებს, რომ ბოლმით ლამისაა, დავიხრჩო. ბომონდი“.

„გზის“ წინა ნომერში, ვაკის გალიაში გამომწყვდეული თათა გწერდათ, რომ მარტოობა ანუხებს. თათა, დიდი სიამოვნებით დაგეხმარებოდი, მაგრამ შენს ქმარზე ექვიანი ცოლი მყავს. თუ სურვილი გაქვს, ვიმესიჯოთ. გავრისკოთ?“

„ტყუილმა კი არ გადაამარჩინა, დამლუპა. უზომოდ შემიყვარდა ადამიანი, რომელიც ლამის ჩემი ტყუილების გამო დავკარგე. ძალიან მეშინია მისი დაკარგვის და მინდა ვუთხრა: სვანი, ძალიან მიყვარხარ. უკვე მომენატრე“.

„პირველად გწერთ და თანაც ბოლო თერთებით. ვინ არის ის უიღბლო, ვინც სასწავლებლიდან გამოსვლას აპირებს, უფულობის გამო? მეც ასეთ დღეში ვარ. ვკვდები, გამაცანით, რაა!“

„ტყუილის დამსახურებაა, რომ წელს მე და ჩემმა შეყვარებულმა მაგრად დავისვენეთ ზღვაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოგვიწევდა ამ სიცხეში გუბეში ბანაობა. მე და ტყუილი „დაქალები“ ვართ“.

„ჩემმა ნათქვამმა ტყუილმა ბევრჯერ დამლუპა. ტყუილს რომ მოკლე ფეხები აქვს, ამისი ყველას გჯეროდეთ. ტერორისტი ანი, გორიდან“.

„მინდა, იმ უიღბლო გოგოს გამოგვხმაურო, 45 ზომის ფეხი რომ აქვს და 184 სანტიმეტრი რომ არის სიმაღლით.

„მყავდა 18 წლით უფროსი შეყვარებული. 3 წელი ვხვდებოდი ერთმანეთს და კარგადაც ვუგებდით. დედაჩემი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო და ყველაფერი იღონა, ჩვენს დასაშორებლად. ბოლოს ქურდებიც კი მიუგზავნა: — ჩემს შვილს თავი დაანებეო. მან კი იცით, რა უთხრა? მე არ მიყვარს, ჩემი ნათესავია და იმიტომ ველაპარაკებო. აი, ასეთი ტყუილი თქვა მაშინ, როდესაც მე სიყვარულს მიმტკიცებდა. ამის შემდეგ, ცოლიც მალე მოიყვანა, მაგრამ შვილი არ ჰყავს. ასეთი ადამიანი ყველაფრის ღირსია“.

„წვრილ-წვრილი ტყუილები ჩემი მუდმივი თანამგზავრია. ამას იმიტომ კი არ ვაკეთებ, რომ რაიმე ცუდს ჩავდივარ ან დასასაძალი მაქვს რამე. უბრალოდ, ზედმეტ კითხვებს მინდა, თავი ავ-

პრეპარატი **ფენსი** გაძლევთ უნიკალურ შანსს

ფსორიაზი **საუკუნოვან**

მგზავს **ენფთ** **გამორღილებას!**

ნაიბრძობი

სეზონალური **იკითხეთ**

იმეუტნალოდ ავთიაჯაზი

საუკუნოვანი გამოცდილების გამოც, ყველაზე ავთიაჯარი, არაპროგრესული მაღაგოს საშუალებით

სხელი ხაზი: 39 66 03

ინფორმაციულ-მედიასფეროში
კოლაჟი

ეონი დვალის
უბნის წიგნაკიდან:

1. საღარი შუბლთეთრა ცხენია.
2. „სარო“ და „კვიპაროსი“ სინონიმებია.
3. 1920 წლამდე კინოს ილუზიონს ეძახდნენ.
4. მაშარაბი სანებლად მოდულეზული ბრონეულის წვენია.
5. იმ ადგილს, სადაც მონადირე ნადირს უსაფრდებდა, სახუნდარი ჰქვია.
6. „უმოკლესი გზა ყოველთვის დანაღმულია“, — ამბობენ ინგლისელები.
7. „სავინიცობო“ — ასე ეძახიან ყოველი შემთხვევისათვის რაიმე გადანახულს.
8. „სილა იესტ, ვოლია იესტ, ა სილი ვოლი უ ნას ნეტ“, — ოხრავენ რუსები.
9. მარჩილი ძველი, ქართული ვერცხლის ფულია. ერთი მარჩილი სამ აბაზს უდრიდა.



10. ტროცკი ლენინის დასაფლავებას არ დასწრებია. იგი იმ დროს თბილისში იმყოფებოდა.

11. ტყვიამფრქვევ „მაქსიმის“ გამომგონებელი ხაირემ მაქსიმი თავდაპირველად საბავშვო კარუსელებს ამზადებდა.

12. ცომის გუნდის ამოღებისა და მისი გათხელების დროს მოსაყრელ ფევილს, ცომი რომ ვარცხლს ან ხელს არ მიეკრას, საფანელი ჰქვია.

13. „მალარიჩი“ არაბული სიტყვაა და რაიმე სასიამოვნო საქმის აღსანიშნავად გამართულ მასპინძლობას, პურ-მარილს ნიშნავს.

14. ადამიანმა ფრინველს 1912 წელს ფრენის სიჩქარეში აჯობა, 1916 წელს — ფრენის სიმაღლეში და 1924 წელს — ფრენის სიშორეში.

15. გიორგი დანელიას ბავშვობაში მხატვრულ ფილმ „გიორგი სააკაძეში“ ეპიზოდური როლი აქვს ნათამაშები. ეს ეპიზოდი მოგვიანებით ამოჭრეს.

16. 1976 წელს იაკუტიაში ახალი ქალაქი აშენდა. დიდი ხნის განმავლობაში ქალაქს არ ჰქონდა სახელი და მის მცხოვრებლებს შორის კონკურსიც კი იყო გამოცხადებული — ვინ შეურჩევდა ქალაქს საუკეთესო სახელს. მანამდე კი, იქაურების დაბადებისა და ქორწინების მოწვევებში არსებულ გრაფაში, „დაბადების ადგილი“ წერდნენ: „იაკუტია. ახალი ქალაქი.“

17. ჩვენი ნელთალრიცხვის 105 წელს ჩინეთის სამეფო კარის ერთმა დიდებულმა, ცაი ლუნმა თევზსაჭერი ბადის, ძველი კაბის, კანაფისა და თუთის ხის ტოტებისაგან მსოფლიოში პირველი ქალაქი დაამზადა.

18. ანტარქტიდაში არსებულ დასახლება „მირნიში“ ყველა სახლს, ჩვეულებრივი კარის გარდა დამატებით ვიდევ

ცნობილი და მომზიბვლელი მასობრივი — ნანკა კალატოზიშვილი სილამაზის სალონებში თითქმის არასდროს დადის, კოსმეტიკასაც იშვიათად იყენებს, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვა ძალიან უყვარს. ის ვერ იტანს ქუსლიანი ფეხსაცმლისა და ქვედაბოლოს ჩაცმას, მაგრამ ხანდახან, ახლობლების გამო, შეიძლება, მსხვერპლი გაიღოს და ქალურად გამოენწყოს.

ვისი თხოვნით იცვას ნანკა ალბაოზიშვილი ქუსლიან ფეხსაცმელს და ქვედაბოლოს?

„მოყვითალო ფერის კანი მაქვს და ხალხს ჰგონია, რომ ცუდად ვარ“

სოფო ჭონიშვილი

— უკვე ერთი წელია, რაც ჩემთვის დილა ფინჯან ყავასთან ერთად იწყება. ადრე მას საერთოდ არ ვსვამდი, მაგრამ ბოლო დროს, საკუთარი არანორმალური რეჟიმის გამო, ყავის დალევას მიმჩვიე — როცა დილის 7 საათზე გადაღებები მენწყება, გამოფიზილება ხომ მინდა? ასეთ სიტუაციაში კი, მხოლოდ ყავა მშველის... მერე შხაპს ვიღებ და სამუშაო განწყობილებასაც მოვდივარ.

როგორ უწეო სახის კანს?

— როგორც იცი, სცენაზე დგომა არცთუ ისე იშვიათად მიწევს, შესაბამისად, გრიმსაც ხშირად ვიკეთებ. ამის გამო, საკუთარი სახის კანი ძალიან მეცოდება და ყოველთვის ვცდილობ, კარგი და ხარისხიანი კოსმეტიკა გამოვიყენო. ძირითადად, კანის გამაშუფთავებელ და დამატენიანებელ კრემებს ვხმარობ, ხოლო მკვებავ კრემს, მხოლოდ ზამთრის პერიოდში ვისვამ.

სახის კანის მოსახსნრებლად სახლში დამზადებული ბუნებრივი ნიღბი თუ გამოგიყენებია?

— როგორ არა, დღესაც გავიკეთებ თაფლისა და არაჟნის ნიღბი. სხვათა შორის, ამის გამო სახლში ხშირად დამცინიან ხოლმე, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევ, რადგან ვიცი, რომ ეს ჩემი კანისთვის აუცილებელია.

შხაპის მიღების შემდეგ, ტანის ლოსიონებსა და დამატენიანებელ კრემებს თუ იყენებ?

— იტალიაში ყოფნის დროს, ტანის მოვლის საშუალებების მთლიანი კომპლექტი შევიძინე, რომელშიც ყველა ის ვიტამინი შედის, კანის ჯანმრთელობისა და სილამაზისთვის რომ აუცილებელია. თბილისში კი, „ივ როსეს“ ფირმის ტანის კრემებს ვყ-



იდულობ.

— მაკიაჟს ყოველდღიურად იკეთებ?

— ჩემი კანი სასცენო გრიმით იმდენად გადატვირთულია, რომ ყოველდღიურ მაკიაჟს ნამდვილად ვეღარ გავიკეთებ. საერთოდ, მოყვითალო ფერის კანი მაქვს და ამიტომ ხალხს ჰგონია, რომ ცუდად ვარ. ახლობლები ხშირად მეუბნებიან: „რუმი-ანა“ მაინც წაისვი, თორემ ძალიან უფერუ-ლი ხარო.

— სილამაზის სალონში ხშირად დადიხარ?

— შეიძლება ითქვას, რომ სილამაზის სალონს თითქმის არ ვსტუმრობ და ყოველთვის თმაგანწილი დავდივარ, „დალაგებული“ თმა არ მიყვარს. იმის სურვილიც კი არ მიჩნდება, რომ სალონში წავიდე და თმა დავივარცხნო. იქ ერთადერთხელ ვიყავი — „ჩოლკა“ შევიჭერი.

— ყოველთვის გრძელ თმას ატარებ. არ მოგებზრდა?

— სხვათა შორის, ერთხელ თმის შეჭრა მომიწია, რალაც განსხვავებული „პრიონოსკა“ უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ახლობლებმა გადამაფიქრებინეს. გრძელ თმას ისე შევჩვიე, რომ შევიჭრა, შეიძლება, დეპრესიაშიც ჩავვარდე.

— იმიჯის შეცვლას ხშირად ცდილობ?

— როცა ჩაცმის სტილს ვიცვლი, ჩემი იმიჯიც თავისთავად იცვლება, მაგრამ მინდა გითხრა, რომ ასეთი რამ საკმაოდ იშვიათად ხდება.

— გადაღებებისა და სცენისთვის



გრამს შენ თვითონ იკეთებ თუ ვიზა-ფისტი გყავს?

— სასცენო გრამს თვითონ ვიკეთებ, მაგრამ გადაღებებისთვის მყავს ისეთი ვიზა-ფისტი, რომლებსაც თვალდახუჭული ვენდობი... მაგრამ ერთ-ერთი გადაღების დროს ისეთი ვიზაფისტი მომიყვანეს (სახელს და გვარს შეგნებულად არ დავასახელებ), რომ დავინახე, ცუდად გავხდი და ვთქვი: ამ ქალს გრამის გასაკეთებლად ვერ დაუჯდება-მეთქი. სტილისტს, რომელსაც თმა საშინლად დამწვარი აქვს ან ვიზა-ფისტს, რომელსაც თვალზე ათასნაირი ფერის ჩრდილი აქვს გაკეთებული, განსხვავებული ფერის პომადა და ტუჩის კონტური უსვია, ვერ დაუჯდება. ასეთებს უკვე ეტყობათ, რომ გემოვნება არა აქვთ.

— პედიკურს და მანიკურსაც თვითონ იკეთებ?

— ადრე, დედაჩემის მეგობრის სახლში მოდიოდა ქალი, რომელიც მანიკურს და პედიკურს მეც მიკეთებდა (სხვათა შორის, ძალიან კმაყოფილი ვიყავი), მაგრამ მერე, როცა გავიგე, რომ ქალაქში ძალიან ბევრი ინფიცირებული ადამიანია და შეიძლება, ფრჩხილის მოწესრიგების გამო რაღაც საშიშროების წინაშე აღმოვჩენილიყავი, იმ ქალსაც აღარ გავკარებდვარ. მოკლედ, ამ ამბის შემდეგ, მანიკურსაც თავად ვიკეთებ და პედიკურსაც (იციინის).

— თმას სშირად იღებ?

— თმას თვეში ერთხელ ან ორჯერ, ბუნებრივი ხნით ვიღებ, რაც ძალიან კარგია — თმას ფერსაც აძლევს, ბზინვარებასაც და დარწმუნებულებაც ხარ, რომ არ დაგიწვავს, არ გაგინადგურებს. სულ რამდენჯერმე მაქვს თმა შეღებლი სხვა საღებავით. ისიც, გადაღებების გამო — აჩიკო მეფარდის კლიპისთვის შავად რომ შევიღებე, მთელი წელი არ გადამივიდა, ძლივს მოვიცილე.

— თმის მოვლის განსაკუთრებული მეთოდი თუ გაქვს?

— (იციინის). ძალიან ბევრი ბუნებრივი ნიღბის რეცეპტი ვიცი, რომელიც თმის ხარისხს აუმჯობესებს. პირადად მე, თავზე მაიონზეიც კი წამისვამს. სშირად ვისვამ აბუსალათინის ზეთს, არაჩვეულებრივია ჭინჭრის ზეთიც. ყველანაირ ბუნებრივ ზეთს ვურევ ხნაში და ს საათით თავზე ვიჩერებ. შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. თუმცა, ზოგჯერ ამ პროცედურის ჩატარება მომაბეზრებელია.

— თითქმის ყოველთვის სპორტულ სტილში ადევია. არსებობს თუ არა ისეთი ადგილი, სადაც კლასიკურად ჩაცმული მიდიხარ?

— საერთოდ, უპირატესობას სპორტულ სტილს ვანიჭებ. კლასიკურად მაშინ ვიცვამ, როცა სპექტაკლის პრემიერაზე მივდივარ, ისიც მაშინ, თუ რეპეტიცია არ მაქვს. ვერ ვიტან, როცა თეატრში, სპექტაკლის პრემიერაზე ჯინსითა და კედებით მივდივარ, მაგრამ ხანდახან, გამონაკლისიც ხდება. დაბადების დღეებზე და მსგავს შეკრებებზეც სპორტულად ჩაცმული მივდივარ. შარშან, ახალ წელს, ახლობლებმა მთხოვეს: თუ შეგიძლია, კედებით ნუ მოხვალ (ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში იკრიბებოდნენ). ამ თხოვნის გამო, იქ წასვლა აღარ მინდოდა, მაგრამ ჩემთვის იმ-

დენად ახლობელი და საყვარელი ადამიანები იკრიბებოდნენ, რომ გავრისკე და ქუსლებზე შევდექი, ჩავიცვი ქვედაბოლო, გავიკეთე მაკიაჟი... ერთი სიტყვით, მათი თხოვნა (თუ მოთხოვნა) შევასრულე. მთელი საღამო კაბით და ქუსლებზე შემდგარი ისე ვცეკვავდი, გეგონებოდათ, კედები და ჯინსი მეცვა. ბოლოს, ძალიან დავილაღე. მეგობრის სახლში გადავიედი და მართალია, სხვისი ტანსაცმლის ჩაცმა არ მიყვარს, მაგრამ სხვა გზა აღარ მქონდა — მეგობრის ბოტასები და ჯინსი ჩავიცვი, მერე კი გათენებამდე ვცეკვავდი.

— რა განსხვავებაა შენს ცხოვრებისეულ და სცენურ იმიჯს შორის?

— მათ შორის დიდი სხვაობაა და ვფიქრობ, რომ ეს ასეც უნდა იყოს. დოიაშვილის სპექტაკლის პიესა — „მაკულატურა“ რომ წავიკითხე, თავდაპირველად, ცოტა არ იყოს შევმინდი. ვფიქრე: ვაიშე, ჩემი ბავშვობის თამაში მომიწვეს-მეთქი, მაგრამ ბოლომდე რომ ჩავიკითხე, მასში რაღაც განსხვავებულად აღმოვაჩინე.

— როგორ ფიქრობ, რთული საკუთარი თავის სცენაზე თამაში?

— სიმართლე გითხრა, სურვილი მაქვს, სცენაზე საკუთარი თავი ვითამაშო, მაგრამ ეს რეალური არ იქნება, მაინც რაღაცას დავმალავ, მოვიტყუები. ყველანაირად ვეცდები, საკუთარი თავი კარგად წარმოვაჩინო...

— აქსესუარები თუ გიყვარს?

— აქსესუარებზე გვიყვები. ძალიან მიყვარს ბეჭდები, საყურეები, ოლონდ, ვერცხლის, ოქრო არ მიზიდავს.

— თუ გაქვს ისეთი აქსესუარი, რომლის გარეშე სახლიდან არ გადიხარ?

— ეს არის საყურე, რომელიც ყველგან და ყოველთვის მიკეთია. მაქვს ჩანთა, რომელსაც ჩემს მეორე სახლს ვვსახი, რადგანაც ყველა საჭირო ნივთს ამ ჩანთით დავატარებ. შეიძლება, მასში ისეთი რაღაცეებიც აღმოაჩინოთ, რაც არ მჭირდება, მაგრამ მაინც მიღვეს.

— როგორი სუნაში მოგწონს?

— შეიძლება, გაგივირდეთ, მაგრამ 16 წლის ასაკიდან ერთსა და იმავე სუნამოს ვხმარობ და არ მგებრდება. ეს არის „სალვადორ დალის „ლაგუნა“ და მას სშირად, ჩემი ძმა მჩუქნის.

— შოპინგზე სიარული თუ გიყვარს?


— შოპინგი მიყვარს მაშინ, როცა ბევრი ფული მაქვს, რადგან ვერ ავიტან იმას, რომ რაც მომეწონება, ვერ ვიყიდო. ამიტომ, როცა ცოტა ფული მაქვს, შოპინგზე არც კი ვფიქრობ. საერთოდ, ახალი ტანსაცმელი არ მიყვარს, მირჩენია, გაცვეთილი და მოძველებული სამოსი ვატარო.

— სოლარიუმის სშირ სტუმარი ხარ?

— წელს სოლარიუმში აქტიურად დავდიოდი. ერთი მხრივ, იქ სიარული კარგია — როცა მოგიწინდება, ნახვალ და უცებ გაიარუჯები, მაგრამ შევასყვე, ხელოვნური „ზაგრის“ მიღების შემდეგ, კანი ძალიან გამიუხეშდა. ამიტომ ვცდილობ, რომ სოლარიუმში სშირად სიარულისგან თავი შევიკავო.

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკვანძო:



ერთი კარი აქვს სახურავზე, რათა ნამქერის მიყრის შემთხვევაში, მცხოვრებლებმა სახლიდან გამოსვლა შეძლონ.

19. XX საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც როსტოვის თეატრი გოგოლის „რევიზორს“ წარმოადგენდა, სპექტაკლს ქალაქის თავიც დაესწრო. პირველი მოქმედება დასრულებული არ იყო, რომ იგი სცენაზე ავარდა და მსახიობებს ჩხუბი აუტყა — ჩემ შესახებ პასკვილის შექმნა როგორ გაბედეთო. მას ამშვიდებდნენ და არწმუნებდნენ, პიესა თვით იმპერატორის მიერაა ნებადართული, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს, მან მსახიობებზე საჩივარი შეიტანა სასამართლოში.

20. 1982 წელს ერთმა კანადელმა პაციფისტმა, რომელსაც პანიკურად ეშინოდა მსოფლიო მასშტაბით ომის დაწყების, გადანწყვიტა, მყუდრო და მშვიდი ადგილი მოენახა და იქ გადასულიყო საცხოვრებლად. საამისოდ მან ფოლკლენდის კუნძულები აირჩია.

21. XX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ერთი ამერიკელი სასულიერო პირის თავგადაკაული მტკიცებით, ფრენა მხოლოდ ანგელოზებს შეეძლო. ეს ამბავი მხოლოდ იმით გახლავთ საინტერესო, რომ ეს ადამიანი ძმები უილბურ და ორვილ რაიტების მამა გახლდათ.

22. ერთხელ საფრანგეთის საელჩოს მდივანმა ანტუან გალანმა სტამბოლის ბაზარში შეიძინა ძველებური ხელნაწერი არაბულ ენაზე, რომელიც თარგმნა, გამოსცა და ამით სამუდამოდ უკვდავყო საკუთარი სახელი. ამ ხელნაწერს ჩვენ დღეს „ათას ერთი ღამის“ სახელწოდებით ვიცნობთ.

23. მუსოლინი სისტემატურად ატარებდა საკუთარი არმიის „წმენდას“. მან სამხედრო პირთათვის სავალდებულოდ აქცია სპორტული ნორმატივების ჩაბარება, რაც საშუალებას აძლევდა, თავიდან მოეშორებინა მისთვის არასასურველი გენერლები და ფუნქციონერები.

24. „ამქვეყნად ნებისმიერი ადამიანი სამეფო ტახტისათვის ვარგისი უკანალით იბადება“, — ამბობდა პოლონელი პოეტი და სატირიკოსი სტანისლავ ეჟი ლეცი.

25. ჰკითხეთ ნებისმიერი ეროვნების ადამიანს რამდენი იქნება ასი გრამი გამრავლებული ათზე. ყველა გეტყვით, რომ ნამრაველი ერთ კილოგრამს უდრის. მხოლოდ რუსი გიპასუხებთ, რომ ნამრაველი ერთი ლიტრის ტოლია.

იზვივს თუ არა სტრესი თმის სკენას?..



როცა საქმე თმას ეხება, დიეტანტების რჩევებს ბრმად ნუ ენდობით. არაა აუცილებელი, რომ ძილის წინ თმა საგულდაგულოდ დაივარცხნოთ, როგორც ამას ჩვენი ბებიები აკეთებდნენ. ბევრი მცდარი შეხედულება შეიძლება, თმის ცვენის, მტვრევადობის, სიქაჩლის მიზეზი გახდეს. ეს კი არც ერთ ქალს (თუ მამაკაცს) არ სურს. უამრავი მცდარი შეხედულება და მითი არსებობს თმის ცვენის, მოვლისა და ვარცხნილობის შესახებ. მოდი, გავერკვეთ მათში.

ამბობენ, რომ სტრესი თმის ცვენას იწვევს...

მიუხედავად იმისა, სტრესის ქვეშ იმყოფებით თუ არა, ყოველდღიურად 50-დან 120 ლერამდე თმა გცვივთ. რასაკვირველია, ნერვიულობის, პორმონული დარღვევების, ორსულობისა და ანტიბიოტიკების მიღების შემთხვევაში, თმის ცვენა ძლიერდება, მაგრამ თუ სრულფასოვნად იკვებებით და დღე-ღამეში სულ ცოტა, 8 საათი მაინც გძინავთ, 1-2 კვირაში თმა თვითონვე აღდგება.

ამბობენ, რომ შამპუნი დროდადრო აუცილებლად უნდა შეცვალოთ...

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ მნიშვნელობა არა აქვს, თმას ერთი და იმავე შამპუნით იბანთ თუ არა. მთავარია, ის კარგი ხარისხის იყოს. მაგრამ თუ ცხიმიანი თმა გაქვთ ან ვარცხნილობის შესაბამისად სპეციალურ საშუალებებს ხმარობთ, რომლებიც ცვილს

შეიცავს, მაშინ 2 კვირაში ერთხელ თავი ისეთი შამპუნით უნდა დაიბანოთ, რომელიც თმიდან მყარ ნადებს ჩამორეცხავს.

ამბობენ, რომ თმა დღის განმავლობაში ხანგრძლივად და ხშირად უნდა ივარცხნოთ...

რაც უფრო ხშირად და ხანგრძლივად ივარცხნით თმას, მით მეტი ჩამოგცვივდებათ. დაიმახსოვრეთ, სავარცხელს მრგვალი, მეჩხერი კბილები უნდა ჰქონდეს და თმა მანამ უნდა ივარცხნოთ, სანამ სავარცხელი მასში სრიალს არ დაიწყებს.

ამბობენ, რომ ჭაღარა თმა ულამაზოა...

არც მთლად ასეა. თუ თმა ფუმიფულა და აბრეშუმისებურია, თან ლამაზი ვარცხნილობა გაქვთ, არა აქვს მნიშვნელობა, რა ფერისაა იგი. მთავარია, ჭაღარა ბზინავდეს.

ამბობენ, რომ თავიდან ჭაღარა ღერს თუ ამოიძრობთ, თეთრი ფერის

თმა გაგიმრავლებს...

არ არის მართალი, რადგან ერთი ბუდიდან მხოლოდ ერთი ღერი არ იზრდება, მაგრამ თმის ამოძრობა უვნებელი პროცესი არ გახლავთ. შეიძლება, ფოლკლორული დიზიანოთ, ინფექცია შეგეჭრათ და ა.შ.

ამბობენ, რომ თმას რაც უფრო ხშირად შეიჭრთ, მით მალე გაიზრდება...

მიუხედავად იმისა, თმას იჭრით თუ არა, ის თვეში დაახლოებით 1 სმ-ით მაინც იზრდება. ის ზაფხულში ცოტათი უფრო სწრაფად იზრდება, რაც ამ პერიოდში, პორმონული პროცესების დაქარაღებით აიხსნება. თმის შეჭრა დაგეგმარებათ გაყოფილი და გამომშრალი თმის მოცილებაში, რაც მას ჯანსაღ იერს ანიჭებს.

ამბობენ, რომ 40 წელს გადაცილებულმა ქალებმა მოკლე ვარცხნილობა არ უნდა ატარონ...

თუ ლამაზი და ჯანსაღი თმა გაქვთ, მნიშვნელობა არა აქვს, მოკლე ვარცხნილობა გექნებათ თუ გრძელი. მთავარია, გიხდებოდეთ. გაითვალისწინეთ, თუ ფართო სახე გაქვთ, მოკლე, კობისებური ვარცხნილობა მოგიხდებათ, თუ ვიწრო, მაშინ გრძელი, ლამაზად აჭრილი. დაიმახსოვრეთ: იმდენად, რამდენადაც ასაკის მატებასთან ერთად თმა მშრალი ხდება, რეკომენდებულია კონდიციონერის გამოყენება.

ამბობენ, რომ რბილი თმა მოკლეობითი არ არის...

თმა მსხვილი თერმობიგუდით დაიხვიეთ. 5-10 წუთის შემდეგ ნახავთ, როგორი მოცულობითი გახდება იგი. ვარცხნილობა სპეციალური ლაქით დააფიქსირეთ და თმის ინტენსიურ დავარცხნას მოერიდეთ.

ამბობენ, რომ თავზე ცივი წყლის გადავლება თმას ბზინვარებას სძენს...

ასეთი პროცედურა ნამდვილად გაგამხნევებთ, მაგრამ ის თმას ბზინვარებას ნამდვილად ვერ შემატებს. აი, სხვა საქმეა, თუ დაბანილ თმაზე მწვანე ჩაის, გვირილის, სალბის ან ჭინჭრის ნახარშს გადავივლებთ. ■

მოსდენილი სხეულის ფორმულა

მოსდენილი, დახვეწილი სხეული — აი, თანამედროვე ქალის ოცნება. ყოველივე ამის მისაღწევად კი, პირველ რიგში, ყურადღება წონას უნდა მივაქციოთ. რომელი წონაა ოპტიმალური? ამის გასარკვევად უამრავი საშუალება არსებობს. გთავაზობთ ყველაზე გაფრცხლებული და პოპულარული მეთოდების ჩამონათვალს.

ფრანგი ანთროპოლოგის, პოლ ბროქის ფორმულა ასე გამოიყურება:

თუ სიმაღლით 165 სმ ან ნაკლები ბრძანდებით, მაშინ თქვენი სხეულის ოპტიმალური წონა (კგ-ში) არის თქვენსავე სიმაღლეს (სმ-ში) გამოკლებული 100.

თუ თქვენი სიმაღლე 166-176 სმ-ია, მაშინ თქვენი წონა (კგ-ში) = სიმაღლეს (სმ-ში) მინუს 105.

თუ თქვენი სიმაღლე 176 სმ ან მეტია, მაშინ თქვენი ოპტიმალური წონა (კგ-ში) = სიმაღლეს (სმ-ში) მინუს 110.

მაგალითად, თუ 162 სმ სიმაღლის ბრძანდებით, თქვენი იდეალური წონა ასე უნდა გამოთვალოთ: 162-100=62 ანუ თქვენი სიმაღლის შესაბამისი იდეალური წონაა 62 კგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მეცნიერი ბროქის ფორმულას მართებულად



40-50 წლის ქალბატონებისთვის მიიჩნევა. 20-30 წლის გოგონებისთვის კი, მათი აზრით, ოპტიმალური წონა ბროქის ფორმულით მიღებულ რიცხვზე — 10-12%-ით ნაკლები, ხოლო 50 და უფრო მეტი ასაკის მქონე ქალბატონებისთვის — 5-7%-ით მეტი უნდა იყოს.

სხეულის ოპტიმალური წონის გამოანგარიშება შეიძლება შემდეგი ფორმულითაც:

წონა = (სიმაღლე:2) — (4000:სიმაღლე).

მაგალითად, თუ სიმაღლით 165 სმ ხართ, მაშინ თქვენი ოპტიმალური წონა უნდა იყოს (165:2) მინუს (4000:165).

არსებობს **პუნსარდის** საკმაოდ ცნობილი ფორმულაც:

წონა = სიმაღლე (სმ-ში) X გულმკერდის შემოწერილობაზე და : 240-ზე.

შინიშვნა: თუ თითოეული ჩამოთვლილი ფორმულით მიღებულ შედეგს გავანალიზებთ, მათ შორის საკმაოდ მსგავსებას აღმოვაჩენთ, რაც მეტ-ნაკლებად მათ დამაჯერებლობაზე მიგვიბრუნებს. ■

ხალხობით წინასწარმეტყველების ხელოვნება

თუ ხალი მარჯვენა ლოყაზე გაქვთ, მძაფრი სასიყვარულო განწყობები გელით...

სხეულზე განლაგებულ ხალებს, ადამიანები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ანიჭებდნენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამ ერთი შეხედვით უწყინარი ნიშნების შესახებ მეცნიერებას, საფუძველი ჩინეთში ჩაეყარა. სხეულზე ხალების განლაგებას ძველი ბერძნებიც სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ხალების მიხედვით შეეძლოთ, ადამიანის ბედსა და ცხოვრებაზე ბევრი რამ ეწინასწარმეტყველათ. ჩინელი მეცნიერები ადამიანის ბედისთვის წარმატებულად მიიჩნევდნენ ხალებს, რომლებიც თითქმის შეუმჩნეველი, თმის ან ტანისამოსის ქვეშაა დამალული. მათი აზრით, ასეთი ხალები ადამიანის დღეგრძელობასა და სიმდიდრეზე მიუთითებდა.

ასე რომ, ყურადღებით დააკვირდით საკუთარ თავს სარკეში:

ღია ფერის ხალები მის მფლობელს დიდ ბედნიერებას უწინასწარმეტყველებს, მიუქი — შედარებით მოკრძალებულ წარმატებას და სიხარულს. ამასთანავე, უნდა გაითვალისწინოთ ისიც, რომ რაც უფრო მრგვალი ფორმა აქვს ხალს, ის მით უფრო კარგის მომასწავებელია.

● თუ ხალი შუბლის მარჯვენა მხარეს გაქვთ, ის თქვენთვის ბედნიერებისა და დიდების მომტანია. თუ მარცხენა მხარეს გაქვთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მატერიალური სიძნელეები გელით. თუ ხალი შუბლის შუა ნაწილში გაქვთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სიყვარულში აუცილებლად გაგიმართლებთ.

● თუ ხალი მარჯვენა ქუთუთოზე ან მარჯვენა წარბთან გაქვთ, ეს ნაადრევი, მაგრამ ბედნიერი ქორწინების ნიშანია, ხოლო თუ მარცხენა ნაწილზე გაქვთ — პირიქით, გვიან გაბედნიერდებით.

● თუ ხალი თვალის კუთხეში გაქვთ, ე.ი. თქვენ მშვიდი და განონასწორებული ხასიათი გაქვთ.

● თუ ხალი ყურზე გაქვთ, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ თქვენთვის ამ ცხოვრებაში მიუღწეველი არაფერია.

● თუ ხალი მარჯვენა ლოყაზე გაქვთ, მაშინ თქვენ მძაფრი სასიყვარულო განცდები გელით, ხოლო თუ მარცხენაზე გაქვთ, მაშინ წარმატებისკენ მიმავალ გზაზე ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოგიწევთ.



● თუ ხალი ტუჩზე გაქვთ, ეს თქვენს მხიარულ ხასიათსა და მგრძობილობაზე მეტყველებს (საერთოდ, ასეთი ადამიანები, ცხოვრებისეული ფუფუნებისადმი გულგრილი არ არიან. მათ არ უყვართ თავიანთ თავზე ზედმეტი პასუხისმგებლობის აღება). თუ ხალი ტუჩის ზემოთ მდებარეობს, ეს მისი მფლობელის განსაკუთრებულ ქალურობას უსვამს ხაზს, თუ ქვედა ტუჩთან — საიდუმლო სასიყვარულო ურთიერთობების მანიშნებელია.

● თუ ხალი მარჯვენა ბეჭზე გაქვთ, ეს თქვენს შრომისმოყვარეობასა და წარმატებებზე მიუთითებს (მის მფლობელს შეუძლია, დღე-ღამეში 20 საათის განმავლობაში შეუსვენებლად იმუშაოს). თუ ხალი მარცხენა ბეჭზე გაქვთ, შეიძლება, ის ფინანსური დაბრკოლებების მაჩვენებელიც იყოს.

● თუ ხალი ყელზე გაქვთ, ეს თქვენს თავბრუს დაძვინვეს კარიერის მაუწყებელია.

● თუ ხალი წელზე ან თქოზე გაქვთ, ეს ნიშნავს, რომ ბედი ბევრ შვილს გაჩუქებთ. ამასთანავე, რაც უფრო დიდია ხალის ზომა, მით მეტი შთამომავალი გეყოლებათ.

● თუ ხალზე თმა ამოგივიდათ, რაც საკმაოდ არასასურველია, ის სისტემატურად და ფრთხილად უნდა შეიჭრათ.

შენიშვნა: დააკვირდით საკუთარ თავს, გაერთეთ და იხალისეთ, რადგან სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს წინასწარმეტყველება ახდეს.

როლის დღეობს მამბახს ნიბისყოზა და როგორი სექსი მოსწონთ ქალებს

საინტერესო საბუნების ძალაზე

ქალების 10% პირველი პაემნიდან 1 საათის შემდეგ უკვე სექსზე ფიქრობს. ქალების 20%-ს სექსი უჩვეულო, ექსტრემალურ ადგილებში იზიდავს. ქალების 36%-ს ძალიან უყვარს შიმველი სიარული.

ქალების 45% უპირატესობას ცისფერთვალაზე, შავგვერდებზე მამაკაცებს ანიჭებს.

ქალების 46% მზად არის, მეუღლის ყველა სურვილი დააკმაყოფილოს.

ქალების 70%-ს სექსი დილის საათებში უყვარს.

ქალების 80%-ს სხვა ქალთან სექსუალური ურთიერთობა არა აქვს.

ქალების 90%-ს სურს, სასიყვარულო ურთიერთობა ტყეში ჰქონდეს.

ქალების 99%-ს არასდროს ჰქონია სექსი ოფისში.

განაცხადი სექსუალური ვილუზი

10 წლის მამაკაცს რაღაც სურს, მაგრამ ვერ გაუგია — რა.

12 წლის მამაკაცი უკვე ცდილობს, მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია სექსზე.

14 წლის მამაკაცს ქალის სიყვარულის სურვილი უჩნდება.

16 წლის მამაკაცი ცდილობს, გაიჩინოს მეგობარი გოგონა.

18 წლის მამაკაცს ყველაფრის განიხივება სურს.

20 წლის მამაკაცს ის ქალი ხიბლავს, რომელიც პატიოსანი და ერთგულია.

25 წლის მამაკაცი ეძებს ქალს, რომელიც ყველაზე ლამაზია.

30 წლის მამაკაცს სხვისი ცოლი მოსწონს.

35 წლის მამაკაცს ყველა ქალი მოსწონს, გარდა ცოლისა.

40 წლის მამაკაცს თინეიჯერ გოგონებთან სურს ინტიმური ურთიერთობის გაზმა.

45 წლის მამაკაცი მეზობელი შინაბერას გულის დაპყრობას ცდილობს.

50 წლის მამაკაცს უკვე არც ერთი ქალი არ აინტერესებს, მას ყველაფერი მოჰპებურდა.

55 წლის მამაკაცი სასიყვარულო თავგადასავლებს მოგონებებით აგრძელებს ცხოვრებას.

60 წლის მამაკაცს სურვილი უჩნდება, ქალთან ურთიერთობა ჰქონდეს, მაგრამ შესაძლებლობა „დალატობს“.

65 წლის მამაკაცი ცდილობს, ისეთი სახე მიიღოს, თითქოს ქალები ისევ იზიდავს.

70 წლის მამაკაცს უკვე ალარაფერი აინტერესებს.

75 წლის მამაკაცი იხსენებს — ახალგაზრდობაში ვისთან ჰქონდა სექსი.

80 წლის მამაკაცი ფიქრობს, მის დაკრძალვას ვინ (იგულისხმება ქალები) დაესწრება და ვინ დაიტყრება.



ღვა ტუხტირძე

ჩემი სამზარეულოს ონკანმა კი, როგორც ჩანს, უკვე გაძლო თავისი გასაძლები და გაფუჭდა... მე დავიზაფრე. მამამ ვერ მიშველა, ბიოლის „უკაცო სახლი“ მომაგონდა... ორი დღე გაფუჭელი, მერე გამახსენდა სადღაც ამოკითხული თუ მოსმენილი, რომ ონკანიდან წყლის წვეთით რეციდივისტებს, პოლიტიკურ პატიმრებს... მოკლედ, დამნაშავეებს ანამებენ და ავფაფხურდი. შევიძინე ახალი ონკანი, ქუჩაში ბოძზე მიკრულ განცხადებას, რომელიც დახმარებას მთავაზობდა, ტელეფონის ნომერი ჩამოვახიე და დავრეკე. ქალბატონმა სოლიდური ხმით და გამართული სალიტერატურო ქართულით მითხრა, რომ მისი მუშა დილით, 8 საათზე შემომივილიდა და დამემშვიდობა. დაუჯერებელი რა არის, მაგრამ მაინც დავრეკე ხელმეორედ და დავაზუსტე, რომ ნამდვილად ონკანების შემკეთებელს ვუხმობდი საშველად. დამემშვიდეს და მობოდიშების შემდეგ დამემშვიდობნენ.

ზუსტად რვა საათზე, ჩემი სადარბაზოს ხის კიბიდან ფეხის ხმა შემომესმა, შემდეგ ფრთხილი კაკუნის ხმაც.

— დილა მშვიდობისა ქალბატონო მედეა! ზარი არ დავრეკე, ვიფიქრე, ბავშვებს გავაღვიძებ-მეთქი...

— დიახ, ბავშვებს მართლაც სძინავთ... მობრძანდით!

რა გითხრათ, სახლში ხანდაზმული პროფესორი, აკადემიკოსი, უკიდურეს შემთხვევაში, სკოლის პედაგოგი მაინც, შემოვიდა.

— სად არის ავადმყოფი?

ნუთუ შემეშალა?!...

— დაბრძანდით, ცოტა დაისვენეთ! — შევივარაზე.

— გზადლობთ, ჯობს ონკანს მივხედოთ!

მე, უსუსური და ბედნიერი, მორჩილად სამზარეულოსკენ გავუძეხი... ის, ამაყი და სიმპათიური, თავისი მოხდენილი ჩანთით, ჩემს კუთვნილ საბრძანებელში შემობრძანდა, სამზარეულო მაგიდაზე გაშალა ჩანთა და დაიწყო...

— ოოოოო, ეს უფიც ადამიანს დაუყენებია, არა უშავს, გამოვასწორობთ, გსმენიათ რამე კლოდ მანიეს შესახებ? ჰა, ჰა! რა თქმა უნდა, გსმენიათ, მაგრამ დაგაბნით. დრამატურგია, ფრანგი.

ვდუმვარ, ის არ ჩქარობს და გულდაგულ კეტავს მთავარ ონკანს, ჩემი ძვირ-

პოხინაუი ბეცნიეხეა

ჩვენ ვდაობთ ჭეშმარიტებებზე და ეს სრულიადაც არ გვერვენება გასაოცრად, რადგანაც ქვეყანას, რომელსაც საქართველო ჰქვია, იმდენი ჭეშმარიტება აქვს, რამდენი ნიჭიერი, ამბიციური, განათლებული, თავიანი თავიც ჰყავს... ჰოდა, ამ ნიჭიერების მართაონში, რომელსაც, სამწუხაროდ, მშირად მორალი მარლივით აკლია, თეთრია თეთრი, თუ შავი — თეთრი, მოდავეებსაც ვეღარ გაურკვევიათ. ის კი, ვინც ზუსტად იცის ეს ფერთა გამა რასაც ნიშნავს, დუმს და ფიქრობს... გაძლებამდე...

ფასი ქვედა მეზობელი წარღვნამ რომ არ შეაწუხოს.

— ნახეთ, წყლის ჭავლი იკლებს, მცირე ხანს დაველოდოთ, რომ მთლიანად ჩამოიცილოს მილი. როდესაც კარი გამიღეთ,



ბერნადეტი მოხაგონეთ. ჰო, ბერნადეტი, დაუმორჩილებელი და სიცოცხლით სავსე მანანა კოზაკოვას გმირი. თქვენ ნახეთ ეს სპექტაკლი? მე მომხრე ვარ ქართული ტრადიციული ოჯახისა, მაგრამ გადახუნებული შინაბერები კატეგორიულად არ მხიბლავენ!.. ქალი ასეთი უნდა იყოს: ბედნიერი და მფრინავი. მომანოდეთ, გეთაყვა, ქანჩი!

— ინებეთ. ბედნიერი და მფრინავი? მაგრამ ასეთ ქალბატონებს ჩვენში მამაკაცები სხვაგვარად მოიხსენიებენ.

— მედეა! თქვენ ხომ არა ხართ ჩვეულებრივი ობივატელი?

— თქვენ რა იცით, ვინ ვარ?!

— თქვენმა მოწინებამ ჩემ მართ მათქვინებინა, რომ შემცანი, ამიტომაც გავბედე და სიტყვა იმ სპექტაკლზე ჩამოგიგდე, რომელიც „თეატრალურ სარდაფში“, რუსთაველზე გუშინ საღამოს ვნახე. რატომაც არა, თუ ნანახი გაქვთ „ოსკარი“, შთაბეჭდილებებს გავუზიარებთ ერთმანეთს, თუ ჯერ არ გინახავთ, მოგანდომებთ მის ნახვას, მერე ონკანიც გაკეთდება და გამოვა, რომ დრო ფუ-

ჭად არ დავგიკარგავს. ნანახი გაქვთ?

— დიახ, პრემიერას დავესწარი, 18 მაისს.

— ხედავთ, რა ძლიერია მისგან მიღებული ემოცია, თვე და რიცხვიც გახსოვთ! მაშინ შემედავეთ.

— ბერნადეტი მართლაც მომხიბლავი მომეჩვენა, მაგრამ ვერ ვიფიქრე, რომ მასზე მამაკაცსაც იგივე აზრი და ემოცია გაუჩნდებოდა.

— თქვენ გავიწყდებთ ამ ქალბატონის მეუღლეების გრძელი სია...

— და ეს არგუმენტი?..

— არგუმენტი, როდესაც საქმე ხელოვნებას ეხება, ის არის, რამდენად გვერად იმის, რასაც ხედავ, რაც გესმის და რის ფერს და სუნსაც გრძნობ. მე ბერნადეტის მხარეს ვარ. ვიზიარებ მის დამოკიდებულებას ცხოვრების მიმართ. იყავი ბედნიერი იმით, რასაც ბედისწერა გამოიძეებს შენთვის. აი, რა არის მთავარი! სხვათა შორის, თქვენც ასე ფიქრობთ, თუმცა ამას ვერ აღიარებთ.

— რატომაც არა, ვალიარებ, რომ ადამიანს ჭეშუნვა არ ეგების, რომ ქალი მშვენიერია იმდენად, რამდენადაც თავისუფალია, მაგრამ ამ ჩემს „ალიარებას“ უზნეობის ბეჭედს მიანებებს ვილაც და ამტიციე მერე საპირისპირო.

— ღმერთო ჩემო, რა საჭიროა ვინმეს რამე ვუმტიციცოთ, წავიდეთ და კიდევ ვნახოთ სპექტაკლი.

— ერთში არ გეთანხმებით, არ ვგავარ ბერნადეტს.

— როგორ, შეშინდით?! აბა, ის რა იყო, თქვენი რეპლიკა ჩემი შემოსვლისას: დიახ, ბავშვებს მართლაც სძინავთ, შემობრძანდით! ცხვირანული, ყურადღებით მაკვირდებოდით და სანამ ოთახამდე მივალნიე, უკვე მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ სკამი შემოგეთავაზებინათ. ეს ქალის საქციე-



ღმერთო ჩემო, რა საჭიროა ვინმეს რამე ვუმტიციცოთ, წავიდეთ და კიდევ ვნახოთ სპექტაკლი

ლია!
— თქვენთან არ ღირს დავა, რადგან უპირატესობა გაქვთ დიდი.

— კონკრეტულად?

— გუშინ ნახეთ სპექტაკლი, მე, რამდენიმე თვის წინ.

— ესეც გოლი ჩემს კარში, თუმცა, ჩემსავე სასარგებლოდ. თქვენ აღიარებთ ჩემს უპირატესობას, მაგრამ ისე კი, რომ თავად შემეპაროს ამაში ეჭვი.

— კარგი, დავანებოთ თავი მფრინავ ბედნიერებას. სხვა გმირებმაც ისე მოგზიბლეს, როგორც მე მოვიხიბლე?

— რა თქმა უნდა! ეს სპექტაკლი სრულიად, სავსებით იყო მომხიბლავი და არა ცალკეული დეტალებით. რეჟისორის ხელი! ხელი, რომელიც ვითომ არ ჩანს, მაგრამ ისე მართავს, რომ მოდუნების საშუალებას არ გაძლევს. აი, თქვენ მუშაობთ?

— დიახ.

— დიდ ორგანიზაციაში?

— სოლიდურში.

— ანუ, წარმატებულში. ეს კი ნიშნავს, რომ თქვენი ხელმძღვანელი ბუტაფორია კი არ არის, ღონიერი, გონიერი, ნიჭიერი, საქმიანი, შეყვარებული, სიმპათიური ადამიანი. აი, როგორც ლევან ნულაძე — რეჟისორი.

— საოცარია, როგორ ამბობთ, რომ ადამიანი სიმპათიურია, თუკი მისთვის თვალიც არ გაქვთ მოკრული, მისი სქესიც კი არ იცით.

— მე დაგიჯერეთ, როცა თქვით, რომ სოლიდურ ორგანიზაციაში მუშაობთ. სოლიდურობა კი ისე, არაფრისთვის, არ

— დუტა სხირტლაცე, რომელიც ახლა „ჯეოსელის“ სახეა და ალბათ დაუსრულებლად შეუძლია ისარგებლოს მისი მომსახურებით, ვერ გაქუცევს სარეკლამო რგოლებმა.

— ეს რა სიტყვაა, „გაქუცევს“!

— თქვენ ხომ მიხვდით.

— ჰო, ალბათ თქვით, რომ გენანებათ მსახიობი, რომელსაც მაყურებელი თავისი ნიჭიერების გამო კი არ განადიდებს, არამედ, სარეკლამო რგოლებით იცნობს.

— დიახ, ეს ვიგულისხმე, თქვენ გამიგეთ, აქ კი, ჩვენ გარდა არავინაა... ჩვენ და ჩემი ჩაჟანგული ონკანი.

— შეაჩნით, როგორ გამიჭირდა მისი მოხსნა? მართლაც მოსდებია ჟანგი. საერთოდ, გაახალგაზრდავება, გადახალისება, ახლით შეცვლა ყველაფერს სჭირდება. ეს კი, ბუნების კანონია, რამდენად უსამართლოდაც არ უნდა მოგეჩვენოთ. თუმცა თემას ავცდით.

— ერთს გმირზე ვსაუბრობდით...

— დუტა ნუთით! სამამამთილო დაგავინყვადო?

— არააა! ბესიკ ბარათაშვილი. იმ პიჯამოში გამონყობილ გმირს თუ გავუგებდი, რაღაც არ მეგონა, მაგრამ... ბოლოს გამოვიდა, რომ თანავეუგრძე.

— თქვენ დააკვირდით, რომ ბარათაშვილი ყველაზე დიდხანს იდგა სცენაზე, მაგრამ სცენები არ იყო სტატიკური, ფიზიკურად ეს დამლელიც იქნებოდა ნებისმიერი მსახიობისთვის, მას კი ხმაში სიყალბე ერთხელაც არ შეჰპარვია.

— სიყალბე?! არც ხმაში, არც გამოხედვაში, არც ჟესტებში! მთლიანად დაისარჯა. გამიკვირდა კიდევ, როცა სპექტაკლის შემდეგ ქუჩაში გამოსულ მსახიობებთან ერთად დავინახე. მეგონა, დაქანცული და დათრგუნვილი იქნებოდა.

— ოოო, ახლა კი არ ვმსჯელობთ, ვჭორაობთ!

— მერე და რაო, სპექტაკლის რეცენზიას ხომ არ ვწერთ.

— და რეცენზია რომ გვექონოდა დასაწერი, რას იტყოდით ბერტრან ბარნიეს როლის შემსრულებელზე?

— დაფიქრდები, რადგან ეს ადვილი არ არის... ჰო, ასე ვიტყოდით: თბილისი აღარ არის ქალაქი, სადაც თეატრის სუნთქვას ქუჩაშიაც გრძნობდი, მაგრამ იმ საღამოს, რუსთაველის პროსპექტის იმ ნათელ მონაკვეთში, სადაც „თეატრალური სარდაფი“ სახლობს, მე ეს სუნთქვა ნათლად შევიგრძენი. ამაში კი „დამნაშავე“ ბესიკ ბარათაშვილიც გახლდათ. რაც მთავარია, აღმოვაჩინე, რომ ის აქ მთავარი მარტო ავტორისგან მინიჭებული უფლებით როდი გახლდათ... აბა, შევძელი?!

— კარგია, ცოტა კი გული დამწყდა... როგორ თქვით? მთავარი არა მარტო ავტორისგან მინიჭებული უფლებით... ასეთი შეფასება არ მსმენია.

— გადავაჭარბე, ასე ფიქრობთ?

— არა, როგორი მსახიობები გყავას,



თბილისი აღარ არის ქალაქი, სადაც თეატრის სუნთქვას ქუჩაშიაც გრძნობდი

არადა, მხოლოდ ზოგიერთები ვახერხებთ მათთან მიახლებას.

— როგორები და ნიჭიერები და ლამაზები, ერთგულები და შეყვარებულები, თეატრის, ხელოვნების ჭკუმიარტი მსახურით რომ შეჰფერით, ისეთი.

— მერე, ეს მათი ახალგაზრდობა! მათი ახალგაზრდობა ისეთი დამაიმედებელია.

— მიაქციეთ ყურადღება, დარბაზი რა დღეში იყო?

— დაჭიმული სიმღვივით, ბოლოს, მისი სიშვეც აღარ იყო თვალში საცემი.

— სიშვევ?

— ჰო, დღევანდელი ქართველების ფერი

— შავი. თავდაც შავ ფერში გადანყვებულ დარბაზში, სცენასთან ორ ნაბიჯში მიდგმულ სკამებზე ჩემი შავებში ჩაცმული ქართველები ისხდნენ. თუმცა, ბედნიერები.

— სამაგიეროდ, ნანკა კალატოზიშვილი, ბარბარე დვალისვილი, მავა ძაგანია იყვნენ ფერიებივით.

— ბუნებამ დააბურტყა მათ მადლი სილამაზისა, მხატვარმა და რეჟისორმა კი, ამ მადლით მაყურებლის ტკბობა განიზრახეს.

— თანაც ისე, რომ ამაში არ ერია ვულგარულობის არც ერთი მარცვალი.

— თუმცა, ინტრიგა მძაფრი იყო.

— ინტრიგა. ეს სპექტაკლი ხომ მათთვის დაიდგა, რომელთაც აღარ სჯერათ, რომ ის, სიყვარული არსებობს!

— ლამაზად ლამაზაკობთ მედია, მიხარია, რომ დაგეზარეთ... ნახეთ, გამოვცვალე თქვენი ონკანი. ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ: საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, პროფესორი... ახლა, როდესაც სამზარეულოში შემოხვალთ, სმირად გაიხსენებთ ჩვენს საუბარს. იქნებ, ხელმეორედაც გადაწყვიტოთ ამ სპექტაკლის ნახვა. სპექტაკლის, რომლის უხილავ გმირთან, ოსკართან საუბარი მხოლოდ ბაჩუკი დოლონაძემ, ოგიუსტენის როლის შემსრულებელმა მოახერხა, ისიც ტელეფონით. ჰა, ჰა, რა სცენა იყო, არა? ეს რა გამახსენდა! დაგტოვებთ, თორემ ისევ რეჟისორის ხედავზე ვინყებ საუბარს...

რალა გითხრათ?

გამგებმა ისედაც გაიგო მთავარი.

როგორ გაიქუცა ეს სიტყვები, მაგრამ ასეა: საქართველო პარადოქსების ქვეყანაა! და კიდევ: ნახეთ ეს სპექტაკლი, იგემეთ ბედნიერება, რომელიც გაგახსენებთ, რომ თქვენ ფრენაც შეგიძლიათ!



თითქმის მთელი სპექტაკლი მოულოდნელი მოქმედებით უფრო იყო დატვირთული, ვიდრე სიტყვით

მიეცემა ადამიანს. რა, შემეშალა?!

— ღმერთო ჩემო, არაფერი შეგშლიათ! თან არც ჩემი ხელმძღვანელისთვის მენანება კეთილი სიტყვა და არც ლევან ნულაძისთვის. დავამატებ კიდევ კომპლიმენტებს.

— ჰოდა, დაამატეთ! ვიხალისოთ ნიჭიერებით!

— გახსოვთ ის სცენა — დუტა სხირტლაცის გმირი დითირამებს რომ უკითხავს სამამამთილოს?

— ოოო, კრისტინ მარტენის პირველი დარტყმა? ჰო, ეგ მთლიანად რეჟისორის იყო, თუმცა დუტა უშეცდომოდ ასრულებდა!

— ჰო, კიდევ ბევრი სცენა იყო ასეთი. თითქმის მთელი სპექტაკლი მოულოდნელი მოქმედებით უფრო იყო დატვირთული, ვიდრე სიტყვით.

— დუტა ჩემს თვალში დემეტრე გახდა.



ლალი ფასია

— ბატონო კობა, რა პროფესიის ბრძანდებით?

— განათლება „ჯენერალ მენეჯმენტის“ განხრით მაქვს მიღებული. ეს ორგანიზაციულ მართვას ნიშნავს. საკმაოდ გავრცელებული დარგია. ეს პროფესია ადამიანებს კომუნიკაბელობასა და სხვადასხვა სტრუქტურაში კოორდინირებულ მართვას ასწავლის, რაც შემდეგ, ნებისმიერი კუთხით შეგიძლია გამოიყენო.

— როგორი მმართველი ხართ?

— საკუთარი თავის შეფასება რთულია. ყოველ შემთხვევაში, უფრო დიდი და გაცილებით მრავალრიცხოვანი ორგანიზაციები მიმართია. მთავარია, რომ არც ხალხთან ურთიერთობა, არც მათი შესაძლებლობების შეფასება და სწორად წარმართვა არ მიჭირს, რაც საქმეს მიაღვილებს.

— ლიბერალი ხართ?

— დიას, ჰორიზონტალური ურთიერთობების მოყვარული და არა ვერტიკალურის. მიმაჩნია, რომ გაცილებით ეფექტურია, როდესაც ამა თუ იმ საკითხს თანაბარ პირობებში მყოფი რამდენიმე ადამიანი წყვეტს. ხელმძღვანელის ლიბერალური მიდგომა, სადაც კი ვყოფილვარ, ყველგან ამართლებდა.

— „რუსთავი 2“-ში თქვენს დანიშნავს ჟურნალისტების ბუნტი რატომ მოჰყვა?

— იცით, მეც თავიდან მეგონა, რომ ჩემს წინააღმდეგ პირი შეკრეს და ბუნტი მოაწყვეს. მაგრამ მერე, როცა ყველაფერში კარგად გავერკვიე, დავრწმუნდი, რომ ეს რამდენიმე ადამიანის მიერ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება იყო, მართალია — ჩემთვის ბუდოვანის, მაგრამ მათთვის ალბათ სპეციფიკურისა და მნიშვნელოვანის, რადგან

„რუსთავი 2“-ის უფს საათები ერთხელ აკონტროლებენ...

კობა დავარაშვილი „ყაზარმის“ აშენებას აპირებს

კობა დავარაშვილი ცოტა ხნის წინ, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორად დაინიშნა. ის პროფესიით ჟურნალისტი არ გახლავთ და ამ პროფესიას აღნიშნულ თანამდებობაზე სამუშაოდ, აუცილებლობად არც მიიჩნევს. მიაჩნია, რომ ნებისმიერ ორგანიზაციას მენეჯერი უნდა მართავდეს და არა ვინაო სპეციალობის მქონე ადამიანი, რომ კადრები სწორად შეარჩიოს. „ვცდილობ, ადამიანების შესაძლებლობები სწორად გამოვიყენო“, — აღნიშნავს ჩვენი რესპონდენტი, რომელმაც გასულ კვირას, დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ერთი საათი დაგვითმო.

საქმე მათ კარიერას ეხება. მე მათ ვეტყობდი, რომ კარიერა არ არის ჯგუფური საკითხი, ის ინდივიდუალურია. ტელევიზიიდან რამდენიმე ჟურნალისტის წასვლა ტრაგედიად არ მიმაჩნია, რადგან თითოეულს საკმაოდ კარგი, ძლიერი შემცვლელი გამოუჩნდა, კომპანიას ახალი სისხლი შეემატა. თუმცა, რამდენიმე დაბრუნდა კიდეც, მათ შორის — თენგივ გოგოტიშვილი, რასაც მივესალმები.

— მაშინ, როდესაც თითქმის ყველა დარგში კვალიფიციური კადრების დეფიციტია, არსიდან პროფესიონალი ჟურნალისტების წასვლა სირთულეს არ ქმნის?

— პროფესიონალის დაკარგვა რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ ნებისმიერის შეცვლა შეიძლება. ZDF-იც კარგი ტელევიზიაა, მაგრამ იქ „ლეჟავენი“ არ მუშაობენ...

— სანამ დირექტორად მოხვიდოდით, გეგონათ, რომ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებთან ისეთ პრობლემას წააწყდებოდით, რომლებმაც ტელევიზიაში თქვენი მოსვლის პირველსავე დღეს იჩინა თავი?

— მე ამას პრობლემას არ ვეძახი, უბრალოდ, საგანგებო რეჟიმში მომიხდა გადაუდებელი გადაწყვეტილების მიღება. ორგანიზაციაში, სადაც 500 თანამშრომელი მუშაობს, ყოველთვის ვიღაც წავა და მოვა. ამისთვის ხელმძღვანელი სულ მზად უნდა იყოს, მით უმეტეს — კონკურენტულ გარემოში. სწორად აღნიშნეთ — პროფესიონალები ჭირს, ამიტომ რაც „რუსთავი 2“-ში მივედი, იმ დღიდან, გამუდმებით ძლიერ კადრებს ვეძებთ. ვცდილობთ, რომ საუკეთესოები ჩვენთან იყვნენ. ალბათ, ჩემი წინამორბედებიც სულ ამას ცდილობდნენ.

— რას იტყვით 9-საათიანი „კურიერის“ წამყვან დიანა ჯოჯუაზე?

— დიანა ჯოჯუა არავისზე ნაკლები სიმპათიით არ სარგებლობს...

— ბევრი ამბობს, რომ მისი საუბრის მანერა ნათია ლაზაშვილისას ჰგავსო.

— ეს შეიძლება, მიჩვევის ბრალია... ძალიან მომწონს დიანას ინდივიდუალიზმი, ტელეკრანზე დამაჯერებელია.

— ტელეკომპანია „იმედიდან“ „რუსთავი 2“-ში მისი გადმოყვანა

თქვენი იდეა იყო? ანუ ის თქვენი მონაპოვარია?

— კი, მეც ვიყავი ერთ-ერთი, ვინც დიანა „რუსთავი 2“-ში გადმოიყვანა.

— დღეს „რუსთავი 2“-ში რა სიტუაციაა?

— სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. უამრავი ახალი პროექტის განხორციელებას ვაპირებ. პროგრამები სწორად უნდა შეირჩეს, რაზეც ბევრს ვფიქრობთ. ახლახან შევიძინეთ ლიცენზირებული რეალური შოუ — „ყაზარმა“. რომელიმე საჯარისო ნაწილის ტერიტორიაზე ყაზარმას ავაშენებთ, მივიყვანთ მონაწილეთა ჯგუფს, რომელსაც თამაშის წესების მიხედვით, ცხოვრების ცუდ პირობებს შევუქმნით. მონაწილეები თავისთავად დაიწყებენ ყაზარმიდან წასვლას, რადგან ხელოვნურად შექმნილ საშინელ პირობებსა და რეჟიმს ვერ გაუძლებენ... ვფიქრობთ, რომ ეს ახალგაზრდებისთვის საინტერესო იქნება. გავაკეთეთ „ბიზნესკურიერი“, რომელიც გასართობი სულაც არ არის. მისი ეთერში გაშვება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან მოგესვენებათ, მაყურებელს პოლიტიკური სკანდალი უფრო მეტად აინტერესებს. საერთოდ, რეალური შოუების გაკეთებაც რისკი იყო, მაგრამ გაამართლა. ეს არის პროექტები: „იდეა, ფული, ერთი შანსი“, „კანდიდატი“, „ჯეობარი“, რაც ჩემამდე იქნა მოფიქრებული. სიახლეები აუცილებელია, ტელევიზიას მხოლოდ გასართობი ფუნქცია როდი აქვს, მან მაყურებელს მაგალითიც უნდა მისცეს, რადგან ის ხელისუფლება, რომელსაც მედია ჰქვია, გაცილებით სანდოა ხალხისთვის, ვიდრე სხვა დანარჩენი. მინდა, „რუსთავი 2“-მა შემეცნებითი ფუნქცია იტვიროს, თუნდაც ეს რისკის ფასად დაჯდას. ასე რომ, ვფიქრობ, ეკონომიკური ნიუსებიც გაამართლებს.

— რეალური შოუ — „ჯეობარი“ ახსენებთ. როგორ შეაფასებთ ამ პროექტს? ამბობენ და ვხედავთ კიდეც, რომ ასეთი დაძაბული, მძაფრი, როგორც ბოლოა, არც ერთი წინამორბედი „ჯეობარი“ არ ყოფილა.

— მეც ასე ვფიქრობ!

— „ჯეობარი 3“-თან დაკავშირებით, ბევრი ნეგატიური აზრი არსებობს, თუმცა მყყურებელი პროექტს მაინც უყურებს.

— სხვაგვარად ალბათ, არც შეიძლება. განათლებით ნაწილობრივ, სოციალური ფსიქოლოგიც ვარ და კარგად ვიცი, რატომ ხდება, რომ ადამიანი ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს... „ჯეობარი“ ნორმალური პროექტია, რომელიც მსუბუქ ინტრიგებზეა აგებული. ნუ შევხედავთ მას ისე, თითქოს ის დიდ გავლენას მოახდენს ხალხის ფსიქიკაზე. იქ ძალზე მარტივ პრობლემებზეა საუბარი და პოლემიკა. ეს პროექტი „რუსთავი 2“-ს არ მოუგონია, დიდი ხანია, რაც ის მოფიქრებულია, კარგად გააზრებული და სხვადასხვა ქრილიში განხილულიც. „ჯეობარი“ ადამიანებს, მყურებელს განტივრთავს, რადგან ის მსოლოდ კლასიკური მუსიკით ვერ განტივრთება. პირიქით — შესაძლებელია, უფრო მეტად იფიქროს პრობლემებზე, ხოლო როდესაც მას ასეთ მარტივ პრობლემებს უჩვენებ, შეიძლება, მოდუნდეს, პირადად აღარ იფიქროს. ტელევიზიის ეს როლიც აკისრია. ასეთი რეალური შოუ შექმნების ნაწილია. ის ადამიანში ბოროტებასა და აგრესიას არ გააღვივებს. თუმცა, არც ისეა საქმე, რომ „ჯეობარი“ ადამიანის ფსიქიკაზე განსაკუთრებულ ზემოქმედებას მოახდენს. ეს რომ ცუდი

ნია გავლენა. ამასთან, უკვე პროდიუსერთა ჯგუფიც დაიხვეწა.

— აღნიშნულ პროექტში ფავორიტები რომ არ გყავთ?

— არა, „ჯეობარს“ ძალიან ობიექტურად ვუყურებ და საკუთარი აზრებიც მაქვს.

— სამსახურში რამდენ საათს ატარებთ?

— (იცინის). შეიძლება ითქვას, რომ სულ აქ ვარ. ერთი ასეთი თვისება მაქვს: რაც არ უნდა რთული სამუშაო მქონდეს, ყოველთვის ვიტოვებ დროს, რომ განვიტვიროთ. Хорошо работает тот, кто хорошо отдыхает. — ეს ჩემი მოკონილია (იცინის).

— სხვათა შორის, ეს ყველას არ გამოსდის.

— არც არის საჭირო, ყველას გამოუვიდეს, რადგან მაშინ ყველა კარგად იმუშავედა (იცინის), თუმცა ამჟამად, გაცილებით რთულ რეჟიმში მიწვევს შრომა, ვიდრე წინა სამსახურებში, მაგრამ მაინც ვპოულობ დროს, რომ დავისვენო, ვიფიქრო, გავერთო და მოვილხინო.

— უპირატესობას გართობის რა ფორმას ანიჭებთ?

— მოგზაურობა ჩემთვის კარგი გართობაა.

— მარტო მოგზაურობთ?

— არა, მეუღლესთან, მეგობრებთან ერთად. მარტო რატომ უნდა ვიმოგზა-

ვანელი ყვირილს იწყებს, ასეთი მდგომარეობა გაურკვეველს ხდის თავად იმ ადამიანის სურვილებს: ოპონენტებს არ ესმით, რას ითხოვს უფიქროს მათგან. ვერ ვიხსენებ ისეთ შემთხვევას, სამსახურებრივ საკითხზე რომ მეყვიროს. ვერც ერთი თანამშრომელი ვერ იტყვის იმას, რომ ვითხოვ იმაზე მეტს, ვიდრე პირადად მე არ ვაკეთებ.

— ბევრი მეგობარი გყავთ?

— ძალიან. მათ შორის არიან ბავშვობის, სკოლის, ინსტიტუტის მეგობრები. მიყვარს, როდესაც ყველანი ერთად ვიკრიბებით.

— რომელი სკოლა დაამთავრეთ?

— 51-ე.

— ვერელი ხართ?

— კი (იღიმება).

— თქვენს ოჯახზე რას

გვეტყვი?

— მყავს მშობლები, მეუღლე — ლიკა ბერეჟიანი, ის ფლეიტისტიკა, კონსერვატორია აქვს დამთავრებული, მაგრამ თავისი სპეციალობით არ უმუშავია. სარეკლამო სააგენტო „სარკეში“ მუშაობს — სარეკლამო რგოლების პროდიუსერია. დედისერთა შვილი გახლავართ.

— და შესაბამისად — ეგოისტიც?..

— დედისერთებისთვის დამახასიათებელი ტიპური ეგოიზმი ალბათ, მეც მახასიათებს. ვინაიდან დედისერთა ვარ, შემიძლია ვთქვა, რომ მშობლები ჩემზე არიან „ჩამოკიდებულები“. მათ მოთხოვნილება აქვთ, ყოველ წუთს ჰქონდათ ჩემ შესახებ ინფორმაცია — სად ვარ და რას ვაკეთებ.

— ეი. „რუსთავი 2“-ის შეფს მშობლები აკონტროლებენ?

— ამას კონტროლი აღარ ჰქვია. ზოგჯერ, ამ ყველაფერს კუროზამდე მიყვავართ... | კურსზე სწავლისას, მეგობრები რესტორანში პირველად წავედით. უეცრად, ოფიციალტი მოვიდა და იკითხა — კობა დავარაშვილი რომელიაო? — მე-მეთქი, — ვუპასუხე. — მშობლები გირეკავენო (მაშინ მობილური არ იყო). ხომ კარგად ხარ, კობა, ხომ მშვიდობააო?! — მკითხეს. ასე რომ, რესტორანშიც მომაგნეს. ახლა მათ სატელეფონო ზარებს ისე ვარ შეჩვეული, ერთი-ორი საათი რომ არ დამირეკონ, იქით ვურეკავ — ხომ კარგად ხართ-მეთქი?(იცინის).

— თქვენს ახალ თანამდებობაზე დანაშენს როგორ შეხედენ?

— ინერვიულეს, ამხელა პასუხისმგებლობა რომ ვიკისრე. მაგრამ ჩემზე მეტად, მათ სჯეროდათ, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. მე ერთი კარგი თვისება მაქვს — თუ საქმეს ხელს მოვიკიდებ, მისთვის თავის დანებება მიჭირს, რასაც ჩემთვის არააერთხელ შეუქმნია პრობლემები. მაგრამ ეს თვისება მაქვს და რა ვქნა?! ეს ზოგჯერ ცუდადაც მხდის, მაგრამ უფრო მეტ ძალას მმატებს... ■



ორგანიზაციაში, სადაც 500 თანამშრომელი მუშაობს, ყოველთვის ვიღაც წაჯა და მოვა

იყოს, მას ერთხელ ნახავდნენ, ორჯერ და მესამედ არავის გაუჩნდებოდა მისი ყურების სურვილი.

— თქვენი აზრით, „ჯეობარი 3“ რატომ არის წინა „ჯეობარებისაგან“ განსხვავებული?

— ალბათ ამაზე, განსხვავებული კრიტერიუმების მოთამაშეთა შერჩევამ იქო-

ურო? სკაუტური მოთხოვნილებები არასდროს მქონია, მით უფრო — ახლა.

— რა გაბრაზებთ? წონასწორობიდან რას გამოჰყავხართ — ანუ როდის ყვირის „რუსთავი 2“-ის შეფი?

— „რუსთავი 2“-ის დირექტორი არ ყვირის. საერთოდ, როდესაც ხელმძღ-

მონაგონი საქარაიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის
(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვტისკანე არ გაგაქცათ თვალში.

1. იაკობ ჯულაშვილს უფროსი ლეიტენანტის ჩინი ჰქონდა, როდესაც გერმანელებს ჩაუფარდა ტყვედ. რა უპასუხა სტალინმა, როდესაც გერმანელებმა შვილის პაულიუსში გაცვლა შესთავაზეს?
2. რითი შემორჩა ისტორიას ნატალია ბაზილევსკაია?
3. გივი ბერიკაშვილი ერთ-ერთ სუფრაზე საკუთარი ბიძის დღეგრძელობისას მის სიკეთეს მაღლიერებით იგონებდა: „ერთხელ ბავშვობაში რალაც დავაშავე და მამაჩემმა ეზოში, შუაგულ მზეზე დამაბა. ბიძაჩემი მოვიდა და...“ დაასრულეთ მისი სიტყვები.
4. შეეცადეთ სიტყვაში ერთი ასო და თქვით — რა ერქვა ადრე ვარკეთილს?
5. დაასახელეთ მოლოტოვის ნამდვილი გვარი?
6. ალა-მამადა-ხანმა ერთ თავის ხელქვეითს ყურების დაჭრა მიუსაჯა. შემდეგ შეიტყო, რომ მსჯავრდადებული ჯალათს დიდ თანხას სთავაზობდა და ევედრებოდა, ყურები სანახევროდ შეეინარჩუნო. ალა-მამადა-ხანმა ხელქვეითი იხმო... დაასრულეთ ეს ამბავი.
7. ეს ინგლისელი მწერალი პერიოდული პრესის ფუძემდებლად მიიჩნევა.
8. „ვემსახურები მას, ვინც გასამრჯელოს მომცემს,“ — ამბობდა ეს იტალიელი ფერმწერი.
9. ეში, ტრუაიეროეი, დიუდელანჟი, დიფერდანიეი, იხელდანიეი, ვორმელდანიეი, ვალფერდანიეი, რედანიეი და არლანიეი. რა ჩამონათვალია ეს?
10. ამ ქვეყანას ბერნადოტების სამეფო დინასტია განაგებს.
11. „Èèààèè òàðÿì. Ìàìà ìíé ìèèáíùèè è ìàìà. Èíáí ìíñèàòù ìá èàìèàç, ìíèìþ ààì ìá ðòðè. (სტილი დაცულია). Æ Æìò àìðíáíé ÿìèñéìì Æèèñáé òìòù éòää. Àìò è ìàñòù ìá èàìèàç. Ìíðèòòà àáí. Ýòì ÿ ì+èí àèèàþ. ìí ìèìá èàñèàòò. ìííèìàòò ìíàèèè. ×àñòù àìò ìóáíí ìèàçàòù. Æàðíùé ààçää àáðíùé. È ìá èàìèàçà ìí áóääòò ìàðèì àòóáíì. Æà, ÿ! Æòèáìòèé! Æà!“ დაასახელეთ ამ დეპუტის ავტორი და ადრესატები.
12. დაასრულეთ სოკრატეს სიტყვები: „სათნოვეთ ცოდნაა, ცოდნა კი...“
13. ვის გადააბრალა ნერონმა რომის გადაწვა?
14. „მე რომ მისი ჭკუა მქონოდა, არც პერცოგობაზე გავცვილდი, არც გემის კაპიტნობაზე, არც ცირკის მასხარად ყოფნა და არც არაფერზე.“ — ვისი „შურდა“ ასე ძალიან ჰვეკლებური ფინს?
15. ამ სპორტში უზურთო მოთამაშეზე შეტევა არ შეიძლება.

ანეკდოტები

— ვინ არის ყველაზე უბედური ადამიანი დედამიწაზე?

— იური გაგარინი — დედამიწას გარს შემოუფრინა და ისევ საბჭოთა კავშირში დაჯდა.

ბავშვი დედას შესჩივლებს:

— დედა, ყველა ბავშვი ტკბილ ბამბას ჭამს და მე რატომ მაჭმევ ჩვეულებრივს?



ას წელს გადაცილებულ აფხაზს ცოლი მოჰყავს. მეზობლებს უკვირო:

— რა დროს შენი ცოლია?

— არც მე მინდა, მაგრამ მამაჩემს ხათრი ვერ გავუტყებ.

სვანი თაფლობის თვეში ფუტკრებმა დაკბინეს.

ავტობუსში:

— თუ შეიძლება, ადგილი დამითმეთ, შიდასით ვარ ავად! არა, არა! ერთი ადგილი გთხოვეთ, მთელი ავტობუსი რა ჯანდაბად მინდა!

ორი ებრაელი ჩხუბობს:

— ფერადია.

— არ არის ფერადი.

— ფერადია.

ამ დროს გამოივლის მესამე, მიუბრუნდებიან და ჰკითხავენ:

— შავი ფერია?

— კი, ფერია, — პასუხობს გამველები.

— აი, ხომ გითხარი!

— მაშინ, თეთრი არ არის ფერი. ისევ გამველებს ეკითხებიან.

— კი, თეთრიც ფერია, — პასუხობს გამველები.

— აი, ხომ ხედავ, მე შენ ფერადი ტელევიზორი მოგიყიდე.

ორი კაცი საუბრობს:

— სიდერმა გამამწარა!

— შენც ადექი და გაუჩალიჩე რამე.

— აღარ ვიცი, რა გაუჩალიჩო. ამას წინათ, განცხადება გამოვაქვეყნე მაგის ნომერზე: „ვასრულებ სექსუალურ მომსახურებას იაფად“.

— მერე?!

— მერე დგას და ასრულებს, მაგის დედაც!

სვანმა „სეივგარდით“ ტანი დაიბანა და გაქრა.

ჭიჭიკია გიჟივით დარბის ქუჩაში და ყველას აგინებს.


— რა გჭირს? — ეკითხება მეზობელი.

— რა და ნახევარი მილიონი დოლარი ვასესხე ბიჭიკიას. მას კი სახის პლასტიკური ოპერაცია გაუკეთებია, სადღაც აქ დადის და მემალეზა, მე კიდევ სახეზე ვერა ვცნობ, მაგის დედა ვატირე!

ასამართლებენ მატარებლის მემანქანეს, რომელმაც მატარებელი რელსებიდან გადააგდო:

— მოჰყევით, როგორი იყო საქმის ვითარება?

— მიმყავს მატარებელი. ვხედავ, ლიანდაგზე ოსი ზის.



— ვერ გადაუარე, მერე?! — ველ-
არ მოითმინა მოსამართლემ.
— სადაც დავენიე, იქ გადავუარე.

მამაკაცი აფთიაქში:
— პრეზერვატივი მომეცით,
ოღონდ ძალიან ლამაზი ამირჩიეთ,
საჩუქრად მინდა.
— აი, ეს აიღეთ, ძალიან ლამაზად
არის შეფუთული.
— თქვენ ვერ გამიგეთ, საჩუქარი
მე თვითონ უნდა შევფუთო პრეზერ-
ვატივით.

— დედა, სკოლაში ყველა მეუბნე-
ბა: მატყუარა ხარო!
— შვილო, შენ ხომ ჯერ არ და-
დიხარ სკოლაში.

— და თქვენ ამტკიცებთ, რომ გცე-
მათ ქმარმა, რომელიც ყავარჯნებზე
დაყრდნობილიც ძლივს დგას?!
— ჩხუბამდე ყავარჯნებს არ ხმარ-
ობდა.

— რა განსხვავებაა ცერა თითსა
და შუა თითს შორის?
— იმგზავრე ავტოსტოპით, ცერას
მაგივრად შუა თითი გამოიყენე და
ნახავ.

ორი კამიკაძე მიდის დავალებზე:
— ნერვიულობ?
— აბა, რა გითხრა, რაც არ უნდა
იყოს, პირველი დავალებაა.

— რატომ გააცდინე გუშინ
გაკვეთილები?
— ჩემი უფროსი ძმა ავად გახდა.
— მერე, შენ რა შუაში ხარ?
— მთელი დღე მისი ველოსიპედით
ვსეირნობდი.

ორი მონადირე ძალღიერ თმანეთს
შეხვდა. ერთი ეუბნება მეორეს:
— გუშინ დათვზე სანადიროდ
ვიყავით და ამ ჩემს პატრონს იარაღი
სახლში არ დარჩენია?!
— მერე?
— მერე ერთი საათის მისულები
არ ვიყავით, რომ ბუჩქებიდან დათვი
გამოგვივარდა!
— მერე!
— მე ეგრევე ვეცი და კბენა დავუ-
წყე!
— შენ რა მაგარი ყოფილხარ,

დათვს ეცი და კბენა დაუწყე?!
— დათვს კი არა, პატრონს
ვეცი, იარაღი სახლში როგორ
დატოვე-მეთქი.

— რატომ დაშორდი საქმ-
როს?
— იმიტომ, რომ მასზე წარ-
მოდგენა შემეცვალა.
— მაშინ ეგ ბრილიანტის ბე-



ჭედი რატომ არ დაუბრუნე?
— მე წარმოდგენა მხოლოდ
საქმროზე შემეცვალა.

ორი მამაკაცი საუბრობს:
— იცი, სტატისტიკის თანახ-
მად, თურმე ყოველი მესამე ქალი
ქმარს ლალატობს!
— სტატისტიკას რა თავში
ვიხილი! შენ გვარები, მისამართე-
ბი და ტელეფონები მითხარი.

გონებას სავსაჩიურა

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (პასუხები)

1. „ია სალდატა ნა ფელდმარშალა
ნე მენაიუ!“
2. იგი ავაკი წერეთლის ცოლი
იყო.
3. „... ჩრდილში გადამაბა“.
4. ვერკეთილი.
5. სკრიბინი.
6. ორმაგი თანხა გამოართვა და
ყურები მთლიანად შეუნარჩუნა.
7. დანიელ დეფო.
8. ლეონარდო და ვინჩი.
9. ლუქსემბურგის ქალაქებია.
10. შვედეთი.
11. გრიგორი რასპუტინის ამ დეპე-
შის ადრესატები რუსეთის იმპერა-
ტორი ნიკოლოზ II და მისი მეუღლე
იყვნენ.
12. „...არავის აქვს“.
13. ქრისტინანებს და ამიტომ, ისინი
მხეცებს დააგლეჯვენიან.
14. ტომ სოიერის.
15. რაგბი.



საქართველო

უკომენტაროდ



veluri wablis xei vani

„pantera“

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-43

გაზა პანტა

ანი განაგრძობს ფურნალისტურ გამოძიებას, რომელიც ბიზნესმენ ლევან იაშვილის იდუმალი სიკვდილის გარემოებათა გარკვევას ისახავს მიზნად. ამ გამოძიების ჩატარება ანიმ იმის გამო გადანწყობია, რომ ლევანი ანის მულის, ნუციკოს საყვარელი და ამავე დროს, ნუციკოს მამის, გაიოზის მეგობარი იყო...

ოფიციალური ვერსიით, იაშვილმა თავი მოიკლა. მაგრამ ანი დარწმუნებულია, რომ ბიზნესმენი მოკლეს. მას ხელთ აქვს ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ლევანის დაღუპვამდე რამდენიმე დღით ადრე გადაღებული ინციდენტია აღბეჭდილი: რესტორანში ბიზნესმენს ვიღაც ტიპები ეჯავჯვურებიან და გასასვლელისკენ მიათრევენ... ფურნალისტური გამოძიების ჩატარებისას, ანი გამოძიებულ მურად ოქროპოძეს უახლოვდება და მის მოხიბვლას ცდილობს. ამავე დროს, ქალი თავისი ქმრის, თაზოს ოჯახში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის უნებლიე მონაწილეცაა.

ნუციკო სავარძელში იჯდა და ტელევიზორს მისჩერებოდა, თუმცა იმას, რაც ეკრანზე ხდებოდა, ვერ ამჩნევდა, რადგან მისი ფიქრები, მთელი ის დღეები, ლევან იაშვილს დასტრიალებდა. თითქოს ყველაფერი დაენგრა, წარსულიც, აწმყოც და მომავალიც. ბედისწერა იყო, მაშ სხვა რა? შეიძლება, ამდენჯერ არ გაუმართლოს ადამიანს? ვერაფრით დაეკავშირებინა ერთმანეთთან, ბედი და მისი პროფესია — მომღერლობა. ან რისთვის მომცა სიმღე-

რის ნიჭი ღმერთმა, ან რაღად მიკრძალავსო?! — ფიქრობდა. ოთახში, ხელში ყავის ჭიქით, ანი შემოვიდა, ფანჯარასთან დადგა და ქუჩაში დაინყო ყურება, სადაც ბავშვები გორგოლაჭებით დაქროდნენ. ერთ-ერთი მათგანი ბასაც იყო.

— შენ ჩაუშვი ბასა? — იკითხა ანიმ ისე, რომ მულისკენ არც მიუხედავს.

— კი, გაკვეთილები მოვამზადეო, — უბასუხა ნუციკომ.

— ერთხელაც მოიტეხს კისერს, ნახე, როგორ დაქრის... — ჰო, მაგრად დაამხეცა... ანი, შენ იცი, ფემძიმედ რომ ვარ? — თქვა უცბად ნუციკომ.

— რა? — ვერ დაიჯერა ანიმ.

— უნდა გავაჩინო, — თქვა ნუციკომ.

— რა? — ლამის იყვირა ანიმ.

— უნდა გავაჩინო! — გაიმეორა ნუციკომ.

— გაგიჟდი? — ანიმ აღარ იცოდა, რა ეთქვა.

— არ ვიცი... ვიცი, რომ უნდა გავაჩინო, — თქვა ნუციკომ.

— ნუცო, შენ მართლაც ვერა ხარ, ეტყობა... მესმის, ორმოცი ან ორმოცდაათი წლის იყო... ან შვილი რომ არ გყავდეს, კიდევ მესმის... — დაიწყო ანიმ.

— კაი ერთი... ეგ რა შუაშია... მე ის კაცი მიყვარდა... მიყვარდა, გესმის? და მისი შვილი მინდა გავაჩინო... — გამწარდა ნუციკო.

— მოიცა, მოიცა, ეს მხოლოდ შენი გადასაწყვეტი არ არის, ასე ნუ იფიქრებ... — წყალნალბულივით ხავსს მოეჭიდა ანი.

— მაშ ვისი გადასაწყვეტია, ღმერთის? — ირონიულად იკითხა ნუციკომ.

— არა... — თქვა ანიმ.

— გაჩუმდი, რა, გაჩუმდი! ვიცი, რაც უნდა მითხრა და რა მაგალითებიც უნდა მომიყვანო... — შეანწყვეტინა ნუციკომ.

— აღარ გინდა, რა, ნუციკო, მეორე ცოდვას ნულარ დაიდებ! — მუდარით უთხრა ანიმ.

— რა? — გამწარდა ნუციკო. — მეორე ცოდვას? პირველი ცოდვა რომელია? ევამ რომ გველს ვაშლი შეუჭამა?

ანიმ ხმა არ გასცა.

— რას გაჩუმდი? ამოიღე ხმა...

— არა, ვაშლი არა! შენ მშვენივრად იცი, რაზეც არის ლაპარაკი... — დასერიოზულდა ანი.

— რა? — მაგრად გამწარდა ნუციკო.

— შენც ასე ფიქრობ? შენც მე მამბრალე, ანი? მე მამბრალე, ხომ? მე მოკვალი დედაჩემი, არა? მე რა შუაში ვარ, მე რა უნდა მექნა, ანი! შენ იცი, მე რა გამოვიარე? ზოგჯერ მთელი სამი ღამე არ მომიხუჭავს თვალი, ზედღიზედ სამი ღამე... შენ იცი, როგორ მიყვარდა დედა? მე იმათ სამჯერ გამოვექციე... რა, არ შეეძლოთ, მოვევალი? შენ გამოექციდი? გაბედავდი? ვინ მიმამბრუნა სამჯერვე უკან? ვინ ჩამივარდა ფეხებში? დედაჩემი... ჰო, ჰო, ეშინოდა, არ მოვეკალი... მე მინდოდა ქურდის ცოლობა? ქურდის ცოლი... სად იყო მაშინ მამაჩემი, რატომ არ აიღო თავისი დანა და არ გამოიქცა მოსაკვლავად?

— იმიტომ, რომ გეამაყებოდა, კლასში ქურდი რომ გყავდათ და შენ უყვარდი... — თითქოს ჯიბრით უთხრა ანიმ.

— მესმოდა მაშინ რამე, ანი? მესმოდა? იქნებ მეამაყებოდა კიდევ, მაგრამ იმას ხომ ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ მომიტაცებდა... შენ იცი, რომ მე, სულ ბავშვობიდან, სულ პატარაობიდან — რა ვიცი, ალბათ ხუთისაც არ ვიყავი — ლევანი შემიყვარდა?..

ანის გაცინა.

— სასაცილოა, არა? ჰოდა, ვაჩენ...

— გააჩინე მაგრამ, იცოდე, ახლა მამას დაკარგავ. ახლა ის ვერ გადაიტანს, — უთხრა ანიმ.

კარზე ზარი დაირევა. ანი მივიდა და გააღო. ბასა ოთახში, გორგოლაჭებით ხელში, ოთხ ფეხზე შემობოძდა.

— რა ხდება, ბასა, ეს როგორ ამოგანგულხნარ? დადექი ფეხზე, რას შვრები? — განცვიფრდა ანი.

— ანი, ფეხი მომტყდა, — შესჩივლა ბასამ ქვემოდან.

— ფეხი მოგტყდა? რა?

— თუკა დამეჯახა. ჩემი ბრალი არ იყო...

მათ ლაპარაკზე ნუციკომ გამოიხედა.

— რა ხდება?

— ფეხი მოვიტყეხო...

— როგორ? — ვერ დაიჯერა ნუციკომ.

— თუკა დამეჯახა, ვერ ვადგამ! — ახლა დედას შესჩივლა ბასამ.

— მოჰკიდე ხელი! — სთხოვა ნუციკომ ანის. — ერთი დღე, ერთი დღე მაინც



დაგვასვენე, ბიჭო! ხელი — მოტეხილი, ლავინის ძვალი — ჩატეხილი, ფეხი — მოტეხილი... რა არის, ყველაფერი უნდა მოიტეხო, თუკი რამ გაზია ტანზე?

ანიმ — ფეხებში, ნუციკომ კი, იღლიე-ბში მოჰკიდა ხელი ბასას და ოთახში შეათრიეს.

— აუ, აუ! მანდ ნუ მკიდებ, რა, მტკივა! — აბლაღვლა ბასა.

გაიოზი, რომელიც სამზარეულოში წყლის ნიჟარასთან იდგა და თევზს ასუფთავებდა, დანით და თევზით ხელში გამოვიდა.

— ვინ მოვიდა? — იკითხა მან და დაინახა, თუ როგორ მიათრევდნენ ქალები ბასას.

— მოფოფხდა. ამბობს, ფეხი მაქვს მოტეხილიო, — აუხსნა ანიმ.

— ვა, მოტეხილი მაქვს და არ ვთქვა? — ნაშროკნავლა ბასამ, რომელიც დივანზე დაანჯინეს.

— არ იტირო, ახლავ შევამონებ... — გაიოზი სამზარეულოში შებრუნდა და დანა და თევზი ნიჟარაში ჩაყარა. — არ დაგაცლიან არაფერს. დავინყებ ერთს, ვაკეთებ მეორეს. დავინყებ მეორეს, ვაკეთებ მესამეს...

ხელები გადაიბანა და ბასასთან გავიდა. ქალებს ბასასთვის ფეხსაცმელი გაეხადათ.

— აბა, მიმიშვით! აბა, რა გტკივა? — შეეკითხა გაიოზი.

— ფეხი, — და ბასამ ნატკენ ფეხზე ხელი წაივლო, — აი აქ.

— აქ? — შეეკითხა გაიოზი და ნატკენზე ხელი დაადო.

— კი... ჰო, მანდ, ნელა! — შეეშინდა ბასას.

— ჰოო, კარგად გაგსივებია. ძარღვებია აყრილი. გადაგიბრუნდა? — შეეკითხა გაიოზი.

— ჰო, გადამიბრუნდა და თუკას დავეჯახე... — ამოიოხრა ბასამ.

— ნელან — დამეჯახაო, ახლა შენ დაეჯახე. ნუ ჩაუშვებთ დაბლა თქვენც, ხომ ხედავთ, რომ თარსია? — თქვა ანიმ.

— მოტეხილი არ ჰქონდეს, — თქვა ნუციკომ.

— არა, რა მოტეხილი, ერთხელ და ორჯერ კი არ გადაბრუნებია... სამი დღე უნდა და მერე, ჩვეულებრივად გაივლის. დაადეთ ცივი კომპრესები, რაღას უყურებთ? — მიუტრიალდა გაიოზი ქალებს.

— სამი დღე? — თავი წამოსწია ბასამ.

— ჰო... — დაუდასტურა გაიოზმა.

— „ურაა!“ სამი დღე სკოლაში არ წავალ... — ლამის ფეხზე წამოხტა ბასა.

— არანორმალურია. იმის ნაცვლად, ენცინოს, გაუხარდა, სკოლაში რომ ვერ მიდის, — ხელი ჩაიქინა შვილიშვილზე გაიოზმა და სამზარეულოში გავიდა.

— როგორ ჩაუშვი, ვის გაუგია ასეთ ამინდში „როლიკებით“ სრიალი? — უსაყვედურა ანიმ მულს.

— ვუშვებდი? შენ გგონია, ვუშვებდი? მომანვა, მომანვა, როგორც ტანკი! — გამწარდა ნუციკო.

— დამადეთ, რა, კომპრესი! — შეეხვეწა ბასა ქალებს.

ნუციკო სამზარეულოში შევიდა, სუფთა ტილო მოქებნა და ონკანს დასასველებლად შეუშვირა. გაიოზი დანით თევზს

ქერცლს აცლიდა.

— კომუნისტებს ერთი ასეთი ლოზუნგი ჰქონდათ: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს!“... — დაიწყო გაიოზმა.

— და ყველაფერი პირიქით რომ იყო, არა? ჩვენს სახლში რა, ასე არ არის? მე მომაქვს, ანის მოაქვს, თაზოს მოაქვს, შენ კი ყველაფერს მუცელში იყრის... — ეწყინა მამის უმადურობა ნუციკოს.

— ჰო, თუკი სამი ათას დოლარს წაიღებთ, ორ პურს უკან შემოიტანთ, აბა, რა? — სხვა რამის თქმა სურდა, თურმე, გაიოზს.

— გინდა, სიმართლე იცოდე? — შეეკითხა ნუციკო. — ის ფული მე ავიღე და გავაპროცენტე. როდემდე უნდა ყოფილიყო ოქროსავით ტყუილად მიწაში ჩამარხული?

— რა? შენ რა, მეგახშობაც დაინყე? — ძალიან გაუკვირდა გაიოზს ნუციკოს ნათქვამი.

— შენს ხელში, მამა? კაი, რა! — გამწარდა ნუციკო.

— ნუციკო, რას აკეთებ, რით ვერ დასველე ეგ ტილო? — მოისმა მისაღებიდან ანის ხმა.

ნუციკომ ტილო განურა და ბავშვთან გავიდა, რომლის ფეხებთანაც ანი გულხელდაკრფილი იჯდა.

— ცოტა გადააბრუნე ეს ფეხი! — სთხოვა ბასას ნუციკომ.

ბასამ ტერფი გადასწია. ნუციკომ ტილო დაადო.

— აუ, რა ცივია! — გააჟრჟოლა ბასას.

— ახლა სამი დღე უნდა იყოს გაბრტყელებული ეს შინ? — იკითხა ანიმ.

— ანი, მე პანაშივადე მინდა წავიდე, — თქვა ნუციკომ.

ისეთი ქალაქისთვის, როგორც თბილისია, ეს უკვე ნამდვილი სიციხე იყო.

— პანაშივადე? — ძლივს ამოღერდა ანიმ, რადგან მიხვდა, რომ ველარაინი გადააფიქრებინებდა ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანას ნუციკოს. — შენს ადგილზე, მე არ წავიდაოდი, — თქვა მან და პასუხს დაელოდა.

— უნდა დავეშვიდობო... — მოკლედ მოჭრა ნუციკომ.

— რა აუცილებლობაა, გამოტოვი ნახო კუბოში ორმეტრიანი კაცი, რომელიც გიყვარდა? — თქვა ანიმ და თავისი ნათქვამის თვითონვე შეშინდა.

— ხომ იცი, რაც არ უნდა თქვა, ვერ გადამაფიქრებინებ, — მაშინვე გადაუწურა წყალი ნუციკომ.

— მამაშენიც დღეს აპირებს იქ წასვლას, — უთხრა ანიმ.

— ერთად მივიდვართ, — თქვა ნუციკომ.

— მამასთან ერთად? არა! — გადირია ანი.

— რა არა, რა?! მინდა, რომ იცოდეს, გესმის? მინდა, ყველაფერი იცოდეს! — აკივლდა ნუციკო.

ბასამ ყურებზე ხელი აიფარა და თვალები დახუჭა.

— და რატომ, რატომ? — ვერაფერს მიხვდა ანი.

— არ ვიცი, არ ვიცი... გიჟად ჩამთვლი, რომ გითხრა.

— მითხარი. მაინც გიჟად გთვლი, ისედაც, უკვე...



— მეშინია, იქ რომ შესვდნენ ერთმანეთს, საიქოში და ამან არაფერი იცოდეს... — ნუცო, შენ ექიმი გჭირდება, გეფიცები, ნამდვილად ექიმი გჭირდება. უკვე ძალიან მაგრად გარკვე, იცი? — დამარწმუნებლად უთხრა ანიმ.

— რატომ? შენ გგონია, არ არსებობს საიქო? — გაცინა ნუციკოს.

— არა! პანაშივადე, წესით, არც შენ უნდა მიხვიდე და არც ეს... თქვენ კიდევ ორივე ერთად აპირებთ მისვლას... ეს სიგიჟეც აღარ არის... ეს რაღაც დამთხვეულობაა... — საფეთქელთან მიიტანა თითი ანიმ.

ოთახში გაიოზი შემოვიდა.

— რა არის, რა გაყვირებთ?! — გაუბრაზდა ის რძალ-მულს.

— გადით, რა! — სთხოვა ბასამ ყველას.

— გავიდეთ, არ გშიათ? ხომ უნდა მივუსწროთ პანაშივადე? შენ თუ არ დააგვიანე, ისე არა აქვს ფასი არსად მისვლას, ხომ?.. როდის შენ ჩაიცვამ და მოემზადები?! — გაუწყრა შვილს გაიოზი.

— სამი წუთი მინდა სულ! — თქვა ნუციკომ, რაც გაიოზს ძალზე გაუკვირდა.

მთლად გემოვნებით არა, მაგრამ ასე თუ ისე გამოპრანჭულმა ანიმ მურადის კაბინეტის კართან ერთხელ კიდევ გადაამონა თავი სარკეში და კარი შეაღო. მურადი, რომელიც რაღაცას დიდი წვალბით წერდა ქალაქზე, ანის დანახვაზე შესტა და იმწამს საათზე დაიხედა.

— მე არ უნდა დამერეკა, ანი?

— გეწყინა ჩემი დანახვა? — ოდნავ გაიბუხა ანი.

— არა, არა, რატომ? პირიქით, პირიქით, აი იქ, პირდაპირ დამიჯექი, — ანიშნა მურადმა.

— რას აკეთებ? — იკითხა ანიმ, როცა სკამზე დაჯდა.

— რაღაც გაუპატიურება შემომტენეს. მაგარი საზიზღრობაა.

— გაუპატიურება საზიზღრობაა?

— კაცს რომ გაუპატიურებენ, არ არის საზიზღრობა?

— ააა...

— არა, კაცებმა კი არა, გოგონებმა გააუპატიურეს თანაკურსელი ბიჭი, ჰო, მომისმინე, ახლა, მომისმინე! ჰო, გაუპატიურეს, ვილაცის დაბადების დღეზე... არა, თასმა კი არ წაუჭირეს... უბრალოდ, ეს ბიჭი ვაჟიშვილი იყო და ნასკვი გაეხსნა, როგორც ხდება ხოლმე, მაგრამ დაუჩირქდა ამ სანყალს... იშვიათად, მაგრამ ხდება

აღბათ, ასეთი რაღაცეებიც... იქნებ ამ გოგოებისგანაც ინფექცია აიკიდა... რა ვიცი, მოკლედ, ამ ბიჭს მოაჭრეს, ჩემო კარგო! — მოაჭრეს? ისედაც რა ცოტასლა აქვს და... — იშაყირა ანიმ.

— შენ გესუბრება და იმათაც ჰკითხე... ახლა დედამისი ჩივის, ოცი ათასამდე მინც სჭირდება ოპერაციას, რომლის ფულიც მათ არა აქვთ...

— მერე?

— გოგოები გაიძახიან, არ გვიცხოვრია, ცისფერია, როგორ? ახლა მე უნდა გამოვიძიო, იცხოვრეს თუ არ იცხოვრეს... არადა, ეს გოგოები სკოლის წლებიდან „უიმაობენ“... აი, შენი კი ვერაფერი გავიგე... ქალიშვილი ხარ? — გადმოსტა მურადი თავის პრობლემებზე.

— ახლა, „სტოპ“!

— შენ რომ გხედავ, სისხლი ჯერ დაბლიდან ამოვა ტვინამდე, მერე უკან ჩამოვა... ამოვა, ჩამოვა...

— გინდა, დაგამშვიდო? ოღონდ არ გატოვდები, იცოდე, მაგ სკამზე იჯდები, როგორც ზიხარ! — ჩანდა, რომ ანიმ რაღაც არაორდინარული ჩიფიქრა.

— კარგი! — დაინტერესდა მურადი. ანიმ პერანგი ჩაიხსნა და ცალ მხარეს

სასხლეტს გამოჰკრა თითი. გასროლის ხმამ იქაურობა გააყრუა. სინათლე ჩაქრა. სინბელემი ანის, მურადის ღმუღილი მოესმა.

— გაგიჟდი? დადე იარაღი, დადე! — მურადმა კარი გამოაღო, საიდანაც სინათლე შემოვიდა. იარაღი მაგიდანე იდო, ხოლო ანი ცალფეხანული კუთხეში იდგა და იარაღს შეშინებული უმზერდა. — ასე ხომ მარტო კაცობას კი არა, სამსახურსაც დამაპარგვინებ, გაგიჟდი? — მურადი ჯერ კიდევ შოკში იყო.

რვა საათს გადაცილებული იყო, ამიტომ განსვენებული ლევან იაშვილის ბინაში, კანტიკუნტადლა თუ გამოჩნდებოდა ახლობელი სამიძიარზე. საპანაშვიდო რიტუალი მიმთავრებული იყო და ჭირისუფალმა ცოტა სული მოითქვა. ლიანა და კოტე სამზარეულოში ლობიოს ჭამდნენ და რაღაცაზე კამათობდნენ. ასე კამათობენ იმ დროს, როცა მოკამათებს არ სურთ, რომ მათი საუბარი მეზობელ ოთახში მყოფებმა გაიგონონ და სიტყვებს ჯიუტად, სწრაფად, სისინით და ჩურჩულით წარმოთქვამენ.

— მაგას რომ ვუსმინოთ, ქელები დრო-მოჭმული ტრადიციაა და საერთოდ არ უნდა გავაკეთოთ, — აცხადებდა კოტე, მიცვალებულის ძმა. — ასორმოცდაათ კაცზეო, რომ გაიძახის და ვირზე რომ შეჯდა და აღარ ჩამოდის, ასორმოცდაათი კაცი, მარტო ჩემიანი მოვა...

— გახსოვს, როგორი პატარძალი იყო? სულ ღიმილი რომ ეფინა სახეზე და ისე შემოგიძვრებოდა და შემოგივლიდა, თვითონაც ვერ მიხვდებოდი ვერაფერს... — ამბობდა ლიანა. — მერე დაიდო კოპები, დაიდო, გაიმსხვილა და „ნორკას“ აღარ კადრულობდა, მარტო ლეოპარდი ეკურა პირზე. შეჭამა ცოცხლად კაცი, შეჭამა. რატომ გამოექცა და აქ მარტო ყოფნა რატომ ააფლობინა, თუკი ისეთი ანგელოზი იყო, როგორადაც თავი მოაქვს?

— სამას კაცზე მაინც უნდა გაკეთდეს... მინიმუმ... ვერ ნახე, პირველი დღეა და მიღეთის ხალხი მოვიდა?! — თქვა კოტემ.

— რატომ არ გამოდის ახლა, რა გგონია? — გააგრძელა ლიანამ. — ჩემს ძმას გლოვობს ვითომ? არ გგვადრულობს, არა... დავემარხავ ჩემს ძმას და მე აქეთ გამოხედავი აღარ ვარ. აი ნახავ, ეს თვითონ ისე მოკვდება და ჩაძაღდება, რომ ერთ ცრემლს არავინ გააყოლებს, აი ნახავ...

— იცი, როგორ მოვიქცევი? ჩემიანებს, მეგობრებს, ნათესაებს ცალკე გავუშლი სუფრას. მაშ უკან ხომ არ გავაბრუნებ, არა? — თავისას განაგრძობდა კოტე. — თვითონ დაჯდეს და თუ ყველა მტერი, მტერიყო, როგორც ამბობს, რამდენ კაცზეც უნდა, იმდენზე გაიშალოს და იქელესოს... მაგას რომ არ გადაჰყოფდა ჩემი ძმა, ახლა ცოცხალი იქნებოდა. თუ გინდა, პირშიც ვეჭყვი აბას, განა ვერ ვეჭყვი...

— არ გამოვა, მე თუ არ ვუთხარი, არ იკადრებს... არ ვეჭყვი. ნუ გამოვა. რომ დამინახავს, პირკატა ეცემა ხოლმე. რა გველი შევუწვი, ვერ გავიგე... — ცხარობდა ლიანა.

მეორე ოთახში, კუბოსთან პირგამებზე ული იჯდა ლალი და მკვდარ ქმარს გულში ელაპარაკებოდა. ქმარი აღარ ეკამათე-

ბოდა, თუმცა ლალიმ მშვენივრად იცოდა, რომ ლევანი არ ეთანხმებოდა.

— თავი მოიკალი, არა?! — ეკითხებოდა ლალი მიცვალებულს. — მაგობე, ხომ, შენი ჭკუით... ახალი ჭორების საბაბი მიეცი, არა, ხალხს... შური იძიე, არა?! აი მე ცოცხალი ვარ, შენ კი მკვდარი, რომელია გამარჯვებული?.. არ მეშინია შენი, არა! ცოცხლის არ მშინებია და მკვდრისა შემეშინდება? მუდამ რომ გემოვნებას მინუნებდი, ეს კაბა როგორ მოგნონს — არ მიხდება შავი ფერი? სამაგიეროდ, შენ გისდებოდა ყველაფერი. კუბოც კი მოგიხდა. კმაყოფილი ხარ? გამეჭეცი, არა?! მე კი გამეჭეცი, მაგრამ სიკვდილს რომ ვერსად გაექეცი? მარნუხეებში გყავარ, მარნუხეებში გყავარ... ახლა? თავისუფალი ხარ? რატომ არ უნდა მცოდნოდა ვითომ, სად დაეხეტებოდი? ცოლი ვიყავი და უნდა მცოდნოდა. ვიცოდი და მაინც მატყუებდი. მე უტვინო ვიყავი და შენ ჭკვიანი, არა?! მეც გატყუებდი, ძვირფასო, მაგრამ შენ არაფერი იცოდი. შენ ჭკვიანი იყავი და მე — უტვინო. რომელი აღმოჩნდა ჩვენ შორის ჭკვიანი?

კარი გაიღო და ოთახში გაიოზი და ნუციკო შემოვიდნენ. ლალი, რომელიც აქამდე დუმდა და ცხედარს გაქვავებული სახით უმზერდა, ხმამაღლა ალაპარაკდა.

— ლევან, ნახე, შენი ხასაც გამოჩნდა, — ერთი შეხედვით, მშვიდად წარმოთქვა მან. — მაიმოკომ მოიყვანა. ადექი, ბიჭო, შეეგებე, გადაეხვიე, გადაკოცნე! რაღას უყურებ, რატომ არ დგები? ჩემი გერიდება? ცოცხალს არ გერიდებოდა, ჩემს ლოგინში ინვენდი, ჩემს თეთრეულში... — და მან ნუციკოს გამომწვევად შეხედა, ალბათ ისე, როგორც ერთ დროს, დუელში ინვევდნენ მეტოქეს. — რა, ასე არ იყო?

ნუციკომ ხმა არ გასცა. გაიოზი კი მოულოდნელობისგან მესდაცემულივით ადგილზე გაშუმდა, დაიბნა. ხან შვილს უყურებდა, ხან ლალის, ხან კი ცხედარს და წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. „ფეხი მომტყნოდა და აქ არ მოვსულიყავი“, — გაიფიქრა მან და ბედის ირონიას მინებდა.

ნუციკო ამაყად შედგა კუბოს თავში და დაიკნობით დააცქერდა მკვდარ საყვარელს. ვერ მიმხვდარიყო, როგორ მოხდა, რომ ორ დღეში სიკვდილს მთლიანად შეეცვალა ლევანი.

— მშვიდობით! — თქვა მან და კუბოს შემოვლა განაგრძო.

ლალი წამოხტა და ნუციკოს დაწყებულ დამშვიდობება განაგრძო.

— მშვიდობით, ლევან, მშვიდობით! მშვიდობით-თქო, შენც უთხარი, ბიჭო, დაემშვიდობე! მე თუ მძულდი, ამას ხომ უყვარდი? ხედავ, როგორ ჰყვარებხარ? მეც კი არ მომერიდა, მოვიდა და დაგემშვიდობა. რა რომანტიკულია, რა საოცარია... აინტერესებდა ამ ბოზს, აქ რა ხდებოდა და მოვიდა... აი, მკვდარი ნევს... სახე მთლად გაუშავდა. აი, დაადე ხელი, — და ლალიმ ხელი დაადო შუბლზე ცხედარს, — ნახე, მთლად გაუქვავდა... ქვა არი, ქვა... ცივი ქვა. ცოცხალი შენი იყო, მკვდარი ჩემია. თუ მკვდარიც გინდა, რომ წამართვა? ნაილე? შენი იყოს, მიჩუქნია. ან იქნებ საფლავშიც გინდა, რომ ჩაჰყვე? საწოლისგან განსხვავებით, კუბოში სიამოვნებით დაგითმობ



გადინია. მის მკერდზე, შიშველი, მკვრივი ძუძუ ასხმარტალდა.

— აი!!!

მურადი სკამიდან ღმუღილით წამოვარდა და მისკენ გაიქცა. ანიმ სკამი გამოუნია და გასხლტა. მურადი სკამს წამოედო და დაეცა. ანიმ მაგიდის უჯრა გამოსწია, იქიდან გამოძიებლის იარაღი ამოიღო და დამცველი გადანია.

— არ მომეკარო! — იყვირა მან და იარაღი აღმართა.

მურადი მიძიმედ წამოდგა, ფეხი ნატყენი ჰქონდა. რომელმა სკამმაც ნააქცია, იმავე სკამს დაეყრდნო და დაჯდა.

— ეს ვის გადაეყვარე... რა გინდა, მაშ, გამაგებინე, რა ჯანდაბა გინდა? კაცობა გინდა დამაპარგვინო?

— პირიქით, მაგრამ მოთმინება იქონიე... მოთმინება, მოთმინება და კიდევ მოთმინება... მე ხომ გითხარი, „ნერპი, კაზაკ, ატამანომ ბუდეშ“! — ანი მაგრად შევიდა როლში. ცალი ხელით ერთი წამით კიდევ გამოაჩინა ძუძუ, მეორეთი კი, რომლითაც მალლა ანეული იარაღი ეჭრა, შემთხვევით

ჩემს ადგილს, მის გვერდით. — თქვა მან და პასუხს დაელოდა.

— ლალი, რეებს ამბობ, ეს ხომ ნუციკოა, ჩემი შვილი! — მაინც ვერ დაიჯერა გაიოზმა მის თავს დატრიალებული დროის მეტამორფოზა.

— რა თქვი, გაიოზ? — გაეცინა ლალის. — შენ გგონია, მე შევიშალე? მეც ვხედავ, რომ ნუციკოა... ეს შენ არ იცი, თორემ მთელმა ქალაქმა იცის, რომ ნუციკო, ჰო, შენი შვილი, ლევანის საყვარელი იყო, ამ შენი მეგობრის...

— წავიდეთ, მამა! — ცივად თქვა ნუციკომ. — მე თქვენ ბევრად დიდულღოვანი მეგონეთ, ქალბატონო ლალი! თქვენ კი ჩვეულებრივი „მეშჩანკა“ ყოფილხართ — ისეთივე, როგორიც ნახევარი თბილისი.

— ეგ იმიტომ, რომ გაიოზთან ჩაგიშვი, არა? — გამოწვევას ცდილობდა მიცვალებულის კანონიერი ცოლი.

— მე კი მსურდა, თქვენთვის სამძიმარი მეთქვა... რომ ძალიან, ძალიან სამწუხაროა, ლევანის ნაცვლად, თქვენ რომ არ წევხართ ამ კუბოში... — თქვა ნუციკომ და თავისი ნათქვამის თვითონვე გაუკვირდა.

— გაიოზ, ახლა რომ ენაჩაყლაპული დგახარ და ხმას ვერ იღებ, მითხარი, არ იცოდი შენ ეს ამბავი? მართლა არ იცოდი? — ნიშნის მოგებით დაუსვა შეკითხვა გაიოზს ლალიმ.

— წავიდეთ, ნუციკო! — თქვა ჩუმად გაიოზმა და კარისაკენ დაიძრა.

— ამის წყალი გადაგსხმოდეთ, ამ ვაჟბატონის... — დაადევნა ლალიმ მამა-შვილს. ნუციკოს მწარედ გაეღიმა და ზიზღით გამოხედა ლალის.

— მე შენ მაინც გაგსრეს მატლივით! — ლალიმ ერთი სურვილი კიდევ მიაყოლა ზურგში მამა-შვილს და კარისაკენ უნერწყვოდ გააფურთხა.

ამ ნამდვილი კატასტროფის შემდეგ, გვიან საღამოს, ნუციკო და გაიოზი უხმოდ მიუყვებოდნენ გამსახურდიას გამზირს. განათებული კაფეები და ვიტრინები თანამედროვე ევროპული ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— ნუციკო, მითხარი, მართალი იყო ის დედაკაცი? — ჰკითხა შვილს გაიოზმა.

— კი, — მძიმედ თქვა ნუციკომ.

— იცი, მე ჯერ ასე მაგრად არასოდეს არაფერი მტკენია. იცი, მე ფეხქვეშ მინა გამომეცალა... მართლა, მართლა...

თუმცა გაიოზმა რალაც სისულელე თქვა, ნუციკო მიხვდა, რომ მაინც არც ისე წვიმდა, როგორც ქუხდა და რალაც ძალიან გაუხარდა; გაუხარდა, რომ რალაც გრძელი, გაუთავებელი ფიქრის ბილიკი განყდა, რალაც ახალი და კარგიც კი იწყებოდა, თუმცა რა იყო ეს კარგი, ვერ გაეცნობიერებინა. იქნებ ჯერ კიდევ გრძელდება დედობის ინსტიტუტით გამოწვეული მარადიულობის ეფექტი, ან იქნებ მართლაც არსებობს ბედისწერა, წინასწარ განსაზღვრული მიზეზმდეგობრიობა? ეშმაკმა უწყის. მოუწინა, მამას მოჰფერებოდა, მაგრამ მის ჩაფიქრებულ და ეჭვებით გატანჯულ პროფილს რომ შეხედა, გადაიფიქრა და მასთან ხელკავაყრილმა მშვიდად გააგრძელა გზა.

— გაიოზ, გინდა, აქ სადმე კაფეში შევ-



იდეთ? — შესთავაზა მან მამას.

— პირიქით, სახლში მინდა მივიდე, რაც შეიძლება სწრაფად... — მიუგო გაიოზმა.

ნუციკომ მანქანას ხელი აუწია. მანქანამ დაამუხრუჭა. საჭესთან თაზო იჯდა და ნუციკო მიხვდა, რომ ძმას ის, ასეთ კრიტიკულ მომენტში, არ მიეტოვებინა. თაზომ ნუციკოს თვალი ჩაუკრა და გაიოზს წინა კარი გამოუღო. გაიოზი ჩაჯდა და თაზოს გამომცდელად დაუნყო ყურება. თაზო გზას აკვირდებოდა... თან დასუყურებდა სარკეში.

— სად მივდივართ? — იკითხა მან.

— სახლში, — თქვა გაიოზმა. — მეშინია, ვინმე არ შემეხვედეს... კუბოც კი შემსურდა იმ კაცის, კუბო... — და უცებ გაიოზმა ტირილი დაიწყო, ხმამაღლა, როგორც კაცებმა იციან ტირილი, ღრილით.

თაზომ აქსელერატორს ბოლომდე მიაცირა ფეხი.

მურადი დასაკითხად ნუციკო კვლავ ტირივით, ლევან იაშვილის საყვარელს ესტუმრა. კარი ბასამ გაუღო. ის დიდი წვლებით მიბობდა კართან, რადგან ფეხი ჯერ კიდევ სტკიოდა. ბასა უცხოს არ ელოდა და გაკვირვებულმა შეხედა.

— ნუცა აქ ცხოვრობს, ბიჭი, კვლავ ტირივილი? — იკითხა მურადმა.

— დიახ, დედაჩემია, — უპასუხა ბასამ.

— დაუძახე, რა! — სთხოვა მურადმა.

— შინ არ არის, — თქვა ბასამ.

— სხვები? უფროსებიდან არავინ არის?

— ჩაეძია მურადი.

— არა, მე ვარ მარტო.

— მალე მოვლენ?

— დიახ, ალბათ. პანაშვილზე არიან წასულები.

— პანაშვილზე? დედაშენიც? — გაუკვირდა მურადს.

— დიახ, — უპასუხა ბასამ.

— შემომივებ? — შეეკითხა მურადი.

— მე აუცილებლად უნდა ვნახო დედაშენი.

— ვინ ბრძანდებით? — არ მოერიდა ბასა.

— ჟურნალისტი ვარ, ინტერვიუ უნდა ავიღო, — უპასუხა მურადმა.

— შემობრძანდით, ოღონდ ჯერ ფეხსაცმელები კარგად დაინმინდით.

— ოჰო! — მურადმა ფეხსაცმელებზე დაიხედა და ბასას მითითება შეასრულა. ბასამ ის კოჭლობით მიაცილა და სტუმარს პირდაპირ ნუციკოს ოთახში შეუძღვა.

— ეს ნუციკოს ოთახია. აქ შეგიძლიათ დაელოდოთ, — უთხრა მურადს ბასამ.

— ფეხზე რა დაგემართა? — შეეკითხა მურადი.

— გადამიბრუნდა. ძარღვები მაქვს აყრილი, — ამყად უპასუხა ბასამ და გავიდა. კარი ღია დატოვა.

მურადმა გამოძიების თვალთვალად ამონწა იქაურობა.

კედლებზე ნუციკოს სურათები ეკიდა — ესტრადის მომღერალი სხვადასხვა სცენაზე, მარტოც და სხვა ცნობილ მომღერლებთან ერთადაც.

კარზე ზარმა დარეკა. ბასა კოჭლობით გავიდა და კარი გააღო. ზღურბლზე ნუციკო და გაიოზი იდგნენ.

— ნუცო, შენთან ჟურნალისტი მოვიდა, — მიახარა ბასამ.

— ჟურნალისტი? — არ ესიამოვნა ნუციკოს.

— ჰო, გელოდებიან.

ნუციკო სწრაფად შევიდა ბინაში. მურადი წამოგდა.

— ასე როგორ შეიძლება, ჯერ ხომ უნდა შემითანხმდეთ, არა? — პრეტენზია ჰქონდა მომღერალს.

გაიოზი მურადს მიესალმა და სამზარეულოში შევიდა. ნუციკოსთან სმირად მოდიოდნენ ჟურნალისტები და უცხოს თვალი აარიდა.

მურადმა ჯიბიდან წიგნაკი ამოიღო.

— მე პროკურატურიდან ვარ, — თქვა მან.

— პროკურატურიდან? ერთი წამით! — ნუციკომ კარი გამოუკვტა. სწრაფად გაიძრო ქურთუკი და სამზარეულოში შესული მამა გააკონტროლა, რომელსაც წინ საფერფლე ედო და აბოლებდა. ნუციკომ მისი კოლოფიდან ერთი ღერი ამოაძრო და დაუპატიჟებელ სტუმართან შევიდა. დაჯდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და მხოლოდ ამის შემდეგ თქვა:

— დიახ, გისმენთ.

— ალბათ მისხვდით?! — თქვა მურადმა.

— ჰოც და არაც... — უპასუხა ნუციკომ.

— მე გამოძიებელი ვარ. არ იფიქროთ, თქვენს პირად ცხოვრებაში ვიჭრებოდე, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობის გამო, იძულებული ვარ, რამდენიმე უნერსული შეკითხვა დაგისვათ.

— მართლა, ბოდიში, ყავას ხომ არ ინებებდით?

— არა, არა... გმადლობთ! — რატომღაც ჩქარობდა მურადი.

— კი, ბატონო, თუ გნებავთ, არ მოგერიდოთ, — შესთავაზა ნუციკომ.

— კარგად გამიგეთ, თქვენ არც მონწილეს ხართ, არც სხვა პროცედურული სახით არ იკითხებით.

— დიახ, დიახ... გასაგებია, — თქვა ნუციკომ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ზღაპრული ზღაპარი და მისი მსახიობები

„ბედნიერი ვარ, რომ ვიპოვე ისეთი ქალი, როგორც ვიცნობდი“, — ამბობს ახალგაზრდა მომღერალი რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დაქორწინდა სტილისტ ილონა გასპარიანზე. თუ სად და როგორ გაიცნეს მათ ერთმანეთი, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

ქვა მიწაში

— თავდაპირველად მინდა, ოჯახის შექმნა მოგილოცო.

— დიდი მადლობა.

— ქორწილი უკვე გქონდათ?

— დიახ. ქორწილი რესტორან „ნატურის ხეში“ გადავიხადეთ. იქ ყველა ჩვენი მეგობარი იყო და ძალიან მაგარი დროც ვატარეთ.

— თავიდან თქვენ თბილისში რატომ ხართ?

— როგორც იცით, „იუმორინაში“ ვმონაწილეობ და თბილისში ამიტომაც დავრჩით. სხვათა შორის, საქმეს მოვრჩები თუ არა, მამინევე მეუღლესთან გავრბივარ.

— სად და როდის გაიცანით ერთმანეთი?

— ერთმანეთი 2 წლის წინ, ვაკეში — ერთ-ერთ სილამაზის სალონში გაიცანით. ამ სალონში ილონა სტილისტად მუშაობდა და ერთი-ორჯერ თმა მან შემკრიჭა. მერე, ამ სალონის ხშირი სტუმარი გახვდი. — ილონამ რითი მოგხიბლა?

— თავიდან მისი გარეგნობით მოვიხიბლეთ, ხოლო შემდეგ, საუბრის და ქცევის მანერებით.

— ერთი ნახვით ხომ არ შეგიყვარდა?

— რა თქმა უნდა. ილონას შეგვხვედ თუ არა, მამინევე ვიფიქრე: ეს ის გოგოა, რომელიც შეიძლება, ჩემი ცოლი გახდეს-მეთქი. და აი, გახდა კიდევ.

— ვლად, გაიხსენე ის დღე როცა მას სიყვარულში გამოუტყდი.

— ერთად ვსერიოზობდით მელიქიშვილის გამზირზე. რატომღაც სასტუმრო „საქართველოსთან“ გავეჩერდი, თვალეში ჩავხვდეთ და ვუთხარი: ილონა, მე შენ ძალიან მიყვარხარ-მეთქი.

— მას როგორი რეაქცია ჰქონდა?

— თავიდან (დაახლოებით, ორი წუთის განმავლობაში), ჩუმად იყო, მერე კი მითხრა: მეც მიყვარხარო.

— იქნებ, ის დროც გაიხსენო, როცა გოგოებით პირველად დაინტერესდი?

— პირველი სიყვარული საბავშვო ბაღში მენდია. სამი წლის ასაკში შემეყვარდა ერთი გოგონა, რომელსაც ძალიან გრძელი და ლამაზი ნაწნავი ჰქონდა. ალბათ, ის ბავშვი ამის გამო მომეწონა. ერთ დღეს, როცა ბაიდან სახლში დავბრუნდი, მშობლებს მთელი სერიოზულობით გამოვუცხადე — ცოლი უნდა მოვიყვანო-მეთქი. მშობლებმა რომ გაიკვირვეს, მათ ვუთხარი: დამშვიდდით, ახლა კი არა, მეხუთე კლასში რომ

გადავალ, ცოლს მერე მოვიყვან-მეთქი. მეხუთე კლასში რომ გადავედი, მამამ მკითხა: ვლად, ცოლის მოყვანა რომ გინდოდა, აბა, რას აპირებ? ვუპასუხე: რა ცოლი, რის ცოლი-მეთქი. მოკლედ, აღარ მომიხდა ოჯახის შექმნა (იცინის).

— სკოლაში თუ გყავდა შეყვარებული?

— კი, როგორ არა. სკოლაში ერთი გოგონა ძალიან დიდხანს — მეორე კლასიდან მეშვიდე კლასამდე მიყვარდა, მაგრამ ჩემი გრძნობის შესახებ მისთვის არ გამომხვლია. არ ვიცო, იმ გოგომ რითი მომხიბლა. სხვათა შორის, მე ხუთოსანი ვიყავი, ის კი — არა და მაინც ვეკიდებოდი მასზე.

— ბოლოს და ბოლოს, მან ეს ამბავი გაიგო?

— კი, მაგრამ ძალიან გვიან. სკოლა რომ დავამთავრეთ, მაშინ ვუთხარი, რომ ერთ დროს ის ძალიან მიყვარდა.

— ალბათ, პირველი პაემანიც გახსოვს?

— პირველი პაემანი მერვე კლასში მქონდა. ამ დღისთვის მართლაც რომ სერიოზულად ვემზადებოდი — დილიდან ვარჩევდი შესაფერის ტანსაცმელს და ფეხსაცმელს (იცინის).

— სიყვარული იმ დღესვე აუხსენი?

— არა. სიყვარულზე არ მილაპარაკია, რადგან ამის აღიარების მრცხველი ვიყავი. უბრალოდ ვუთხარი: ძალიან მომწონხარ-მეთქი.

— ეი, მორცხვი ხარ?

— კი, ძალიან. სხვათა შორის, დღემდე ასეთი ვარ. ვიდრე მე და ილონა ოჯახის შექმნას გადავწყვეტიდით, ძალიან ვნერვიულობდი. ქორწილის დღესაც ბევრი ვინერვიულებდი.

— თუ გახსოვს, ერთმანეთს პირველად რა აჩუქეთ?

— მაგას რა დამავიწყებს?! ილონამ პირველად სათვალე მაჩუქა, მე კი მისი დაბადების დღისათვის საჩუქარს ვეძებდი და ვნახე ბეჭედი, რომელიც მართალია,



უბრალო, მაგრამ ძალიან ლამაზი იყო. მეც ავდექი და ის მივართვი თეთრ ვარდებთან ერთად.

— სიყვარულზე ლექსი თუ დაგინერა?

— არა მარტო ლექსები, არამედ სიმღერებიც დამინერა.

— შენ და ილონა მშობლებთან ერთად ცხოვრობთ?

— არა, ცალკე ვცხოვრობთ.

— ილონა როგორი დიასახლია?

— მას ძალიან „გემრიელი ხელი“ აქვს. არაჩვეულებრივ ტოლმას, ჩახობილს და სალათებს ამზადებს.

— ოჯახში მატარარქატა გამეფებული თუ პატრიარქატი?

— ჩვენ ორივეს ერთნაირი უფლებები გვაქვს. არ მიყვარს, როცა ოჯახში კაცი მბრძანებლობს.

— ილონას შენი სიმღერებიდან ყველაზე მეტად რომელი უყვარს?

— თითქმის ყველა. სხვათა შორის, ჩვენ ერთად სიმღერაც ჩავწერეთ და პირველად საკუთარ ქორწილში ვიმღერეთ. ყველას მოეწონა.

— ეჭვიანები თუ ხართ?

— არა, ერთმანეთს ბრმად ვნდობით.

— ბედისწერის გჯერა?

— რა თქმა უნდა. ერთი პერიოდი, მე და ილონა ერთმანეთს ველარ ვხვდებოდით, იმის გამო, რომ ის ერთი წლით ამერიკაში წავიდა. ამ ხნის მანძილზე, ჩვენი სიყვარული არ განელებულა, არადა, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ მეც სხვა შემყვარებოდა და მასაც, მაგრამ ესეც ალბათ, ბედისწერა იყო. ის ერთი წლის შემდეგ ჩამოვიდა და ჩვენ ისევ ერთად ვართ.

— რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?

— ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ სამი შვილის მამა ვიყო. პირველი ბიჭი მინდა, მეორე — გოგო, ხოლო მესამე — სულერთია.

— დაბოლოს, რას ურჩევ ახალშეუღლებულებს?

— იყავით ყურადღებიანები და გულახდილები. გირჩევთ, პირველსავე პაემანზე ერთმანეთს თავი ყოველგვარი ნიღბის გარეშე წარუდგინოთ, რადგანაც ტყუილზე აგებულ სიყვარული მალე დაიშხვრება. ■

იდეალური სოლი ნიკოლას კეიჯისთვის

2005 წლის თებერვალი. წმინდა ვალენტინის დღე. პოლიფუდი. გამთენიისას გაუქვარელებულ სანსეტის ბულვარზე სმაური შეწყდა. მხოლოდ ერთი ბარი მუშაობს. იქაც მხოლოდ შეყვარებულ წყვილს და ორმოციოდე წლის განმარტოებულ მამაკაცს შენიშნავთ. ნიკოლას კეიჯი ბარის კუთხეში ზის, საკვს წრუპავს და ერთი შეხედვითაც ეტყობა, რომ გუნებაზე ვერ არის.



მას ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი ხელეწიფება, მაგრამ ნიკოლასი მუდამ თავს იტანჯავს — რას იზამ, მას ასეთი ხასიათი აქვს. ვერანაირი რეგალია და პატივი ვერ შეურყევს იმ რწმენას, რომ უიღბლოა! თავი მუდამ უიღბლო ადამიანად მიაჩნდა და დღესაც არაფერი შეცვლილა.

ამ თემაზე ნიკოლასი პირველად მაშინ დაფიქრდა, როდესაც სკოლის გამოსაშვები მეჯლისის წინ აღმოაჩინა, რომ შესაფერისი ტანსაცმელი არ ჰქონდა.

შუბლზე ჩამოფხატული ქუდი, შავი სათვალე და ყალბი უღვაში — ეს მარტივი კამუფლაჟი ეხმარებოდა ნიკოლას კეიჯს, რომ ბრბოში შეუმჩნეველი ყოფილიყო. მისთვის 2002 წელი მძიმე აღმოჩნდა. სარეჟისორო დებიუტი, პარალელურად ორი ფილმის გადაღება, განქორწინება, ადვოკატები, ახალ სახლში გადაბარება — ყველაფერი ერთმანეთს ნაეწყო. ნიკოლასმა ნაშუალაშვებს სადღეღამისო ბარებში სიარულს მოუხშირა. როდესაც ბარში მხოლოდ რამდენიმე სტუმარი რჩებოდა, დამლაგებლები დარბაზს ასუფთავებდნენ და მაგიდებზე მდგარ სანთლებს აქრობდნენ, ნიკოლას კიევი მარტოობით ტკბებოდა, მოსწონდა, როდესაც გარშემო ვიღაცის ძალდაუტანელ არსებობას გრძნობდა. შეეძლო ბარში საათობით მჯდარიყო, წიგნი, სცენარი ეკითხა ან ერთი ნერტილისთვის გაეშტერებინა თვალი. მას ყურადღებას არავინ აქცევდა... უკანასკნელ ხანს, ნიკოლასს სევდიანი ფიქრები ეძალებოდა. უცხო თვალს ესოდენ ცნობილი და წარმატებული მსახიობის დეპრესიაში ჩავარდნა არადამაჯერებელი მოეჩვენებოდა. ნეტავ რა აქვს სადარდებელი? ყველა დროის საუკეთესო მსახიობთა ასულში საპატიო ადგილი მყარად უკავია, მის სახელს პოლივუდის ყველაზე გავლენიან კინომანგატთა ოცეულში მოიხსენებენ. გიჟურ ჰონორარებს (ერთ ფილმში — 20 მლნ დოლარი) კაზინოებში უკანმოუხედავად ანიაგებს, 32 წლის ასაკში „ოსკარი“ მოიპოვა, მდიდრული სახლი ბელგრში, ბინა პარიზში, აპარტამენტები ნიუ-იორკსა და ლას-ვეგასში, სამონადირეო სახლი ესპანეთის სანაპიროზე, ციხესიმაგრე შოტლანდიაში, რეტრო ავტომობილების კოლექცია, საკუთარი აეროდრომი, კომიქსების უნიკალური კოლექცია და ლურჯისით განწყობილი კრემისფერი პიჯაკი, რომელსაც, არც მეტი, არც — ნაკლები, თავად ელვის პრესლი ატარებდა!

მოკრძალებული ოჯახური ბიუჯეტი უფლებას არ აძლევდა, სმოკინგი ჩაეცვა და ზეიმზე ძვირად ღირებული ავტომობილით მისულიყო. ბიჭს მაშინ ბებიამ უშველა. მან საყვარელ შვილიშვილს მთელი თავისი დანაზოგი მისცა. ნიკოლასმა ფრაკი, ლაკის ფეხსაცმელი და მდიდრული ლიმუზინი იქირავა და ლიზი სუონკს გაუარა. აღფრთოვანებულ ლიზის მანქანის კარი გაღანტურად გაუღო. ამ რომანტიკულ სცენას მუზობლები ფანჯრებიდან უთვალთვალებდნენ. ლიმუზინში შეყვარებულთან ერთად მჯდომ ნიკოლასს მღელვარებისა და უხერხულობისგან სუნთქვა ეკვროდა, კუჭის არეში ტკივილს გრძნობდა და ყელში ბურთი ეჩხირებოდა. როდესაც ლიზიმ თავი ვეღარ შეიკავა და მიჯნურს ტუჩებზე დაეკონა, ნიკოლასი უფრო მეტად დაიბნა, ყელში გაჩრილმა გორგალმა კინაღამ დაახრჩო... მანქანიდან გადასვლა ძლივს მოასწრო და პირდაპირ ფრაკზე აღეზინა. ნიკოლასს არასდროს დაავიწყებია ლიზის ზიზღნარევი გამომეტყველება. მძლოლმა ბიჭი მანქანაში აღარ ჩასვა. „მე გოგონას სკოლაში მივიყვან, თქვენ კი თავი მოინესრიგეთ“, — მოკლედ მოუჭრა მან და მანქანა გააქროლა. შერცხვნილ ნიკოლასს მეჯლისზე წასვლა აღარ უნდოდა...

ნიკოლასს მშობლიური სახლის კედლებშიც არ ტოვებდა უიღბლობის შეგრძნება. ამის მიზეზი დედის, ექსცენტრიკული გერმანელი ქალბატონის, ჯოი ფოგელსანგის ქცევა იყო. ის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მფლობელი გახლდათ; გამუდმებით ძველმოდურ კაბებს ატარებდა და ძალზე ხმამაღალი ხარხარი იტოვდა. თავდაპირველად, ნიკი დედით აღფრთოვანებული იყო. შვილს ღიმილს ჰგვრიდა ჯოის ბავშვური კიკინები, ბაფთები და ზოლიანი წინდები. მისის

ფოგელსანგის უცნაურ ქცევას საზოგადოებაც მიმტევებლური ღიმილით შესცქეროდა, რადგან ის უნივერსიტეტის პროფესორის, ლიტერატორისა და რეჟისორ ფრენსის ფორდ კოპოლას ძმის, ავგუსტ კოპოლას მეუღლე იყო. ავგუსტმა მხიარული გერმანელი ქალი კალიფორნიის პლაჟზე გაიცნო — და ერთი ნახვით შეუყვარდა. გრძელთმიანი, უცნაური გოგონა ცხელ ქვიშაში „ტვისტს“ მარტოდმარტო ცეკვავდა. ზედმეტად თავდაჭერილ პროფესორთა წრეში, ავგუსტს მსგავსი რამ არასდროს ენახა. თავის მხრივ, გოგონას ამერიკული კინო უფრო იზიდავდა (ჯოი მრავალი კინოვარსკვლავის ცეკვის მასწავლებელი იყო), ვიდრე ავგუსტის ლიტერატურული მისწრაფებანი, მაგრამ შეყვარებულები რადიკალურად განსხვავებულმა გატაცებებმა ვერ დააფრთხო. ნიკოლასის მშობლებს ერთმანეთი თავდავიწყებით უყვარდათ!

ერთხელ, მ წლის ნიკი დედამ გვერდზე გაიხმო და კინოვარსკვლავ რობერტ მიტჩუ-



ნიკოლას კეიჯი მშობლებთან ერთად



კვიჯი ნორმან ჯევისთან, შერთან და სონი ბონოსთან ერთად

მის ფოტოსურათი აჩვენა, რომელსაც შემდეგი წარწერა ამშვენებდა: „ჩემს ჯოის დიდი სიყვარულით. გეოცნი. ჩვენი საიდუმლო არავის გაანდო. მარად შენი ბოზი“. „იცი, ეს რას ნიშნავს? ის მამაშენია!“ პატარა ნიკმა პირი დაალო. მაგარი! ის სახელგანთქმული მიტჩუმის ვაჟია! რა სამწუხაროა, რომ დედამ ამ საიდუმლოს გამხელა სასტიკად აუკრძალა. საკუთარი გამორჩეულობის შეგრძნებამ ბიჭუნას ფრთები შეასხა. თანატოლებთან მისი ქცევა შეიცვალა, მისი განსაკუთრებული მდგომარეობის ხაზგასმას სახლშიც ცდილობდა. მამა და ახლი ვერაფერს ხედებოდნენ. მხოლოდ დედა აჯილდოვებდა კვიმატი მზერით და თვალებით ეუბნებოდა: მე ხომ ვიცი, რომ შენ აქ უცხო ხარო. ერთხელ, სკოლიდან დაბრუნებულ ნიკოლას დედა შინ არ დახვდა. საღამოს, როდესაც მთელმა ოჯახმა საავანშოდ მოიყარა თავი, მამამ შვილებს აცნობა, რომ დედა შეუძლოდა და რამდენიმე ხნით კლინიკაში დანვა... ნიკოლასის ბავშვობის ყველაზე მტანჯველ მოგონებად, ფსიქიატრიულ კლინიკაში დედის მოსანახულებლად სიარული დარჩა. ჯოის ავადმყოფობა ელვის სისწრაფით პროგრესირებდა. მას ელექტროშოკით მკურნალობდნენ. დედის პალატაში შესვლამდე, ნიკმა არასდროს იცოდა, იქ რა დახვდებოდა: როდესაც ჯოი გონზე იყო, შვილი ხელზე ეფერებოდა და მის წინაშე რაღაცას აღიარებდა. ბიჭმა სწორედ ასე შეიტყო, რომ რობერტ მიტჩუმთან დედას მხოლოდ კარგი ნაცნობობა აკავშირებდა და სხვა არაფერი. ნიკი კი ავგუსტის ღვიძლი შვილია. ავგუსტის, რომლის გვარი მძარცველთა, ყაჩაღთა და მკვლელთა უძველეს იტალიურ კლანს მიეკუთვნება. დედა შვილს იმაშიც არწმუნებდა, რომ ნიკმა დედისგან მემკვიდრეობით მწვანე სისხლი და 8 ზედმეტი ნეკნი მიიღო. ოჯახში დატრიალებულმა დრამატულმა მოვლენებმა ნიკოლასი ძალზე შეცვლა. ხმებმა დედის ავადმყოფობის შესახებ სკოლამდეც მიიღწია. თანაკლასელები აბუჩად იგდებდნენ, დასცინოდნენ. ნიკი სირცხვილით იწვოდა. როგორმე თავი რომ „ემართლებინა“, სწავლას მოუმატა. სკოლასა და სპორტულ შეჯიბრებებში საოცარ წარმატებებს მიიღწია. ნიკოლასმა გადაწყვიტა — ხელმეუხებლოდა უზადო ქცევის წყალობით მოეპოვებინა.

ტყვადუნ და უკარება ადამიანად გადააქცა. ის არავისთან თამაშობდა, არავისთან მეგობრობდა. ბავშვის სულიერი მდგომარეობა მის ჯანმრთელობაზეც აისახა, ნიკს მოულოდნელად ფსიქიატრის დახმარება დასჭირდა — ეჩვენებოდა, თითქოს შავებში ჩაცმული, გამჭვირვალე ქალი სდევნიდა. მაშინ ვერავინ დაადგინა, ეს მის მიერ გადატანილი მღვღანის შედეგი იყო, თუ მემკვიდრეობით მიღებული დაავადება. შვილის მდგომარეობით შემფოთებულმა მამამ ნიკს დედის მონახულება აუკრძალა და საჩქაროდ განქორწინება მოითხოვა. 3 შვილზე მეურვეობის უფლების მოსაპოვებლად გაჩაღებული ბრძოლა, რა თქმა უნდა, ავგუსტ კოპოლას გამარჯვებით დასრულდა. ერთი წლის შემდეგ, ჯოის ჯანმრთელობა გაუმჯობესდა, მაგრამ განკურნებამ ქალს შეება არ მოუტანა. მან შეიტყო, რომ შვილების ნახვის უფლება დაკარგა.

მამამ ოჯახში სამხედრო დისციპლინა დაამყარა. ბიჭები მორიგეობით ამზადდნენ საჭმელს, ალაგებდნენ, წიგნებს მამის მიერ შედგენილი სიის მიხედვით კითხულობდნენ: დოსტოევსკი, კავკა... და ამგვარად, ავგუსტის საუნივერსიტეტო პროგრამას სწავლობდნენ. ნიკი კი ყველასგან მალულად, გულს კომიქსებით იოხებდა. მისი უსაყვარლესი გმირი — პირველი შავკანიანი სუპერმენი — ლუკ კვიჯი იყო, რომელსაც ყველა ფეხქვეშ თელავდა, ჩაგრავდა და ყველას სძაგდა, ის კი მაინც

გმირად რჩებოდა: ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუმჩნეველი, წაშლილი პიროვნება ნებისმიერ ბოროტებასთან შეჯახებისას ზედადამიანად გადაიქცეოდა, ნიკი საკუთარ თავს ლუკ კვიჯთან აგივებდა და იმ დღეზე ოცნებობდა, როდესაც საყვარელი გმირის სახელს დაირქმევდა. შინ მარტო დარჩენილი, „ლუკობანას“ თამაშობდა: კიბის უჯრედზე ფეხაკრეფით გადიოდა და ნათურებს ამსხვრევდა. მოგვიანებით, ამ ბავშვურ ოინებს ყურნალისტები არაერთხელ გაუხსენებენ. უკვე ცნობილი მსახიობი ნიკოლას კვიჯი მსგავს ხელოვნურ გამოხდომებს ხშირად იმეორებდა. ჰაშიმ-მონეული ან მთვრალი მსახიობი ღამის კლუბებში ნაჯახით ავეჯს ამსხვრევდა, პოლიციელებთან ხელჩართულ ჩხუბს მართავდა და მდიდრულ სასტუმროებში რბილ ავეჯს დანით სერავდა. ერთხელ, როდესაც ლას-ვეგასის კაზინოში 25 ათასი დოლარი წააგო, რამდენიმე „ცალხელა ბანდიტი“ ააყირავა, კოვბოური ჩქმებით ზედ შედგა და იმდენი ურტყა, ვიდრე დაზიანებული ავტომანქანიდან ულტონების შადრევნები არ გადმოიფრქვა.

ველური გამოსდომები ნიკს შინაგანი გაუბედაობის დათრგუნვაში ეხმარებოდა. მას საკუთარი თავის არაფერი მოსწონდა — ძალზე გრძელი ცხვირი, ცხენისებური ყბა, მოუხეშავი ხელები, ბანჯგელიანი მკერდი, ზედმეტი სიმაღლე (190 სმ), ჩახლჩილი ხმა. ნიკი საკუთარ თავში მიმზიდველს ვერაფერს ხედავდა, მით უმეტეს, რომ გოგონებთანაც არ უმართლებდა. პირველი ქალი, რომელიც მას სასტიკად მოეცა, შერი იყო. ნიკოლასმა შერი მელიოდრამის — „მთვრალი მოხიბლულნი“ გადაღებებზე გაიცნო. მაშინ შერი 40 წლის იყო, ნიკოლასი კი მხოლოდ 23-ის. გამოცდილმა ქალბატონმა ფეთქებამ, მოუხეშავ ახალგაზრდას თავიდანვე თვალი დაადგა. ნიკოლასმა არ იცოდა, რომ მსახიობი პოლივედში ახალგაზრდა ყმანვილებზე მონადირის რეპუტაციით სარგებლობდა და რომ ცოტა ხნის წინ, მის მკლავებში ვინმე ტომ კრუზი ნეპივრობდა. ერთხელ, გადაღების შემდგომ, შერმა ნიკი ვითომდა სარეპუტიციოდ, ტრავილერში მიიპატიჟა. ნიკმა შესვლაც კი ვერ მოასწრო, რომ შერი მტაცებელივით დაეჭვებოდა, პერანგი შემოახია და ვენებიანად ასისინდა: „შენი ვარ, მხეცო!“



კვიჯი კრისტინა ფულგონთან და მათ ვაჟთან, უესტონთან ერთად

ასე დაიწყო ნიკოლასის პირველი ვარსკვლავური რომანი. ნიკი სისხარულით მეცხრე ცაზე იყო. შერი ამბობდა, რომ ის შეუდარებელი იყო, შესანიშნავი კუნთები ჰქონდა და არაჩვეულებრივი კოცნა იცოდა. ქალმა დაუღლელ საყვარელს „ჩემი მხურვალე ბაჭია“ შეარქვა. ნიკი ვარსკვლავის ექსტრავაგანტური ვილის ხშირი სტუმარი იყო. სახლს ოქროსფერი ფარდები, შავი სავარძლები და ბროლის აბაზანა ამშვენებდა. ფილმში აღებული უზარმაზარი ჰონორარიტი ნიკოლასმა პირველი სახლი შეიძინა. დიზაინერის ფუნქცია შერმა იკისრა. მისი შემოქმედებითი მცდელობის წყალობით, ნიკის ბინა ყველას დასაცინი გახდა. შერმა ფანჯრებზე ნითელი ხავერდის ფარდები დაკიდა, კედლები პეპლების კოლაჟებით დაამშვენა, რბილ ავეჯს კი შხამიანი ლიმონისფერი ქსოვილი გადააკრა. მას ნიკოლასის ცხოვრების სრულად გაკონტროლება სურდა. ახალგაზრდა საყვარლისთვის ტანსაცმელს საკუთარი გემოვნებით არჩევდა, საზოგადოებაში ქვევის ნებსებს ასწავლიდა. ნიკის კარადა ლეოპარდის ტყავისგან შეკერილი ფორთოხლისფერი შარვლებით, გველის ტყავის კოსტიუმებით, მაღალი შლაპებით, ხელჯოხებითა და მჭახე ფერის პერანგებით გაივსო, ნეულებზე მისული კვიცი ტაკიმასხარას ჰგავდა: მწვანე შლაპას — ყვითელი შტიბლეტები ნაკლებად უხდებოდა... ზურგს უკან



ლაიმა მარია პრესლისთან ერთად კვიცმა 2 წელი იცხოვრა

ქირქილს შურის გამოძღვანებდა აღიქვამდა და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მის შემხედვარე ჰოლივუდს სიცილით მუცელი უსკდებოდა. თავი უიღბლო აღამიანად აღარ მიაჩნდა — ის ახლა სუპერვარსკვლავს უყვარდა! ამასთან, როლებს თავზე საყრელად სთავაზობდნენ, მას უამრავი ფული გაუჩნდა და სახელი მოიხვეჭა. ახლა ახალგაზრდობის დროინდელი გიჟური იდეების ხორცშესხმა შეეძლო: კომიქსების რარიტეტულ გამოცემებს, საკოლექციო ავტომობილებს და მისი კერპის — ელვის პრესლის პირად ნივთებს ყიდულობდა, ყოველ საღამოს ძვირად ღირებულ იაპონურ რესტორანში ვახშმობდა და შერს ნაუღას ბენვით განყობილ თეთრეულს, ალმასებით დამშვენებულ ბოტფორდებს, ნიანგის ტყავის ჩანთებს და პლატინის საყურეებს უძღვნიდა (მაგრამ ეს სამოსი და სამკაულები შერის სხეულზე არასდროს უნახავს). მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ყველაფერი დასრულდა. შერი ნიკოლასის სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა, შეხვედრებს გაურბოდა. ნიკი შეყვარებულს ქუჩაში საათობით ელოდა, მაგრამ სახლიდან გამოსული ქალბატონი ელვის უსწრაფესად უჩინარდებოდა მანქანის სალონში. გაზეთებში ასეთი ცნობები გამოჩნდა: „შერს სექსსათამაშო უკვე მოჰპებრდა“, „შერმა მორიგი

„უმანკო“ ყმანვილი მოჩანგლა და შემდეგ მიატოვა“ და სხვა. ნიკოლასი შეტევებზე გადავიდა. მან სატვირთო მანქანა იყიდა, საყვარლის სახლის თუჯის გაღვენის საკეტი გატეხა, „გაზის“ პედალს ფეხი მიაჭირა, ყვავილების გაზონები გადათელა და გეზი შემინული ვერანდისკენ აიღო. სახლიდან შერი გამოვარდა. მას თავზე პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული, სახეს კოსმეტიკური კრემის სქელი ფენა უფარავდა და თვალებს ბოროტად აკვესებდა. ამ მომენტში ქალი ბებერ კუდიანს ნააგავდა... ნიკოლასი მანქანიდან გადამოხტა: „ჩემთან ასეთი ოინები არ გაგივა, ვერ

გამიბედავ, რომ...“ მან ფრახის დასრულება ვეღარ შეძლო, რადგან შერიმ მუშტები დაუშინა. მათი რომანის სანახაობრივი დასასრულის კომიკურ პერიპეტებს პრესა კიდევ დიდხანს იხსენებდა... ნიკოლასი თავს დამცირებულად გრძობდა და შეებას სამუშაოში ეძებდა. იმ პერიოდში ლეგენდებს ჰყვებოდნენ იმის შესახებ, თუ რას წაადიოდა მსახიობი გადაღებებზე. ალან პარკერის ფილმის — „ჩიტუნა“ — გადაღებებზე კატეგორიულად მოითხოვა, რომ კამერის წინ მისთვის 2 კბილი ანესთეზიის გარეშე ამოელოთ, რადგან გმირის როლში ბოლომდე შესულიყო. სურათში — „გამპირის კოცნა“, სადაც ნიკოლასის გმირი თანდათან გიჟდება, მსახიობმა... ცოცხალი ტარაკანა შეჭამა. ამ სცენას მსხვილი პლანით, 4 დუბლად იღებდნენ. ნიკმა საზიზღარი მწერი ოთხჯერვე გმირულად შეახრამუნა. მაგრამ ამ სცენის გადაღების შემდგომ, მთელი კვირა ვეღარაფერს ჭამდა და პირში გამუდმებით არავს ივლებდა.

1991 წელს სტუდია „უნივერსალის“ დერეფანში ნიკოლასმა სიმპათიური, ცისფერთალება მსახიობი — კრისტინა ფულტონი გაიცნო. ნიკმა მასზე პირველსავე პაემანზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. კრისტინამ მოულოდნელად განაცხადა, რომ მას ჭურჭლის მსხვერვის ხმა ალაგუნებს! ნიკი წამოხტა, ბარის მოაჯირს გადაეწეო და ჭიქები, კახები და ბოთლები ძირს გადმოყარა. ოფიცინტმა პოლიცია გამოიძახა. ბრიყვმა შეყვარებულმა სოლიდური ჯარიმა გადაიხადა, მაგრამ მიზანი მიღწეული იყო — მან კრისტინას გული მოინადრა! გოგონა შეყვარებულის სახლის სპეციფიკურმა ინტერიერმაც გააოგნა: ბინას ბორდოსფერი კედლები, ნითელი ფარდები და ყვითელი სავარძლები „ამშვენებდა“. სტუმარს შესასვლელში სამმეტრიანი ტილო ეგებებოდა, რომელზეც სუპერმენის კოსტიუმში გამოწყობილი გაჯიმული მასპინძელი იყო გამოსახული. თავდაპირველად, კრისტინამ ფერწერული ტილო უშრობად მიინჩნა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ კვიჯისთვის, ეს ყველაფერი ძალზე სერიოზული იყო. მათ ერთ ჭერქვეშ 7 წელი იცხოვრეს; მაგრამ საბოლოოდ წვილის ცხოვრება ვერ აენყო. სამაგიეროდ, ქვეყნიერებას მათი ვაჟი უესტონი მოევილინა. დაშორების შემდგომ, კვიჯმა ფულტონს უზარმაზარი სახლი უყიდა და გულუხვი ალიმენტი დაუნიშნა. ურთიერთობები ვერც პატრისია არკვეთან ააწყო. მათი ოფიციალური ქორწინება 6 წელი გრძელდებოდა, სინამდვილეში კი, ერთად მხოლოდ 9 თვე იცხოვრეს. ერთხელ, პრესის თვალყურებისას, ნიკოლასი შემთხვევით პატრისიას ინტერვიუს გადაწყდა და გაოცებული დარჩა, როდესაც შეიტყო, რომ ცოლს მასთან ურთიერთობა უძძიმდა. „ის არანორმალურია! ველური კანონებით ცხოვრობს. დილით — გარგარის კოქტეილი, შემდეგ სირბილი და ორსაათიანი ვარჯიში. ალკოჰოლს არ სვამს, მარისუანას დიდი ხანია აღარ ეწევა, სექსიც ინერვითად ახსენდება, რადგან ცდილობს, ეწვიათა მასქიმალურად დაზოგოს, ვინაიდან რაღაც იდიოტური ჩინური კალენდრის რეკომენდაციებს უჯერებს. ნიკს სისუსტის გამოვლინების ავადმყოფური შიში აქვს. მას სურს, ყველაზე ძლიერი იყოს!“ ...დღეს, წმინდა ვალენტინის დღეს, უიღბლო სასიყვარულო რომანების გახსენება განსაკუთრებით უძძიმდა. სიყვარულის დღეს მარტობობას კიდევ უფრო მძაფრად შეიგრძნობდა და საკუთარ თავს ეკითხებოდა: რატომ ხდება, რომ ქალები ყოველთვის პირველნი ტოვებენ? ხულიგანი შერი, როგორც სათამაშოს, ისე იყენებდა. „საკუთარ თავს ძალზე დიდ ყურადღებას უთმობ“, — ეუბნებოდა ჯენი რაიტი. „შენთვის მხოლოდ აჩრდილი ვარ“, — საყვედურობდა პენელოპა კრუსი. „შენ საკუთარ თავთან გაქვს რომანი!“ — გულდაწყვეტილი ამბობდა კრისტინა ზანგი, „ქალებს ისე უყურებს, როგორც სარკვს და ამ სარკვ-

მი მხოლოდ საკუთარ ანარეკლს ხედავ!“ — გესლიანად ეუბნებოდა უმა თურმანი.

ნიკოლას კვიჯმა ლაიზა მარია პრესლისთან ერთად 2 წელი იცხოვრა. ლაიზა ნიკთან ერთად დისკის — „მამის სახელით“ ჩანერაზე ოცნებობდა. როდესაც ნიკის შესრულებით მამის ჰიტი — „გიყვარდე ნაზად“ მოისმინა, აღფრთოვანებული შესძახა: „ეს სულთა გადასახლებაა! შენ ზუსტად მამასავით მღერი!“ მათი ურთიერთობა ვერ აენყო. ლაიზა ალბომის ჩანერას აჭიანურებდა, სვამდა და მეგობრებთან ერთად, ლამის კლუბებში დადიოდა. მათთვის ერთად ყოფნა მოსაწყენი იყო. იმ პერიოდში ნიკოლას კინოშიც არ უმართლებდა. სუპერმენის როლი იმიტომ დაკარგა, რომ ტომ მარტინთან უსიამოვნება შეემთხვა, სემ რეიმის გადაწყვიტა, რომ „ადაშიანი-ობობას“ სინჯებზე ნიკოლას კვიჯს დამაჯერებლობა აკლდა. მწვანე გობლინის როლი სხვა მსახიობს ხვდა წილად. „ბეტმენის“ ბოლო ფილმის პროდიუსერებმა კვიჯის კანდიდატურა „შუფერებლად“ მიიჩნიეს: გამოდის, რომ მასში ეჭვი მხოლოდ ქალებს როდი ეპარებათ?! რა ხდება? ის ხომ კარგი ბიჭია? შესანიშნავი მსახიობი და არცთუ ისე ურიგო პარტნიორია, როგორც მისი მეგობარი ქალები ფიქრობენ; ის ხომ ჭკვიანი, კეთილი და ალერსიანია. როდესაც ემოციებს ვერ უმკლავდება, ხშირად ტირის. ოჯახის შექმნა სურს, იდეალური ქალის პოვნაზე ოცნებობს — იმ ქალზე, რომელიც აკვიბებულნი აზრების, კომპლექსებისა და უცნაური საქციელის მიღმა, მის დიდ გულს დაინახავს. მაგრამ სად არის ასეთი ქალი? ნიკის მეგობარი ტომ უეიტსი ხშირად ეუბნებოდა: „მცირედით დაკმაყოფილება უნდა ისწავლო! კარგი ქალები — მუდამ სხვათა ხვედრია. ეს ცხოვრებისეული კანონია!“

და აი, ნიკოლასმა წმინდა ვალენტინის დღეც მარტომ გაატარა. ახლა კი ლამის ბარში ზის, რათა ცარიელ სახლს და მძიმე განწყობილებას გაერიდოს და მენიუს

უაზროდ ჩამტერებია... მაგიდასთან ოფიცინტი ქალი მივიდა და ჰკითხა: „რას შეუკვეთ?“ „თქვენი გემოვნებით მომიტანეთ“, — ჩაიბურტყუნა მან. რამდენიმე წუთში მის წინ მადის აღმძვრელი კერძი და პატარა პლუმის დათუნია იდო. „დღეს დღესასწაულია, თქვენ კი ძალზე ნაღვლიანი ხართ. იქნებ, სათამაშომ გაგახალისოთ?“ — ღიმილით უთხრა ოფიცინტმა. ნიკოლასმა ქალს ახალა შეხედა... მის წინაშე მინიატიურული კორეული გოგონა იდგა და დარცხვნილი ილიმებოდა. გოგონას ეცხოვოდა, რომ ნიკოლას კვიჯის შესახებ არაფერი იცოდა და მისი საქციელი მხოლოდ კეთილი გულით იყო გამოწვეული.

— რამდენი წლის ხარ?

— ოცის. მე ელისი ვარ. აქ ვმუშაობ.

ლაპარაკი ნელ-ნელა აენყო. გაირკვა, რომ ელისი ნიკოლას კვიჯს მართლაც პირველად ხედავდა. მისი ოჯახი სამხრეთ კორეიდან ამერიკაში ცოტა ხნის წინ ჩავიდა. ფული არ ჰყოფნიდათ და გართობაზე (მათ შორის, კინოთეატრში წასვლაზე) ფიქრით კი ზედმეტი იყო. ელისი ნიკს ყურადღებით უსმენდა და განუწყვეტილი ილიმებოდა. ადრე, როდესაც ნიკოლასს გოგონები უდიმოდნენ, მას მუდამ უსიამოვნო აზრები ეუფლებოდა: „აჰა, მას ჩემი ფულის ხელში ჩაგდება სურს!“ — ეჭვი თავიდანვე ყველაფერს აფუჭებდა. ელისის ღიმილი კი გულლია და გულწრფელი ჩანდა! ნიკი მისთვის რიგითი გულჩათხრობილი კლიენტი იყო, რომელსაც ამ ყველასთვის ბედნიერ დღეს, წასასვლელი არსად ჰქონდა. ელისს უბრალოდ მისი გამხნელება სურდა. მოულოდნელად, ნიკოლასს უჩვეულო, სრულიად უცნობი განცდა დაუფლა — ყალბ ულვაშში, ძველმოდურ სათვალესა და ჩამოფხატულ ქუდაში — ლამაზი გოგონას ყურადღება მინც მიიპყრო! ესე იგი, მან ნიკოლასში რაღაც დაინახა! ე.ი. ელისისთვის სულერთია, ვინ არის და როგორ გამოიყურება?

ნიკოლასმა გოგონა სუფრასთან მიიპატიჟა და დღესასწაულის ერთად აღნიშვნა შესთავაზა. როგორ, წუთუ მას სანსეტის ბუღვარის გარდა ჯერ არაფერი უნახავს? ამის გამოსწორება იოლი საქმეა. ნიკი ხვალ ელისს შეუვლის და ისინი ერთად გაისეირნებენ, ატრაქ-


ნიკოლას კვიჯმა და პატარია არკვება ერთად მხოლოდ 9 თვე იცხოვრეს, მათი ქორწინება კი 6 წელი გაგრძელდა



ციონების პარკს ესტუმრებიან, შემდეგ კი, სავაჭრო ცენტრში შევივლიან. ნიკოლასს სურს, რომ მას უამრავი მშვენიერი სამოსი უყიდოს. როგორ თუ არ შეუძლია? არა, ელისი სამსახურში აღარასოდეს წავა, ამიერიდან მასზე ნიკოლასი იზრუნებს. რატომ? იმიტომ, რომ ნიკს ის დანახვისთანავე შეუყვარდა! მან უმანკო, შესანიშნავი, უნიკალური გოგონა იპოვა, ასეთი ქალი მას ადრე არასდროს შეხვედრია. ალბათ ბედისწერაა, რომ ისინი ერთმანეთს სწორედ წმინდა ვალენტინის დღეს შეხვდნენ!

ღილით, პაემანზე ნიკი კაბრიოლეტით მივიდა და ელისს მამინვე საკრედიტო ბარათი გადასცა. სამი დღის შემდეგ, საცხოვრებლად მის სახლში გადასვლა შესთავაზა, კიდევ ერთი კვირის შემდგომ კი საყვარელი ქალის მამას ესტუმრა და ქალიშვილის ხელი ოფიციალურად სთხოვა. საბრალო კორეელები შოკში ჩაყვივდნენ: უცხო მისნაზე ფეხის დადგმა ძლივს მოასწრებს, რომ მათი ქალიშვილი შემოიღო მილიონერს შეუყვარდა! მან გოგონა საახალწლო ნაძვის ხესავით ოქროვერცხლითა და ბრილიანტებით მოკაზმა და უამრავი სამოსი უყიდა — წუთუ ასეთი რამ შესაძლებელია? იქნებ, გიჟია? იქნებ, მასხრობს? იქნებ, რომელიღაც ტელემოუში აღმოჩნდნენ?

2004 წლის 30 ივლისს ნიკოლას კვიჯი და ელის კიმი დაქორწინდნენ. ქორწილიდან 9 თვის თავზე ვაიშვილი შეეძინათ, რომელსაც ნიკოლასმა Kal-el დაარქვა (რალა თქმა უნდა, სუპერმენის შესახებ შექმნილი კომიქსების გმირის სახელი) და ამ სახელს მისი გამოგონილი გვარი — კვიჯიც დაუმატა, რათა პატარამ თავი ორგზის სუპერმენად იგრძნოს. ნიკოლასს სჯერა: შორს არ არის ის დღე, როდესაც პატარა ნამოიზრდება და მხოლოდ იმით როდი იამაყებს, რომ მას ლეგენდარული სუპერგმირის სახელი ჰქვია, არამედ იმითაც, რომ ის კინოვარსკვლავის შვილია! და ნიკოლასისგან განსხვავებით, სუპერვარსკვლავთან სისხლისმეორ ნათესაურ კავშირში ასი პროცენტით იქნება დარწმუნებული!!!



ელისის მშობლები შოკში ჩაყვივდნენ: ამერიკის მიწაზე ფეხის დადგმა ვერ მოასწრებს, რომ მათი ქალიშვილი ვიღაც შემოიღო მილიონერს შეუყვარდა

სასარგებლო მწვანილი — ოხრახუმი, ნიახური, კაპა...

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ძნელი წარმოსადგენია ბალ-ბოსტანი მწვანილის გარეშე. ჩვენში საკმაოდ გავრცელებულია ოხრახუმი, ნიახური და კაპა, რომელთაც კვებით ღირებულებასთან ერთად, მრავალმხრივი სამკურნალო ეფექტიც აქვს.



ოხრახუმი

სუციილისტა აზრით, ერთი გრამი ოხრახუმი ერთ კილოგრამ აბეზზე უფრო სასარგებლოა. ამ მოსაზრებას საფუძველიც აქვს — 100 გრამი ახალმოკრეფილი ოხრახუმი შეიცავს C ვიტამინისა და კაროტინის ორი დღის ნორმას. ეს მწვანილი მდიდარია აგრეთვე სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მინერალური ნივთიერებებით: რკინით, კალიუმით, კალციუმით.

ოხრახუმისაგან მომზადებული პრეპარატები ზრდის შინაგანი ორგანოების (საშვილოსნოს, შარდის ბუშტის, ნაწლავების, კუჭის) ტონუსს, შლის ქვებსა და ქვიშას შარდგამომტან გზებში, აქვს ნალველმდენი და საზამოლიზური ეფექტი. გულის დაავადებებით გამოწვეული შეშუპებების, წყალმანკის, თირკმელკენჭოვანი დაავადების, პროსტატიტის, დისპეფსიის, კოლიტების დროს ოხრახუმი ხელს უწყობს საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

* ოხრახუმის ფოთლების ნაყენი ასე მზადდება: 1 ს/კ გამხმარ, დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, დააყოვნეთ თავდახული 1 სთ-ს, მერე გადანურეთ. მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

* ნაყენი მზადდება ოხრახუმის ძირებისგანაც. ამისთვის 1 ს/კ გამომშრალ, დაქუცმაცებულ ძირებს დაასხით 400 მლ მდულარე წყალი, დადგით 2-3 სთ ოთახის ტემპერატურაზე, მიიღეთ 1/2-1/3 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში.

* ახალგამოწურული ოხრახუმის წვენი შეგიძლიათ მიიღოთ როგორც ნალველმდენი საშუალება, თითო ს/კ 2-ჯერ დღეში.

* ოხრახუმის ძირის დალევა აქრობს ცუდ სუნს პირიდან.

* ოხრახუმი ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ჭრილობების შესახორცებლად, თირკმლის დაავადებების სამკურნალოდ. გარდა ამისა, იგი აღადგენს ძალებს, ხელს უწყობს მხედველობის შენარჩუნებას, ამაგრებს ღრძილებს.

ნიახური

მოქმედების ფართო სპექტრი აქვს ნიახურსაც. უნიკალური სამკურნალო თვისებების გამო ძველ საბერძნეთში ნიახურს მონეტებზე გამოსახავდნენ, მისგან დანხული გვირგვინით კი, სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ.

ნიახური არეგულირებს საჭმლის მონ-

ვლებას, აუმჯობესებს ნაწლავის პერისტალტიკას, ახდენს პირის ღრუსა და ხახის ლორწოვანი გარსის დეზინფექციას, გამოაქვს ტოქსინები ორგანიზმიდან, ანადგურებს ბაქტერიებს თირკმლებში, შარდის ბუშტსა და შარდგამომტან გზებში, კურნავს ანთებით პროცესებს, ხელს უწყობს ლორწოს გამოყოფას ხველებისას, სურდოსა და გაცივების დროს. გამოაქვს აგრეთვე ორგანიზმიდან წყალი და ხელს უწყობს ჭარბ წონასთან ბრძოლას, ამაგრებს ნერვულ სისტემას, ამსუბუქებს სტრესის შემდგომ მდგომარეობას, გვეხმარება კანის, თმისა და ფრჩხილების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნებაში.

* ხალხურ მედიცინაში ხშირად გამოიყენება ნიახურის ძირების ნაყენი. როგორც წესი, ძირებს ოქტომბერში აგროვებენ. ნაყენის მოსამზადებლად, 1 ს/კ დაქუცმაცებულ ფესვებს ასხამენ 300 მლ გაცივებულ ანადულარე წყალს, დგამენ 4 სთ-ს და ნურავენ; მიღებულ ნაყენს სვამენ — თითო ს/კ 3-4-ჯერ დღეში, ჭამამდე. იგი განსაკუთრებით ეფექტურია, როგორც შარდმდენი და ტკივილგამაყუჩებელი საშუალება პოდაგრისა და თირკმლების დაავადების დროს, აგრეთვე ქრონიკული პროსტატიტისა და იმპოტენციის სამკურნალოდ.

* ჭინჭრის ციებისა და ზედა სასუნთქი გზების დაავადებების დროს, რეკომენდებულია ოხრახუმის გამხმარი ძირების ფხვნილი, ერთი-ორი გრამი 3-ჯერ დღეში.

* ორგანიზმის საერთო ტონუსის მოსამატებლად, ამზადებენ დაქუცმაცებული ძირების ნაყენს: 2 ჩ/ჭ ძირებს ასხამენ ერთ ჩ/ჭ მდულარე წყალს, დგამენ 1 სთ-ს და იღებენ ამ ნაყენის 1/3 ჩ/ჭ-ს 3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

კაპა

კაპა ოდითგანვე მოჰყავდათ ძველ რომში, საბერძნეთსა და ეგვიპტეში. ადამიანებმა კამის სამკურნალო თვისებების შესახებ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იცოდნენ. მას იყენებდნენ აბაზანებისთვის, კანის დაავადებათა სამკურნალოდ. კამის ზეთით კი ტანს იზელდნენ.

* კამის თესლას და ბალახს თანამედროვე მედიცინაც იყენებს. მას აქვს ჰიპოტენზიური, სპაზმოლიზური, კარდიოტონური, შარდმდენი მოქმედება. ეს მცენარე სასარგებლოა ჰიპერტონიული დაავადებისა და სტენოკარდიის საწყის სტადიებზე,

ნევროზების და უძილობის დროს. გარდა ამისა, იგი არის ამოსახველებელი, საფალარათო და ნალველმდენი საშუალება.

* კამის თესლის ნაყენი და ფხვნილი გამოიყენება სტენოკარდიის შეტევების თავიდან ასაცილებლად. - ხარისხის ჰიპერტონიული დაავადების დროს, ალერგიული დერმატიტების, გულის ქრონიკული უკმარისობის მკურნალობისას, კრუნჩხვების მოსახსნელად. ნაყენის მოსამზადებლად 2 ს/კ ნედლეულს ასხამენ 2 ჩ/ჭ მდულარე წყალს, აჩერებენ 30 წთ-ს, ნურავენ და სვამენ 100-100 მლ-ს 2-3-ჯერ დღეში.

* კანის ჩირქოვანი დაავადებების დროს იკეთებენ კამის ფოთლების ნაყენის ან დასრესილი ფოთლების საფენებს.

* პიელონეფრიტის, ცისტიტის და თირკმელკენჭოვანი დაავადების დროს სვამენ კამის თესლის ნაყენს — 0,5 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში.

* კამის წყალი კარგად ხსნის მუცლის შებერილობას, განსაკუთრებით ბავშვებში.

* მადის გასაუმჯობესებლად, 1 ჩ/ჭ დაფუქლ კამის თესლს ასხამენ ერთ ჩ/ჭ მდულარე წყალს, აჩერებენ 20 წთ-ს და სვამენ 30-50 მლ-ს 3-4-ჯერ დღეში.

* ცისტიტების, ჰემოროის დროს 2 ს/კ კამის თესლს ასხამენ 400 მლ მდულარე წყალს, 30 წთ-ს გააჩერებენ და იღებენ 100 მლ-ს 3-4-ჯერ დღეში.

* ღამით შარდის შეუკავებლობას ხალხურ მედიცინაში კამის თესლის ნაყენით მკურნალობენ: 2 ს/კ დაქუცმაცებულ თესლს ასხამენ 1 ჩ/ჭ მდულარე წყალს, თემოსში ათავსებენ 5-6 სთ-ით, მერე განურავენ და სვამენ ერთ დალევაზე (დაძინებამდე 1-2 სთ-ით ადრე). მკურნალობის კურსი 7-10 დღეა.

* ნითელი ღვინოში მოხარშული კამის თესლი (50 გ თესლი 0,5 ლ ღვინოზე) კარგია უძილობის დროს. 50-100 მლ ნახარში უნდა მიიღოთ ძილის წინ.

* წელის არეში ტკივილის დროს რეკომენდებულია ასეთი საშუალება: მცენარე გაახმეთ და დააქუცმაცეთ. 1 ს/კ გამხმარ მცენარეს დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, დადგით 1 სთ-ს, გადანურეთ და სვით 0,5 ჩ/ჭ 3-4-ჯერ დღეში.

* კოსმეტიკაში კაპა გამოიყენება როგორც ნედლი, ასევე — გამომშრალი სახით. საუკეთესო ლოსიონი მზადდება კამის თესლისა და გვირილის ყვავილებისგან, რომლებიც თანაბარი რაოდენობით უნდა აიღოთ, აურიოთ და 1 ს/კ ნარევეს დაასხათ 1 ჩ/ჭ წყალი. შემდეგ ადუღეთ 5 წთ, გააჩერეთ 1 სთ-ს, განურეთ და ამ ნაყენში დასველებული ტამპონით გაინმინდეთ სახე დილა-საღამოს. ასეთი ლოსიონი განსაკუთრებით ეფექტურია გაღიზიანებული და გამომშრალი კანის შემთხვევაში. აგრეთვე კანზე გამოიყენებენ დროს.

სკლეროზი

მოულოდნელად ვითარდება

აღვანიშნავათ:

1. ყურადღების დარღვევა;
2. გონებრივი მუშაობის უნარის დაქვეითება;
3. გულფიცხოვა;
4. ტირილი;
5. თავბრუსხვევა;
6. სიმძიმის შეგრძნება თავში;
7. არტერიული წნევის მატება;
8. ჭარბი წონა;
9. თავში ხმაური;
10. მეხსიერების დაქვეითება;
11. სიარულის დარღვევა;
12. ფეხების სისუსტე;
13. წვივის კუნთების დაჭიმულობა;
14. ფეხების ხანგამოშვებითი ტკივილი;
15. გულის არეში პერიოდულად განვითარებული მოჭერიითი ხასიათის ტკივილი, რომელიც გადაეცემა მარცხენა ხელს, მარცხენა მხარსა და კისრის მარცხენა ნახევარს.

ზოგადება:

თუ დადებითად უპასუხებთ პირველი თერთმეტიდან 7 კითხვას მაინც, შეიძლება ითქვას, რომ თქვენ უკვე გაქვთ ცერებრალური ათეროსკლეროზის (თავის ტვინის სისხლძარღვთა სკლეროზის) პირველი ნიშნები.

თუ „დაიხ“ უპასუხებთ არა მხოლოდ პირველი თერთმეტიდან კითხვათა უმრავლესობას, არამედ მე-12, მე-13 და მე-14 შეკითხვებსაც, ეს მოწმობს, რომ თქვენ ფეხების არტერიათა სკლეროზის სიმპტომებიც გაქვთ.

თუ თქვენს კითხვებზე გაცემული დადებითი პასუხები იმის მიმანიშნებელია, რომ თქვენ გულის სისხლძარღვთა სკლეროზული დაზიანებაც გაქვთ.

ნებისმიერ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა შეცვალოთ კვების რაციონი — აქცენტი უნდა გადაიტანოთ ქოლესტერინის დონის დაბალეობაზე. პროდუქტთა მოხმარებაზე ასეთი გახლავთ: კომპოსტო, კიტრი, მწვანე ბარდა, ხახვი, ნიორი, ყაბაყი, გოგრა, სტაფილო, კაკალი, ზღვის კომპოსტო და ზღვის პროდუქტები, მცენარეული ცხიმები, წვენი (განსაკუთრებით ყურძნისა და ლიმონის), მწვანე ჩაი და უცხიმო რძე-ყავა პროდუქტები.

გაზარდეთ ფიზიკური დატვირთვა (უძვობესია, სიარულით დაიწყეთ) და, რაღა თქმა უნდა, კონსულტაცია გაიარეთ თერაპევტთან. საჭიროების შემთხვევაში, მიიღეთ მის მიერ დანიშნული წამლები. ნუ დაივიწყებთ ხალხურ რეცეპტებსაც. მაგალითად, როგორცაა წინიბურას ფოთლები (1 ს/კ ფოთლებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი. დააყოვნეთ 2 სთ, გაწურეთ და სვით 0,5 ჩ/ჭ 3-4ჯერ დღეში, ჭამამდე 1 სთ-ით ადრე).

წმინდა მოციქული თომა

ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმნიშვნელოვანი — თომა მოციქულის თავის ქალა საქართველოში, თბილისის სიონის ტაძარში ინახება. თომა მოციქული ერთ-ერთია უფლის თორმეტ რჩეულ მოწაფე თავთან; როგორც ცნობილია, მოციქულნი განუშორებლად თან დაჰყვე ბოდნენ მაცხოვარს მიწიერი ცხოვრების ჟამს და მომსწრენი გახდნენ მისი ამქვეყნიური ცხოვრებისა და აღსრულებული სასწაულებისა...

შორენა მერკვილაძე

უფლის ზეცად ამაღლებისა და მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ, როდესაც მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა ქრისტიანული რჯული, წმინდა თომას, ინდოეთში ქადაგება სვდა წილად. ამან, ძალზე დაამწუხრა ნეტარი თომა, რადგან შორეულ ქვეყანაში და ველურ ხალხთან უხდებოდა წასვლა, მაგრამ მას მაცხოვარი გამოეცხადა, გაამხნევა და აუწყა: ნურაფრის გემინის, რადგან მეც მარადის შენთან ვიქნებიო.

ინდოეთისკენ მიმავალი თომა პალესტინაში ერთ ვაჭარს შეხვდა. ის ინდოეთის მეფის — გუნდაფორისგან იყო გაგზავნილი პალესტინაში დახელოვნებული ხუროთმოძღვრის მოსაძებნად, რომელიც მეფისთვის რომის იმპერატორთა მსგავსი სასახლის აგებას შეძლებდა. როდესაც თომამ ვაჭრისაგან ამის შესახებ შეიტყო, უთხრა — სამშენებლო ხელოვნებაში გამოცდილი კაცი ვარ და თუ სურვილი გაქვს, მე დამგზავნებო. ვაჭარი დათანხმდა და თომა ინდოეთში წაიყვანა. მეფეს ძალიან გაუხარდა და თომა იმ ადგილზე მიიყვანა, სადაც სასახლის აგება სურდა. თან დიდძალი ოქრო მისცა მშენებლობისთვის, თვითონ კი, ინდოეთიდან დროებით გაემგზავრა.

თომა მოციქულმა მეფე გუნდაფორისგან ბოძებული ოქრო ღარიბ-ღატაკებს დაურიგა. თან დაუცხრომლად ქადაგებდა ღვთის სიტყვას და მრავალი ადამიანი მოაქცია ქრისტიანულ სარწმუნოებაზე.

რამდენიმე წლის შემდეგ, მეფემ თომა მოციქულთან მსახურნი წარგზავნა, რათა შეეტყო, მალე დაასრულებდა თუ არა სასახლის აგებას. თომამ კი მსახურების პირით შეუთვალა, რომ მხოლოდ სახურავილა დარჩა დასადგმელი. გახარებულმა გუნდაფორმა კვლავ დიდძალი ოქრო გაუგზავნა, რათა სასახლისთვის უმშენებლური სახურავი დაედა.

თომამ მეფისგან გამოგზავნილი საბოძვარი კვლავ მოწყალების სახით გასცა. სულ მალე მეფემ სიმართლე შეიტყო — ძალზე განრისხდა და მსახურნი წარგზავნა თომას შესაპყრობად. როდესაც იგი მეფეს მიჰგვარეს — ჰკითხა: — თუ ააშენე ჩემი პალატა? — დიახ, ავაშენე, თანაც ყველაზე მშვენიერი და დიდებული! — მიუგო თომამ. გუნდაფორმა სასახლის ნახვა მოისურვა. თომამ კი უთხრა: ამქვეყნიურ ცხოვრებაში შენ ვერ შეძლებ იმ სასახლის ნახვას, მხოლოდ როდესაც განუშორებ იმ ქვეყანას, მაშინლა იხ-

ილავ, სიხარულით დასახლდები მასში და სამარადისოდ იცხოვრებო.

მეფემ მოციქულის სიტყვები დაცინვად აღიქვა და მისი საპყრობილემი ჩასმა ბრძანა. მასთან ერთად, ის ვაჭარც შეიპყრეს, რომელმაც თომა ინდოეთის მეფეს მიჰგვარა. გუნდაფორს მათი ცოცხლად გატყავება და კოცონზე დანვა ჰქონდა განზრახული.

საპყრობილემი ყოფნისას ვაჭარმა უსაყვედურა, შენი გულისთვის მეც უდანაშაულოდ უნდა დავისაჯო — საშინელი სიკვდილით უნდა მოგკვდეთ: ნუ გემინია! ჩვენი სიკვდილით დასჯის დრო ჯერ არ დამდგარა, ცოცხლებიც დავრჩებით და თავისუფლებიც ვიქნებით, მეფე კი დიდ პატივს მოგვაგებს იმ პალატათათვის, რომლებიც მე მისთვის ზეციურ სამეფოში ამიგიაო.

იმ ღამეს, როდესაც თომა მოციქული საპყრობილემი ჩასვეს, მეფის ძმა მოულოდნელად დასწრულდა და მალე ალეს უღლა კიდეც. მისი სული უფლის ანგელოზმა ზეციურ სამეფიდრემლში აიყვანა, აჩვენა მისი მშვენიერება. მათ შორის მრავალი დიდებული, საუცხოოდ ნაგები სასახლეც. ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებული მშვენიერებით გამოირჩეოდა. რომელ სასახლეში ისურვებდი ცხოვრებასო? — ჰკითხა მეფის ძმის სულს ანგელოზმა. მან მშვენიერებით გამორჩეულ სასახლეზე მიუთითა. ეს შენს ძმას ეკუთვნის, რადგან მისი ოქროთი ააგო შენთვის ნაცნობმა უცხოტომელმა თომამო, — მიუგო ანგელოზმა. მაშინ მეფის ძმის სულმა ანგელოზს სთხოვა, მისი სული მცირე ხნით კვლავ სხეულში დაებრუნებინა, რათა ძმისთვის უმშვენიერესი სასახლე გამოეთხოვა. ანგელოზმა თხოვნა შეუსრულა.

როდესაც გარდაცვლილის სული სხეულს დაუბრუნდა და თვალი გაახილა, გუნდაფორი მოიკითხა. გახარებული მეფე უმაღლე ძმისკენ გაემურა. დარწმუნებული ვარ, ძალზე გიყვარვარ, ვიცი — როდესაც უსულოდ ვესვენე და ცხარე ცრემლით დამტიროდი, ჩემი სიკვდილისგან გამოსხნა რომ ყოფილიყო შესაძლებელი, ამისთვის შენი სამეფოს ნახევარსაც გაიღებდიო, — მიმართა მეფეს მკვდრეთით აღდგომილმა ძმამ. მეფე დაეთანხმა, თან ფიცით დაუდასტურა, რომ ყოველივეს უბოძებდა, რასაც კი ისურვებდა: არაფერს ვითხოვ, გარდა ერთი სასახლისა, რომელიც ცათა შინა გაქვსო, — უთხრა ძმამ. მეფემ გაოცებისგან სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა, მაგრამ მკე-

დრებით აღდგომილმა ძმამ ყოველივე აუნყა, რაც კი გარდაცვალების შემდეგ იხილა, თან დასძინა: მე ვევედრე ანგელოზს, გამოვევი შენთან, რათა მეყიდა შენგან სასახლე; და აი, ახლა შენ წინაშე ვდგავარ და გვედრები: თუკი გიყვარვარ, მომიდე შენი ზეციური სასახლე და მის ნაცვლად, მთელი ჩემი ქონება-სამკვიდრებელი მიიღო. — მართალია, ყოველივეს დაგვირდი, რასაც ისურვებდი ჩემი ქონებიდან, რაც ამქვეყნად ჩემს ხელმწიფებას ექვემდებარება, მაგრამ არ აღმიქვამს შენთვის ის სასახლე, რომელიც ზეცაში ყოფილა აგებული; მაგრამ თუკი ასე გსურს, შეგიძლია, მიიღო ის ხუროთმოძღვარი, რომელიც ჩვენ გვყავს, რომელსაც შეუძლია, შენთვისაც ააგოს ასეთივე სასახლეო! — განუცხადა მეფემ და საპყრობილეში მსახურნი გაგზავნა თომა მოციქულის მოსაყვანად. მეფე წინ მიეგება მას, ფეხთ ჩაუვარდა და შენდობა სთხოვა.

თომა მოციქულის ხელით მალე მეფე და მისი ძმა ქრისტიანული წესით მოინათლნენ. გულმხურვალედ ისმენდნენ მის ქადაგებებს და უხვ საბოძვარსაც გაცემდნენ მონყალების სახით. მათი რწმენაში განმტკიცების შემდეგ, თომა მოციქული ინდოეთის განპირას მდებარე ქალაქებსა და დაბა-სოფლებში გაემართა ღვთის სიტყვის საქადაგებლად. იმ პერიოდში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ჟამიც მოახლოვდა, სხვა მოციქულთა მსგავსად, თომაც მის გვერდით უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ ჩაუსწრო იერუსალიმში უფლის ყოვლადწმინდა დედის სხეულის დაკრძალვას, მხოლოდ მესამე დღეს გამოჩნდა ქალაქში და დიდად დამწუხრდა იმის გამო, რომ არ იმყოფებოდა გეთსიმანიის ბაღში ღვთისმშობლის დაკრძალვის დროს (ეს კი იმის გამო დაუშვა უფალმა, რომ მარადის ქალწული მარიამის ზეცად ამაღლების შესახებ სწორედ თომა მოციქულის დაგვიანების შედეგად შეგვეტყო და მტკიცედ დავრწმუნებულიყავით ამ საოცრების ჭეშმარიტებაში). მაშინ, მოციქულმა გადაწყვიტეს, რომ გაეხსნათ ღვთისმშობლის საფლავი, რათა თომას თავყვანი ეცა მისთვის და მწუხარება შეემსუბუქებინა. როდესაც სამარხი გახსნეს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მოსახსამის გარდა, ვერაფერი იხილეს. ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ დედა ღვთისა, თავისი ღვთაებრივი ძის მსგავსად მკვდრებით აღდგა მესამე დღეს და სხეულთა იქნა ატაცებული ზეცად...

თომა მოციქული იერუსალიმიდან კვლავ ინდოეთში დაბრუნდა, რათა თავისი მოციქულბრივი ღვაწლი — ჭეშმარიტი რჯულზე წარმართთა მოქცევა გაეგრძელებინა. მართლაც, მრავალი ადამიანი აზიარა ქრისტეს რჯულს, ამას კი ღვთის სიტყვის ქადაგებით და სასწაულთა ქმნით ახერხებდა. თუმცა მალე უდიდესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა: იმ ქალაქში, სადაც თომა მოციქული ქადაგებდა,

ერთმა ქურუმმა საკუთარი ვაჟიშვილი მოკლა და თავისი დანაშაული თომას გადააბრალა. არავინ იყო ისეთი, ვინც მოციქულის უდანაშაულობას დაამტკიცებდა, ამიტომ აღლევებულმა ხალხმა მისი დასჯა გადაწყვიტა: გვედრებით, გამიშ-



ვით! მე თვითონ მივალ მოკლულთან და უფლის სახელით ვათქმევინებ, ვინ არის მისი მკვლელიო, — მიმართა თომამ მის დასასჯელად შეკრებილ ადამიანებს. გაოცებული ხალხი დათანხმდა. თომა მოციქულმა ჯერ ილოცა, შემდეგ კი მოკლულს იესო ქრისტეს სახელით უბრძანა, რომ მკვლელის ვინაობა ეთქვა. გარდაცვლილმა ბაგე გახსნა და წარმოთქვა — მამამ ჩემმა მოკლა მე!

ამ სასწაულის მხილველმა ხალხმა განადიდა უფალი, გაათავისუფლა თომა მოციქული და მისი ხელით ბევრი იქ მყოფი მოინათლა ქრისტიანული წესით.

ამის შემდეგ თომა მოციქული ქალამიდის ქვეყანაში გაემურა და თავისი ქადაგებით იქაც მრავალი ადამიანი აზიარა ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ქალამიდის მეფის მუზდის ძემ — აზანმაც ირწმუნა ქრისტეს რჯული და მოინათლა. როდესაც — ამის შესახებ მეფემ შეიტყო, ძალზე განრისხდა და მსახურებს თომას შეპყრობა, შემდეგ კი საპყრობილეში ჩაგდება უბრძანა. მალე მეფის წინაშე წარადგინეს. ვინ ხარ შენ, მონა თუ თავისუფალი კაცი? — ჰკითხა მან. თომა მოციქულმა მიუგო: მე იმის მონა ვარ, ვისზეც შენ არა გაქვს ხელმწიფება; ჩემი ბატონი არის უფალი ცათა და ქვეყნისა, ღმერთი და შემოქმედი ყოველი ქმნილებისა, მან წარმომგზავნა აქ თავისი სახელის საქადაგებლად და ადამიანთა ჭეშმარიტებაზე მოსაქცევად. განრისხებულმა მეფემ მას ცრუ და მზაკვარი უწოდა და უბრძანა, თავი დაენებებინა ხალხისთვის და გონება არ აერია მათთვის (ცხადია, მეფე ღვთის სიტყვის ქადაგებას გულისხმობდა), თორემ,

საშინელი სიკვდილით მოგაკვდინებთო. თომა მოციქული კი მტკიცედ იცავდა ჭეშმარიტ რჯულს: „არა ჯერ-არს მორწმუნეთათვის შეგინებულ და შებილწულ იქმნენ უკეთურ ურწმუნეთაგან“, — მიუგო მეფეს. მაშინ, მისი ბრძანებით, თომა მოციქული ტანჯვა-წამებისთვის მოამზადეს: გავარვარებული რკინის დაფები მოიტანეს და მასზე ფეხშიშველი დადგომა უბრძანეს. მაგრამ შედგა თუ არა თომა, მის ფეხქვეშ წყალი გაჩნდა და რკინა გააგრილა... შემდეგ გავარვარებულ ღუმელში შუაგდეს, კარი მიუკეტეს და მთელი ღამე იქ დატოვეს, მეორე დღეს კი თომა სრულიად უგრებელი გამოვიდა იქიდან... მაგრამ ფერც ამ სასწაულების ხილვამ დააფიქრა მეფე, არამედ მათი „ღმერთის“ — მზის თავყვანისცემა მოსთხოვა მოციქულს. როდესაც თომა მზის კერთთან მიიყვანეს, იგი მაშინვე გადნა. განრისხებული მუზდი აღარ იცოდა, რა სატანჯველი მოეფიქრებინა მოციქულის მოსასპობად. კერძოთავანისმცემელთა ბრბო მის მოკვლას ითხოვდა. ბოლოს, მეფემ თავის მსლებლებს უბრძანა, ნეტარი თომა ქალაქგარეთ გაეყვანათ, მთაზე აეყვანათ და შუბით განეგმირათ, თვითონ კი სხვა ქალაქში გაემგზავრა. ქალაქიდან გასვლისას, თომას და მეფის მსლებლებს მალულად გაჰყვინენ მეფისწული აზანი და ერთი ქრისტიანი. სიკვდილის წინ მოციქულმა მეფის მსახურებისგან ლოცვის ნებართვა ითხოვა. ლოცვისას, მასთან მეფისწული და მისი თანმსლები ქრისტიანი მივიდნენ, რომლებსაც მღვდლად და დიაკვნად დაასხა ხელი და დამოძღვრა — ეზრუნათ ქრისტეს ეკლესიის განვრცობისა და მორწმუნეთა გამრავლებისთვის. მხედრებმა თომა მოციქული ცალკე გაიყვანეს და შუბებით განგმირეს. ეს მოხდა კალურმინში, ქალაქ მალაპურიდან ექვსი კილომეტრის მოშორებით, სადაც თომა მოციქული ხშირად ლოცულობდა განმარტოებით. როდესაც მეფის მსახურნი ქალაქში დაბრუნდნენ, მეფისწულმა და მისმა მსლებელმა ქრისტიანმა მისი წმინდა სხეული უჩუმრად წაასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს.

საეკლესიო მწერლობის თანახმად, თომას წმინდა ნაწილები 385 წელს ქალაქ ედესში გადააბრძანეს (რამდენიმე წმინდა ნაწილი ინდოეთშიც დარჩა). იმპერატორ ანასტასის ზეობისას (490-518) კონსტანტინოპოლში თომა მოციქულის სახელზე ტაძარი ააგეს და მისი წმინდა ნაწილები დიდი პატივით გადააბრძანეს ედესიდან კონსტანტინეს ქალაქში. 1204 წელს უნგრეთის მეფე ანდრიამ ჯვაროსნული ლაშქრობისას, თომა მოციქულის მარჯვენა ხელი ქვეყანაში ჩააბრძანა, თავის ქალა კი, საქართველოშია დაცული, თუმცა, მისი აქ მოხვედრის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება. დანარჩენი წმინდა ნაწილები კვლავ კონსტანტინოპოლში დარჩა.



თეთრი სიკვდილი

ზორა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-43

მეგობრის მკვლელობისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით დაპატიმრებულ გიო ჭელიძეს, ადვოკატ შიოშვილის დაპირების მიუხედავად (უფრო სწორედ, მისი აქტიური მონაწილეობის წყალობითაც), სასამართლო სამთვიან წინასწარ პატიმრობას მიუსჯის და იზოლატორში უკრავს თავს. დარბაზიდან გამოსულ მის ძმას, რეზოს, ახალგაზრდა ჟურნალისტი გოგა გამოეცნაურება და დახმარებას სთავაზობს. გიოს კი, საპატიმროსთან პირველი შეხების „სიამოვნება“ უწევს: ზედამხედველთა სისასტიკე, აუტანელი საცხოვრებელი პირობები, შესაძლო ანგარიშსწორება, რომელსაც თანამესაკნე, ნაპატიმრალ ზაზა გორგაძის მკვლელობისთვის ჰპირდება...

გვიანი საღამოს მიუხედავად, გოგას და რეზოს ადვოკატის ოფისში უამრავი ადამიანი დახვდა. დერეფანში მონყობილ მომცრო მოსაცდელში რამდენიმე მოქალაქე იმყოფებოდა, კიდევ რამდენიმე კი, რომელსაც რეზომ ოდნავ შეღებული ღია კარიდან მოჰკრა თვალი, ადვოკატის კაბინეტში იმყოფებოდა.

— ჩამოვსხედეთ... — გოგამ თავისუფალ სკამებზე მიანიშნა რეზოს და თვითონ პირველი დაჯდა.

— დიდი ხანი მოგვინევს ლოდინი? — რეზომ შეფარვით გახედა მოსაცდელში მყოფ მოქალაქეებს.

— შეიძლება, შუალამემდეგ აქ დავრჩეთ, — უპასუხა გოგამ.

— შუალამემდეგ?! — გაოცებული მზერა ესროლა რეზომ.

— ვხუმრობ, — გაელიმა გოგას, — ახლა ნამდვილად არ მოგვინევს დიდხანს ლოდინი. საერთოდ კი, ანა ძალზე ბევრ დროს უთმობს სამუშაოს და ზოგჯერ მართლაც, გამთენიამდე აქ იმყოფება.

ის იყო, გოგამ სიტყვა დაასრულა, რომ კაბინეტის კარი გაიღო და დერე-

ფანში ანამ და მისმა სტუმრებმა შეაბიჯეს. ადვოკატმა გასასვლელ კარამდე მიაცილა სტუმრები, სწრაფად დაემშვიდობა, შემდეგ, მოსაცდელში მყოფ მოქალაქეებს სთხოვა — კაბინეტში შებრძანდითო, — და გოგას მიუბრუნდა.

ანამ დანახვისთანავე მოხიბლა რეზო. ის 23-24 წლის იქნებოდა. ტანმაღალსა და შესანიშნავი სახის ნაკვეთის მქონეს, ძალზე შვეწოდა ქერა კულულები და მუქი-ციხფერი თვალები. რეზოს წამით დაავიწყდა კიდევ, რომ მის წინ იდგა ადვოკატი, რომელიც მისი ძმის საქმეს უნდა გასძღოლოდა... შემდეგ გაახსენდა, თუ სად იმყოფებოდა და სრულიად სხვა თვალთ შეხედა ანას. მისი აზრით, ის ძალზე ახალგაზრდა და ნაზი იყო, მესხთან და შიოშვილთან საბრძოლველად.

— გამარჯობა, ჩემო კარგო, — ანა ღიმილით მიესალმა გოგას, — რამ შეგანუხსა?

— გახსოვს, იმ საქმეზე რომ გელაპარაკე? — უპასუხა გოგამ.

— მახსოვს, — თავი დაუკრა ანამ.

— მაშინ, გაიცანი... ეს რეზო ჭელიძეა, — წარუდგინა თანმხლები გოგამ.

— ანა... — მიუბრუნდა ადვოკატი რეზოს.

— რეზო...

— გიორგის ძმა ხართ? — ჰკითხა ანამ.

— დიას...

— შეძლებ ჩვენთან დალაპარაკებას? — მიმართა გოგამ ანას.

— რა თქმა უნდა!.. მაგრამ მოცდა მოგიწევთ, — ანამ კედლის საათს გახედა და შემდეგ დაამატა: — ასე, ნახევარი საათით დაგაყოვნებთ...

ანა მართლაც, ნახევარ საათში გათავისუფლდა და გოგა და რეზო კაბინეტში მიიწვია. შემდეგ, სტუმრებს ყავაც შესთავაზა.

— დავიწყოთ? — ჰკითხა გოგამ.

— ცოტა ხანი დამასვენე... ძალიან დავიღალე, — ანამ მიძიმე მოისრისა საფეთქლები. — მანამდე, ყავა მიირთვით...

ცოტა ხანში, ანა სკამზე შესწორდა, საქალაღდე გადაშალა და კალამი მოიმარჯვა.

— ჩემთვის ყველა ძირითადი გარემოება ცნობილია, ახალს რას დაამატებთ? — ვერაფერს... — ამოიხსრა რეზომ.

— სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, — დაამატა გოგამ.

— ეს მოსალოდნელიც იყო. დამისახელე პროცესი, როდესაც გარედან მიღებული მითითების არქონის შემთხვევაში, სასამართლოს ანალოგიური გადაწყვეტილება არ მიუღია, — უპასუხა ანამ.

— შენც კარგად იცი, რომ ასეთ მაგალითს ვერ დავასახელებ. მაგრამ მე

სხვა გარემოებამ დამაფიქრა და მართლაც, გამოცა, — თქვა გოგამ.

— რამ? — ჰკითხა ანამ.

— მოსამართლეს პროცესის დაწყებამდე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება, რაც მოგვიანებით, აშკარა გახდა. მას არც კი უცდია, დაენახებინა დარბაზისთვის, რომ მზად იყო ადვოკატების არგუმენტების მოსასმენად... შიოშვილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: პროცესზე აშკარად გამოიკვეთა მისი როლი. მაგრამ მოსამართლეს არც ამისთვის მიუქცევია ყურადღება... — უპასუხა გოგამ.

— ესეც მოსალოდნელი იყო, — მშვიდად ჩაილაპარაკა ანამ, — თავად გიორგის როგორ ეჭირა თავი?

— გაოგნებული იყო. მას არ სჯეროდა, რომ მოსამართლე, მესხის დაკვეთას შეასრულებდა, — ჩაურთო რეზომ.

— ესეც მოსალოდნელი იყო. გიორგი ჩვეულებრივი ადამიანია, რომელზეც მოქმედებს კვლამართება — იმედი სულ ბოლოს კვდება... გორგაძეს როგორ ეჭირა თავი?

— მან კი, მართლა გამოცა, — უპასუხა გოგამ, — მისი მდგომარეობისთვის არაბუნებრივად მშვიდად გამოიყურებოდა.

— ესე იგი, მშვიდად იყო?

— გიორგი განუწყვეტლივ გამოხატავდა პროტესტს, ლელავდა, შეცდომებისაც უშვებდა, მაგრამ ეს მაინც პროტესტი იყო. მას კი — არა, საერთოდ არ უცდია თავის დაცვა. ისეთი შთაბეჭდილება შემეჭნა, თითქოს შეგუებულ იყო განაჩენს.

— ეს მართლაც, დამაფიქრებელია: ადამიანი, რომელსაც ძმა დაეღუპა და შემდეგ თავად აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე, მშვიდად არ უნდა იყოს... — ჩაფიქრდა ანა.

— ამასთან ერთად, ბიბლიური ისევ გამოჩნდა, — დაამატა გოგამ პაუზის შემდეგ.

— თქვენ რა, ადრეც შეხვედრიხართ იმ არაკაცს?! — გაუკვირდა რეზოს.

— პირისპირ — არა, — უპასუხა ანამ, — მაგრამ ეს სახელი ათამდე სასამართლო პროცესის მასალებში შემხვედრია.

— ესე იგი, ის დაკვეთით მოქმედებდა? — იკითხა რეზომ.

— შესაძლოა, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ ის თავად იყოს მსხვერპლი, — უპასუხა ანამ.

— მსხვერპლი?! — მოიღრუბლა რეზო. — კაცი, რომელმაც ჩემი ძმის წინააღმდეგ ცრუჩვენება მისცა, მსხვერპლია?! მაშ, გიო ვინ არის?!

— მე ვთქვი, რომ შესაძლოა, მსხვერპლია, — მიუბრუნდა ანა, — ნუ გიკვირს, რეზო. შენ ცხოვრებაში პირველად შეეჩხე ასეთ საქმეს, ჩვენ კი, უკვე მთელი კარტოთევა შევქმენით. ბიბლიური ამ მექანიზმის ყველაზე უმნიშვნელო ჭანჭიკია.

— უმნიშვნელო ჭანჭიკი!.. — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა რეზომ. — მოსამართლემ ამ „უმნიშვნელო ჭანჭიკს“ ერთი კითხვაც კი არ დაუსვა. მას დიდი

მოკრძალებით ეკიდებოდნენ და თუ რიგით ინფორმატორს ასე უფროთხილდებოდა, როგორ მოუკიდებოდა მესხს და მის ხალხს და საერთოდ, როგორ აპირებთ ამ ხალხთან ბრძოლას?

— მათსავე იარაღით, — მშვიდად მიუთვო ანამ.

— რას გულისხმობთ „მათ იარაღით“? — ჩაეძია რეზო.

— ისეთი ვითარების შექმნას, როდესაც ისინი თავად დაიწყებენ საკუთარი მექანიზმის დემონტაჟს. ეს ძალზე ძნელი მისაღწევია, მაგრამ — არა შეუძლებელი.

— ვერაფერს მივხვდი, — მხრები აიჩეჩა რეზომ.

— ერთ მაგალითს მოგიყვან. მართალია, ის არ უკავშირდება იურისპრუდენციას, მაგრამ მაინც ძალიან მომონს...

სამოცდაათიან წლებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი იყო ბრანდტი — მტკიცე ანტიკომუნისტი, რომელიც გააფთრებით იბრძოდა დემოკრატიული და ფედერაციული გერმანიების გასაერთიანებლად. ბუნებრივია, რომ მისი პოზიცია მიუღებელი იყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელებისთვის და თავის მხრივ, ისიც მკვეთრად უპირისპირდებოდა ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს. მაგრამ ამ ბრძოლის ერთ-ერთ ეტაპზე, საბჭოთა ხელისუფლება და იმ პერიოდის უშიშროების სამსახური ბრანდტს თანამდებობის შენარჩუნებაში დაეხმარა. თანაც, ისე, რომ თავად ბრანდტმა ამის შესახებ არაფერი იცოდა...

— მსგავსი არაფერი მსმენია... — ჩაილაპარაკა გოგამი.

— ეს შენთვისაც საინტერესო იქნება, — გახედა მას ანამ, — ყველაფერი სუსტი სქესისადმი ბრანდტის გადაჭარბებულ ინტერესს უკავშირდება. მისი სასიყვარულო თავგადასავლები შენი გერმანელი კოლეგების მეშვეობით გახმაურდა. აგორდა სკანდალი და გერმანიის პარლამენტში რეალურად დადგა კანცლერის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების საკითხი. ეს მართლაც მოხდებოდა, რომ არა საბჭოთა უშიშროების სამსახურის მიერ სწრაფად გატარებული ღონისძიებები, რამაც ბრანდტს თანამდებობა შეუნარჩუნა... უცნაურია, არა?.. საბჭოთა დაზვერვა იბრძოდა აქტიური ანტიკომუნისტის და საშიში მოწინააღმდეგის თანამდებობაზე დასაბრუნებლად!..

— კი, მაგრამ რისთვის? — ჰკითხა

გოგამი.

— რისთვის და რა გზებით — ორივე ეს საკითხი ერთნაირად საინტერესოა... — ანამ პაუზა გააკეთა. — საქმე ისაა, რომ იმ პერიოდისთვის საბჭოთა დაზვერვამ მიაღწია კანცლერის თანამდებობაზე თავისი ერთ-ერთი საუკეთესი ჯაშუშის დანიშვნას. თანაც, ის უბრალოდ, კანცლერის თანამდებობაზე იყო — ბრანდტი მას საკუთარი გარემოცვიდან ყველაზე მეტად ენდობოდა. ეს ნდობა იმდენად დიდი იყო, რომ გერმანიის კანცლერი სწორედ მას ავალებდა მორიგი ფარული პაემნის ორგანიზებას და იმ დროს, როდესაც თვითონ რომელიმე ქალბატონთან ნებივრობდა, სწორედ ამ თანამდებობის ანდობა პირად პორტფელს. ასე რომ, კანცლერის თანამდებობიდან ბრანდტის



გათავისუფლების შემთხვევაში, საბჭოთა დაზვერვა ინფორმაციის პირველხარისხოვან წყაროს კარგავდა!..

— საინტერესოა... — ჩაილაპარაკა გოგამი. — მერედა, როგორ მიაღწია ამას მოსკოვმა?

— ეს კიდევ უფრო საინტერესოა, — განაგრძო ანამ. — ვილი ბრანდტის პარტია პარლამენტში ხმების ერთ მესამედს ფლობდა. მაგრამ მისმა აღვირახსნილობამ იმდენად გააღიზიანა თანაპარტიელები, რომ ნაწილმა უარი თქვა კანცლერის მხარდაჭერაზე და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა...

— წარმოუდგენელ ამბავს ჰყვები, ანა... დაუჯერებელია, რომ თანაპარტიელებმა უარი თქვეს საკუთარი კანდიდატის მხარდაჭერაზე!.. — ჩაივინა გოგამი. — ყოველ შემთხვევაში, ჩვენში ეს შეუძლებელია...

— მე უკვე ვთქვი, რომ ეს გერმანიაში მოხდა და არა საქართველოში, — უპასუხა ანამ. — თანაც, ჩვენს შემთხვევაში, დაზვერვის სამსახური არაფერს მოიმოქმედებდა, საქართველოს პირვე-

ლი პირისთვის თანამდებობის შესანარჩუნებლად. გერმანიაში კი, მათ სასწრაფოდ ჩაატარეს საიდუმლო ოპერაციების წყება და ქრთამი მისცეს განაწყენებულ დეპუტატებს... საბოლოოდ, კენჭისყრა ბრანდტის სასარგებლოდ დასრულდა და თანამდებობაზე მისი დარჩენა ორზომიანი უპირატესობით გადაწყდა. კანცლერმა თანამდებობა შეინარჩუნა, თუმცა მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ამის ინიციატორი, მისი და მისი ქვეყნის დაუძინებელი მტერი, საბჭოთა დაზვერვა იყო.

— და რა ამით?.. — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა რეზომ.

— არაფერი, — გახედა ანამ, — მე უბრალოდ, მოვიყვანე იმის მაგალითი, თუ ზოგჯერ, როგორ მოქმედებს სისტემა მოწინააღმდეგის სასარგებლოდ.

— მხოლოდ ასეთი შემთხვევის აღწერით ფონს ვერ გავაღებ. მე სხვა რამ უფრო მაინტერესებს: ადრე თუ იცოდათ ამის შესახებ?

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა ანამ.

— მერე, რამდენი საქმის მოგებაში დაგეხმარათ ამის ცოდნა? — განაგრძო რეზომ.

— არაფერს დაგიმაღავ. ასეთი საქმეებიდან, ვერც ერთში ვერ მივაღწიეთ გამარჯვებას, — გულახდილად უპასუხა ანამ.

— როგორ გგონიათ — ღირს კი ამის შემდეგ საუბრის გაგრძელება?.. — ცივი ხმით იკითხა რეზომ.

— ღირს! — მოჭრა ანამ.

— რისთვის? — მხრები აიჩეჩა რეზომ.

— დავითამდე ვერავინ შეძლო გოლიათის დამარცხება...

— ძალიან გთხოვთ, მითოლოგიისა და დიდი პოლიტიკის მოშველიების გარეშე გამეცით პასუხი.

— კეთილი, — დაეთანხმა ანა. — მაშინ, ასე აგისნით. პირველ რიგში, ერთ საკითხზე უნდა შევეთანხმდეთ: აპირებთ თუ არა გიორგის დაცვას?..

— რა თქმა უნდა! — სწრაფად უპასუხა რეზომ.

— რა გზით? — ასევე სწრაფად დაუბრუნა კითხვა ანამ.

— ეს ჯერ არა მაქვს გადაწყვეტილი.

— სავარაუდოდ, ამ საქმეს ისევ და ისევ ადვოკატს მიანდობთ, — უპასუხა ანამ.

— დიას, — დაეთანხმა რეზომ.

— მაშინ, ახლავე შემიძლია გითხრათ, თუ რა მოჰყვება ამ საქმეში სხვა ად-

ვოკატის ჩართვას... კარგი, უნარიანი ადვოკატის დაქირავება დიდ ხარჯებთანა დაკავშირებული. ამასთან ერთად, უნდა იცოდეთ, რომ ასეთ შემთხვევაში პროცესი ძალზე დიდი ხნით გაიჭიმება და სავარაუდოდ, უშედეგოდ დასრულდება... სხვა შემთხვევაში, თქვენ სასამართლო შეგირჩევთ ადვოკატს, რომელიც მხოლოდ ერთით — პროცესის ფორმალური მხარით და მისი რაც შეიძლება სწრაფად დასრულებით იქნება დაინტერესებული. დაბოლოს, ეს ყველაზე უარესი ვარიანტია: თქვენ გადაეყრებით შიოშვილის მსგავს ავანტიურისტს, რომელიც უფრო გართულებს გიორგის მდგომარეობას...

— რატომ?
— იმიტომ, რომ ეს საქმე გამოცდილი და საქმის მცოდნე ადამიანის ხელითაა შექმნილი. არსებობს მონშე — ბიბლიურს ვგულისხმობ. არსებობს ნარკოტიკის ამოღების ფაქტი, რასაც თქვენივე მომხრეები ადასტურებენ და არსებობს გიორგის აღიარება...

— ჩემს ძმას არ შეეძლო ზაზას მოკვლა და, მით უმეტეს, ამის აღიარება!.. — შესძახა რეზომ.

— გეთანხმებით, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვალაპარაკობ, როგორც იურისტი: სისხლის სამართლის საქმეში დევს შესაბამისი დოკუმენტი — ანუ გიორგის მიერ ხელმოწერილი აღიარების ტექსტი... როგორ შეიქმნა ეს დოკუმენტი, ჩემთვის უცნობია. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ასეთი დოკუმენტი არსებობს და ის ხელ-ფეხს გაუხსნის ნებისმიერ მოსამართლეს გიორგის გასამტყუნებლად... ახლა კი, დამისახელეთ ადვოკატი, რომელიც ასეთ ვითარებაში გამამართლებელ განაჩენს მიაღწევს.

— ვერ დაგისახელებთ, — ამოიხრა რეზომ.

— ვერც მე... — შეაგება ანამ.

— მაშინ, რა გამოდის?... — დაიძაბა რეზო. — ჩემი ძმა ვილაცის არაკაცობას უნდა შეეწიროს?... არავის მიცემ ამის უფლებას! ამას მირჩევნია, ჩემი ხელით გამოვუტანო განაჩენი მესხს!

— მესხი მხოლოდ სისტემის სახეა და მეტი არაფერი. რამდენს გამოუტან განაჩენს?! და რა შეემატება ამით გიორგის?!

რეზომ დუმილით უპასუხა.
— მე სხვა რამეს გირჩევ.
— რას?
— მძიმე, მაგრამ რეალურ ბრძოლას!
— თქვენი დახმარებით?... — რეზომ ანასა და გოგას მოავლო მზერა.
— დიას, — დაუდასტურა ანამ.

— გამარჯვების პერსპექტივის გარეშე?!

— ნინასნარ ვერაფერს დაგპირდებით. დასამალი არაფერი მაქვს — მერამდენჯერმე მქონდა მსგავსი საქმე და ყველა შემთხვევაში დამარცხდით, — უპასუხა ანამ.

რეზო საკმაოდ დიდხანს დუმდა. შემდეგ თავი ასწია, ანას გაუსწორა მზერა და თქვა:

— ნუ ლელავთ. ამ შემთხვევაში, დამარცხება არ გემუქრებათ...

— რისი თქმა გსურთ?

— მე უარს ვამბობ თქვენს სამსახურზე. ჩემს ძმას ადვოკატი სჭირდება და არა ისტორიითა და ფილოსოფიით გატაცებული გოგონა... — ცივად მოსხიპა რეზომ და ფეხზე წამოდგა.

ანამ წყნით სავსე მზერა მიაპყრო მას და ამოიხრა.

— ეს მხოლოდ თქვენი გადასან-

ტარებამ მოუწია ავტომობილიდან გადმოუსვლელად. მაგრამ დალოტობის მიუხედავად, ერთხელაც არ დაუპირებია მანქანიდან გადასვლა და სახსრების გამართვა. სამაგიეროდ, თბილისის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს მალე აეცნოთ მოთმინების ფიალა და თვალთვალის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ აწრიალდნენ.

— ასე არაფერი გამოვა, ნიკა, — პირველი, ნიკას გვერდით მჯდომი, მისი ძველი ნაცნობი, რომან ნილოსანი ალაპარაკდა: — ის შეიძლება, სულ არ დაბრუნდეს სახლში და საერთოდ, ისიც კი არ ვიცით, თბილისშია თუ არა!..

— რას მთავაზობ? — გახედა მას ნიკამ. — პირდაპირ სახლში შევიდეთ?

— არა. ეს მართლაც, სისულელე იქნებოდა. უბანში გავიკითხავთ, — საუბარში უკანა სავარძელზე მყოფი ნოდარ გურული ჩაერთო.

— მოიცა, შენ რა, ქუჩა-ქუჩა უნდა იარო — ესა და ეს კაცი რომ არ გინახავთო?... — ჩაიცინა ნიკამ.

— კარგი, რა!.. — გაბრაზდა ნოდარი. — საგამოძიებოში არ ვმუშაობთ, ძმაო, მაგრამ არავისზე ნაკლებად არ ვერკვევით ამ საქმეში. ინფორმატორები გყავს და ისინი მოგვიძებნიან იმ კაცს.

— რომან, ხომ გაგაფრთხილე: სერიოზულ საქმეზე მივდივართ და კარგი ბიჭი შეარჩიეთქი!.. — ცივად ჩაილაპარაკა ნიკამ.

— რას მატყობ ცუდი ბიჭობის?! — გაღიზიანდა ნოდარი.

— ნოდარ!.. — ნიკა სწრაფად შეტრიალდა

უკან და პოლიციელს თვალი თვალში გაუყარა. — ამ კაცს რაღაც აკავშირებს თბის ადამიანის მკვლელობის საქმესთან და მე ამ საქმეს რომელიღაც ინფორმატორს ვერ ვანდობ და შენც არ მოგცემ მანქანიდან გადასვლის ნებას! მთელი უბანი გიცნობს. მხოლოდ შენი დანახვა საკმარისი იქნება იმ კაცის დასაფრთხობად.

— თუ ასეთი მკვლელი და შეშლილია, რისთვის წამოგვიყვანე?! რა გინდა, რას გვერჩი? ოჯახები გყავს, ცოლ-შვილი და საყვარლები... მაგის ასაყვანად, ჩვენ კი არა, „სპეცნაზი“, ათი ტანკი და ერთი-ორი ვერტმფრენი უნდა გამოგვეძახა... — ირონიულად მიუჯო რომანმა.

— შენ რომელი ტანკი შეგედრება, ბიჭო?! ისე კი, საჭირო თუ გახდა, ტანკებსაც გამოვიძახებ და ავიამზიდებსაც, — ნიკამ ირონიული მზერა შეავლო ძალოსანივით დაკუნთულ ნოდარს და ისევ მიბრუნდა.

— არაფერში არ მიმართლებს. ესაა სამართალი?! თბილისელი ახვრები არ



ყვეტია. მოხარული ვიქნები, თუ გიორგის სახლში დაბრუნებას შეძლებთ...

— გმადლობთ, — სწრაფად ჩაილაპარაკა რეზომ და კარს მიაშურა.

გოგა მხოლოდ ქუჩაში დაენია რეზოს და მხარში ხელის ჩავლებით შეაჩერა.

— თავი დამანებე! — ცივად ესროლა რეზომ.

— რას აკეთებ?... ჩვენ ხომ შევთანხმდით!.. — არ მოუშვა გოგა.

— შენ დამპირდი, რომ ადვოკატს შემახვედრებდი, ამის ნაცვლად კი, ქერაკულულებიან თოჯინასთან მიმიყვანე. რა უნდა ამ გოგოს სასამართლოში?! მას მოდელიერობა უფრო შეეფერება!

— შენ რა, გარეგნობით აფასებ ადვოკატის უნარიანობას?! — გაიკვირვა გოგამ.

— არა, მაგრამ რაღაც ამბებისა და ფრთიანი ფრაზების მეტი, ამ გოგონასგან ვერაფერი მოვისმინე. მე კი ამისთვის არ მოვსულვარ აქ, — რეზომ ბრაზით ჩაიქნია ხელი და გზა განაგრძო.

ნიკას სამი მტანჯველი საათის გა-

მყოფნის და ეს სამტრედიელი გოიმიც მე შემომტენეს!.. არა, ძმაო!.. — ისევ ანუნუნდა ნოდარი, მაგრამ დასრულება ვეღარ მოასწრო.

— მოიცა! რა დროს ეგ არის?! გამოჩნდა! — სწრაფად ჩაილაპარაკა რომანმა და დაძაბული მზერა მიაპყრო საპირისპირო მხრიდან მომავალ ახალგაზრდას.

— ხომ არ ცდები? — ნიკამ ჯიბიდან ამოღებულ ფოტოსურათს დახედა, შემდეგ, ახალგაზრდაზე გადაიტანა მზერა.

— სურათს ყურადღებას ნუ მიაქცევ: 4 წლის წინაა გადაღებული... ნამდვილად ის არის! — თქვა რომანმა და პისტოლეთი მოიმარჯვა.

— მოკლედ, ასე უნდა ვიმოქმედოთ...

— სწრაფად ალაპარაკდა ნიკა. — პირდაპირ ჩვენკენ მოდის. როდესაც გაგვისწორდება, გამოველაპარაკებო. თუ მანქანაში ჩაჯდომასე დავითანსმე, ხომ კარგი, თუ არა და... ოღონდ, იარაღის ხმარებისგან თავი შეიკავეთ. მაგ კაცს ბევრის თქმა შეუძლია...

ვიდრე ნიკა ხელქვეითებს დარიგებას აძლევდა, ახალგაზრდა მანქანას გაუსწორდა. ნიკამ უმაღლესი სიჩქარით, მანქანიდან გადავიდა, ახალგაზრდას წინ გადაუდგა და შინაურულად მიესალმა: — გაუმარჯოს!

— გაგიმარჯოს! — ახალგაზრდამ ღვინისგან ამღვრეული მზერა მიაპყრო ნიკას. — ვინ ხარ, ძმაო? რაღაც, ვერა გცნობ...

— ვერ მცნობ? — გაიკვირვა ნიკამ.

— ბიჭო, შენ სოსო გრძელიძე არა ხარ?

— ჰო, სოსო ვარ, — თავი დაუქნია ახალგაზრდამ, — მაგრამ შენ ვერა გცნობ.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! ჩაჯექი და გზაში ვილაპარაკოთ, — მეგობრულად განაცხადო ნიკამ და მანქანის უკანა კარი გამოადლო.

სოსო აშკარად დაიძაბა. თავიდან ყურადღებით შეათვალიერა ნიკა და მანქანის მეორე მხარეს მდგომი რომანი, შემდეგ კი უკან დაიხია და იკითხა: — რა გინდათ ჩემგან?..

— ჩაჯექი მანქანაში! — მბრძანებლური ტონით უთხრა ნიკამ და სოსოს მკლავში სწვდა.

— ხელი! — ავად ისროლა მან და გაიბრძოლა. მაგრამ ნიკამ და რომანმა განმრევის საშუალება აღარ მისცეს. მათთვის უკვე ნათელი იყო — გრძელიძე საკუთარი ნებით მანქანაში არ ჩაჯდებოდა. ისინი აქეთ-იქიდან ეცნენ სოსოს, შებოჭეს და ძალით დასვეს უკანა სავარძელზე.

— რა გინდა, რომან, რა „ზასადებს“ მიწყობ?! ან ეს პიჟონი ვინ არის?... — გაღიზიანებული სახით ალაპარაკდა სოსო, როგორც კი ნიკამ მანქანა ადგილიდან დაძრა.

— „ეს პიჟონი“ სამტრედიის პოლიციის სამმართველოს გამომძიებელია, — რომანის მაგივრად უპასუხა ნიკამ.

— სამტრედიის?... — აშკარად დაიბნა სოსო. — რა შუაშია სამტრედია?! რა, აქაურ საქმეს ვერ შემომტენით?!

— საქმის შემოტენვა არ დაგჭირდება, ისედაც მაგრად გაქვს გათხრილი!.. — ციფად მიუგდო რომანმა.

— მორჩი, რა, რომან. პირდაპირ მითხარი, რა გინდათ და მოვრჩეთ ბაზარს... მაყუთხეა ბაზარი?

— მაგაზე სამმართველოში ვილაპარაკებთ, — უპასუხა რომანმა.

— აქ არ გამოვა მაგ ბაზარის მოყომარება? — არ მოუშვა სოსო.

— არ გამოვა, — რომანის მაგივრად უპასუხა ნიკამ და სისწრაფეს მოუმატა. ოციოდე წუთის შემდეგ, ნიკამ რომანის სამუშაო კაბინეტში განაახლა დაკავებულთან საუბარი:

— სად იყავი სამი დღის წინ?

— რა ვიცი, არ მახსოვს... — გულგრილად ჩაილაპარაკა სოსომ. — სად გინდა, რომ ვყოფილიყავი?..

— მე მაინტერესებს, სად იყავი.

— ხომ გეუბნები, არ მახსოვს... მაგრამ კარგად მახსოვს, სად არ ვიყავი...

— დასავლეთ საქართველოსკენ ხომ არ გაგისეირნია?.. — განაცხადო ნიკამ.

— არა... გეგუთის კოლონიის შემდეგ, ისე შემძულდა და დასავლეთ საქართველო, რომ იქით გახედვაც აღარ მინდა

— ქარელზე რას იტყვი?..

— ვერაფერს. ორი კვირაა, რაც თბილისს კი არა, უბანსაც არ გავცილებივარ. სად უნდა წავიდე?.. უბანში ბირჟაცა და სახინკლევც. ახალი „ვუჩხატლენიების“ ჟინმა კი, კაი ხანია, გამიარა.

— მე კი მგონია, რომ იყავი!.. — მკაცრად თქვა ნიკამ.

— იცი, რას გეტყვი, უფროსო?... იმას, რომ ეს ორი კვირა უბანში გავატარე, სულ ადვილად დაადგენთ. დაიბარეთ თქვენი „ნასედეები“ და წუთი-წუთი ჩამოგითვლიან, დილით სად გამოვდიოდით „პახმელიაზე“ და მეგრე სად ვგვრძლებდი ქეიფს. მაგრამ თუ გინდა, რომ სამტრედიასა და ქარელში ყოფნა დამიმტკიცო, რაღას მანვალბ?! გითხარი — არ ვყოფილვარ, დანარჩენი შენი საქმეა. ქალაქიც შენს ხელშია და კალამიც!.. მაგრამ სანამ წერას დაიწყებ, ის მაინც მითხარი, რას მედავები.

— ეს ნომერი გცნობა? — ნიკამ მაგიდაზე სატელეფონო კომპანიიდან მიღებული ცნობა დადო.

სოსომ ყურადღებით დაათვალიერა დოკუმენტი და მშვიდად უპასუხა:

— არა... არ მეცნობა.

— მაშინ, ამ დოკუმენტსაც გაეცანი, — ნიკამ სხვა ბლანკი დადო მაგიდაზე. დოკუმენტში მითითებული იყო, რომ მობილური ტელეფონის აღნიშნული ნომერი გრძელიძემ სამი თვის წინ შეიძინა.

— ვა-ა... რა მაგარი ყოფილხარ!.. — გრძელიძემ თეატრალურად დაუკრა ტაში. — ამის გულისთვის მიჭერთ?!

— შენია თუ არა ეს ნომერი? — მზერა გაუსწორა ნიკამ.

— რა ვიცი, რაღა მახსოვს... ეგ ნომერი ყველა ფენის ნაბიჯზე იყიდება. აღარ მახსოვს, მაგრამ რახან აქ ასე წერია, მართლა ჩემი ყოფილა... ისე, რამ-

დენს მომცემენ ამ ნომრის ყიდვის გულისთვის?..

— სამუდამო არ აცდებია!..

— ხუმრობ? — ჩაიცივნა სოსომ.

— არა, არ ვხუმრობ და შენც არა გაქვს სახუმაროდ საქმე. იცი, სად დაფიქსირდა შენი ნომერი?.. — ჰკითხა ნიკამ.

— სად?

— დემოზიტის შესავსებ ბარათზე, რომელიც მკვლელობის ადგილზე აღმოვაჩინეთ!..

— გამორიცხულია! — სოსოს უმაღლესი გაუარა სიმთვრალემ.

— არა, ფაქტია! — სწრაფად უთხრა ნიკამ.

— კაი... ეს მართლაც, ჩემი ნომერია, მაგრამ ორ თვეზე მეტია, რაც ამ ნომრით აღარ დამირეკავს, — უპასუხა სოსომ.

— მაშ, ვინ სარგებლობდა?

— წარმოდგენა არა მაქვს, — მხრები აიჩეჩა სოსომ, — ნომერი ტელეფონთან ერთად დაგვარგე.

— ძალიან მარტივი ახსნაა საქმისთვის, რომელშიც ოთხი „ტრუპი“ ფიგურირებს, სოსო!.. — საქმიანი იერით ჩაურთო რომანმა. — მე ვიცი, რომ შენ არა ხარ მკვლელი და ბოლო ხანებში საერთოდ აღარ ატრავებ, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ რაღაცის თქმა არ გინდა, დანარჩენს კი თვითონაც მიხვდები. მე ფაიზალი ჩვენება მჭირდება, რომელშიც „დავკარგე“, „აორთქლდა“ — არ იქნება; და თუ იქნება, ბოლოში შენი ტელეფონის მპოვნელის სახელიც უნდა „ამოძვრეს“!..

— ეგ არაფერს მოგცემთ... — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა სოსომ.

— რატომ? — გამოცოცხლდა ნიკა.

— მოკლედ... საქმე ასე იყო. ეგ აპარატი და ნომერი რამდენიმე დღის წაყიდვი მქონდა, როდესაც ერთი ძმაცაი შემხვდა. ის კაცი ახალი გამოსული იყო და ჩემი ტელეფონი ნომრიანად ვაჩუქე...

— სახელი, გვარი!.. — აჩქარდა ნიკა.

— გორგაძე ზაზა...

— მისამართი იცი?

— კუკიის სასაფლაო... — ამოიოხრა სოსომ.

— რაო?! — მოიღრუბლა რომანი.

— აზრზე მოდი, ბიჭო!..

— არ ვხუმრობ: ზაზა ერთი კვირის წინ დაბრუნდა... ახალი საქმეა... ტელევიზიითაც გადმოსცემდნენ...

— და შენ გინდა, დამარწმუნო, რომ ის აპარატი და ნომერიც გორგაძეს აჩუქე?! — ხმას აუწია რომანმა.

— ასე იყო და სხვა რა ვთქვა?.. — გაიკვირვა სოსომ.

— შენ იმაზე მაგარი ახვარი ყოფილხარ, ვიდრე მეგონე!.. მკვდარ კაცს გინდა, შეატენო ეგ საქმე, ნაბიჭვარო?! — ამ სიტყვებთან ერთად, რომანი ფეხზე წამოიჭრა, სოსოს ყელში სწვდა და აყვირდა: — მითხარი, რა გაკავშირებს ამ საქმესთან, ახვარო, თორემ, აქვე დაგანთხევიან ტვინს!!!

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ლამა თაბაგარი

— „ბლექბერნი“ ახალგაძმოსულთაგან სწორად გვსმენია, რომ ჩვენს გუნდში საოცრად დადებითი ატმოსფერო სუფევს. თავად თუ შეგიძლიათ გვითხრათ იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც „როვერსს“ სხვა კლუბებისგან განასხვავებს?

— თავიდანვე აღვნიშნავ, რომ „ბლექბერნი“ პრემიერლიგაში ასპარეზობს და ეს, მას ბევრ სხვა გუნდზე მაღლა აყენებს. აქ ყველაფერი განსხვავებულია, დაწყებული სიტუაციიდან, ელემენტარული ვარჯიშებით დამთავრებული. მართლაც ბრძანებით, მე მხოლოდ ერთი სეზონის მოსვლი ვარ, მაგრამ კლუბისგან უკვე დიდი სიტბო ვიგრძენი. ნებისმიერი ადამიანი, ვინც ჩვენთან საქმიანობს, იქნება ეს მწვრთნელი თუ კლუბის უბრალო მოხელე, საქმის ისე გაკეთებას ცდილობს, რომ „როვერსმა“ მაქსიმალურად კარგ შედეგს მიაღწიოს. ცხადია, ასეთი მიდგომა ფეხბურთელებსაც მეტ სტიმულს გვაძლევს. თანაც, დაცვის ხაზში, სადაც მე ვასპარეზობ, ყველაფერი საათიგითაა აწყობილი. ჩვენმა დამრიგებელმა იცის, რომ თამაში სწორედ უკანა ხაზზე უნდა ააგოს. თუკი საკუთარი კარის მშრალად შენახვას მოახერხებს, ეს მინიმუმ ერთ ქუილას მოგიტანს, რაც ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის.

— ზურაბ, იქნებ უფას თასზე „როვერსს“ შანსებზეც გესაუბრაო. შეუძლია თუ არა ჩვენს გუნდს, „მიდლსბროს“ შარშანდელი მიღწევა გაიმეოროს და ტურნირის ფინალში გააღწიოს? და ერთი კითხვა: რამდენადაც ცნობილია, თქვენი ერთ-ერთი კონკურენტი რაიან ნელსენი მინდორს შობისთვის დაუბრუნდება. აღნიშნულის შემდეგ, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა სომ არ გაგიჭირდება?

— უფას თასის შესახებ კომენტარი ძალიან გამიჭირდება. ჯერ ჯგუფური ეტა-

ზურა სიზანიშვილი: «პრემიერლიგაში თამაში ჩემი ოცნება გახლდათ»

პრემიერლიგის წლევანდელი სეზონი საქართველოს ნაკრებისა და ინგლისის „ბლექბერნი“ მცველ ზურა სიზანიშვილისთვის წარმატებულად მიმდინარეობს. ორი ტურის წინ, „ლივერპულთან“ მატჩის შემდეგ, ზურა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და იგი ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. აღსანიშნავია, რომ ინგლისში გადასვლიდან დღემდე, „ბლექბერნელთა“ მცველს ასეთი აღიარება პირველად ერგო. ინგლისელ გულშემატკივარს ფეხბურთისადმი როგორი დამოკიდებულება აქვს, ამის შესახებ ზედმეტად არავის სჭირდება. პრემიერლიგაში თითოეულ გუნდს თავგადაკლული ფანები ჰყავს და გამონაკლისი არც სიზანიშვილის კლუბი გახლავთ. შესაძლოა, ერთგულ გულშემატკივრებს საკუთარ კერძებთან სწორად ურთიერთობის საშუალება არა აქვთ, რომ მათ ყველა საინტერესო საკითხზე ესაუბრონ და ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილონ. „ბლექბერნი“ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი მარტივად იპოვა და საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქომაგებს კითხვების დასმის საშუალება მისცა, რომლებზეც მათთვის სასურველი ფეხბურთელი უპასუხებდა. ამჯერად, გულშემატკივართა ობიექტივში სიზანიშვილი მოხვდა. აქვე გეტყვით, რომ კარიერის განმავლობაში ქართველი მცველისთვის „ბლექბერნი“ მეექვსე კლუბია. მანამდე იგი თბილისის „დინამოში“, „თბილისში“, „ლოკომოტივში“, შოტლანდიურ „დანდიში“ და „გლაზგო რენჯერსში“ გამოდიოდა. პრემიერლიგას კი ზურამ 2005 წლის ზაფხულში მიაშურა. ის საქართველოს თასის მფლობელი, შოტლანდიის ჩემპიონი და ამავე ქვეყნის ლიგის თასზე გამართული ასპარეზობის გამარჯვებული გახლავთ.

პის შეხვედრები გავცა ჩასატარებელი, შემდეგ — კიდევ არაერთი რთული მატჩი, ამდენად, წინასწარ რაიმის განსაზღვრა შეუძლებელია. თუმცა, ის თამაში, რომელიც ავსტრიულ „ზალცბურგთან“ ვაჩვენეთ, იმედს მისახავს, რომ წარმატებას ვეროპულ ასპარეზზეც მივალწევთ. რაც შეეხება რაიანის დაბრუნებას, ამ ფაქტს მხოლოდ მივესალმები. იგი ჩინებული ფეხბურთელია და „ბლექბერნისთვის“ დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. არც ის დამავინყდება, გუნდში ჩემი მოსვლის დღეებში ნელსენი გვერდზე როგორ დამიდგა. მასთან ერთად, გასულ სეზონშიც დასამახსოვრებელი თამაშები ჩავატარე და ვიჭირობ, მომავალშიც კარგად გავუგებთ ერთმანეთს.

— უფას თასის საგზურს მომავალი სეზონისთვის თუ მოვიპოვებთ? პრემიერლიგაში ჩვენს შანსებზეც გვითხარით რამე.

— ევროთასებს მიღმა დარჩენა ნამდვილად არ გამახარებს. წლევუს უფას თასი დავაგემოვნეთ, ახლა კი ჩემპიონთა ლიგაზეც უნდა ვიფიქროთ. უკეთეს შედეგს უნდა მივალწიოთ პრემიერლიგაშიც, სა-

დაც გასულ სეზონში საპატიო მეექვსე ადგილი დავიკავეთ.

— „როვერსის“ ძირითად შემადგენლობაში ფეხი მყარად მოიკიდეთ. ცხადია, აღნიშნულში თანაგუნდელებიც დაგცემარჩენ. იქნებ, იმ ფეხბურთელთა ვინაობაც გვითხრაო, რომლებთანაც დაცვის ცენტრში თამაში ყველაზე მეტად გადავტოვებდით.


— გასულ სეზონში პარტნიორობას რაიან ნელსენი, ენდი ტოდი და ლუკას ნეილი მიწვედნენ, ამჟამად კი ყველაზე სწორად ანდრე ოიერთან ერთად ვთამაშობ. მათგან რომელიმეს გამოჩვენა ძალიან გამიჭირდება. ოთხივე უმაღლესი კლასის ოსტატია და ამაში გუნდის გულშემატკივრებზეც დამეთანხმებიან. თანაც, ისინი ჩემზე გამოცდილნი არიან და ვცდილობ, ყველა მათი შენიშვნა გავითვალისწინო, რათა, მომდევნო მატჩში იგივე შეცდომა აღარ დაუშვა.

— „ბლექბერნი“ გამორჩეულად რომელ ფეხბურთელებთან მეგობრობთ?

— ჩინებული ურთიერთობა მაქვს თუგასთან, ნეილთან, აარონ მოკონასთან და სერხიო პეტერთან. გამორჩეულად მაინც თუგასთან ვმეგობრობ, ბოლოს და ბოლოს თურქეთი და საქართველოც ხომ კეთილი მეზობლები არიან. ისე კი, ურთიერთობის აწყობა არც ერთ თანაგუნდელთან არ გამიჭირდება და არც კონფლიქტური ადამიანი ვარ.

— რა იყო ის ძირითადი მიზეზი, რამაც შოტლანდიური „რენჯერსიდან“ ინგლისურ „ბლექბერნი“ გადასვლისკენ გიბიძგათ?

— უპირველესად ის, რომ პრემიერლიგაში თამაში ყოველთვის ჩემი ოცნება გახ-



ევროთასებს მიღმა დარჩენა ნამდვილად არ გამახარებს

ლდათ. გარდა ამისა, „რეინჯერსში“ სულაც არ მივიჩნევდი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ; ეს კი, ჩემს გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა. ამდენად, როდესაც „როვერსის“ ვარიანტი გამოჩნდა, ბევრი აღარ მიფიქრია. ინგლისში ყოფნით თავს ძალზე ბედნიერად ვგრძნობ. კომმარული სიზმარივით მახსენდება „გლაზგო რეინჯერსში“ გატარებული უკანასკნელი 6 თვე. მადლობა ღმერთს, ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა.

— რა იყო პირველი განსხვავება, რაც შოტლანდიურ და ინგლისურ ლიგებს შორის შეამჩნიეთ? და კიდევ, პრემიერლიგაში თამაშის პერიოდში, ყველაზე მეტად რომელ ფორვარდთან ჭიდილი გაგიჭირდათ და რატომ?

— ცხადია, უმთავრესი განსხვავება გუნდების კლასშია. „რეინჯერსისა“ და „სელტიკის“ შესაძლებლობებში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ინგლისში მათი დონის 10 კლუბი მაინც თამაშობს, რაც დიდ სხვაობას იძლევა. რაც შეეხება სახიფათო ფორვარდებს, უდავოდ დიდები დროგებას გამოვარჩევდი. იგი ფიზიკურად ძალიან ძლიერია, ჭკვიანურად ირჯება, ამოუცნობი გადანყვეტილებები აქვს და რაც მთავარია, ფეხბურთის თამაში საოცრად უყვარს. დროგებას უდიდესი შესაძლებლობები აქვს და სასიხარულოა, რომ ასეთი ნიჭიერი ადამიანი საკუთარი თავის სრულყოფაზე დაუღალავად შრომობს.

— ზურაბ, იქნებ ის ფეხბურთელები დაგვისახელოთ, რომელთა მხარდამხარ გარჯავდნენ ყველაზე ტკბილად გასწენდებოდათ და ისინიც, ვისთან გაჯობებდებოდათ თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

— „რეინჯერსში“ ჰენინგ ბერგისა და ფრანკ დე ბურის გვერდით თამაში ერთი სიამოვნება გახლდათ. „ბლექბერნში“ კი, ლუკას ნეილთან ერთად ასპარეზობა მიაღვივლდება. იგი ფანტასტიკური ფეხბურთელია. აი, ნახევარდაცვაში რომ ვთამაშობდე, თუგაიზე უკეთეს პარტნიორს ძნელად თუ ვიპოვიდი. მეტოქეთაგან კი ბოლო მალდინის გამოვარჩევდი. მას იტალიისა და საქართველოს ნაკრებთა მატჩში შეგვხვდი და მალდინის ჩინებული თამაში დღემდე მახსოვს.

— „ბლექბერნის“ რიგებში ჩატარებულ მატჩთან თქვენთვის საუკეთესოდ რომელი მიგაჩნიათ?

— ვფიქრობ, ჩემი სადებიუტო შეხვედრა „ბოლტონის“ წინააღმდეგ. მაშინ „ბლექბერნის“ მაისური პირველად მოვირგე და იმდენი მოვახერხე, რომ თანაგუნდელებს კარის მშრალად შენახვაში დავეხმარე. ეს, ჩემთვის სრულიად საკმარისი გახლდათ.

— „როვერსის“ მაისურით გატარებული პირველი გოლი, ალბათ, ყველაზე კარგი მოსაგონარია.

— დიახ, ეს ბურთი არასოდეს დამავიწყდება. ქვეყნის თასზე თამაშისას „ჰადერსფილდს“ გაუფტანე და საოცრად გავიხიარე. თუმცა, იმ გოლსაც გამოვარჩევ,

რომელიც „მანჩესტერ სიტის“ კარში შევაგდე, მაშინ ხომ ხსენებული კლუბის ღირსებას ინგლისის ნაკრების კარის დარაჯი დღეიდ ჯემისი იცავდა.

— წელს „ლივერპულთან“ ჩატარებულ მატჩზე რას იტყვით, რომელშიც საუკეთესოდ გალიარეს?

— გასულ სეზონში ჩემთვის ლივერპულში ჩატარებული შეხვედრა კომმარული აღმოჩნდა, რადგან ნახევარი საათის შემდეგ, ნითელი ბარათის გამო, მოედანი დამატოვებინეს. თუმცა, ამას ამჟამად მნიშვნელობა არა აქვს, რადგან წელს თითოეულმა ჩვენგანმა, ისევე როგორც მთლიანად გუნდმა, კარგად ითამაშა. „ლივერპულთან“ თამაში იოლი არასოდეს არის და გამონაკლისი არც განვლილი დაპირისპირება ყოფილა, რომელშიც „ბლექბერნმა“ თავი საუკეთესოდ წარმოაჩინა. ჩვენ თავდაჯერებულად ვირჯებოდით, რადგან ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი გვყავს და ეს გუნდზე მხოლოდ დადებითად მოქმედებს. ცხადია, სამი ქულის მოპოვება ყოველთვის უკეთესია, მაგრამ ლივერპულში მინიმუმ ქულის ასაღებად ჩავედით და დასახულ მიზანს მივაღწიეთ. ჩვენთვის ეს მისაღები შედეგია, რადგან იმ მომენტში პირველ ათეულში ადგილი შევინარჩუნეთ.

— თქვენი უკანასკნელი დაბადების დღე როგორ აღნიშნეთ?

— არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა. იმ დროს გერმანიაში ვიყავი და ამხანაგური მატჩისთვის ვეზადებოდი, შემდეგ კი ქართველებს იტალიასთან შესარჩევი შეხვედრა გვქონდა. მხოლოდ ნახევარი საათი გამოვინახე და მუხლღესთან ერთად ვისადილე.

— ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლში, საქართველოს ნაკრების შანსებს როგორ შეაფასებდით?

— სამწუხაროდ, ამ შანსებზე ლაპარაკი უკვე ძალიან რთულია. მოგესწენებათ, ჩვენმა ნაკრებმა საფრანგეთთან, უკრაინასა და იტალიასთან ზედიზედ წააგო. ახლა, მხოლოდ სამი ქულა გვაქვს, შემდეგი მატჩი კი გლაზგოში, შოტლანდიის ნაკრების წინააღმდეგ უნდა ჩავატაროთ, სადაც იოლი გასეირნება ნამდვილად არ გველის. მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრები სუსტი გუნდი ნამდვილად არ არის და ჩვენს ძალას ყველა დაინახავს. საქართველოს ფეხბურთის ყვედერაციის არჩევანს მხოლოდ მივესალმები. ძალიან მიხარია, რომ ჩვენთან ისეთი სერიოზული და სახელოვანი მწვრთნელი მუშაობს, როგორც კლაუს ტოშოპილერი.

— პრემიერლიგაში ასპარეზობის გამო, სამშობლოში, ალბათ ძალიან პოპულარული ადამიანი ბრძანდებით.

— საქართველოში ფეხბურთი მართლაც სიგიჟემდე უყვართ, პრემიერლიგას კი განსაკუთრებულ პატივს სცემენ. ინგლისში ამჟამად ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი ვარ, თუმცა, ჩვენ წარმომადგენლები იტალიურ სერია „ბ“-სა და გერმანულ ბუნდესლიგაშიც გვყავს; ამდენად, თავს უ-

ირველს ვარსკვლავად ნამდვილად არ მივიჩნევ. ისე კი, საქართველოში „ბლექბერნის“ თამაშებს სშირად აჩვენებენ და ჩემ შესახებ ყველას კარგად მოეხსენება.

— შესაძლებელი რომ იყოს, წარსულის ლეგენდებიდან ვის წინააღმდეგ თამაშს ისურვებდით?

— უდავოდ, მარადონას გამოვარჩევდი. მასთან ერთად მინდორზე ყოფნა ნამდვილად სასწაული იქნებოდა. იცით, ერთხელ დიეგოსთან ტელეფონით ვარ ნახაუბრები. ეს შემდეგნაირად მოხდა — „რეინჯერსში“ თამაშისას კლაუდიო კანიჯასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, ის კი, როგორც იცით, მარადონას უახლოესი მეგობარი გახლავთ. კლაუდიოსთან არაერთხელ დამინუნუნია, რა იქნება, ერთხელ დიეგოს დამაკავშირო-მეთქი. ერთხელაც, კანიჯამ სრულიად მშვიდი სახით



ყურმილი გამომიწოდა და მითხრა, შენთან საუბარი სურთო. წარმოიდგინეთ, ჩემი გაოცება, როდესაც იქითა მხრიდან მარადონას ხმა გავიგონე. თავიდან არც კი დავიჯერე და კანიჯას ვუთხარი, რას მამასხარაგებ-მეთქი. საბედნიეროდ, მალე ყველაფერი გაირკვა და ჩემს კერძს კარგახანს ვესაუბრე. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ არგენტინელ ლეგენდას მოედანზე ვერასდროს შევხვდები.

— თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, მარკ ჰიუზს რომელი ქართველი ფეხბურთელის ყიდვას ურჩევდით?

— პირველ რიგში, კახა კალაძესა და ლევან კობიაშვილს გამოვარჩევდი, თუმცა, „მილანიდან“ და „მალკედან“ მათი გადმობირება რამდენად მოხერხდება, ძნელი სათქმელია. აი, მალხაზ ასათიანს კი ინგლისში ბევრი არ იცნობს. იგი ჩემი თანატოლია და უდიდესი შესაძლებლობები აქვს. ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივი“ ასპარეზობს და რუსეთსა თუ საქართველოში საუკეთესოდ არაერთხელ დაუსახელებიათ. ბევრი მას ქართველ ზიზუს ეძახის. დამეთანხმებით, ამგვარ მეტსახელს დამსახურება უნდა.



სოფო გორდაძის სახელი ერთი თვის წინ ალბათ, არაფერს გეტყვოდათ. ახლა კი მას ყველა იცნობს. ზედიზედ ორჯერ, პლუს-კანდიდატი გახდა და შესაბამისად, უამრავი ფანი შეიძინა. პირველი კითხვა, რომელსაც მის შესახებ სვამენ, ხუჭუჭა თმას შეეხება. ეს მისი თმაა? — ეკითხებიან სოფოს დედას და ისიც, უკვე ვინ იცის, მერამდენედ, პასუხობს: თმა და კბილები ბუნებრივი აქვს... ამის შესახებ თავად სოფომაც თქვა: ვიცი, რომ ძალიან კარგი კბილები მაქვს და მიხარია, რომ ყოველთვის შემოდლია, გავიცინო. ასე და ამგვარად, სიცილი მისი საფიზიო ბარათია.

სოფო 21 წლისაა. ჰოროსკოპით კირჩხიბია. დაამთავრა თბილისის 61-ე საშუალო სკოლა. ამაცობს იმით, რომ დოლიძეზე დაიბადა და გაიზარდა. დედამისი ბუღალტერია, მამა — პოლიგრაფისტი. ჰყავს ძმა, რომელიც მასზე ორი წლით უმცროსია, ბებია, ბაბუა და საყვარელი ძაღლი.

„გავითორცი, შემიშინდა, სოფოსაც იგივე არ გაცივებინა“

ახი სტრონი. ოქროს შუალოცი რა უცნობი ფანის შექმნილი — „არ გაცდამრიო, სოფო!..“

ლელა ჭანკობაძე

ლია გორდაძე, სოფოს დედა:

— მინდოდა, ჩემი შვილი პოპულარული გამხდარიყო, ამიტომაც ვურჩიე, რომ ამ პროექტში მიეღო მონაწილეობა. სოფო პროფესიით ტელერეჟისორია, მაგრამ სამსახური ჯერჯერობით ვერ იშოვა. სულ ვფიქრობდი, რით დავხმარებოდი. ვგრძნობდი, რომ თუ ცნობადი სახე არ გახდებოდა, თავისი პროფესიით სამუშაოს ვერ იშოვიდა. ამ დროს გამოცხადდა „ჯეობარის“ შესარჩევი კონკურსი. მან შეავსო ანკეტა, ზედ დააკრა უამრავი ფერად-ფერადი გული, ბავთა, ყვავილი და ასე გაფორმებული ჩავაგდეთ ყუთში. უკვე დაგვიანებული იყო, ამიტომ, იმედი არ გვქონდა, რომ გამოგვხამურებოდნენ, მაგრამ გაგვიმართლა — დაურევს და რომ ნახეს, პირდაპირ მეორე ტურზე დაუშვეს.

— რატომ?

— უთხრეს — ძალიან მოგვეწონა შენი თმა და კბილები. სხვა ტურებიც წარმატებით გაიარა. ბოლოს, 5000 კონკურსანტიდან 6 ბიჭი და 6 გოგო შეარჩიეს. სოფოს რატომღაც, ყველაზე გვიან დაურევს. უკვე ხუთშაბათი იყო. მეორე დღეს კონტრაქტს მოაწერა ხელი. კვირას დილით კი, „ჯეობარში“ გამოცხადდა.

— რა ხდებოდა შესარჩევი ტურებზე?

— არჩევდნენ ხალისიან, ენერგიულ და შთამბეჭდავ ტიპებს, რომლებიც საინტერესოები იქნებოდნენ მაყურებლისთვის.

— ცნობილია, რომ კონკურსის მონაწილეებს ერთერთ ტურზე გაშიშვლება მოსთხოვეს, რაც წინა ორი „ჯეობარის“ შესარჩევი ტურებზე არ მომხდარა. თქვენ თუ იცით ამის შესახებ?

— ვიცი, რომ გოგონებმა საცურაო კოსტიუმებით გაიარეს ბოლო ტური. სოფომ კი არ გაიხადა. განაცხადა, რომ თუ შოუში მონაწილეობის ნებას დართავდნენ, იმედი არ უნდა ჰქონოდათ, რომ კამერების წინ შიშველი გამოჩნდებოდა. სახლში რომ დაბრუნდა და ეს ამბავი გამანდო, მივხვდი — დაინუნებდნენ. მაგრამ

მანც დაურევს. როგორც მელორი ეუბნება, მას უთქვამს, რომ სოფოსთან ფლირტი ექნებოდა და სოფო ამიტომ დაუშვეს შოუში. მაგრამ სოფომ ამაზეც უარი თქვა და ახლა მელორი საყვედურობს — რატომ მემდურით? რადგან კამერები ყველგანაა დამონტაჟებული, სოფო საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ბანაობს. გაირდება — არ გამოშვლდება, ამაზე თავიდანვე შევეთანხმდით. მე პირველ რიგში, მისი მეგობარი ვარ და შესაბამისად, მრჩეველიც. მამამისი უფრო ნერვიულობდა, არ ემეტებოდა შვილი ასეთი ძლიერი ფსიქოლოგიური სტრესისთვის. ძმა ამბობდა — სახლიდან ვეღარ გავალო, — ინერვიულა, სიცხემ 40 გრადუსამდე აუწია. ნუხდა — ვინმემ შეურაცხყოფა რომ მიაყენოს, რალაც რომ ავადროს, მე როგორ ვუყურო და მოვითმინო?! ყველა მამწვიდებდა, მეუბნებოდნენ — შოუ რომ დაიწყება, დანყნარდებიან და ფეხბურთის მაგივრად, „ჯეობარს“ დაუწყებენ ყურებასო. ასეც მოხდა. როცა სოფოსა და სოფოს შორის შედარება გააკეთეს, მიხვდნენ, რომ სანერვიულო არაფერი ჰქონდათ. სოფო პროექტშიც სწორედ ისეთივეა, როგორც სახლში — არ თამაშობს. ძალიან ბუნებრივად იქცევა.

— მისი შოუში გაცილება „ცრემლიანი“ იყო?

— არა. მეგობრებმა ნაიყვანეს. მე და ბებია სახლშივე დავმშვიდობეთ. მამა და ძმა დილით ადრე გავიდნენ, რომ არ დაენახათ, როგორ აიღებდა ჩემოდანს და 3 თვით დაგვემშვიდობებოდა... როცა სოფომ კასტინგი გაიარა, მხოლოდ ამის შემდეგ ამცნო მათ თავისი გეგმების შესახებ, რაც შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. ჩვენს ოჯახში სამი თაობა ცხოვრობს — სოფოს ბებია და ბაბუა ჩვენთან არიან. მათთვის წესით, სოფოს გადაწყვეტილება მიუღებელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ პირიქით მოხდა — ერთადერთი, რაც სთხოვეს, ის იყო — არ გაიხადლო. სხვათა შორის, ბებიამ დიდი როლი ითამაშა, გადაწყვეტი სიტყვა სწორედ მისი იყო, ჩემი მეუღლე მან დაითანხმა. ამბობდა — ჩემი შვილიშვილი არანაირ უზნეობას არ ჩაიდნისო.

— როგორ ფიქრობთ, სოფოს შეუძლია 35.000-ის მოგება?

— გადასარევი იქნება, მაგრამ ჩვენ იმითიც ვმაცხოვრებები ვიქნებით, თუ სამსახურს იშოვის და თავისი ცხოვრების მოწყობას შეძლებს. ის ძალზე არტისტიკული გოგოა. ბავშვობიდან თეატრ-სტუდია „ბერიკეში“ დადიოდა, კარგად ცეკვავს, უამრავი ლექსი იცის, მზიარულია, საუკეთესო დიასახლისია. არაფრის გაკეთება არ დაეზარება. ასე რომ, თუ ფორტუნა გაუღიმიებს, არც მოგება გაუჭირდება. თეატრალურ უნივერსიტეტში უნდოდა ჩაბარება, მაგრამ ჩემმა მეუღლემ და შვილმა გადააფიქრებინეს. ახლა აქვს შანსი, თავისი სამსახიობო მონაცემები გამოამჟღავნოს, უამრავი მეგობარი ჰყავს. ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ კასტინგს წარმატებით გაივლიდა. ახლა მეუბნებიან — გვჯერა, მოიგებსო, ვნახოთ.



თუ ფორტუნა გაუღიმიებს, არც მოგება გაუჭირდება

— ტანსაცმელს მხოლოდ თქვენ უზაზვანო?

— დიახ. უამრავი რამ მივეტანეთ. გული მწყდება, სულ ერთი და იგივე რომ აცვია.

— რომელიმე „ჯეობარელი“ სასიოდ თუ მოგწონთ?

— არა, არა... სოფოს შეყვარებული ჰყავდა. ახლა თავისუფალია. პირველმა სიყვარულმა გულნატკენი დატოვა. დარწმუნებული ვარ — ასე რომ არ მომხდარიყო, „ჯეობარში“ არ წავიდოდა. განსხვავებული ტიპაჟები იყვნენ, ხასიათით ვერ ეწყობოდნენ და სოფო ბევრჯერ წავიდა მასთან დათმობაზე. მგონია, რომ ის არც ამ პროექტში მონაწილეობის ნებას დართავდა. ახლა უამრავი თავყვანისმცემელი ჰყავს. პირველ „ლაიფ-შოუზე“ რომ ტიროდა, ვიღაც ყმაწვილი მიუახლოვდა და ეუბნებოდა: არ გადამრიო, სოფო, შენი ცრემლების დანახვა არ შემიძლიაო!.. იმდენი უცხო ადამიანი შემოეხვია, ახლოსაც ვერ მივიდი — არადა, უკვე ძალიან გვენატრება, განსაკუთრებით — „ქალბატონ“ ფანის: „ქალბატონი“ ფანი სოფოს ძალია. მათ ერთმანეთი ძალიან უყვართ. სოფო თავის საწოლში იწვენდა და ბევრ დროს უთმობდა. თუ ნება დამრთეს, „ჯეობარელებს“ მივუყვან და ვაჩვენებო, — ამბობდა. ძაღლები ძალიან უყვარს. უფლება რომ მივეცეთ, უპატრონო ძაღლებით გააცხებს სახლს. საერთოდ, ძალიან გულისხმიერია. თუ ოჯახში რომელიმეს პრობლემა გვაქვს, ჩვენზე მეტად განიცდის. სკოლა რომ დაამთავრა, ბებამ ფეხი მოიტეხა და 9 თვის განმავლობაში საწოლს იყო მიჯაჭვული; სოფო მას გვერდიდან არ მოსცილებია. ბუბიას სოფოზე ძალიან დიდი აზიკა აქვს. მიხარია, რომ ეს აზიკა დაინახა და დააფასა.

— ნაგავი, — რომ უთხრეს, — რა რეაქცია გქონდათ?

— ეს „ლაიფ-შოუზე“ მოხდა. მე იქვე ვიდექი და მზად ვიყავი, მელორისთვის გამელანუნებინა. გავოცდი, სოფომ რომ თავის შეკავება შეძლო და წონასწორობა არ დაკარგა. მაშინ ვიფიქრე, რომ იმ ფსიქოლოგიურ სტრესს, რომელსაც ჩა-



ძაღლები ძალიან უყვარს. უფლება რომ მივეცეთ, უპატრონო ძაღლებით გააცხებს სახლს

კეტილ სივრცეში დიდხანს ყოფნა ჰგვირის ადამიანს, სოფო გაუძლებს. მე ანდენს ვერ შევძლებდი. განონასწორებულია. ზედიზედ ორჯერ პლუს-კანდიდატი გახდა. როგორც კოსტამ თქვა, წყლიდან მშრალად გამოსვლა ორჯერვე შეძლო. იქ უდიდეს ცხოვრებისეულ გამოცდილებას იღებს: მინდა ვუთხრა, რომ მომავალშიც ასევე გაგრძელოს, მაგრამ მე ბარში მისვლის უფლება არ მაქვს. ვერც ტელეფონით ვეკონტაქტები. სათქმელი კი, მართლაც, ბევრი მაქვს.

— რომელიმე კადრს გამო თავი უხერხულად ხომ არ გიგრძნიათ?

— როცა ბანაობს, პირსახოცის მიფარებაც არ შეიძლება. ეს ბევრ უხერხულობას ქმნის. ეთომ ჰკითხა კიდეც — რატომ იცვლი ტანსაცმელს ფარდის უკან ან საბნის ქვეშო?.. ეს სოფოს გადასაწყვეტია. მე და მამამისი ერთად ვუყურებდით ცენას, რომელშიც სოფო და ნელიკო შხაბს იღებდნენ. ნელიკო შიშველი რომ გამოჩნდა, გავთვრდი, წაიყრად შემეშინდა, სოფოსაც იგივე არ გაეკეთებინა: შემეცოდა ჩემი მეუღლე იმისთვის, რომ თავისი ქალიშვილი ევრანზე შიშველი ენახა. საბედნიეროდ,

სოფო „კუბალინიკით“ იდგა. არც ის მომეწონა, როცა ერთ-ერთ მოთამაშეს მასაჟს უკეთებდა, მაგრამ მაინც ვერაფერს ვუსაყვედურებ. ისედაც ძალიან მორიდებულია და დაკვირვებული. ალბათ, ყოველ წამს ახსოვს, რომ უამრავი ადამიანი უყურებს, კამერები სულ ჩართულია და მისი ყოველი გამოხედვა, მოძრაობა ფიქსირდება. შოუს მთელი ოჯახი ვუყურებთ. სამსახურს გულს ვეღარ ვუძებ და გამოუძებით ტელევიზორის წინ ვზივარ. ასევე იქცევიან ჩვენი ოჯახის მამაკაცები. სწორედ მათ არ უნდა იგრძნონ უხერხულობა სოფოს თუნდაც ერთი სიტყვის ან საქციელის გამო. მსუბუქი ფლირტის სანიანალდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ის მარაზში არ უნდა გადაიხარდოს. თანაც, ასე სახალხოვ და დაწყებული რომანის არ მჯერა. მაგრამ რაც მთავარია, ფლირტს თავად არ დაუშვებს. ხრიკები არ სჭირდება, ისედაც ძლიერი მოთამაშეა. ყველა აღიარებს, რომ ოქროს შუალევი „უჭირავს“: არც გოგონების ბანაკშია და არც ბიჭების ორივე „ლაიფ-შოუზე“ სწორი და თან შოკის მომგვრელი გადაწყვეტილება მიიღო. ირაკლი რომ დაასახელა მინუს-კანდიდატად, იმდენად ავლედი, ტირილი დავინწყე. თავიდან ვერ გავიგე, ასე რატომ მოიქცა, მაგრამ მერე ყველამ აღიარა, რომ სახიფათო, მაგრამ ზუსტი სვლა გააკეთა.

— კიდეც ვის მიიჩნევთ ძლიერ მოთამაშეებად?

— კოსტას და ეთოს. ეთო ძლიერიცაა და ეშმაკიც. ის ძალიან სამიში მოთამაშეა და ვფიქრობ, უკვე დროა, მის გაგდებაზე იფიქრონ. სხვათა შორის, გულახდილი ვიქნები და გეტყვით, რომ არ მეგონა, თუ სოფო ასე სწრაფად გახდებოდა პლუს-კანდიდატი, შესაბამისად — ძალიან ცნობილი და პოპულარული: ჟურნალისტები სულ მირეკავენ, ჩვენს სახლში ტელეფონი გამოუძებობთ წკრიალებს. სადაც არ უნდა მოვხვდე, ყველგან მესმის: სოფო კარგი გოგოა; ყოჩაღ, სოფო!.. ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემი შვილი უკვე პოპულარულია. ახლა კარგი სიძე მინდა... ■

„ჯეობარელი“ მელორ ვაჩნაძე ცოლთან რომ გაყრილია, ეს თითქოს ყველამ იცის. მაგრამ არსებობს რამდენიმე გარემოება, რომელიც ამაში ეჭვის შეტანის საფუძველს იძლევა. მაგალითად, ის, როგორც მოსიყვარულე ქმარი, ცდილობდა, ტელეფონით საუბრისას ცოლისთვის ეჭვიანობის საბაბი გაეფანტა, „ლაიფ-შოუს“ დასრულების შემდეგ კი, მეუღლეები ვნებიანად კოცნიდნენ ერთმანეთს... იმაში, თუ რა ხდება სინამდვილეში, მელოს მეუღლე — **თათა ზუზულაძე** გაგვარკვევს.

„თათა ზუზულაძის იღვას ჯიშის სათქმელად ვამხილავ...“
დეცალოები ქელოს ჯიშადი ცხოვრებიდან

სოფო ყარაღაბილი

— თათა, თავდაპირველად, მითხარი, როგორ გაიცანით მომავალი, ახლა კი უკვე ყოფილი მეუღლე?

— დანახვისთანავე სულაც არ მოვხიბლულვარ მისით. გაბურძნევილი თმა ჰქონდა და ნითელი მაისური ეცვა... მოკლედ, ისიც ავტოსკოლაში ჩემსავით, მანქანის მართვას სწავლობდა. სახლში რომ ვბრუნდებოდი, უკან მომყვებოდა ხოლმე. მერე აღმოჩნდა, რომ მეზობლად გვიცხოვრია. ერთხელ, უფრო გრძელი გზით წამოვედი

— მაინტერესებდა, თუ გამომყვებოდა. მოვიხედე და დავინახე, რომ მომდევნა... მერე დასასვენებლად ქობულეთში წავედი, სადაც მესამე დღეს ჩამომაკითხა, ოდონდ — უფულოდ. ღმერთმა იცის, სამი დღე სად ეძინა და რითი იკვებებოდა. უკან კი, მე ჩამოვიყვანე. იმ პერიოდში სულ ჩემ გვერდით იყო, ყველაფერს მისრულებდა და ამაზე მომხიბლა.

— ის დღეც გაიხსენე, როცა მელომ სიყვარული აგისხნა.

— ავტოსკოლიდან მოვედიოდი და იქვე ბაღში შევედი. მითხრა, საქმე მაქვ-



სო. ამას კი მოაყოლა: სახე შავგვრემანი გაქვს, ფეხები კი — თეთრიო. ისე გაგვარაზდი, „ყურებიდან ბოლი გამდიოდა“. მერე მითხრა — ეს რა კაბა ჩაგიცვამსო?! კინაღამ გავგიჟდი, ბოლოს და ბოლოს, არ იტყვი, რა გინდა-მეთქი? — ვუთხარი. — მომწონსარ, მაგრამ არ იფიქრო, რომ მიყ-



არც ის მასსოვს, ნიშნობა რა რიცხვში გვექონდა...

ვარხარო... ეს, მელოს თქმით, მისეული სიყვარულის ახსნა იყო.

— შეგიძლია, გაიხსენო თქვენი პირველი კოცნა?

— სამწუხაროდ, არ მასსოვს. არც ის მასსოვს, ნიშნობა რა რიცხვში გვექონდა...

— მაშინ, მომიყევი, ხელი როგორ გათხოვა?

— ბეჭედი მომიტანა, დამიჩოქა და მითხრა — ცოლად გამოყევით. ჯვარი რომ დავინერეთ, ბაკურიანიში წავედით. იქ ბრმა ნანღავი ასტივდა, სასწრაფოდ თბილისში ჩამოვედით. მოკლედ, თაფლოზის თვეს ქმარი ნაოპერაცივი მყავდა. მაშინ ვინანე, რომ გათხოვდი...

— როგორი ქმარი იყო მელორო?

— კარგიც და ცუდიც. თავიდან ყველგან ერთად დავდიოდით და ვერთობოდით. რომ დავფეხმძიმიდი, ექიმმა წოლითი რეჟიმით დამინიშნა. მელომ ვერ შეიგნო, რომ რადგან მე სახლში ვიჯექი, ისიც არ უნდა გასულიყო გარეთ.

— და თქვენი დაშორების მიზეზიც სწორედ ეს გახდა?

— დილიდან დაღამებამდე მეგობრებთან იყო, იმას ის სჭირდება, ამას — ესო, — ამბობდა. მე ჩემ გვერდით მინდოდა, რომ ყოფილიყო. არ გვიჩხუბია, დავსვი საკითხი — ან მთელი დღე ჩემთან იყავი, ან საერთოდ წადი-მეთქი, — და წავიდა. ახლა ცალ-ცალკე ვცხოვრობთ, თუმცა, არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს.

— ბავშვთან მამას როგორი ურთიერთობა აქვს?

— ბავშვს ყოველდღე ნახულობს. სხვათა შორის, გადასარევი მამაა. ბავშვის დაბადებისთანავე მონაწილეობდა მის აღზრდაში, უკეთებდა საქმელს, უცვლიდა პამპერსს. ბუზღუნებდა, როცა ბავშვი ღამით იღვიძებდა, მაგრამ მაინც თვითონ აძინებდა. უმღეროდა სიმღერებს ღვინოზე. პროექტი რომ დატოვა, მაშინვე მოვიდა ქეთოს (შვილი) სანახავად.

— მოდი, ახლა „ჯეობარში“ ვილაპარაკოთ. როგორც ვიცი, პროექტში შესვლას შენც აპირებდი...

— ვაპირებდი, მაგრამ არა იმიტომ, რომ მელოსაც უნდოდა შესვლა. ეს მე საერთოდ არ ვიცოდი, შესარჩევ ტურებზე გავიგე. გასაუბრებზე ვილატ ქერათმიანი ქალი წამომიხტა: ნუ იტყუებით, თქვი, რომ არა ხართ დაშორებულებიო! — მითხრა. მკითხეს — სხვა მამაკაცი თუ არსებობს შენს ცხოვრებაში?... მოკლედ, ისე გამოუვიდათ, თითქოს „ჯეობარში“ სათამაშოდ კი არა, სიყვარულის საძებნელად შევედიო.

— მელოს ან შენს დედათილს ხომ არ გაუპროტესტებიათ შენი გადანწყვეტილება, რომ „ჯეობარში“ შესულიყავი?

— მელოს ასეთ რამეებზე გართულება არა აქვს. თანაც, არავისი საქმე არა არის, მე რეალურ შოუში მივიღებ მონაწილეობას თუ არა, მით უმეტეს, მელოს ახლოობებს ამას არავინ ეკითხება...


— როგორ ფიქრობ, პროექტში რომ ორივე შესულიყავით, შერიგდებოდა?

— თუ ასე დაჩაგრავდნენ, აუცილებლად შეფურიგდებოდი. მართალია, მელოს ფიცი ხასიათი აქვს, მაგრამ არც ისეთი კონფლიქტური, როგორი იმიჯიც შეუქმნეს.

— ეთანხმები იმ აზრს, რომ გოგონებმა პირი შეკრეს მელოს წინააღმდეგ?

— აბა, რა... მე ინტერნეტით ვადევნებდი თვალყურს 24 საათის განმავლობაში. ეთომ ყველა კარგად დაამუშავა. მაყურებელს არც ის უჩვენეს, როგორ და რა სიტყვებით ლანძღავდა ირაკლი სოფიას... მეც, პროექტში რომ ვყოფილიყავი, ეთოს ფანჯრიდან გადმოვადვებდი, მაგრამ ეგ ისეთია, ცოცხით გაფრინდებოდა... ირაკლის მოღრეცილ ცხვირ-პირს გაფუსნორებდი. სოფო ქვეშევეს ადამიანია და ასეთ ხალხს საერთოდ არ ვიკარებ ახლოს.

— მაყურებელმა ეჭვქვეშ დააყენა თქვენი გაყრის საკითხი, როდესაც მელომ დედამის დაურეკა და უთხრა — ახალი იმიჯი მჭირდება, ამიტომ თათას არ გამოკვირდეს არაფერიო. ახალ იმიჯში ალბათ, გოგონების მიმართ დამოკიდებულების შეცვლას გულისხმობდა, არა?



სხვათა შორის, გადასარევი მამაა

— ჩვენ ნამდვილად დავშორდით, თუმცა, ისე გვიყვარს ერთმანეთი, ამიტომ მელო ყოველთვის ანგარიშს მინევს, როცა რაიმე ნაბიჯს დგამს. რაც შეეხება მელოს კომპლიმენტს ნელიკოს მისამართით, — ამაზე ბევრი ვიცინე. საერთოდ არ მიეჭვიანია, იმიტომ, რომ მელოს ისეთი ქალები მოსწონს, ვისაც თავში ცოტაოდენი ჭკუა მაინც აქვთ...

— როგორ ფიქრობ — რთი გაალიზანა მელო ირაკლიმ?

— ალბათ, მელოს არ მოეწონა, რომ ის გოგონებს უაზროდ დასდევდა. ფულის გულისთვის ყველას თავზე ისვამს.

— როგორც ვიცი, პროექტში შესვლამდე მელორო და სოფო მეგობრობდნენ. სოფომ შოუს დასაწყის-



პროექტი რომ დატოვა მამაჩემი მოუდა ქეთოს სანახავად

შევ რატომ გადანწყვიტა მელოს გაგდება?

— მეგობრობდნენ, მელო კი მეგობრების მიმართ ყოველთვის დიდ სიბოროტს იჩენს. სოფო ფიქრობდა — ამას მოეწონებოდა, შესაბამისად, ერთი პლუსი გარანტირებული მაქვსო. როცა დაინახა, რომ მელო ყველა გოგოსთან ერთნაირი იყო, ალბათ, ამან გააგიჟა და გამოაგდო.

— ახლა, როცა მელომ პროექტი დატოვა, როგორ გააგრძელებს ცხოვრებას?

— არაჩვეულებრივი ურთიერთობა ექნება კოსტასთან, ვლასთან. დანარჩენები არ არიან იმის ღირსნი, რომ მელოსნაირი მეგობარი ჰყავდეთ. რაც შეეხება სამსახურს, — მელო არ არის ის ტიპი, რომ ტელენამყვანად ან ბარმენად იმუშაოს, მით უმეტეს, მიმტანად, რაც პროექტის დამთავრების შემდეგ ყველა „ჯეობარელს“ „ემუქრება“.

— შერიგებას არ აპირებ?

— სხვათა შორის, „ლაივ-შოუს“ შემდეგ მელომ მითხრა — გირიგდებიო, მაგრამ ეს ჩემი გადასაწყვეტია: თუ კარგად მოიქცევა და 24 საათი ჩემ გვერდით იქნება, შეფურიგდები.

P.S. ვინაიდან და რადგან დაუმორჩილებელ მელოს ჩაკეტილ სივრცეში ცხოვრების გამოცდილება უკვე აქვს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ცოლ-ქმარი აუცილებლად შერიგდებიან...

თინიჯიკები თავიანთ გამოხმაურებაში სშირად გვწერენ შემდეგი სახის მესიჯს: „ტელეფონით შემეყვარდა ბიჭი, ეს ნორმალურია?“, „ტელეფონით გაცნობილმა ადამიანმა თავი შემეყვარა და ჩემი ცხოვრებიდან გაქრა“, „რა ვქნა, თუ ისე შემეყვარდა, რომ ერთ-ელაჯ არ მინახავს“ — და ა.შ. რამდენიმე დღის წინ კი მომივიდა გზაწერილი, რომელსაც 34 წლის სვეტა მწერდა: „მინდა, ყველა იმ გოგოს გამოვეხმაურო, რომლებმაც ბიჭები ტელეფონის მეშვეობით გაიცნეს და მათ ვუთხრა, რომ შეიძლება, ყველაფერი კონკრეტულად დასრულდეს და ისე დაგვირგვინდეს, როგორც ჩემი და შოთას ურთიერთობა. მე და ჩემი მეუღლე კი, უკვე 16 წელია, ერთად ვართ და თავს ძალიან ბედნიერებად ვგრძნობთ...“ არ ვიცი, როგორ გაიცნეს მათ ერთმანეთი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ტელეფონით ნაცნობობას ყოველთვის ბედნიერება არ მოაქვს... რამდენიმე დღის წინ, უცნობმა ადამიანმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. მითხრა: შენთვის რაღაც მაქვს მოსაყვლი და თან, ჩემთან ის გოგონა მოდის, რომელსაც მართალია, არც მე ვიცნობ, მაგრამ ისეთი პრობლემა აქვს, რომელიც შენც დაგაინტერესებსო... მოკლედ, შეხვედრაზე შევთანხმდით და ირინას სახლში მივადექი.



ცელეფონით პასნოპილი აღაპიან მპი,

ციხის კედლებში დატოვებული ქალსულობა და ზონტოლა მამის ყსირცხვილო შვილი

ლიპა ქაქაია

— სამეგრელოს ერთ-ერთი რაიონიდან გახლავართ. სკოლა რომ დავამთავრე, თბილისში ჩამოვედი. ძალიან მინდოდა, სამედიცინოზე ჩამებარებინა, მაგრამ იმ წელს ვერ მოვეწყვე და ოჯახთან ერთად გადაწყვეტილება მივიღე, რომ დედაქალაქში დავრჩენილიყავი და მომავალი წლისთვის მოსამზადებელ კურსებზე მევლო. მშობლებმა (სხვათა შორის, საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი გახლავართ) ისეთი ბინა (იტალიურ ეზოში) მიქირავეს, სადაც დიასახლისთან ერთად უნდა მეცხოვრა, მაგრამ ეს ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან საკუთარ თავში ჩაკეტილი ბავშვი ვიყავი, ნაკლებად კონტაქტური და ამის გამო, ურთიერთობას ყველასთან ვერ ვაწყობდი. ასე რომ, მასწავლებლებთან მივიდიოდი, მერე სახლში ვბრუნდებოდი და მთელი დღეების განმავლობაში წიგნებში თავჩარგული ვიჯექი. ამხელა გოგოს არასდროს არავინ მყვარებია, მაგრამ ეს ჩემთვის პრობლემას საერთოდ არ წარმოადგენდა (ყოველ შემთხვევაში, მამინ ასე ვფიქრობდი). იმ ეზოში, სადაც ვცხოვრობდი, ნაქირავე ბინაში იმერეთიდან ჩამოსული 2 მეგობარი ბიჭიც ცხოვრობდა. ერთ-ერთი მათგანი რატომღაც ძალიან მომეწონა, მაგრამ არაფერს ვიმჩნევდი. ის კი არა და, ამას საკუთარ თავსაც არ ვუმუქავებდი. დაახლოებით 2 თვის შემდეგ, ის ბიჭი დაიკარგა. ამ ამბავს ძალიან განვიცდიდი. ერთხელ ჩემმა დიასახლისმა მითხრა: გოჩა (მას ასე ჰქვია) ყაჩაღობის გამო დაუჭყრიათო... რაღაც პერიოდის შემდეგ, მობილური ტელე-

ფონი ვიყიდე, რომლითაც თითქმის არც ვსარგებლობდი. ერთხელ ვილაც ბიჭმა დამირეკა და ლაპარაკი გამიბა. რატომღაც მეც ავეყვი. მეუბნებოდა: შენი გაცნობა მინდა, ვიცი, რომ ძალიან ლამაზი ხარ და ერთი სული მაქვს, გულში როდის ჩაგიკრაყო. მაგრამ იმას არ მიმხედა — როდის ან სად მნახა... ყოველდღე მირეკავდა, საღამოს მესიჯებით და ლამაზი სიტყვებით მავსებდა. ერთხელ, სახლში ვილაცამ ვარდების დიდი თიგული შემომიგდო, ცოტა ხანში კი, ჩემმა თაყვანისმცემელმაც დამირეკა და მითხრა: შენამდე ვერ მოვდივარ, მაგრამ იმდენს კი მოვახერხებ, რომ პატივი გცეო. მოკლედ, შემეყოლია და ბოლოს, თავი შემეყვარა. როცა ამას მიხვდა, მხოლოდ მერე გამომიტიყდა: ციხეში ვზივარ და იქნებ, ჩემთან მოხვიდე, თორემ თავს მოვიკლავო. კარგა ხანს მის წინადადებას არ ვთანხმდებოდი, მაგრამ მერე მაინც წავედი და იქ იცით, ვინ დამხვდა? — გოჩა, ადამიანი, რომელმაც თავბრუ დამახვია... დღეს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახლავართ და თვეში ერთხელ, ჩემს საქმროს ციხეში ვაკითხავ.

— მასთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— როცა ციხეში მივიღივარ, იქ ისე მიცნობენ, როგორც მის ცოლს, რადგან ჩვენ ხელი მოვაწერეთ. მაგრამ ერთმანეთთან სექსუალური კონტაქტი არ გვქონია, თავს იმ დღისთვის „ვინახავ“, როცა გოჩა გარეთ გამოვა.

— და ეს როდის მოხდება?

— დაახლოებით, 1 წელიწადში და მერე, დიდ ქორწილს გადავიხდით.

— ეს ამბავი შენებმა თუ იციან?

— რა თქმა უნდა, არ იციან... სხვათა შორის, სხვებისგან განსხვავებით, მას ჩემთვის იქ მისვლის გარდა, არაფერი უთხოვია. ის კი არა, უკან რომ ვბრუნდები, ჯიბეს ვულით მივსებს — თბილისში მარტო ცხოვრობ და რა იცი, რაში დაგჭირდებაო.

— ახლა ვის ველოდებით?

— გოჩასთან ერთად, ვილაც გიო ზის, რომელიც ჩემი შეყვარებულის მობილურით სარგებლობდა და ვილაც გოგოს აბამდა. მან თავის საწადად მიაღწია. ეს გოგო ძალიან ცუდ დღეშია — როგორც ამას თვითონ ამბობს. მას გოჩასთან ულაპარაკია. მან ჩემი ტელეფონის ნომერი მისცა — დაუკავშირდიო, მე კი მთხოვა, გოგონას დავეხმარებოდი... დანარჩენს თვითონ გაიგებ. მოდი, დაველოდოთ.

— იმ გოგომ თუ იცის, რომ მეც აქ ვარ?

— იცის. უნდა კიდევც, რომ რაღაც დაწერო, რადგან თუ გიო წაიკითხავს, მიხვდება, მისთვის რამხელა მსხვერპლი გავიღეო.

ცოტა ხანში სტუმარიც მოვიდა, რომელიც შინაურულად მომესალმა, მერე მასპინძელი გადაკოცნა და მოიკითხა... გოგონებმა გულახდილად ისაუბრეს. მათ ვუსმენდი და ვფიქრობდი: ნუთუ, ასეთი ძნელია პატიმრის შეყვარება-მეოქი?... აი, რა უამბო 19 წლის ანიმ ირინას:

— თავიდან რომ მირეკავდა, ვეჩხუბებოდი: აღარ დარეკო-მეთქი, — მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ თავი შემეყვარა. ვიცოდი, რომ პატიმარი იყო, თან — 38

წლის, მაგრამ მგონი, ამან უფრო მომხიბლა. ერთმანეთს ვემესიჯებოდით, მირეკავდა და ისეთ თბილ სიტყვებს მეუბნებოდა, რომ ლამის ჭკუიდან მშლიდა. ერთხელ დაქალს ხელი ჩავავლე და მასთან ციხეში მივედი. მისი დანახვისთანავე რატომღაც ავკანკალდი, მივხვდი, რომ მართლა ძალიან მიყვარდა... ამის შემდეგ, მასთან ხშირად მივდიოდი, ოღონდ, მარტო. დაქალი მეუბნებოდა: იმ ტიპს არ ენდო, ფრთხილად იყავიო, მაგრამ არ ვუფერებდი. ხომ იცი, როცა ადამიანი გიყვარს, მას ბოლომდე ენდობი. მოკლედ, გიომ იმდენი ქნა, რომ ერთხელ ციხეში დამტოვა და ის ღამე ერთად გავატარეთ (მშობლებმა იცოდნენ, რომ დაქალთან ვიყავი). ჩემი ქალიშვილობა ციხის კედლებში დავტოვე... მისთვის არაფერს ვიშურებდი, ოჯახის წევრებს ვატყუებდი, ფულს ვართმევდი და გიოსთვის „შმოტკებს“ ვყიდულობდი. ის ხშირად მეუბნებოდა: შენს „ბობოლა“ მამას რატომ არ სთხოვ, რომ მანქანა გიყიდოს? მერე ჩემთან უფრო ხშირად ივლიდიო... მისი გულისთვის სახლში რაღაც-რაღაცებსაც კი ვიპარავდი (მან ეს დღესაც არ იცის) და ციხეში მიმქონდა, რადგან თავს მაცოდებდა: ფული ნავაგებ და თავანს დროზე თუ არ ჩავაბარებ, იცოდე, ყელს გამომჭრიანო... უკვე 2 თვეა, რაც მისგან ფეხმძიმედ ვარ. ეს ამბავი რომ გავიგე, არ ვიცი, რა დამემართა. მასთან მივედი და ვუთხარი: ბავშვს ველოდები, მაგრამ უნდა მოვიშორო, თორემ, ჩემებმა რომ გაიგონ, შეიძლება, ფეხებით ჩამომკიდონ-მეთქი. ძალიან გაბრაზდა, ხელიც კი გამარტყა და მითხრა: თვალით აღარ დამენახვო, ვერ გიტან, საკუთარ შვილს სასიკვდილოდ როგორ იმეტებო?! მას შემდეგ აღარც მირეკავს და ჩემი ნახვის სურვილიც აღარ აქვს. გოჩას ვეკონტაქტები, მაგრამ ის მანაც ვერ დაარწმუნა, რომ დამელაპარაკოს. აღარ ვიცი, რა უნდა ვქნა, ჩემს ამბავს ვერავის ვუყვები. ამიტომაც მომცა გოჩამ შენი მისამართი და ტელეფონის ნომერი — მასთან მიდი და იქნებ, რამეში დაგეხმაროსო. თუ არ შემირიგდა, თავს მოვიკლავ, მაგრამ არც ის ვიცი, ბავშვი რომ გავაჩინო, სად უნდა წავიყვანო, ჩემები მართლა მომკლავენ (ტირის). ვიცი, რომ უსირცხვილო გოგო ვარ და ისეთი რამ ჩავიდინე, რაც ჩემს ოჯახს არ ეკადრება, მაგრამ ახლა უკვე სინანული გვიანია...

არ ვიცი, ირინა მას რითი დაეხმარება, რადგან ჩემი იქ ყოფნის დროს, მათ ვერანაირი გადაწყვეტილება ვერ მიიღეს. იმედი, ისინი თავიანთ ამბავს შეგვატყობინებენ და, რაც მთავარია, ყველაფერი კარგად დასრულდება...

P.S. ძვირფასო თინეჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმეციხე ნომერზე: 8(99) 17-35-27.

გააღსაყრბა



უცხო, 17 წლის:

„ეკა, ძალიან მაგრად მიყვარხარ. გამოცდებისთვის ვემზადები, მაგარ განამანიაში ვარ. თან, შეყვარებული მყავს და ყველა მეუბნება, რომ სიყვარული სწავლაში ხელს შემიშლის. არ ვიცი, რა ვქნა. ძალიან მინდა, უმაღლესში ჩავაბარო, მაგრამ შეყვარებულის დავკარგავ არ მინდა, ძალიან მიყვარს“.

აპა გააღსაყრბილი:

— დიდი მადლობა იმისთვის, რომ გიყვარვარ. შეყვარებულის ყოლა ხელს არაფერში შეგიშლის, თუ რა თქმა უნდა, მობილიზებული იქნები. გეთანხმები იმაში, რომ უმაღლესში აუცილებლად უნდა ჩააბარო და ძირითადად, სწავლაზე უნდა იფიქრო, პარალელურად კი, მასაც შეხვდი. მზად იყავი იმისთვის, რომ შენს შეყვარებულს ყურადღება მოაკლდება, მაგრამ იმას თუ მართლა უყვარხარ, უნდა გაგიგოს, დაგელოდოს, ხელი არ უნდა შეგიშალოს; ხოლო თუ არ უყვარხარ — წიგნებზე იეჭვიანებს, მაშინ ის მთელი ცხოვრება შენსა და შენს კარიერას შორის ბარიკადივით ჩადგება, ასეთ ადამიანთან ცხოვრებას კი, პირადად მე, არ ვისურვებდი. წარმატებებს გისურვებ!

უცნობი, 15 წლის:

„მოგესალმებით. ერთი ბიჭი ტელეფონით გავიცანი. ერთმანეთს ვუმესიჯებდით, მაგრამ ახლა რომ ვურეკავ, ტელეფონი გათიშული აქვს. მე ის მიყვარს და როგორ უნდა მოვიქცე, აღარ დავურევო?“

აპა გააღსაყრბილი:

— როცა შენი შეყვარებული ტელეფონს ჩართავს, თუ ის „ჯეოსელის“ აბონენტია, მას მესიჯი მიუვა, რომ შენი ნომრიდან ურეკავდნენ და თუ სურვილი აქვს, თვითონ დაგირეკავს, მაგრამ თუ „მათის“ აბონენტია, მაშინ მას ხშირ-ხშირად ურეკ, იქნებ, ტელეფონი ჩართოს... ისე, მე თუ მკითხავ, ზედმეტი აქტიურობა საჭირო არ არის. შეეცადე, თავი შეიკავო, იქნებ, თვითონ შეგეხმანოს.

ჭრჭიანა, 19 წლის:

„გამარჯობა, ეკა. ძალიან დიდ პატივს

ვცემ შენს შემოქმედებას... მე და ჩემი მეგობარი ერთმანეთს უმნიშვნელო რაღაცის გამო დავმორდით. მასთან ურთიერთობის გარკვევა მინდა, მაგრამ თავი ისე უჭირავს, თითქოს არც მიცნობს. მირჩიე, როგორ მოვიქცე“.

აპა გააღსაყრბილი:

— გააჩნია, ვინ არის თქვენ ორს შორის დამნაშავე. თუ ფიქრობ, რომ მასთან ურთიერთობისას შენ „მიქარე“, მაშინ ჯობია, პირდაპირ მიხვიდე და ბოდიში მოუხადო, მერე კი მეგობართან ურთიერთობასაც ადვილად გაარკვევ. იცოდე, ბოდიშის მოხდა სირცხვილი არ არის. მაგრამ თუ დამნაშავე შენი მეგობარია და მას თავი მაინც ისე უჭირავს, თითქოს არც გიცნობს, მაშინ შეევი, მასთან ლაპარაკიც კი არ ღირს, რადგან ასეთი მეგობარი არაფერში გამოგადგება და გულს ხშირად გატყენს. აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ!

ანკა, 13 წლის:

„გამარჯობა, ლიკა. ძალიან მინდა, რომ ჩემი მესიჯი დაბეჭდო და რამე მირჩიოთ. სიგიჟემდე შემიყვარდა ჩემი ნათესავი, საუკეთესო ძმაკაცი, მაგრამ მას სიყვარულს ვერ ავუხსნი, რადგან საკუთარი დასავით მიყურებს. ის 16 წლისაა და უყვარს გოგო, რომელიც მისი სახელის სხენებასაც ვერ იტანს. ჩემი „ძმაკაცი“ ახლახან საზღვარგარეთ გაემგზავრა და 1 წელი არ დაბრუნდება. ის თავისი უპასუხო სიყვარულის გამო იტანჯება, მაგრამ რა ვქნა, მეც იმავე მიზეზით ვიტანჯები. გთხოვთ, მირჩიეთ რამე“.

აპა გააღსაყრბილი:

— ვაიმე... ნათესავი გიყვარს? ეს რა მითხარი!.. მართალია, შენ ისეთი ასაკი გაქვს, როცა გრძნობებში შეიძლება, ვერც გაერკვე და ამ ცხოვრებაში კიდევ ბევრჯერ შეგიყვარდება ვიღაც, მაგრამ იმისთვის კი საკმაოდ დიდი ხარ, რომ იცოდე — ნათესავის სხვანაირად შეყვარება არ შეიძლება. გირჩევ, თუ მოძღვარი გყავს, მასთან მიდი და ყველაფერი უამბე, ის გაგარჩევინებს აესა და კარგს. კარგია, შენი „ძმაკაცი“ საქართველოდან რომ წავიდა. მართალია, ამის გამო შენ გული გტკივა, მაგრამ იქნებ, მასთან განშორებამ მაინც დაგაფიქროს და უკან დაბრუნებულს, სხვანაირად შეხედო?! ყოველ შემთხვევაში, მე ამის დიდი იმედი მაქვს...

ნინო, 17 წლის:

„მოგესალმებით. მინდა, რჩევა გკითხოთ. მე და ჩემი შეყვარებული 8 წელი ერთად ვიყავით. ჰოდა, ბოროტმა ადამიანმა მიხანს მიაღწია — სიმთვარელში ცოლად გაჰყვა. მე გიუს ვვავდი, რა მქნა, არ ვიცოდე, ყველას მიმართ ნდობა დავკარგე, დეპრესიაში ჩავვარდი და მეგობრების ნახვაც აღარ მინდოდა. მერე, შემეხმანა და მთხოვა: იქნებ, ყველაფერი თავიდან დაიწყოთო. მართალია, ვეჩხუბე, მაგრამ ისევ მიყვარს. როგორ მოვიქცე?“

აპა გააღსაყრბილი:

— 8 წელი ერთად იყავით და მოგატყუა. ახლა რომ შეურიგდე, შეიძლება, ისევ გი-

ლალატოს. ასე რომ, შეეშვი და სხვაზე იფიქრე. კარგი გიქნია, რომ უარით გაგისტუმრებია. დარწმუნებული ვარ, რომ დრო გავა და ისეთ ადამიანს შეხვდები, რომელიც ყველაფერს დაგავიწყებს.

გოგი, 17 წლის:

„ეკა, მაგრად მიყვარხარ. ქართულ შოუ-ბიზნესში მხოლოდ შენ გაფასებ. სიამოვნებით გაგიცნობდი“.

მამა ბაბიტაშვილი:

— დიდი მადლობა დაფასებისთვის. იმედია, ოდესმე გაგიცნობ.

სოკო, 16 წლის:

„ლიკა, გთხოვ, ეს მესიჯი გამომიქვეყნე. მინდა, ეკას რჩევა ვკითხო. ერთი ბიჭი შემეყვარდა, ვგრძნობ, რომ მასაც მოვწონვარ, მაგრამ თქმას ვერ მიბედავს. როგორ ავალაპარაკო? აბსოლუტურად გეთანხმები, გოგომ არ უნდა იაქტიურდეს და ამიტომაც გეკითხები — რა ვქნა?“

მამა ბაბიტაშვილი:

— შეიძლება, არ იაქტიურო, მაგრამ როცა შეხვდები, შეგიძლია, მიახვედრო. ამის შემდეგ, თუ ის შენ მიმართ მართლაც, რაღაცას გრძნობს, აუცილებლად დაგელაპარაკება.

უმანგი, 20 წლის:

„ეკა, ჯგუფი „ენსი“ დაიშალა? მინტერესებს, სად გაიცანით შენ, ნათიამ და სოფომ ერთმანეთი. ეკა, მართლა კარგი გოგო ხარ, წარმატებებს გისურვებ!“

მამა ბაბიტაშვილი:

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. მე, სოფომ და თიკა ფაცაცამ ერთმანეთი დიდი ხნის წინ, ერთ-ერთ მუსიკალურ ჯგუფში გავიცანით. მერე იქიდან წამოვედით და ჩამოვყალიბეთ ჯგუფი „სეთი“. შემდეგ, თიკა ამერიკაში წავიდა და ჯგუფი რომ არ დაშლილიყო, მოვანწყვეთ კასტინგი და ავიყვანეთ ნათია. მას შემდეგ სულ ერთად ვართ. მართალია, ჯგუფი „ენსი“ დაიშალა, მაგრამ ერთმანეთის ნახვას თითქმის ყოველდღე ვახერხებთ.

ანა, 13 წლის:

„ეკა, ძალიან მაგარი გოგო ხარ. მაგრად მიყვარხარ და სიყვარული შენს ინტერესებს ვნახავ, ყველას ვაგროვებ, რადგან მართლა მისაბაძი ადამიანი ხარ და შენს რჩევებს ვითვალისწინებ ხოლმე“.

მამა ბაბიტაშვილი:

— დიდი მადლობა! **უცნობი, 16 წლის:**

„აუ, მიშველეთ, რა. ჩემი სისულელით უსაყვარლესი ადამიანი დავკარგე. თურმე, როგორ მყვარებია!.. „ხარამო“, ნეტავ, ისევ გახსოვარ?.. ეკა, მას ვერ ვივინყებ, ძალიან მენატრება და რა უნდა ვქნა, როგორ დავიბრუნო?“

მამა ბაბიტაშვილი:

— დაურეკე, დაელაპარაკე და აუხსენი, ასე რატომ მოიქეცი. თუ ძალიან სერიოზული სისულელი არ ჩაიდინე (რისი დიდი იმედიც მაქვს), აუცილებლად გააპატიებს.

თონა, 17 წლის:

„ლიკა, ძალიან გთხოვ, დაუმხმარე. თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება, რადგან ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჩემს შეყვარებულს ვუთხარი: მგონი, არ მიყვარხარ-მეთქი. როცა ამ სიტყვებს ვუბნებოდი, მეგონა, რომ მართლა არ მიყვარდა. ამ ერთი თვის მანძილზე (მას შემდეგ, რაც დავშორდი),

მივხვდი, თუ რა ძვირფასი ყოფილა გიო (ის 26 წლის გახლავთ) ჩემთვის. ამიტომაც დაურეკე და ვუთხარი, რომ ისევ მიყვარს, მაგრამ ჩემ მიმართ გაცვივდა. მუუბნება: ჩვენს ურთიერთობას ტელეფონით ვერ გავარკვევთ, პირადად გნახავ და დავილაპარაკოთო. მაგრამ მას შემდეგ, არც კი დაურეკავს. რამდენჯერმე ისევ მე შევხვნიან, მაგრამ ერთ სიტყვას მომიგდებს ხოლმე და თავიდან მიცილებს... ის თავის დროზე, ცოლობას მიხვდება, მაგრამ მე კატეგორიულ უარს ვუბნებოდი. ახლა რომ მითხრას — გამომიყვიო, სიხარულით დავთანხმდები. ნუთუ, აღარ ვუყვარვარ? გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ დავიბრუნო გიო. თქვენი ერთგული მკითხველი“.

მამა ბაბიტაშვილი:

— ჩემო კარგო, ერთ დროს, შენ მას ტკივილი მიყენე და ახლა ის ცდილობს, სამაგიერო გადაგიხადოს, განერვიულოს, გაგამწაროს, რათა შენც იწვინო ის განცდა, რომლის გადალახვაც მას მოუხდა. რაღაც დროის მერე, ის აუცილებლად დაგირეკავს და ყველაფერი კარგად იქნება. არ ინერვიულო, მის ზარს აუღელვებლად დაელოდე. წარმატებებს გისურვებ! **XXX, 17 წლის:**

„გამარჯობათ. ამ წერილს ათენიდან ვწერთ. საქართველოში შეყვარებული დავტოვე, რომელიც დღე და ღამე ჩემზე ფიქრობს, მე კი აქ სხვა გავიცანი და ერთმანეთს კარგად ვწყობით. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ის მუსლიმანია და მასთან ურთიერთობას ყველა მიშლის. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? უკვე ერთმანეთის გარეშე ვეღარ ვძლებთ“.

მამა ბაბიტაშვილი:

— აქ რომ შეყვარებული დატოვე, რომელსაც მართალია, უყვარხარ, მაგრამ შენ მის მიმართ გრძნობა აღარ გაქვს, ეს დიდი პრობლემა არ არის. ცუდი ის არის, რომ შენი ახალი შეყვარებული მუსლიმანია. დაფიქრდი მომავალზე, შეძლებ კი ისეთ ადამიანთან ცხოვრებას, რომელიც სხვა აღმსარებლობისაა? ისიც გაითვალისწინე, რომ თუ მას ცოლად გაპყვები, საწმინდოება უნდა შეიცვალოს და შენი შვილებიც ქრისტიანები არ იქნებიან. თუ ეს ამბავი შენთვის მისაღებია, მაშინ აღარ ვიცი, რა გირჩიო.

ანი, 18 წლის:

„მიყვარს მამაკაცი. ჩვენ 5 თვეა, ერთად ვართ, ახლო ურთიერთობა გვაქვს. ის ყოველთვის მუუბნება, რომ მოვწონვარ, ვენატრები, უჩემოდ ყოფნა არ შეუძლია; აუცილებლად უნდა იცოდეს — სად მივდივარ და რამდენ ხანში მივალ სახლში. როცა ვნერვიულობ, ცდილობს, მხარში ამომიდგეს, დამამშვიდოს და პრობლემა მომაგვარებინოს. თუ ვიკამათებთ და ვეჭყვი: ფეხებზე გკიდევარ-მეთქი, მიბრუნდება — ფეხებზე რომ მეკიდო, შენ გვერდით ამდენ ხანს არ ვიქნებოდიო. მაგრამ კითხვაზე: გიყვარვარ? — პასუხი ასეთია: დრო მოვა და გაიგებ (ეგოისტია). მინტერესებს ვინმეს აზრი — შეიძლება, მას ვუყვარდე? დიმა 26 წლის გახლავთ... ლიკა, დამიბეჭდე, გთხოვ“.

მამა ბაბიტაშვილი:

— ალბათ, არ უყვარხარ, რადგან ამის თქმისგან თავს იკავებს. რომ უყვარდე, აუცილებლად გამოგიტყდებოდა. ეტყობა,

მოსწონხარ, მაგრამ თავის გრძნობებში დარწმუნებული არ არის. იმედია, მალე გაერკვევა და პასუხსაც გალირსებს. წარმატებებს გისურვებ!

ბარტყი, 15 წლის:

„მყავს შეყვარებული, ხან ვფიქრობ, რომ ლეოზე ვგიჟდები, ხან კი, მის მიმართ საერთოდ ვერაფერს ვგრძნობ. ის კი მუუბნება, რომ უზომოდ ვუყვარვარ. გუშინ ვუთხარი: არ მიყვარხარ და თუ გინდა, ვიმეგობროთ-მეთქი. მიპასუხა: მიყვარხარ და შენთან მეგობრობას ვერასდროს შევქმნი, მაგრამ ერთ რჩევას მოგცემ: ასე სხვასაც არ მოექცე, თორემ, ყველა ჩემსავით კეთილად არ მოგექცევაო. ტელეფონი გაუთიშე. მას მერე არ დაურეკავს, მე კი თავს საშინლად ვგრძნობ, სიგიჟედმე მენატრება. თან იმასაც განვიცდი, რომ არ ვიცი, როგორ არის. რა უნდა ვქნა, შევუირიგდე? მართალია, გარეგნობით არ მომწონს, მაგრამ ისე, ძალიან საყვარელი და თბილი ბიჭია, სულ კარგად მექცევა“.

მამა ბაბიტაშვილი:

— თუ გიყვარს და მინც მეგობრობა შესთავაზე, მაშინ ჯობია, ახლავე დაურეკო და სიმართლე უთხრა. მაგრამ მასთან ლაპარაკი მხოლოდ იმისთვის თუ გინდა, რომ მას გული სტკივა, ჯობია, შეეშვა. დაიმასსოვრე — გრძნობებით თამაში არ შეიძლება. ისე, მინდა გითხრა, რომ გარეგნობა არაფერს ნყვეტს. რად გინდა ადამიანი, რომელსაც მართალია, მწვანე თვალები და ქერა თმა აქვს, მაგრამ ხასიათი არ უყარვარ?! დაფიქრდი, შენს გრძნობებში გაურკვევე და ისე იმოქმედე.

ეშმაკუნა, 17 წლის:

„გამარჯობა. ერთი თვის წინ, ტელეფონით გავიცანი ბიჭი. მითხრა: 20 წლის ვარო, მაგრამ მერე გამომიტყდა — მოგატყუე, სინამდვილეში 23-ის გახლავარო. შევხვდი და არ მომეწონა, მას კი მოვწონვარ. მუუბნება: მიყვარხარო. ვთხოვე — დამივიწყე, არ მომეწონე და ურთიერთობა საერთოდ გაცნვიტოთ-მეთქი. მას არაფრის გაცონება არ სურს. რა ვქნა, როგორ მოვიცილო თავიდან?“

მამა ბაბიტაშვილი:

— მაგაზე ადვილი რა არის?! რომ დარეკავს, არ უპასუხო, ისეთ ადგილებში იპოვის, არ დაელაპარაკაო. დრო რომ გავა, შეგეშვება. მაგრამ თუ ასე არ მოხდა, მაშინ ეს ამბავი შენს ძმას ან მამას მოუყვიე და ისინი ასწავლიან ჭკუას. ასე რომ, ნუ ნერვიულობ, ყველაფერი მოგვარდება.

ინბიზური ბელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი უასიანია)
18 წლიდან



ჩემი ღრმა რწმენით, ლომის წილი ამაში გამოიძებს მიუძღვის... არც ნათია ჯანელიძეს (მიუხედავად მისი არაერთგზის მოთხოვნისა) და არც მე, საშუალებას არ გვაძლევს საქმის მასალების ქსეროასლები გადავიღოთ და გავეცნოთ წაყენებული ბრალდების მტკიცებულებებს. საყურადღებოა ისიც, რომ საპრობოლემო ნათია ჯანელიძის მამის მიმართ ადგილი აქვს ფსიქოლოგიური ზენოლის ფაქტებსაც. ამა წლის 4 სექტემბერს, ის თბილისის №8 საპრობოლემოდან რუსთავეის №8 საპრობოლემოში გადაიყვანეს. ამ დროიდან მოყოლებული, დღემდე, ვახტანგ თელია ციხის აღმინისტრაციას ე.წ. კარანტინში ჰყავს მოთავსებული. ამ საბაბით, მის ახლობლებს პატიმრისთვის სიგარეტის გადაცემზეც კი უარს ეუბნებიან... №8 საპრობოლემოში მას არაადაამიანური და დამამცირებელი გარემო შეუქმნეს, რათა დათრგუნონ მისი ფიზიკური და მორალური წინააღმდეგობა და მისი ღირსება დააუნინონ...“ — წერია სახალხო დამცველისადმი მიმართვაში, რომელსაც ადვოკატი ჩიკაბაძე აწერს ხელს.

“...ის მიყვარს და მოგიწევს ამასთან შეგუება“

ვერსიას საყვარლისა და ქონების განიკვევით გამონკვეული უთანხმოების შესახებ, ნათია ჯანელიძე გამოგონილს უწოდებს. მისი თქმით, მსგავსი ქორების გავრცელებით დაინტერესებული პირების ერთადერთი მი-

მუშაობდა, ვინმე ღიზისთან გააბა სასიყვარულო ურთიერთობა. ამის შესახებ თავად მითხრა. ისიც ვიცოდი, რომ ის გოგო სვანი იყო. ერთ დღეს უჩამ გამომიცხადა — მე ის მიყვარს და მოგიწევს ამასთან შეგუებაო. ამ ამბავმა გამანადგურა. საშინლად ავნერვიულიდი და მივაძახე — ესლა მკვლად შენგან და ახლა ესეც დამიმატე-მეთქი. ასეთ შეპასულებას არასდროს მპატიობდა ხოლმე, თუ გავბედავდი, ფიზიკურად მისწორდებოდა... მიუხედავად ამისა, იმ გოგოს გამო ძალიან ვჩხუბობდი; გაბრაზებული, ქმრის წინაშე, მას როგორც ქუჩის ქალს, ისე მოვიხსენიებდი. ეს კი უჩას ძალიან აღიზიანებდა და წონასწორობიდან გამოჰყავდა. ერთ-ერთი ასეთი ჩხუბის დროს, როცა მის საყვარელს ქუჩის ქალი ვუწოდებ, გააფთრებულმა მკვლავში წამავლო ხელი, — ახლავ ჩაიცივი და ნაქოდიო. თბილისის ზღვაზე ამიყვანა და იქ მომთხოვა პასუხი ჩემ მიერ ნათქვამ სიტყვებზე. აღარ გაბედო მასზე ცუდის თქვაო, — მითხრა და სასტიკად მცემდა. როგორც ჩანს, არ უნდოდა, ჩვენს შვილებს დაენახათ და გაეგოთ, რომ სხვა ქალის გამო მირტყამდა. მეორე დღით დავეურკე მის ნათესავებს, იმათ, ვისიც უჩას შედარებით ერიდებოდა და ყველანი საქმის კურსში ჩავაყენე. მონასტერშიც ავედი და იქ მამებს ვთხოვე დახმარება. მათ უჩა მონასტერში დაიბარეს. ისიც ასულა და მამების წინაშე დაუდგია პირობა, რომ ცუდად აღარ მომეცქცეოდა. ამის შემდეგ, გარკვეული დროის მანძილზე, მართლაც ცდილობდა თავის შეკავებას, მაგრამ ვხვდებოდი, რომ საყვარელთან ურთიერთობას კვლავ აგრძელებდა. როცა ასეთი საქციელის ახსნა მოვთხოვე, მითხრა — რა ვენა, თავად არ მეშვება, ჩემ გარდა ახლო ურთიერთობა არასდროს არავისთან ჰქონია და ამას გარდა, ჩემგან ბავშვსაც ელოდებო. უჩამ ერთხელ ისიც მითხრა, — ხომ იცი, სვანია და ვერაფერს დაფუშავებ, მისი ნათესავები არ მამატიებენო. ცოტა ხანში კი გამომიცხადა, ბინა მჭირდებო. სწორედ იმ ბინის გასაღებს მთხოვდა, რომელიც გაქირავებული გვექონდა. ჩემი შრომის შედეგადაა შექმნილი და ვისაც მინდა, იმას მივცემო. რაზან გაქირავებული იყო და ამის გამო რიგ სიძულვილს ნაწყვეთა, გადაწყვეტა ავტოსადგომი და სალონი ჩადო ბანკში, სესხი გამოეტანა და იმ ფულით ერთოთახიანი ბინა საყვარლისთვის ყიდა. ამ ურთიერთობის შესახებ ყველამ იცოდა, არა მარტო მისმა ნათესავებმა, არამედ მეზობლებმაც, რომელთაც შეუძლიათ ამის დადასტურება.“

სეიფის თავზე დადების ფაქტიც ახსნა. მისი თქმით, სწორედ ეს გახლავთ იმის დასტური, რომ უჩა ჯანელიძემ იმ ღამეს ცოლშვილი სახლიდან იარაღის მუქარით გაყარა, შემდეგ კი, შინ მარტოდ დადარჩენილს, ის სეიფში აღარ შეუნახავს. ცოლ-ქმარს შორის ამ შელაპარაკებას და ცემის ფაქტს, ნათია ჯანელიძის ჩვენების მიხედვით, მისი შვილებიც შეესწრნენ. სწორედ უფროსი და შუათანა ვაჟიშვილების დაკითხვას გეგმავს ამჯერად გამოიძებს. ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიებისა და საგამომიძებო ვადების გაგრძელების მოტივადაც გამომიძიებელმა ეს დაასახელა. ნათია ჯანელიძის შვილებმა ჯერ გამომიძიებლის, შემდეგ კი სასამართლოს წინაშე უნდა გასცენ კითხვებს პასუხი. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში კი გაურკვეველმა და ბუნდოვანმა კითხვებმა მართლაც მრავლად მოიყარა თავი. განსაკუთრებით საინტერესოა საქმის მასალებში არსებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც დენთის კვალი ხელის თითებსა და ცხვირის ნესტოებში აღმოაჩნდა არა მკვლელობაში ბრალდებულ ვახტანგ თელიას, არამედ — თავად ნათია ჯანელიძეს და მის უფროს შვილს, გიორგი ჯანელიძეს. სამართალდამცველების განმარტებით, ვახტანგ თელიამ, როგორც ჩანს, დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ხელები კარგად დაიბანა, ტანსაცმელი კი გადააყარა. თუმცა, სპეციალისტების თქმით, დენთის კვალი არც დაბანის შემთხვევაში ქრება ასე მოკლე ხანში. იმასაც ამბობენ, რომ შესაძლებელია, გასროლის მომენტში, დასურულ სივრცეში ყოფნის დროს, დენთის კვალი სხვა პირებსაც აეღოთ, თუმცა საქმის მასალებში არსებული ჩვენებების საფუძველზე ეს ვარაუდიც ბათილდება. ჩვენებების მიხედვით, შემთხვევის ადგილზე, იარაღიდან გასროლის მომენტში, მხოლოდ ან გარდაცვლილი და ვახტანგ თელია იმყოფებოდნენ, ნათია ჯანელიძე და მისი შვილები კი იქიდან უკვე კარგა ხნის წასულები იყვნენ.

აღნიშნულ გაურკვეველობასთან დაკავშირებით ბრალდებულებს, როგორც მათი ადვოკატი ამბობს, მხოლოდ ერთი ახსნა აქვთ: ისინი ამბობენ, რომ ქიმიური ექსპერტიზის დროს ტამპონები შეეცვალათ, ან დასკვნა რაიმე სხვა მოსაზრებით გააყალბეს. გამოიძებს განცხადებებს დასკვნების გაყალბებასთან დაკავშირებით აბსურდულად მიიჩნევს. სამართალდამცველების თქმით, გამოიძებს მიმდინარეობს და ვადის გაგრძელება იმიტომაც მოითხოვეს, რომ გასარკვევი ჯერ კიდევ ბევრი რამაა. რაც შეეხება, მკვლელობაში ბრალდებულს — ვახტანგ თელიას, მართალია, მან აღიარებულია ჩვენება (ჯერ-ჯერობით არა ოფიციალურად) შეცვალა, მაგრამ მხოლოდ მუხლის კვალიფიკაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან დეტალებში და არა არსებითად. ის დღემდე აცხადებს, რომ სიტყვ სწორედ მან ესროლა. ადვოკატი, ჩადენილი დანაშაულის შესახებ ძიების მიერ დღესდღეობით დაფიქსირებული ფაქტის შეცვლას ნაკლებად მოელოს, თუმცა ბევრი ვარაუდობს, რომ რეალურად ის შეიძლება სხვაგვარი იყოს...



ზანია, შვილები დედის წინააღმდეგ განაწყონ, მას კი დედობის უფლება ჩამოართვან. მისივე თქმით, საყვარელი არა მას, არამედ მის ქმარს ჰყავდა, რის შესახებაც, ეს უკანასკნელი, მას დაუფარავად ეუბნებოდა.

ნათია ჯანელიძე:

“გვიტოხებით, რატომ უნდა ჩამედინა ასეთი რამ და გამოუტყდებოდნენ თავი, თუკი ასეთ საუცხოო პირობებში ვცხოვრობდი, როგორც ამას ჩემი ქმრის ნათესავები აღწერენ? ცხადია, ასეთი ქორები მხოლოდ იმისთვის მოიგონეს, რათა უჩას საღიზიმი დაფარონ და დაჩრდილონ. მე ჩემი შვილების წინაშე არასდროს შემოტყვება, რადგან უკვე დიდები არიან, ყველაფერს ხედავდნენ და იციან, რა დღეშიც ვიყავი. მე ქმრისთვის არასდროს მილაღატია. თავად კი, იმ დროს, როცა თემქაზე, პოლიციის განყოფილებაში

რას იცვლიან შვილები?

ბრალდებულის ჩვენების მიხედვით, იმ ღამეს მისი ქმარი შინ ჩაქვიფარი მივიდა. წინა დღეებში დაძაბული ურთიერთობა და ჩხუბი ამჯერადაც გაუსხენა და ისევ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდა. ნათია ჯანელიძემ ქმრის მიერ იარაღის

გამოკითხვა — „გზის“ ერთგული კითხველბრუნის!

ძვირფასო მკითხველო! ჩვენ ყოველდღე ვგრძნობთ თქვენს ყურადღებას „გზის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების გამო. ამას უამრავი გამოხმაურება (სატელეფონო ზარი, მესიჯი, წერილი) მოწმობს, მაგრამ მაინც გვსურს, რომ კავშირი ჩვენ შორის კიდევ უფრო მჭიდრო გახდეს. ამიტომ გთხოვთ, შეავსოთ ანკეტა: თქვენი შეხედულებები დაგვეხმარება იმაში, რომ ჩვენი ჟურნალი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდეს. წინასწარ გისდით მადლობას თანამშრომლობისათვის: გთხოვთ, შევსებული ანკეტა ამოჭრათ და გამოგიგზავნათ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების მეშვეობით, რომლებიც განლაგებულია თბილისისა და საქართველოს ყველა ქალაქის ცენტრალურ უბნებში.

1) სქესი:

- ქალი კაცი

2) ასაკი:

- 18 წლამდე 45-54
 18-24 55-64
 25-34 65 წელზე მეტი
 35-44

3) რამდენ ლარს შეადგენს თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?

- 100 ლარამდე 700-1200
 100-300 1200-ზე მეტი
 300-700

4) რა სიხშირით კითხულობთ ჟურნალ „გზას“?

- ჟურნალის ყოველ ნომერს ვკითხულობ; მხოლოდ მაშინ ვკითხულობ, როცა გავიგებ, რომ მასში ჩემთვის საინტერესო ინფორმაციას წავიკითხავ; მხოლოდ მაშინ ვკითხულობ, როცა შემთხვევით ჩამივარდება ხელში.

5) პირველ რიგში, როგორ რუხრიკას კითხულობთ? (ჩამოთვალეთ რიგითობის მიხედვით)

1. _____
2. _____
3. _____

6) „გზის“ ფურცლებზე კიდევ რა რუხრიკების ნახვას ისურვებდით? (მიუთითეთ)

1. _____
2. _____
3. _____

7) რა სიხშირით კითხულობთ ამ ჩამოთვლილ ჟურნალებს?

(აღნიშნეთ თანმიმდევრობით, „X“ ნიშნით)	ყველაზე ხშირად	ხშირად	იშვიათად	არასდროს
1. „გზა“;				
2. „სარკე“;				
3. „თბილისელები“;				
4. „ბომონდი“;				
5. „რეიტინგი“;				
6. „ბარი“;				
7. სხვა (მიუთითეთ)				

8) რატომ ანიჭებთ (გაშვიდებთ კითხვაში) თქვენ მიერ პირველ რიგში დასახელებულ ჟურნალს უპირატესობას?

1. მრავალფეროვანი რუხრიკების გამო;
2. საინტერესო სტატიების გამო;
3. ფასის გამო;
4. შეეჩვიეთ და ამიტომ;
5. სხვა ქართულ გამოცემებს სჯობია.
6. სხვა (მიუთითეთ) _____

9) როგორ ფიქრობთ, რითი განსხვავდება ჩვენი ჟურნალი სხვა ჟურნალებისგან?

1. შედარებით ობიექტური სტატიები იბეჭდება;
2. კარგი იმიჯი აქვს;
3. უფრო მრავალფეროვანია;
4. უფრო შემეცნებითია;
5. არაფრით არ განსხვავდება;
6. სხვა (მიუთითეთ) _____

10) როგორ ყოველკვირეულ გაზთავს კითხულობთ ყველაზე ხშირად? (დაასახელეთ რიგითობის მიხედვით)

1. _____
2. _____
3. _____

11) რა სიხშირით უყურებთ ამ ჩამოთვლილ სატელევიზიო არხებს?

(აღნიშნეთ თანმიმდევრობით, „X“ ნიშნით)	ყველაზე ხშირად	ხშირად	არცაუ რ ხშირად	იშვიათად
1. „რუსთავი 2“;				
2. „იმედი“;				
3. „მზე“;				
4. „პირველი სტერეო“;				
5. „საზოგადოებრივი არხი“;				
6. სხვა (მიუთითეთ)				

12) რა სიხშირით უსმენთ ამ ჩამოთვლილ რადიო-ტალღებს?

(აღნიშნეთ თანმიმდევრობით, „X“ ნიშნით)	ყველაზე ხშირად	ხშირად	არცაუ რ ხშირად	იშვიათად
1. „იმედი“;				
2. რადიო „უცნობი“;				
3. „ფორტუნა“;				
4. „ფორტუნა+“				
5. „არ დაიდარდო“;				
6. სხვა (მიუთითეთ)				

კახა კუხიანიძე: „ქუთაისში 14 წლამდე ვცხოვრობდი“...

მომღერალი კახა კუხიანიძე, რომელმაც წელს მოლდავეთში გამართულ კონკურსზე წარმატებას მიაღწია და საქართველოში პრიზი — „ბროლის წერო“ ჩამოიტანა, წუხს, რომ ჩვენში შოუბიზნესი ფაქტობრივად, აღარ არსებობს და როგორც თვითონ ამბობს: არც ერთი მომღერალი არაფერს აკეთებს, თითქოს ყველაფერმა აზრი დაკარგაო.

— ქუთაისში ვარ დაბადებული და გაზრდილი. 14 წლამდე იქ ვცხოვრობდი. მერე ჩემი ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოხარგდა, რაც ჩემი ძმის — გიგას (მუსიკოსი გიგა კუხიანიძე. — ავტ.) დამსახურებაა. რომ გითხრა, თბილისში გამოსვლის შემდეგ დეპრესია დამეუფლა-მეთქი, ტყუილი იქნება, რადგან დედაქალაქში წამოვიდა მთელი ჩემი სამეგობრო და დღესაც ყველანი ერთად ვართ... ქუთაისში ჩასვლა მიწვევს ხოლმე. ის ჩემი ბავშვობის ქალაქია და რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს.

— ქუთაისს სიზმარში თუ ხედავ?
— (იციინის). არა, არა. სამაგიეროდ, ზოგჯერ იქაური მეგობრები მესიზმრება.

— ყველაზე მეტად, რომელი ადგილი გიყვარს „საყარდო“ ქალაქში?

— ჭავჭავაძის ქუჩა, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია — ეს ის ადგილია, სადაც ვცხოვრობდი. ქუთაისი

დიდი ტრადიციების მქონე ქალაქი იყო ყოველთვის. იქ არაერთი კოლორიტული ადამიანი ცხოვრობდა, მათ შორის, ბევრი კარგი მომღერალიც. სამწუხაროა, რომ დღეს ეს ქალაქი თავისი ანმყოფი ისე ვეღარ დაიტრიალებს, როგორც უნის. ზღაპრული ბავშვობა მქონდა, ის წლები კარგად მახსენდება.

— თბილისში ყველაზე მეტად, რომელი ქუჩა და უბანი გიყვარს?

— ფალიაშვილის ქუჩა, გრიბოედოვის ქუჩა და უბანი — ვერა...

— რამდენი წელია, რაც დედაქალაქში ცხოვრობ?

— 11 წელიწადია.

— არასდროს გინანია, რომ საცხოვრებლად თბილისში გადა მოხვედით?

— არა. აქ რალაც-რალაცებს მივალნიე... ახლა გადავწყვიტე, რადგან ქართულ შოუბიზნესში აღარაფერი ხდება, ისეთი მუსიკა „ვაკეთო“, როგორიც მიყვარს.

— რა ისწავლე ქუთაისში და რა ჩამოიტანე აქ?

— იქიდან ნასწავლი და განათლებული ჩამოვედი (იციინის). ბუნებრივად აღმომაჩნდა მუსიკალური ნიჭი, ვოკალის პედაგოგი არასდროს მყოლია. თბილისში საერთაშორისო ინტერნეტურნალის-



ტიკის ფაკულტეტი (ინგლისურ-იტალიური ენების განხრით) დავამთავრე.

— თუ იცი, რამდენი კილომეტრია ქუთაისიდან დედაქალაქამდე?

— არ ვიცი, მგონი — 256...

— მეტყველებაში იმერული, ქუთაისური კილო რომ არა გაქვს, ეს რისი ბრალია? შენს თავზე „იმუშავე“?

— არა, იმერული კილო არც არასდროს მქონია. მთელი ჩვენი ოჯახი სუფთა ქართულით, ყოველგვარი კილოკავის გარეშე ვლაპარაკობდით. ისე, მახასიათებს იმ კილოს „აკიდება“, სადაც ვარ და ამაში მუსიკალური სმენაც მიწყობს ხელს. ახლა თბილისურად ვლაპარაკობ იმიტომ, რომ თბილისში ვცხოვრობ.

— თბილისელი ხარ?

— დედაქალაქში ვცხოვრობ, მაგრამ არ მავიწყდება, რომ ქუთაისია ჩემი ქალაქი. სხვათა შორის, როცა თბილისიდან სადმე მივდივარ, მაგალითად, უცხოეთში, ამას ძალიან განვიცდი, ჩემი ქალაქი მენატრება ხოლმე... ისე, მიწვევები მქონდა რუსეთიდან და საქართველო-რუსეთის გართულებულმა ურთიერთობამ გემგები ჩამიშალა. ვნახოთ, იქნებ, მოგვარდეს ყველაფერი.

ნინო გორგობიანს სალამოს წაყენა სთხოვეს

გასულ კვირას, არტ-კაფე „ტაპირიში“ ჟურნალისტის, მხატვრისა და პოეტის, ქეთი ხოსიტაშვილის წიგნის — „ფოტოშეგრძენებში“ პრეზენტაცია გაიმართა. ამ ღონისძიების წამყვანად „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი ნინო გორგობიანი მოგვევლინა. ეს მისთვის უჩვეულო ამბულა იყო, მაგრამ მეგობრისთვის რას არ გააკეთებს ადამიანი?! მოკლედ, ქეთის სალამოს ნინო წაუძღვა და საზოგადოებას ნიჭიერი ადამიანის ახალი წიგნი წარუდგინა, რომელიც ძირითადად, ერთსტროფიანი ლექსებითაა დაკომპლექტებული და მისი რედაქტორი ლევან რამიშვილი გახლავთ. არტ-კაფეში უამრავი ადამიანი იყო, მათ შორის, პოლიციის თანამშრომლები, რადგან ნინო შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახურის მესამე განყოფილების უფროსია. ასე რომ, პრეზენტაციაზე „პოლიტომონდის“ წარმომადგენლები ჭარბობდნენ.



სოფო ხალვაში დაინიშნა

მშენიერი, მომხიბვლელი და ნიჭიერი მომღერლის, სოფო ხალვაშის პირად ცხოვრებაში სიახლეა. ის რეზო ძოძუაშვილის შვილზე — მიშაზე დაინიშნა, მაგრამ რატომღაც, მომღერალი პირად საკითხებზე საუბარს თავს არიდებს. როგორც ცნობილი გახდა, ის საქმროს ჯერ არ მიჰყვება, რადგან ბევრი სამუშაო აქვს — „ევროვიზიონისთვის“ ემზადება, რომ აღნიშნულ კონკურსზე ღირსეულად წარდგეს. ასე რომ, დანიშნული სოფო შემოქმედებით საქმიანობაშია ჩაფლული. ისე, ყველაფერი „იურმალის“ კონკურსით დაიწყო, რადგან იქ წარმატებული გამოსვლით, მან უამრავ ადამიანს შეაყვარა თავი, განსაკუთრებით კი, როგორც ჩანს, თავისი მომავალი მეუღლე მოხიბლა.



ხატია შამუგია: „პარაშუტიდან არასდროს გადმოვხტები“...

— შენზე თქვეს: პარაშუტიდან გადმოსტაო. რამე სომ არ იტკინე?
 — ჭორია. პარაშუტიდან არასდროს გადმოვხტარვარ და არც გადმოვხტები, რადგან სიმაღლის მეშინია.

— ფრენა არ გიყვარს?

— ფრენა არც პირდაპირი და არც გადატანითი მნიშვნელობით არ მიყვარს. მინაზე მყარად ვდგავარ. რეალისტი ვარ.

— გასაგებია, ფრენა არ გიყვარს და სიმაღლის გეშინია. არც „გაფრენა“ გიყვარს?

— მხოლოდ საკუთარ შვილთან მიმართებაში ვაფრენ, რადგან მასთან ურთიერთობისას, საკუთარ თავს აბსოლუტურად აღარ ვეკუთვნი, მთლიანად ნიკუშასი ვარ...

— ფრთიანი ანგელოზაო — ვისზე ამბობენ ამას?

— მგონი, 21-ე საუკუნეში ძნელად თუ მოიძებნება ფრთიანი ანგელოზი. თუმცა, ბევრზე ასე ამბობენ: ТОЖЕ МНЕ, ფრთიანი ანგელოზიო...

— შენზე რას ამბობენ?

— ეს სხვას უნდა ჰკითხო. ყოველ შემთხვევაში, თავი ფრთიანი ანგელოზი არ მგონია, ასე ჯერ არ გავკადნიერებულვარ.

— როდის იტყუები?

— როცა მჭირდება, მაგრამ ჩემს ტყუილს სხვა არასდროს დაუზარალებია.

— ტყუილს მოკლე ფეხები რომ აქვს, ხომ არ გავიწყდება?

— ისეთ ტყუილს არ ვამბობ, რომ „ფეხებმა“ თავი ცუდად იჩინოს...

— რა გიჭირს?

— დროის თანაბრად განაწილება და დილით გაღვიძება.

— ყოველ დილით სარკე რას გეუბნება?

— მეუბნება იმას, რომ ვიყო კარგ განწყობილებაზე და ადამიანებს სიამოვნება მივანიჭო.

— ქოთნის ყვავილებს წყალს თუ უსხამ?

— ქოთნის ყვავილები არა მაქვს ან ჩემი შვილის



ხელში რა ყვავილი მექნება — ყველაფერს ანგრევეს და ამტვრევს.

— ხე თუ დაგირგავს?

— ბავშვობაში ნაძვი დავრგე.

— დილით ვინ გაღვიძებს?

— საკუთარი მობილური ტელეფონი. მიშა ანდელუღაძის ხმა მაქვს ჩანერილი: ალო, გენაცვალე, პატრულია? (იცინის).

— ლაპარაკი არასდროს გეზარება, არა?

— როგორი დალილიც არ უნდა ვიყო, მაინც ვლაპარაკობ — უშრეტი ენ-

ერგისი პატრონი ვარ.

— გააგრძელე ფრაზა: „გზაში შემხვდა და“...

— ფანტასტიკურად გამოიყურებოდა.

— ურემი რომ გადაბრუნდება, მერე რა მოხდებაო?

— ჩემებურად ვიტყვი: ურემის პატრონი, ურემის ქვეშ მოჰყვებო...

— ასლა ერთი ანდაზა შენ მითხარი?

— კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო.

— ეს რამ გაგახსენა, ცხენი გიყვარს?

— ძალიან. ცხენი ლამაზი ცხოველია, მე კი ყველაფერი ლამაზი მიზიდავს.

— ცხენზე ჯირითი იცი?

— არა, ძალიან ფრთხილი ვარ. იმას, რაც ექსტრემალურ სიტუაციას შემიქმნის, ვერიდები.

— შენი ამოჩემებული ფრაზა მითხარი.

— „ღმერთო ჩემო, რა უხერხულია!..“

— სამოგზაუროდ უდაბნოში რომ მიდიოდე, თან რას წაიღებდი?

— სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან მიმაქვს: სამი ხელი ტანსაცმელი, ბევრი კრემი, სუნამო, პომადა...

— უდაბნოში პომადა ნამდვილად გამოგადგება (ვიცინით)...

— ფორტუნა ყოველთვის გიღიმის?

— ღმერთის წყალობით, კი.

— ამიტომაც მუშაობ რადიო „ფორტუნაში“?

— „ფორტუნა“ ჩემი მეორე სახლია, სადაც თავს კარგად ვგრძნობ. ■

ნინო ძონენიძის ახალი სიმღერაც გაუგებარ ტექსტზეა აგებული

მომღერალ ნინო ძონენიძეს გასულ ზაფხულს, მისმა ახალმა სიმღერამ და კლიპმა — „შინა მანა კენამ“ პოპულარობა მოუტანა. უცნაურია, არა? გაუგებარ ენაზე აწყობილმა სიმღერამ ხალხი ასიამოვნა და ნინოს ფანების არმია შექმნა. ასეთ წარმატებას არც თვითონ ელოდა და არც მისი პროდიუსერი, მე-



უღლე — გიგა კუხიანიძე, რომელიც აღნიშნული კლიპის რეჟისორიც გახლავთ. ნინოს „შინა მანა კენას“ შემდეგ, მსმენელისთვის რაღაც უფრო სერიოზული ჟანრის სიმღერის შეთავაზება უნდოდა, მაგრამ... ტექსტი ისევ თავისებურ სტილში, გაუგებარ ენაზე

შექმნა. თუმცა, რა ტექსტი? — ბგერათა ნყოფა გულიდან წამოვიდა და... სიმღერის სახელი ჯერ ვერ შეურჩიეს. ის ასე იწყება: „უნდა, რამა...“ მალე, მასზე გიგა კუხიანიძე კლიპს გადაიღებს (სიმღერის არანაწილება უკვე დასრულებულია) და ნინოს ფანები ნამუშევარს ერთ თვეში იხილავენ. ■

ნობის ტელეფონი ფსიქოლოგიური კონსულტაციები

☎ 822 006 005
822 006 099
822-425-544
SMS 1474

ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია ტელეფონ-ბარათებითაც

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(2 - 8 ნოემბერი)

პირი 21.03-20.04

ნოემბრის პირველი დღეები თქვენთვის არასახარბიელო იქნება, თავს მოთენთილად იგრძნობთ. გირჩევთ, კონფლიქტურ სიტუაციებს თავი აარიდოთ, თორემ შეიძლება, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდეთ.

კურო 21.04-20.05

დროის ეს მონაკვეთი ხელსაყრელი იქნება საქმიანი და რომანტიკული შეხვედრებისთვის. თუმცა, იმავდროულად, ფინანსური უთანხმოებების მოგვარება მოგიწევთ იმ პირებსა თუ ორგანიზაციებთან, რომლებიც აქამდე მორალურ თუ მატერიალურ დახმარებას გინევდნენ.

ტყუპი 21.05-21.06

დაბრკოლებები, რომელთა გადალახვაც ამ პერიოდში მოგიწევთ, თქვენს ოპტიმიზმს და მიზანდასახულობას საგრძნობლად შეასუსტებს, რის გამოც, ხშირად დაღლილობა მოგეძალებათ. უქმე დღეები მყუდრო ოჯახურ გარემოში გაატარეთ.

კივი 22.06-22.07

ამ კვირას, თქვენ დაგროვილი პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული. წინსვლას მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით შეძლებთ, ამიტომ ნუ გექნებათ მფარველობისა თუ პროტექციის იმედი.

ლომი 23.07-23.08

ამ დღეებში უმჯობესია, თავი აარიდოთ საქმიან შეხვედრებს, მეტი დრო გაატაროთ ოჯახის წევრებისა თუ მეგობრების წრეში და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს მიჰყოთ ხელი.

ძალწული 24.08-23.09

ეს პერიოდი ძალწულის ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის საკმაოდ ხელსაყრელია. თქვენ ერთდროულად რამდენიმე საქმეს მოჰკიდებთ ხელს და სავსებით წარმატებულადაც გაართმევთ თავს. შაბათ-კვირა აქტიურ დასვენებას დაუთმეთ.

სასწორი 24.09-23.10

თქვენი მატერიალური მდგომარეობა თქვენსავე გეგმების განსახორციელებლად საკმარისი არ იქნება, რის გამოც, გარშემო მყოფთა მხარდაჭერა გახდება საჭირო. გირჩევთ, გაუფრთხილდეთ საკუთარ ჯანმრთელობას, რათა მსუბუქი გაცივება სერიოზულ დაავადებაში არ გადაგეზარდოთ.

მოჩილი 24.10-22.11

ამ კვირას, თქვენს ძალებს ლიდერის ამბულაშიც მოსინჯავთ და შეეცდებით, რაიმე მნიშვნელოვანი მოიმოქმედოთ. ყოველგვარი სიახლის დანერგვისას თამამი და მტკიცე იქნებით, ხოლო წარმოქმნილ პრობლემებს არატრადიციული ხერხებით შეეჭიდებით.

მზვილდოსანი 23.11-21.12

სასიცოცხლო ძალების ნაკლებობის გამო, მაღალი იქნება დაავადებების ალბათობა. ამას ისიც ერთვის, რომ მეტოქეები არაერთ უსიამოვნებას მოგიტანენ. სიფრთხილე გმართებთ მეგობრებთან ურთიერთობაშიც. ამიტომ კარგი იქნება, თუ მთელ კვირას დასვენებას დაუთმოთ.

თხის რძა 22.12-20.01

ერთდროულად რამდენიმე საკითხის გადანყვეტა მოგიწევთ. თქვენი პრობლემების უმთავრესი მიზეზი თქვენივე დაბნეულობა იქნება. ინტელექტუალური და პროფესიული განვითარებისთვის საჭიროა, საკუთარი შესაძლებლობები და სამომავლო პერსპექტივები ობიექტურად შეაფასოთ.

მირწყული 21.01-19.02

პროფესიულ სფეროში ცვლილებებია მოსალოდნელი. მთავარია, სხვადასხვა უსიამოვნების მიუხედავად, ავტორიტეტი და სამსახური შეინარჩუნოთ. ამასთანავე, აუცილებელია მიხედოთ საკუთარ ჯანმრთელობას, თორემ მომავალ კვირას, შეიძლება სამსახურში საერთოდ ვერ წახვიდეთ.

თაზობი 20.02-20.03

ამ დღეებში თქვენი ენთუზიაზმისა და ენერგიულობის მიუხედავად, მიღწეულ წარმატებებს მარცხი მოჰყვება, რაც თქვენი გუნება-განწყობილების სწრაფი ცვალებადობით იქნება განპირობებული. შეეცადეთ, ამ არამდგრად ვითარებაში საკუთარი პოზიცია არ დათმოთ.

უკვე იყიდება ნომერის ნომერი

ლიტერატურული კალენდრა

პრობა

- მესი ხედეოსი
- მანონი ნახოსხველი
- ინსტიტუტი ლომოძინი
- ინსტიტუტი ჟიკოსი
- მამა ანთი
- ვილჯო შეწყვეტი

პოეზია

- პირი ფინანსელი
- დიდი ზეიანი
- გ. ს. სეიფი
- ვილჯო ცეცი

მონაგობა

- ცხამ მსჯელობელი
- ინსტიტუტი ჟიკოსი

თარგმანი

- სეიფი ვილჯო

ალექსანდრი

№ 11

(28) ნოემბერი, 2006

**თქვენ სოციალური გამოვლენიანი
პიროვნული ბრძანდებით...**

„ინსიუზი“ სსენავი სსოველავს უოჰის ღა მულტფილმი, საღას მჰოპანემოს ჰჰაჰინ ინლოჰს

„ეს ფილმი საბავშვო არ არის, მაგრამ ბავშვებს მისი ნახვა არ ეკრძალებათ“

მართალია, ქართული მულტფილმები „მოდაში“ აღარ არის, მაგრამ 25-მდე ნახატი ფილმის ავტორმა შადნიმან ჭანჭანაძემ კიდევ ერთ, ახალ ანიმაციაზე დაასრულა მუშაობა, რომელიც განკუთვნილია მოზრდილი მაყურებლისთვის და მასში ინტიმური სცენებია აღბეჭდილი.

რა ჯდება დღეს მულტფილმის გადაღება, როგორია ინტიმი ქართულ მულტპლიკაციაში და რა სახსლებს გვთავაზობენ ანიმაციის მოყვარულთ? — ამ და სხვა კითხვებზე ბატონი შადნიმანი გვიპასუხებს.

ნათია ქივიძე

— მულტიპლიკაციურ სტუდიაში 1971 წელს მივედი. ჩემი პირველი ფილმი, როგორც რეჟისორმა, 1973 წელს გადავიღე. მას „მეზაღე“ ერქვა. ის ქართულ ორნამენტებზე იყო აგებული. დღეს უკვე 25-მდე ფილმის ავტორი ვარ.

— რატომ აირჩიეთ სამოლვანოდ მულტიპლიკაციური კინო?

— სამხატვრო აკადემია დავამთავრე და ყოველთვის მქონდა იმის სურვილი, რომ ჩემი ნახატი ამოძრავებულყოფიყო. კედელზე მქონდა გაკრული აღდამორას გამოქვაბული, სადაც არის ირემი, რომელსაც 16 ფეხი აქვს. ალბათ, ამ აღდამორას ირემმაც იმოქმედა ჩემს პროფესიონალურ არჩევანზე.

— ჰოდა, აისრულეთ ოცნება თქვენი ნახატები ამოძრავეთ, არა?

— არა. ჩემი ბოლო მულტფილმი 52-წუთიანი და მხოლოდ ერთი კაცი ამაზე მუშაობას ვერ შეძლებდა. ამ მულტფილმზე 50-60 ადამიანი მუშაობდა. ანიმაცია საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა. წარ-




მოიდგინეთ, 10-წუთიან ფილმს 7-8 თვის განმავლობაში ვაკეთებდით. ერთი ცნობილი მოსკოველი, მულტფილმების ე.წ. „პაპა“ ამბობდა: ჩვენ ყველას ცოტა არ იყოს, გაფრენილი გვაქვს, რადგან შეუძლებელია, ნორმალურმა ადამიანმა თითქმის მთელი წელი იმუშაოს იმაზე, რაც მერე, 10 წუთის განმავლობაში ჩაივლის ეკრანზეო.

— მოდი, თქვენს ბოლო მულტფილმზე ვისაუბროთ.

— ეს არის გოეთეს გახმაურებული ნაწარმოების — „რაინიკე მელას“ მიხედვით გადაღებული ანიმაცია. მულტფილმს „წმინდა მელა“ ჰქვია (რაინიკე — წმინდას ნიშნავს). ეს პირველი ქართული სრულმეტრაჟიანი მულტფილმია. როგორც უკვე აღვნიშნე, ის 52-წუთიანია. მასზე საკმაოდ დიდხანს, დაახლოებით 3-4 წელი ვმუშაობდი, რაც იძულებითი შესვენებების გამო მოხდა: ხან ფინანსები არ გვქონდა, ხან — შუქი, ნახატები გაგვიფუჭდა და საბოლოო ჯამში, 48 ათასი ნახატის რესტავირება მოგვიხდა. ზოგს ისეთი იდეაც გაუჩნდა — ჩამოეწერათ და გადაეგდოთ ეს ფილმი... მაშინ გამოჩნდა პროდიუსერი დავით მორჩილაძე, რომელსაც პატარა კომპიუტერული სტუდია აქვს. ჩვენი მასალები იქ გადავიტანეთ და როგორც იქნა, ფილმზე მუშაობაც დავასრულეთ. სულ მალე, „იმედის“ ტელეარხზე ამ მულტფილმის პრემიერა შედგება.

— როგორც ვიცით, ეს მულტფილმი საბავშვო არ არის...

— მართალია. ეს საბავშვო ფილმი არ არის, თუმცა, მას ბავშვებიც უყურებენ. საკმაოდ ბევრი ინტიმური სცენაა, სადიზმის მომენტებიც არის. ამ მულტფილმში დადებითი პერსონაჟი არ არსებობს — ყველა გაიძვერა, აფერისტი, ყველა ყველას ძარცვავს და ა.შ. სხვათა შორის, შეიძლება ითქვას, რომ ფილმის სიუჟეტი ჩვენი საზოგადოებისთვის კარგადაა ნაცნობი. მიხვდით ალბათ — 90-იან წლებს ვგულისხმობ. „წმინდა მელას“ მთავარი გმირიც გაიძვერა, თანაც, ყველაზე ჭკვიანი. მას მხოლოდ ერთი რამის შიში აქვს: ღვთის სამსჯავროზე რა მეშველება?!. ღმერთის ეშინია და იცის,



რომ მასთან არაფერი გაუვა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის. ალბათ დამეთანხმებით, რომ ასეთი შინაარსის ფილმი საბავშვო არ არის.

— თუ მელა ამ მულტფილმის მთავარი გმირია, გამოდის, რომ „ინტიმური“ სცენები ცხოველებს შორის ხდება...

— ჩვენი პერსონაჟები გადამიანურებული ცხოველები არიან. ის მელა მშვენივრად არის ჩატმულ-გამოწყობილი. ასევე საუცხოოდ გამოიყურებიან მეფე და მისი ცოლი — ანუ ლომები და ა.შ.

— რატომ გახდა საჭირო ანიმაციაში ინტიმური სცენების გამოყენება?

— საბჭოური შტამში იყო — თითქოს მულტფილმი მხოლოდ ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, რადგან ჩვეულებრივი მხატვრული ფილმის გადაღება ბავშვებისთვის მეტ სიძნელეს ქმნიდა. მოზრდილთათვის გაცილებით ფართო თემატიკის შეთავაზება იყო შესაძლებელი: ომი, არმია, კოლმეურნეობა... ამიტომ იბოგეს „მშვენიერი“ გამოსავალი: ჩვეულებრივი მხატვრული კინო — მოზრდილთათვის იყო გათვალისწინებული, ხოლო ბავშვებისთვის უმეტესად, მულტიპლიკაციას იღებდნენ. ასე გრძელდებოდა გასული საუკუნის 60-იან წლებამდე. კანადელებმა კაფკას თითქმის მთელი შემოქმედების ეკრანიზაცია ანიმაციაში განახორციელეს, მიუხედავად იმისა, რომ ის ნამდვილად არ გახლავთ საბავშვო მწერალი. იაპონელებმაც რამდენიმე კლასიკური ნაწარმოების ანიმაციური ვერსიები წარმოადგინეს... რაც შეეხება ინტიმს, — ამაში ცუდი არაფერია. თავადაც ნახავთ და დარწმუნდებით, რომ ჩვენს მულტფილმში საგანგაშო არაფერია. მართალია, ეს საბავშვო ფილმი არ არის, მაგრამ ბავშვებს მისი ნახვა არ ეკრძალებათ.

— თუ აპირებთ საბავშვო ფილმის გადაღებას?

— გამოგიტყდებით, საბავშვო ფილმზე მუშაობა ძალიან მიჭირს, რადგან იქ სხვა აზროვნება და სხვანაირი მიდგომაა საჭირო. მართალია, გადაღებული მაქვს

რამდენიმე საბავშვო ფილმი, მაგრამ ამ სფეროს ნამდვილად აღარ დავუბრუნდები.

— ჩემი თაობა ქართულ მულტიფილმებზე იზრდებოდა. ახლა კი, ქართული მულტიფილმი დიდ იშვიათობად იქცა. რა არის ამის მიზეზი?

— ამას ობიექტური მიზეზები აქვს. დავიწყოთ იმით, რომ მულტიფილმების სტუდია საქართველოში უკვე 6 წელია, რაც ფიზიკურად აღარ არსებობს. შესაბამისად, ახალიც არაფერი კეთდება. ჩემს ფილმზე მუშაობაც გასულ ზამთარს დავასრულე და ისიც, კეთილი ადამიანების დახმარებით, თორემ, როგორც გითხარით, მთელი მასალა უნდა გადაყრილიყო... ის ფილმები, რომლებიც ჩვენს სტუდიაში კეთდებოდა, საბჭოთა კავშირის საკუთრებას წარმოადგენს. ყველა ფილმის საწყისი მასალები — ნეგატივი, აუდიოფირი — ეს ყველაფერი რუსეთში იგზავნებოდა და ახლაც იქ ინახება, ჩვენ მხოლოდ მათი ასლებილა გვაქვს. საბჭოთა ფირი დიდი ხარისხით არ გამოირჩევა, ამიტომ, 15-20 ჩვენების

მათგან ყველა ღირებული ვერ იქნება, ალბათ 250 თუ ივარგებს. ისინი გვეუბნებიან: ეს მასალები ჩვენი საკუთრებაა; თუ გნებავთ, გადაიხადეთ ფული და გადაგინერთ, გნებავთ — „ბეტაკამის“ ვიდეოფირზე, გნებავთ — „დივიდიზე“ და წაიღეთო. თანაც, ძალიან იაფად წერენ — 10-წუთიანი ფილმი 75-80 დოლარი ჯდება.

— დღესდღეობით, რა არის საჭირო, რომ მულტიფილმი გადაიღოს?

— მულტიფილმის გადაღება დამწყები რეჟისორისთვის საკმაოდ რთულია, რადგან სპონსორები ყოველთვის სვამენ ასეთ კითხვებს: რა მულტიფილმი? რომელ ფესტივალებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული? — და ა.შ. ამდენად, ახლებდა რეჟისორისთვის ცოტა ძნელია ნდობის მოპოვება და პოტენციური დამფინანსებლის დარწმუნება. აქედან გამომდინარე, გადაღებისთვის საჭირო თანხის შოვნა გაუჭირდება.

— თავად თუ ყოფილხართ რომელიმე ფესტივალზე და ახლა თუ აპირებთ რომელიმეზე „რანიკე მელას“ წარდგენას?

— ფესტივალს ხშირად ვსტუმრობდი. სულ 12 საერთაშორისო პრიზი და დიპლომი მაქვს მიღებული. თითქმის ყველა ჩემი ფილმი წარმატება ხვდა წილად. ამ სურათის წარდგენასაც ვაპირებ ერთერთ ფესტივალზე — საფრანგეთში. მაგრამ მანამდე, ვცდილობთ, ფილმის გაყიდვა მოვახერხოთ. ესპანელმა რეჟისორებმა ნახეს და მოეწონათ, ახლა გერმანელებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება.

— ახალი მულტიფილმის გადაღებას თუ გეგმავთ?

— რა თქმა უნდა. ისევ გოეთეს გარშემო ვიტრიალებ — შემდეგ მულტიფილმს „ფაუსტის“ მიხედვით გადავიღებ. პროექტი უკვე მზად გვაქვს. ახლა მისი დამუშავება და ფინანსების მოძიებაა საჭირო. ასევე ვაპირებთ, ანიმაციის ელემენტებით დოკუმენტური ფილმის — „ჯვაროსნები და საქართველო“ — გადაღებას, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება.

— დღეს საქართველოში მულტიფილმის გადაღება რამდენად მომგებიანია?

— წუთის ღირებულება 8.000 ევროა. ეს არის მინიმალური ფასი... ვიეტნამში, კორეაში, ჩინეთში ყოველ წელს იხსნება რამდენიმე ანიმაციური სტუდია. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ქვეყნებში მულტიპლიკაციური ფილმების დამზადება იაფი ჯდება. ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენც მათ კატეგორიას მივეკუთვნებით, რადგან აქაც საკმაოდ იაფია მულტიფილმის გადაღება, მაგრამ სტუდია ვერჯერობით მაინც არ გვაქვს.



შემდეგ, ეს ასლები უვარგისი ხდება. იმ ბავშვისთვის, რომელიც მშვენიერი ხარისხის მულტიფილმის ყურებას უკვე მიეჩვია, განსაკუთრებით ძნელია ისეთი ფირის ყურება, რომელიც უკვე დაჩაბნილია და ე.წ. „წვიმა“ გასდევს. ამიტომაც აღარ უჩვენებს ამ ფილმებს ტელევიზია. ამ მდგომარეობის შესაცვლელად, ერთადერთი, საკმაოდ ძვირად ღირებული გამოსავალი არსებობს. მოსკოვში სულ 450 ქართული მულტიფილმის საწყისი მასალა ინახება. რა თქმა უნდა,

ახალი Fiat ახალი ემბლემით

მიმდინარე კვირაში იტალიურმა ავტოგიგანტმა Fiat-მა თავისი ახალი ჰენჯის — Fiat Bravo-ს ფოტოები გაავრცელა, რომელიც მალე Fiat Stillo-ს შემცვლელად მოგვევლინება. ეს ავტომო-




ბილი ახალი პლატფორმის ბაზაზეა შექმნილი, რომელსაც ასევე ახალი სედანის — Fiat Linea-ს შესაქმნელად გამოიყენებენ. ჰენჯის პრემიერა 2007 წლის იანვრისთვისაა დაგეგმილი და პრესისთვის მონყობილი სპეციალური პრეზენტაციის ფარგლებში გაიმართება. პუბლიკას კი სიახლეს ცოტა მოგვიანებით — მარტში, ჟენევის ავტოსალონზე წარუდგენენ.

ახალი Fiat Bravo-ს სიგრძე 4,34 მ-ს შეადგენს, სიგანე — 1,79 მ-ს, ხოლო სიმაღლე — 1,49 მ-ს. ამ მონაცემების მიხედვით, ახალ ჰენჯს თავის კლასში ყველაზე მოზრდილ ავტომობილად ქვეყნის შანსი აქვს. შედარებისათვის, შეგახსენებთ, რომ VW Golf V-ის სიგრძე მხოლოდ 4,20 მ-ია. Bravo-ს გადიდება ინიჟინრებს, წინა და უკანა სავარძლებით თავისუფალი სივრცის გაზრდისა და მანქანის 400-ლიტრიანი ტევადობის საბარგულით აღჭურვის შესაძლებლობა მისცა. ახალი Fiat 1,4 ლ მოცულობის, 120-150 ცხ.ძ. სიმძლავრის ორი ბენზინის ტურბომრავალი, ასევე 120 და 150 ცხ.ძ. სიმძლავრის 1,9-ლიტრიანი ტურბოდიზელით იქნება აღჭურვილი. საინტერესოა, რომ სწორედ Fiat Bravo-ს ახალი თაობა პირველი ავტომობილი იქნება, რომელიც ამ მარკის ახალ, უფრო თანამედროვე ლოგოტოსს მიიღებს. შეგახსენებთ, რომ ეს, იტალიური კომპანიის არსებობის ისტორიაში ემბლემის მე-16 ვერსია იქნება. წინამორბედ ემბლემას 1999 წლიდან იყენებდნენ.

Chrysler დაგრძელებულია

SEMA-ს ყოველწლიურ გამოფენაზე, რომელიც ლას-ვეგასში 30 ოქტომბერს გაიხსნა, კომპანია Chrysler-მა თავისი

სედანის — 300C-ს გრძელი ვერსია წარმოადგინა. ახალ მოდელს Pullman ჰქვია. სწორედ ასე ერქვა Mercedes-Benz-ის დაგრძელებული მოდიფიკაციის ნიმუშებსაც. ზოგიერთი საინფორმაციო წყაროს ცნობით, ეს ავტომობილი სერიული 300C Long Wheelbase-ზე გრძელია. ამ უკანასკნელის ბორბლების ბაზა კი, 310 სმ-ს აჭარბებს. ასე რომ, შესაძლებელია, ახალი სედანიც სერიულ წარმოებაში ჩაუშვან. SEMA-ზე სადემონსტრაციოდ, დაგრძელებულ 300C-ს დაუყენეს უკანა კარი, რომელიც მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგოდ იღება. გარდა ამისა, ორიგინალურ ფერად შეღებულ ძარას სახურავს ზემოდან ორი დიდი ჰაერგამწოვიც დაურთეს.



Delica D5 „მიცუბისგან“

კომპანია Mitsubishi Motors ახალი რვაადგილიანი ავტომობილის — Delica D5-ის გამოშვებას აპირებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იაპონიაში მისი გაყიდვა 2007 წლიდან დაიწყება. სახელწოდებაში შეტანილი D5 იმაზე მიუთითებს, რომ ეს Delica-ს უკვე მეხუთე თაობაა. პირველად იგი მსოფლიო ბაზარზე ჯერ კიდევ 1968 წელს გამოჩნდა. მეხუთე თაობის ავტომობილი ძარას უჩვეულო დიზაინით გამოირჩევა, რომელშიც სწორი ხაზების სიმრავლე იყვრობს ყურადღებას. ზოგიერთი მახასიათებლით ეს მანქანა კონცეპტუალურ მოდელს — Mitsubishi Concept D5 — მოგვაგონებს, რომელიც ავტომოყვარულთა სამსჯავროზე ჯერ კიდევ შარშან წარმოად-

გინეს. დღეს არსებული ინფორმაციით, Delica D5-ით რვა ადამიანის კომფორტულად მგზავრობა იქნება შესაძლებელი. იგი ახალი, 2,4-ლიტრიანი ბენზინის ძრავითაა აღჭურვილი.



Great Wall-ის სამი სიახლე

ჩინური კომპანია — Great Wall პეკინის ავტოსალონზე სამ უჩვეულო სიახლეს წარმოადგენს. ამ ავტომობილებს ნამდვილი ევროპული სახელები დაარქვას — Smart, Cool Bear და Behind. მათი ფოტოსურათები ზოგიერთი ინტერნეტ-გამოცემის ვებ-საიტზე გამოქვეყნდა. აღსანიშნავია, რომ სამივე მოდელის ამერიკული ან ევროპული ორეული არ-

სებობს. ერთ-ერთი მანქანა Fiat Panda-ს ჰგავს, რომელსაც ძარის წინა ნაწილი Mitsubishi Outlander-ის, ხოლო უკანა მამუქები Nissan-ისა დაურთეს. მეორე ავტომობილი ამერიკულ ბაზარზე გაყიდულ Scion XA-ს მოგაგონებთ, მაგრამ ძარას წინა ნაწილი მას Toyota Yaris-ის სტილში აქვს გადაწყვეტილი. მესამე სიახლე კი, პრაქტიკულად, Scion XB-ის

ზუსტი ასლია. სამივე მოდელი 1,3 ლ მოცულობის ძრავითაა აღჭურვილი და ახალგაზრდა ავტომოყვარულებზეა ორიენტირებული. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მანქანების სერიული წარმოების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.



ვინ არის თქვენი რჩეული: გარო, აბიგო თუ?..

რალა თქმა უნდა, ყველა მამაკაცი სხვადასხვანაირია, მაგრამ იმისათვის, რომ საპირისპირო სქესთან ურთიერთობა სწორად ავაგოთ, საჭიროა ვიცოდეთ, თუ ფსიქოლოგიური კლასიფიკაციის რომელ ტიპს განეკუთვნება ჩვენი რჩეული. ამის გარკვევაში კი, ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგვეხმარება.

1 **პლკპი:** მოცემული პასუხის ორი ვარიანტიდან აირჩიეთ ერთ-ერთი.

1) მეგობრების წრეში ის დიდი ენთუზიაზმითა და ინტერესით ერთვება საუბარში...

- ა) სპორტზე;
- ბ) ხელოვნებაზე.

2) ის ამჯობინებს ატაროს...

- ა) მყვირალა ფერის მოდური სამოსი;
- ბ) მოსახერხებელი ტანსაცმელი, რომელიც ადვილად არ ისვრება.

3) სამსახურში მას სთავაზობენ ისეთ განყოფილებაში გადასვლას, რომლის ხელმძღვანელიც ქალია...

- ა) ის მხოლოდ სამუშაოს არსითა და ხელფასით ინტერესდება;
- ბ) ის შეცბუნებულია იმით, რომ ქალის დაქვემდებარებაში მოუწევს მუშაობა.

4) მოულოდნელად ირკვევა, რომ მის ერთ-ერთ ამხანაგს არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია აქვს, ის...

- ა) მომენტალურად წყვეტს მასთან ყოველგვარ ურთიერთობას;
- ბ) მასთან ურთიერთობისას უნინდებურად იქცევა.

5) თქვენ მანქანის მართვას სწავლობთ, ის...

- ა) ენთუზიაზმით დაგიჭერთ მხარს;

ბ) განაცხადებს, რომ ეს ქალის საქმე არ არის.

6) ახალი ფილმის სანახავედ კინოში აპირებთ წასვლას. რომელი ფანრის ფილმს ამჯობინებს თქვენი რჩეული:

- ა) ბოვივს;
- ბ) კომედიას.

7) ის ისეთ ოჯახში აღიზარდა, სადაც...

- ა) მამა ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტდა;
- ბ) ყველა მნიშვნელოვან საკითხს ოჯახში ერთობლივად წყვეტდნენ.

8) ოროდვე კვირით მივიღებთ მისი მოგონებები წასვლა. დაბრუნებისას აღმოაჩინეთ, რომ...

- ა) ბინაში წესრიგი სუფევს, მზა ვახშამი კი, სუფრაზე გელით;
- ბ) სამზარეულოში დაურეცხავი ჭურჭელი დახვავებული, მაცივარი კი ცარიელია.

ყოველ შეკითხვაზე პასუხად შეარჩიეთ „ა“ ან „ბ“ ვარიანტი. 1-ა; 2-ბ; 3-ბ; 4-ა; 5-ბ; 6-ა; 7-ა; 8-ბ პასუხებში დაინერეთ თითო ქულა. თუ 5 ან 8 სულზე მეტი ქულა დააგროვეთ, თქვენი კოდის პირველი ასოა — B, ხოლო 4 ან 7 სულზე ნაკლები ქულის დაგროვების შემთხვევაში, თქვენი კოდის პირველი ასოა — H.

|| პლკპი: ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს უპასუხეთ „დიახ“ ან „არა“.

1) სომ არ უჭირს თქვენს რჩეულს პატიების თხოვნა, თუკი გრძობს, რომ თქვენთან ურთიერთობისას შეცდომა დაუშვა?

2) გაცივებას არასოდეს ეშუება და ასეთ დროს ლოგინში არ წვება.

3) ახალი ნაცნობობა ყოველთვის ახარებს.

4) მასთან საუბრისას ყოველგვარი მორიდების გარეშე განიხილავთ თქვენს ინტიმურ პრობლემებს.

5) სხვა მამაკაცებთან თქვენი მეგობრული დამოკიდებულება მას აღიზიანებს.

6) ის ცაციაა.

7) გარეგნულად მამას ჰგავს.

8) უფროსი ძმა ჰყავს.

9) უყვარს თქვენთან ერთად ცეკვა.

10) თქვენი ნაცნობები მას საინტერესო ადამიანად მიიჩნევენ.

11) მას შეუცდომლად შეუძლია თქვენი ზომის სამოსის შერჩევა.

12) დიდი ზომის ფეხი აქვს.

13) იოლად უღებს ალლის უცხო ენაზე წარმოთქმულ ფრაზებს.

14) მდიდარი წარმოსახვის უნარი აქვს.

15) დროს სწორად ატარებს იქ, სადაც მხოლოდ მამაკაცი იკრებიან.

ქ 3; 4; 5; 6; 9; 10; 11; 12; 13; 14 შეკითხვებზე დადებითად გაცემულ პასუხებში და 2; 7; 8; 15 შეკითხვებზე უარყოფითად გაცემულ პასუხებში დაინერეთ თითო ქულა. თუ 8 ან რვაზე მეტი ქულა დააგროვეთ, თქვენი კოდის მეორე ასოა — B, ხოლო თუ 7 ან შვიდზე ნაკლები, თქვენი კოდის მეორე ასოა — H.

ტესტის შედეგები:

BH — თქვენი პარტნიორი ტიპური მაროა. მარო (ესპანურად — „ხვადი“) საკუთარ უპირატესობად მიიჩნევს იმას, რომ მამაკაცად დაბადება არგუნა ბედმა. ურთიერთობისას მარო სწორედ იმის დემონსტრირებას ახდენს, რასაც ირონიით თავადვე უწოდებს „ქალურ ლოგიკას“: ის აბსოლუტურად შეუვალაია, არგუმენტებს მისთვის მნიშვნელობა არა აქვს და მისი მოსაზრების სანაწარმდეგო აშკარა ფაქტების მიუხედავად, არასოდეს იცვლის აზრს. მაროს ნორმალურ ადამიანად გარდაქმნა, პრინციპში შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის აუცილებელია ცხოვრებამ კარგა გვარიანად შეაჯანჯაროს ის.

BB — თქვენი პარტნიორი ტიპური სუპერმენია. სუპერმენი (ინგლისურად — „ზეკაცი“, „ზეადამიანი“), ერთი მხრივ ტრადიციულ, მამაკაცისათვის ოდიტანვე დამახასიათებელი როლის შესრულებას ცდილობს, მეორე მხრივ — ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების პროორტიტს აღიარებს. პალტოს ჩაცმისას, ის ყოველთვის დაგეხმარებათ და არასოდეს გამოხატავს უკმაყოფილებას, თუკი პაემანზე დაგაგვიანდებთ. ოლონდ გაითვალისწინეთ, სუპერმენი საოჯახო საქმეების კეთებას სათაჯილოდ მიიჩნევს; ნებისმიერ საქმიანობას ის ორ კატეგორიად ყოფს: მამაკაცურ (პრესტიჟულ და სასიამოვნო) საქმიანობად და ქალის (მოსაწყენ და უსიამოვნო) საქმედ. თუკი ოჯახში მეორესხარისისოვან როლზე თანახმა ხართ და ქმრის წარმატებებით თავის მოწონება გაკმაყოფილებთ, მაშინ უნდა გითხრათ, რომ თქვენ შესაფერისი პარტნიორი აგიჩრჩევიათ.

HB — თქვენი პარტნიორი ტიპური აბიგოა. აბიგო

(ესპანურად — „მეგობარი“) არასოდეს ეცდება თქვენს მაგივრად პრობლემების გადაჭრას, მაგრამ აუცილებლად დაგეხმარებათ, თუკი მას ამის შესახებ სთხოვთ. აბიგო პარტნიორ ქალს თანასწორად მიიჩნევს და ამიტომ მგარველის პოზიციამში ყოფნა მისთვის უცხოა. ნებისმიერი ადამიანი მისთვის პირველ რიგში მეგობარი ან კოლეგაა და მხოლოდ ამის შემდეგ — მამაკაცი ან ქალი. აბიგოები სტაბილური ურთიერთობების დამყარების დიდოსტატები არიან. ამასთან, საკმაოდ მწვავედ რეაგირებენ მათი მისამართით გამოთქმულ კრიტიკაზე, თუმცა მათ მიმართ გამოვლენილ ყურადღებასაც ძალზე აფასებენ.

HH — თქვენი პარტნიორი ტიპური მუჩაროა. მუჩარო (ესპანურად — „ყმანვილი“) ჭარბად ასაკამდე დიდ ბავშვად რჩება. ამ ტიპის მამაკაცები ძირითადად დედებისა და უფროსი დების მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებიან და ამიტომ ისინი ქალებში უპირველეს ყოვლისა, მგარველს ხედავენ. გირჩევთ, ნუ იქნებით გულუბრყვილო და მუჩაროსგან პასუხისმგებლობის გამოვლენას ნუ დაელოდებით. თუკი გადანყვეთ, საკუთარი ცხოვრება მუჩაროს ტიპის მამაკაცს დაუკავშიროთ, მზად იყავით იმისთვის, რომ ნებისმიერი სერიოზული პრობლემის მოგვარება თავადვე მოგიწევთ. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობისას მუჩაროები საოცრად მომზიბლავები და უშუალოები არიან. სწორედ ამ თვისებების წყალობითაა, რომ მუჩაროები ყველაზე ფრთხილ და წინდახებულ ქალბატონებსაც კი ახვევენ თავბრუს.

	1	ლვ-თაბერივე ხარი ევკ-ძით.	2	საბუნების-მეტყველო მეცნიერება	3	აშშ-ის პარლამენტის ზღვა პალატა	4	აფრიკული ქვეყანა							
	5	ცაგარელის პიესა	6	სამკელი იარაღი	7	სამშობლო									
	8	მდინარე ევროპაში													
	9	ერთგვარი კანფეტი													
	10	საკუთარი თავის რწმენა													
11	მჭვე-ერმეტყვე-ლი ადამიანი	12	დადებითად დაბუნებული ელექტროდი	13	ვაზის ხეივანი	14	ცხოვე-ლის ზურგის უკან ნაწილი	15	რუსული ავტომობილი	16	ვაშლის ვიში				
17	შექსპირის ტრაგედია	18	გერმანული ავტომობილი	19	ძველი ქსოვილის ნაკლევი	20	პრეპარატი აცრისთვის	21	ღვალთ ცხვარი	22	ერთგვარი ნამცხვარი	23	ჩვენებითი ნაცვალსახელი		
24	კათო-ლიკე მღვდელი საფრანგეთში	25	გულუბრყვი-ლი ადამიანი	26	პრესლი	27	ქვეყნის ნაწილი	28	სამკურნალო წიგნი	29	იძულებითი გადასახლება	30	რესტორანი იტალიაში	31	ჭადრაკის ფიგურა
32	საკრედიტო დაწესებულება	33	ძე-რომაელთა სამოსი	34	თავბრუ	35	საინ-ფორმაციო საშუალება	36	ინდოეთის დღეაქალაქი	37	კლუბტონი	38	უბრალო უზურგო სკაბი	39	ფერ-ალი
41	ძე-ბერძენი ფილოსო-ფოსი	42	ნორვეგიელი კომპოზი-ტორი	43	სახის კუნთების უხეილიე კრუნჩხვა	44	ფერ-ალი								


წინა ნომრის სკანოკრილის პასუხები
 1. მეტალურგია; 2. ფლორიდა; 3. კუკარაჩა; 4. გაუჩო; 5. ლიბრი; 6. ბაიკონური; 7. ლიტერატურა; 8. ჩაი; 9. იბერია; 10. მესიკა; 11. რიგა; 12. ანტარქტიდა; 13. ბატუტი; 14. დაბა; 15. უჩა; 16. ატილა; 17. ვიქტორია; 18. ვაიდა; 19. აურა; 20. ნეპტუნი; 21. ოდიში; 22. შაიბა; 23. კავალერი; 24. ახო; 25. ლუციფერი; 26. ჩალა; 27. რადიკალი; 28. იმაში; 29. მაპუტუ; 30. არესი; 31. ჩინეთი; 32. ატამანი; 33. არენდა; 34. ანანასი; 35. კორა; 36. როკვა; 37. კრიმინალი; 38. იუანი; 39. რიფი; 40. ოდა; 41. დოჰა; 42. ფილი; 43. სინოდი; 44. ირაო.
 სურათზე: მილა იოვოვიჩი; ჰამერი.

სკოლის მოსწავლე დარვინს სასამართლოში უჩივის...

მაღე სანქტ-პეტერბურგის რაიონულ სასამართლოში 15 წლის მოსწავლის, მაშა შრაიბერის სარჩელის პირველი მოსმენა შედგება, რომლის მოპასუხე მხარე რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროა. სარჩელში გოგონა მოითხოვს, რომ სკოლებში დარვინის ევოლუციური თეორიის სწავლება აიკრძალოს. მაშა შრაიბერის ინტერესებს სასამართლოში მამამისი წარმოადგენს, რომელიც მიიჩნევს, რომ სკოლებში თავსმოხვეული დარვინიზმი ბავშვის უფლებებს ხელყოფს და მის რელიგიურ გრძობებს შეუარაცხევს. ანტიდარვინული სარჩელი ჯერ კიდევ მარტში მომზადდა. თავდაპირველად, სარჩელის მოსკოვში გადაგზავნას აპირებდნენ, რადგან მოპასუხე (განათლების სამინისტრო) დედაქალაქშია რეგისტრირებული. მოგვიანებით კი, აღმოჩნდა, რომ სასამართლო მოსარჩელე მხარის რეგისტრაციის ადგილზე უნდა ჩატარდეს. ამ უჩვეულო პროცესზე, ექსპერტის რანგში, პეტერბურგის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ნეირო-ფსიქოფიზიოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი და პეტერბურგის ეპარქიის წარმომადგენლები წარდგებიან. ისინი მხარს უჭერენ გოგონას, რომელიც შარშან ზამთარში, ერთ მშვენიერ დღეს, სკოლიდან დაბრუნდა და მშობლებს განუცხადა, რომ მას არ სჯერა, თითქოს ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა. სკოლაში კი ამ თეორიის ალტერნატიული მოსაზრება სასტიკად იდევნება და კრეაციონიზმის (თეორია Homo sapiens-ის ღვთიური წარმოშობის შესახებ) თეორია არ ისწავლება. მშობლებმა დახმარებისთვის იურისტებს მიმართეს და სარჩელი შეადგინეს, შემდეგ კი, ჟურნალისტებსაც უხმეს. პრესკონფერენციაზე მაშა ბანანებით გამოცხადდა და ეს ხილი იმათ შესთავაზა, ვინც ფიქრობს, რომ მისი შორეული წინაპარი მაიმუნი იყო.

ჰილარი კლინტონი ირწმუნება, რომ „გონჯი“ არ არის

ამერიკის შერეულ შტატებში ახალი პოლიტიკური სკანდალი აგორდა. ამის მიზეზი რესპუბლიკელი ჯონ სპენსერის კომენტარებია, რომელიც New York Daily News-ის 23 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა. სტატიაში მოყვანილია სენატის არჩევნებში ჰილარი კლინტონის კონკურენტის გამონათქვამი, ჰილარის „გონჯი“ გარეგნული იერის შესახებ, რომლის გამოკვთვაც, მხოლოდ „მრავალრიცხოვანი პლასტიკური ოპერაციების“ წყალობით გახდა შესაძლებელი. სენატორმა ჰილარი კლინტონმა სტატიის საპასუხოდ განაცხადა, რომ სამწუხაროდ, პოლიტიკური დისკუსია შტატის პრობლემების განხილვის საზღვრებს გასცდა. „და საერთოდ, ჩემი სტუდენტობის დროინდელი ფოტოსურათები არცთუ ისე ცუდია“, — იხუმრა სენატორმა. თავის მხრივ, ჯონ სპენსერმაც აღიარა, რომ გამოცემის კორესპონდენტს — ბენ სმიტს ინტერვიუ ნამდვილად მისცა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ მსგავსი რამ არასდროს უთქვამს. „ეს მასალა შეთითხნილია. სულაც არ ვფიქრობ, რომ ჰილარი კლინტონი მახინჯი ქალია“. ჟურნალისტმა განაცხადა, რომ სამწუხაროდ,



ინტერვიუ ფირზე არ ჩაუწერია და სპენსერის გამონათქვამები მხოლოდ ბლოკნოტში ჩაინიშნა. უკანასკნელი გამოკითხვების თანახმად, წინასწარ ჩვენო რბოლაში სენატორი კლინტონი კონკურენტ ჯონ სპენსერს მნიშვნელოვნად უსწრებს.

იაკონური სენსაცია

სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდოზანების გულუბის დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსენლად ცარიელ უჯრეტებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოჩნდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუმში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

5	9	7	3	1	2	8	4	6
6	2	1	5	4	8	9	7	3
3	8	4	6	7	9	5	1	2
4	6	2	8	5	3	1	9	7
9	7	5	4	6	1	3	2	8
1	3	8	2	9	7	6	5	4
2	1	3	7	8	5	4	6	9
8	4	9	1	2	6	7	3	5
7	5	6	9	3	4	2	8	1

3	6	8	7	5	4	9	2	1
1	5	9	2	6	3	8	4	7
7	2	4	9	1	8	6	3	5
9	1	2	8	3	7	5	6	4
8	4	7	5	9	6	2	1	3
5	3	6	4	2	1	7	9	8
6	8	1	3	7	2	4	5	9
2	7	5	1	4	9	3	8	6
4	9	3	6	8	5	1	7	2

3	9	7	6	8	5	2	1	4
4	8	2	9	1	3	6	7	5
5	1	6	2	7	4	3	8	9
1	6	3	4	2	9	7	5	8
9	4	8	5	3	7	1	2	6
2	7	5	8	6	1	4	9	3
7	5	9	1	4	6	8	3	2
6	2	1	3	9	8	5	4	7
8	3	4	7	5	2	9	6	1

* მარტივი

7	1		3		6	8
	3		7	1	5	
9			6		1	
5			9			2
3	7			5	8	1
8			3	2		6
	5	3				4
	6	5	8		2	
2	7		6		9	5

* * სამუალო

1				4		7
	7			3		8
	2			5		3
8				6		1
5			3		2	
4			5			6
	1	9		7		8
		5		9		2
8			1			9

* * * რთული

	1			7				4
	5							
3				1				8
		7	1			9		
		2		9		4		
		3				6		
	6		9					5
							9	
2				3				6

ფოტოკუჩიოზები






Premier by Dead Sea Premier

ნიღბი ღამის ფაზაში

626 / 42



საინფორმაციო ცენტრი



დაჯილდოვებული
ჰომის სანაწიქი
პრემიერი

ტელ: (+995 32) 38 44 54

ფაქს: (+995 99) 54 66 66

შ.პ.ს. ი.ი. პრემიერი
www.il-premier.ge